

პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები და მათი ექსპერტული შეფასება





პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები და მათი ექსპერტული შეფასება



Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში

პროექტი განხორციელდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება“ (G-PAC) ფარგლებში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ხორციელდება.

პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკის ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. პროექტის ფარგლებში მომზადებული მასალების შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელი არიან პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციები და ეს შინაარსი შეიძლება არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან EMMI-ს შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი.....	5
პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები.....	7
ახალი მემარჯვენეები.....	7
განათლება	7
დასაქმება	11
მაკროეკონომიკური საკითხები	14
სოფლის მეურნეობა.....	33
სოციალური უზრუნველყოფა	45
ჯანდაცვა	46
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.....	48
განათლება	48
დასაქმება	50
მაკროეკონომიკური საკითხები	50
სოციალური უზრუნველყოფა	55
ჯანდაცვა	55
კოალიცია „ქართული ოცნება“	56
განათლება	56
დასაქმება	62
მაკროეკონომიკური საკითხები	63
სოფლის მეურნეობა.....	86
სოციალური უზრუნველყოფა	91
ჯანდაცვა	93
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.....	96
განათლება	96
დასაქმება	96
მაკროეკონომიკური საკითხები	96
სოფლის მეურნეობა.....	96
სოციალური უზრუნველყოფა	97
ჯანდაცვა	97
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა.....	98
განათლება	98
მაკროეკონომიკური საკითხები	98
სოფლის მეურნეობა/დასაქმება.....	99
სოციალური უზრუნველყოფა	100
ჯანდაცვა	100
ექსპერტული შეფასებები	101
ახალი მემარჯვენეები.....	101
განათლება (ISET-PI)	101
დასაქმება (ISET-PI).....	101
მაკროეკონომიკური საკითხები (EPRC).....	102
სოფლის მეურნეობა (EPRC).....	105
სოციალური უზრუნველყოფა (LAT)	110
ჯანდაცვა (LAT).....	112

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.....	116
განათლება (ISET-PI)	116
დასაქმება (ISET-PI)	118
მაკროეკონომიკური საკითხები (EPRC).....	120
სოფლის მეურნეობა (EPRC).....	121
სოციალური უზრუნველყოფა (LAT)	124
ჯანდაცვა (LAT).....	126
კოალიცია – „ქართული ოცნება“	129
განათლება (ISET-PI)	129
დასაქმება (ISET-PI)	130
მაკროეკონომიკური საკითხები (EPRC).....	130
სოფლის მეურნეობა (EPRC).....	134
სოციალური უზრუნველყოფა (LAT)	136
ჯანდაცვა (LAT).....	138
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.....	140
განათლება (ISET-PI)	140
დასაქმება (ISET-PI)	141
მაკროეკონომიკური საკითხები (EPRC).....	142
სოფლის მეურნეობა (EPRC).....	142
სოციალური უზრუნველყოფა (LAT)	143
ჯანდაცვა (LAT).....	145
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა.....	145
განათლება (ISET-PI)	145
დასაქმება (ISET-PI)	145
მაკროეკონომიკური საკითხები (EPRC).....	146
სოფლის მეურნეობა (EPRC).....	147
სოციალური უზრუნველყოფა (LAT)	149
ჯანდაცვა (LAT).....	150

შესავალი

2012 წლის არჩევნები საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თარიღად უნდა მივიჩნიოთ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი ოცნლიანი პერიოდის განმავლობაში ეს არჩევნები გამორჩეული იყო იმით, რომ უპრეცედენტოდ მაღალი აღმოჩნდა მის საბოლოო შედეგთან დაკავშირებული გაურკვეველობის ხარისხი და ასევე მმართველ პოლიტიკურ გუნდსა და მის მთავარ კონკურენტს შორის მიმდინარე პაექრობის სიმწვავე. ამ ფაქტორებმა განაპირობეს ის, რომ გამარჯვების მისაღწევად, წინა არჩევნებთან შედარებით, გაცილებით მეტი მნიშვნელობა მიენიჭა მეტ-ნაკლებად გამართული სამოქმედო გეგმის წარმოდგენის აუცილებლობას. შედეგად, საარჩევნო ბრძოლაში მონაწილე კვალიფიციური პარტიების ნაწილმა შეძლო საკმარისად კომპეტენტური პროგრამის წარმოდგენა. პროგრამების კომპეტენტურობა ამ შემთხვევაში არ უნდა გავიაზროთ აბსოლუტური მნიშვნელობით, ვინაიდან, საბოლოო ჯამში, ამ უკანასკნელთა უმთავრესი პრობლემა თანმიმდევრულობა და საარჩევნო დაპირებების შესრულების რეალისტურობა აღმოჩნდა. ამავ დროს, 2012 წლის ოქტომბრის არჩევნები გამორჩეულია იმითაც, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდა პოლიტიკური სუბიექტების მიერ წარმოდგენილი პროგრამების ხარისხი წინა არჩევნებზე წარმოდგენილ პროგრამებთან შედარებით.

ზემოთხსენებულმა ფაქტორებმა და არჩევნებისადმი ფართო საზოგადოების, მედიის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ სხვა ჯგუფების უპრეცედენტოდ მაღალმა ინტერესმა განაპირობა როგორც კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი საარჩევნო პროგრამების ხარისხის ერთგვარი ზრდა, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ პარტიების საარჩევნო პროგრამების შინაარსობრივი შეფასების აუცილებლობა. პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი პროგრამების შესაფასებლად 2012 წლის ივლისში დაიწყო აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება“ (G-PAC) განხორციელება, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით წარმართა. პროგრამაში მონაწილეობდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები: 1) ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრი (EPRC), 2) ISET კვლევითი ინსტიტუტი (ISET-PI), 3) ლიბერალური აკადემია თბილისის (LAT) და 4) საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო (TI Georgia). პროგრამის ამოცანას 2012 წლის არჩევნებში მონაწილე შემდეგი პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შეფასება წარმოადგენდა: ახალი მემარჯვენეები, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია „ქართული ოცნება“, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს ლეიბორისტული პარტია და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა.

პოლიტიკური პარტიების პროგრამების შეფასების კრიტერიუმებად განისაზღვრა მათი ფაქტობრივი სიზუსტე, შინაგანი თანმიმდევრულობა, ეკონომიკური ლოგიკა, შესრულებადობა და იდეოლოგიური/პოლიტიკური კუთვნილება. აღსანიშნავია, რომ ზემოთჩამოთვლილი პოლიტიკური პარტიებიდან მხოლოდ ლეიბორისტულ პარტიას არ წარმოუდგენია წერილობითი სახით თავისი პროგრამა. ასევე უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური სუბიექტებიდან მხოლოდ ორმა, ახალმა მემარჯვენეებმა და კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ წარმოადგინა პროგრამა ორგანიზებული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფორმით. დანარჩენი სუბიექტების პროგრამები მოცულობით შედარებით მწირი იყო და აკლდა მკაფიოდ ორგანიზებული სტრუქტურა. პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილ პროგრამებში შეფასდა განათლების, დასაქმების, მაკროეკონომიკური საკითხების, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკური კატეგორიები.

პოლიტიკური პარტიების პროგრამებით წარმოდგენილი გეგმების ფაქტობრივი სიზუსტე საკმარისად გამართული იყო იმ პარტიების მაგალითზე, რომელთაც წარმოადგინეს პროგრამა მეტ-ნაკლებად ორგანიზებული ფორმით. სხვა პარტიების შემთხვევაში, რთულია ფაქტობრივ სიზუსტეზე საუბარი, ვინაიდან წარმოდგენილი მასალა საკმარისად მწირი იყო. საშუალოზე არსებითად მაღალი იყო ეკონომიკური ლოგიკის ხარისხი სტრუქტურირებული, ორგანიზებული პროგრამების მქონე პარტიების შემთხვევაში. იგივე შეიძლება ითქვას პროგრამათა შინაგანი თანმიმდევრულობის თვალსაზრისითაც. შესრულებადობის მიხედვით, წარმოდგენილი პროგრამები-

სათვის დამახასიათებელია გარკვეული არარეალისტურობა, რასაც შესაძლოა პოლიტიკური ბრძოლის სიმწვავე და რაც შეიძლება აგრესიული დაპირების დეკლარირების მოტივი განაპირობებდა. საინტერესო სურათს იძლევა პოლიტიკურ პარტიათა იდეოლოგიური/პოლიტიკური კუთვნილების შეფასება. პარტიები, ლეიბორისტული პარტიის გარდა, მათ მიერ საჯაროდ დეკლარირებული მემარჯვენე ან მემარჯვენე-ცენტრისტული იდეოლოგიისადმი ერთგულების მიუხედავად, წერილობით პოლიტიკურ პროგრამებში მკაფიო მემარცხენე ან მემარცხენე ცენტრისტულ იდეოლოგიურ ძალებად სჩანან.

პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების შეფასების ამოცანამ მკაფიოდ გამოავლინა საქართველოს პოლიტიკური ძალების პროგრამული დოკუმენტების ეკონომიკური კომპონენტის დახვეწის აუცილებლობა განსაკუთრებით მათი რეალისტურობის თვალსაზრისით. პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობის მუდმივი მონიტორინგი ამ მიმართულებით არსებითად წაადგება შემდგომ საარჩევნო ციკლებში მათი პროგრამების ხარისხობრივ ზრდას, რაც პოლიტიკურ პარტიათა საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის ზრდაში უნდა აისახოს.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია პოლიტიკური პარტიების პლატფორმები, პარტიების ლიდერების წინასაარჩევნო საჯარო დაპირებები, მათი ექსპერტული შეფასებები, ასევე პოლიტიკური პარტიების პროგრამების საჯარო განხილვის ვიდეო ჩანაწერები (www.econpolicyfact.ge).

პოლიტიკური პარტიების

სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები

ახალი მემარჯვენეები

განათლება

ინვესტიცია მომავალში – მეტი შანსები განათლების, კვლევისა და ინოვაციებისათვის არსებული მდგომარეობის ანალიზი

განათლების სისტემის რეფორმირება მმართველი პარტიის მიერ ყველაზე წარმატებულ რეფორმად იყო მიჩნეული. თუმცა რეფორმის დაწყებიდან რამდენიმე წელიწადში ხელისუფლება იძულებული გახდა ელიარებინა დაშვებული შეცდომები და გამოეცხადებინა რეფორმის ახალი ეტაპი.

განათლების სისტემის რეფორმის შეფასებისას აუცილებელია გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელთაც დადებითი გავლენა მოახდინეს სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით: საკანონმდებლო დონეზე სისტემის ძირეული მახასიათებლების განსაზღვრა, დაფინანსების ვაუჩერულ პრინციპზე გადასვლა და სკოლების კონკურენტულ გარემოში მოქცევა, განათლების ეროვნული მიზნების დეტერმინაცია და სასწავლო გარემოს მოდერნიზაცია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი სისტემის შექმნა, სკოლების აკრედიტაცია, ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემის შექმნა, პროფესიული განათლების სისტემაში დაწყებული მოდერნიზაცია და სხვა.

განათლების სისტემის ძირითად გამოწვევას განათლების ეროვნული მიზნების ეფექტიანი მიღწევა და განათლების ხარისხის ამაღლება წარმოადგენს. სკოლებს ამ ამოცანების გადაჭრაში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ, ხოლო გადამწყვეტ ფაქტორს დეცენტრალიზებულ სისტემაში თავად სკოლების წარმატებული ფუნქციონირებისათვის მართვის მწყობრი სისტემა წარმოადგენს.

საქართველოში განათლების სისტემის მნიშვნელოვანი რეფორმირების პერიოდად 2004 წლის შემდგომი წლები მოიაზრება, თუმცა გარკვეული, უმნიშვნელო ძვრები ამ მიმართულებით 90-იანი წლების ბოლოდანაც აღინიშნებოდა. 2001 წლის შემდეგ დაიწყო „საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების „მსოფლიო ბანკის პროექტი, რომლის საშუალებითაც რეფორმამ მეტად სისტემური ხასიათი შეიძინა, მიუხედავად ამისა ძირეული ცვლილებების აქტიური ფაზა, მაინც 2005 წლის შემდგომ პერიოდზე მოდის.

განათლების სისტემის რეფორმირების ძირითად მიმართულებად სისტემის დეცენტრალიზაცია დასახელდა, თუმცა კონკრეტულად არ განსაზღვრულა დეცენტრალიზაციის რა ხარისხზე იყო აქცენტები გაკეთებული და რომელ დონეზე უნდა განხორციელებულიყო აღნიშნული პროცესი.

განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია საკმაოდ გავრცელებული ტენდენციაა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ზოგადად, დეცენტრალიზაცია მართვაში განისაზღვრება როგორც გადაწყვეტილებების მიღებაზე უფლებამოსილების გადაცემა ორგანიზაციული იერარქიის ზედა დონიდან ქვედა დონეზე.

დეცენტრალიზაციისადმი ინტერესი მსოფლიოში (1970-იან წლებში) სამმა ძირითადმა ფაქტორმა განაპირობა. ესენია პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური ფაქტორები:

- პოლიტიკური ფაქტორი

ცენტრალიზებული მართვის მოდელის კრიტიკას ყველა სფეროში (ამერიკაში, რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში)- შედეგად მოჰყვა ცენტრალური მთავრობის როლის რეფორმირება და შემცირება და ბაზრის როლის გაზრდა.

- სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი

სუპერანაციონალური ორგანიზაციების წარმოქმნა ამცირებდა ნაციონალური მთავრობების გავლენას. მეორეს მხრივ, ბაზარზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები ხელს უწყობდა ადგილობრივი ჯგუფების განვითარებას, ცენტრალურ მთავრობას სულ უფრო უჭირდა სოციალური პროგრამებისათვის თანხების მობილიზება.

ამავე დროს, მსოფლიოს განათლების სისტემებში გაორმაგდა და გასამმაგდა მოსწავლეთა ნაკადი. მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის პირობებში ცენტრალიზებული მთავრობა ვეღარ უზრუნველყოფდა ხარისხს, ზრდადი საზოგადოებრივი უკმაყოფილება ჩამოყალიბდა მოთხოვნაში, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესმა გადაინაცვლოს ადგილობრივ დონეზე.

- ტექნიკური ფაქტორი

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ გაამარტივა სხვადასხვა სისტემების კონტროლი დეცენტრალიზებული მართვის პირობებში. მართვის ახალი პარადიგმა ყურადღებას ამახვილებდა შედეგზე და არა შენატანზე, რაც ზრდიდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივი აქტორების მონაწილეობის მნიშვნელოვნებას

სხვადასხვა ქვეყანაში დეცენტრალიზაციის პროცესი სხვადასხვა მიზანს ისახავს. თუმცა, შესაძლებელია მათი სამ დიდ კატეგორიაში დაჯგუფებაც. დეცენტრალიზაციის პროცესი განპირობებულია:

პოლიტიკური მოტივებით-გადაწყვეტილებების მიღების პროცესში იმ ჯგუფების ჩართვის შესაძლებლობა, რომლებიც არ იყვნენ ჩართულები ან თვლიდნენ, რომ არ იყვნენ ჩართულები.

- ფინანსური მოტივებით

ცენტრალურ მთავრობას არ სურს ან არ შეუძლია უპასუხოს სისტემის ფინანსურ საჭიროებებს.

- ეფექტიანობის მოტივებით

რომლებიც ეყრდნობა არგუმენტს ,რომ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღება ამცირებს ერთი კონკრეტული შედეგის მიღწევისათვის საჭირო დანახარჯს.

დეცენტრალიზაციის მიზნები

განათლების ხარისხის გაუმჯობესება:

- შენატანის ოდენობის გაზრდა;
- შენატანის ხარისხის გაზრდა;
- პროგრამების რელევანტურობის გაზრდა ან პროგრამების მორგება ადგილობრივ ინტერესებზე;
- პროგრამების ინოვაციურობის გაზრდა;
- მოსწავლეთათვის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის მინიჭება;

- მისანვდომობის კუთხით უთანასწორობის შემცირება;
- სწავლის შედეგების გაუმჯობესება.

განათლების სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესება:

- რესურსების განაწილების ეფექტიანობის გაზრდა;
- რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა;
- პროგრამების მორგება დამსაქმებელთა მოთხოვნებზე.

განათლების დაფინანსების ოდენობის და წყაროების გაზრდა:

- განათლებაზე დახარჯული თანხების ოდენობის გაზრდა;
- თანხების რელოკაცია ერთი სოციალური ჯგუფიდან მეორეზე (და არა მთავრობის ერთი დონიდან მეორეზე).

ცენტრალური მთავრობის ინტერესების დაკმაყოფილება:

- გარე პოლიტიკური პრობლემების თავიდან აცილება;
- შიდა ბიუროკრატიული პრობლემების თავიდან აცილება;
- ფინანსური პრობლემების შემცირება (მაგალითად, შემოსავლების გენერირების ფუნქციის ადგილობრივ თვითმმართველობაზე გადაბარება); ეროვნულ დონეზე კორუფციის შემცირება.

ადგილობრივი მთავრობის ინტერესების დაკმაყოფილება:

- განათლებისათვის განკუთვნილი შემოსავლების გაზრდა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციების გაფართოება;
- ცენტრალურ მთავრობაზე ზემოქმედების ბერკეტების წარმოქმნა;
- პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილება, ცენტრალურ დონეზე აქტორების შესუსტება.

მიუხედავად რეფორმირების გზაზე წარმოქმნილი პრობლემებისა, დეცენტრალიზაციის პროცესი მიმართულია განათლებისა და მართვის ეფექტიანობის ხარისხის გაუმჯობესებაზე და განაპირობებს მოქალაქეთა განსხვავებული საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. დეცენტრალიზაციის პირობებში შესაძლებელი ხდება გადაწყვეტილების მეტი ოპერატიულობით მიღება და კონკრეტული სკოლით მოსარგებლეთა სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინება.

დეცენტრალიზაცია საქართველოში

რეფორმის პირველ ეტაპზე (2004 წლიდან) დეცენტრალიზაციის მიმართულებით გადაიდგა რამდენიმე პოზიტიური ნაბიჯი.

ზოგადი განათლების კანონიდან გამომდინარე (2005), საქართველოში არსებული დეცენტრალიზაციის მცდელობა შეიძლება დახასიათდეს, როგორც გადაწყვეტილებების დიდი ნაწილის მიღებაზე უფლებამოსილების დევიოლუცია სკოლისა და სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირების დონეზე, სადაც ცენტრალური ხელისუფლება, ძირითადად, განათლების პოლიტიკის, რეგულაციებისა და სტანდარტების განსაზღვრის ფუნქციას იტოვებს.

მაგრამ, მიუხედავად საკანონმდებლო დონეზე არსებული დეცენტრალიზებული სისტემისა, 2009 წლიდან დაიწყო უკუპროცესი და ნაცვლად დეცენტრალიზაციისა მივიღეთ უკიდურესად ცენტრალიზებული სისტემა, როდესაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სისტემის ავტონომიური ერთეულების შიდა პროცესებზე, იქნება ეს: დირექტორების დანიშვნა, სკოლების შიდა საკადრო პოლიტიკა, ფინანსების განკარგვა თუ სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სკოლები დაფუძნდნენ ფართო ავტონომიის მქონე ორგანიზაციებად საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად და საშუალება მიეცათ გაეხსნათ საკუთარი ანგარიში ბანკში. შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი გადაეცა უვადო და უსასყიდლო უზურფრუქტის ხელშეკრულებით, მათი ავტონომია პრაქტიკულად შეზღუდულია.

სამეურვეო საბჭოებმა, როგორც სკოლის უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ, ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად საკმაოდ ფართო უფლებამოსილებები მოიპოვა, მაგრამ მათ პრაქტიკულად ვერ ითამაშეს ვერანაირი როლი იმ უფლებამოსილებების განხორციელებაში, რომელიც კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული. სამეურვეო საბჭოების არა კომპეტენტურობის და ფორმალურად არსებობის გამო განათლების სამინისტროს კარგი ნიადაგი ექმნება ავტორიტარული მმართველობისათვის. ფორმალური და არა ფორმალური სკოლის დირექტორები ვერ გათავისუფლდნენ გარეშე ზენოლისგან.

არ გაზრდილა ადგილობრივი თვითმმართველობების როლი ზოგადი განათლების სფეროში. ეს როლი ძირითადად, სკოლების დახმარებისა და ხელშეწყობის ხასიათის მატარებელია და გადანყვებილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობა პრაქტიკულად არ ხდება: ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს სკოლების დახმარების უფლება და არა ვალდებულება, რაც არასისტემურს ხდის მათი მხრიდან სკოლების მხარდაჭერას.

იგივე შეიძლება ითქვას განათლების რესურსცენტრების შესახებ. მათი საქმიანობის მიზნები, ფუნქციები და ამოცანები განისაზღვრება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული ტიპური დებულებით. თუმცა ისინი ნაკლებად არიან აღჭურვილი უფლებამოსილებებით და მათი ფუნქცია ძირითადად ინფორმაციის ცენტრიდან პერიფერიაზე და პირიქით გადაცემით შემოიფარგლება. რესურსცენტრების საქმიანობის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს დანიშნულების ბუნდოვანება, ფინანსების სიმცირე, კადრების ნაკლებობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმართაობა.

ცვლილებები განხორციელდა განათლების და ფინანსების სფეროშიც. ყველაზე მნიშვნელოვანი სისტემური ნაბიჯი 2004 წელს გადაიდგა, როდესაც მოხდა ზოგად – საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთ მოსწავლეზე დაფინანსებაზე გადასვლა. იგივე პრინციპი ამუშავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, სადაც სახელმწიფო სასწავლო გრანტს მოიპოვებენ ის სტუდენტები, რომლებიც საუკეთესო შედეგებს აჩვენებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით განათლების დაფინანსება გაიზარდა, მდგომარეობა მაინც არასახარბიელოა.

მაშინ, როცა ხელისუფლება განათლებას პრიორიტეტად აღიარებს, ძალზე დაბალია განათლებაზე განხორციელებული ხარჯების წილი (იგი მშპ დაახლოებით 2.5%-ს უდრის), მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც კი ბევრად მაღალია).

აღნიშნული მაჩვენებელი სხვა ქვეყნებთან შედარებით ძალზე არა სახარბიელო პოზიციაში აყენებს საქართველოს.

რაც ყველაზე მთავარია საქართველოში განხორციელებულმა განათლების რეფორმამ ვერ უზრუნველყო სწავლების ხარისხის ამაღლება და ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა.

რეფორმების პირველივე ეტაპზე დაშვებულმა შეცდომებმა გამოიწვია სკოლის ფუნქციის მოშლა. შესაბამისად, მივიღეთ სკოლის კედლებში მანდატურის მეშვეობით მოქცეული მოსწავლეები, ხოლო ხარისხიანი განათლება ისევ სკოლის გარეთ დარჩა. ხარისხიანი განათლების დანაკლისი ივსება კერძო რეპეტიტორებით, რომელიც საქართველოში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული.

კვლევები ადასტურებენ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულთა 4/5 მიმართავდა კერძო რეპეტიტორებთან მომზადების რაიმე ფორმას, მაშინ როცა ხარისხიან ზოგად განათლებაში მშობელს არ უნდა სჭირდებოდეს დამატებითი გადასახადის გადახდა.

დასაქმება

ახალ მემარჯვენეების პროგრამაში ცალსახად არ არის გამოყოფილი დასაქმებისა და უმუშევრობის საკითხები. ეს პრობლემა ინტეგრირებულია შემდეგ საკითხებში:

ქვეყნის სასიცოცხლო არტერია – ინტენსიური სოფლის მეურნეობა

ისტორიულად, საქართველო აგრარული ქვეყანაა, თუმცა ხელისუფლების, საქმიანი წრეების ან ინვესტორების მცირე ნაწილს თუ მიაჩნია ასე. ქვეყნის ძირითადი კურსი მიმართულია იქითკენ რომ, საქართველო გადაიქცეს რეგიონის საერთაშორისო ფინანსურ ცენტრად, შეასრულოს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო და ენერგოდერეფნის ფუნქცია და ასევე, წარმოადგენდეს ტურისტებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ადგილს. საბოლოო მიზანს წარმოადგენს ამოყალიბდეს დივერსიფიცირებული ეკონომიკა სრული დასაქმებით და მუშახელისათვის მიმზიდველი ანაზღაურებით, რაც სიღარიბის აღმოფხვრის საწინდარია.

რეალურად, ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციის გზაზე სოფლის მეურნეობის უგულვებელყოფა მცდარი პოლიტიკაა. ეს თვალნათლივ დადასტურდა 2011 წლის პირველ ნახევარში, როდესაც მსოფლიო ბაზრებზე სურსათის ფასების მნიშვნელოვანმა (30%-ით და მეტით) ზრდამ გაამწვავა ინფლაციური პროცესები და საფრთხე შეუქმნა საქართველოს ფინანსურ სტაბილურობას.

მიუხედავად ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიღწეული ეკონომიკური ზრდისა და სტრუქტურული რეფორმებისა, წინსვლა სათანადოდ არ აისახა ქვეყნის მოსახლეობაზე. სიღარიბის და უმუშევრობის მაჩვენებლები კვლავ სტაბილურად მაღალია საქართველოში. ერთ-ერთი პოტენციური საშუალება ამ პრობლემის აღმოფხვრისათვის არის სოფლის მეურნეობის განვითარება, რომელსაც დიდი პოტენციალი გააჩნია. საბჭოთა მმართველობის პერიოდში სოფლის მეურნეობის წარმოება გაიზარდა 10-ჯერ. საქართველო ერთერთი მონინავე იყო ამ სფეროში, 1980-იან წლებამდე დარგში წარმოების მოცულობა ყოველწლიურად 10%-ით იზრდებოდა. სოფლის მეურნეობის ექსპორტი იმპორტს 70%-ით აჭარბებდა. სექტორში დაახლოებით 700 000 ადამიანი იყო დასაქმებული, რაც შეადგენდა მთლიანი სამუშაო ძალის 25%-ს. კვების გადამამუშავებელ მრეწველობაში რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი იყო დასაქმებული.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ სამოქალაქო ომებმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ დიდი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობის სექტორს:

სოფლის მეურნეობა: ეკონომიკური მონაცემები

წელი	დათესილი ფართობი	ცოცხალი პირუტყვი	% დასაქმებაში	დამატებული ღირებულება მშპ-ში	მშპ-ს %
1990	701 900 ჰა	4 287 000	25,2	-	29,7
1995	453 100 ჰა	2 104 300	30,6	2,771 მლრდ	41,7
2000	610 800	2 166 000	52,1	1,448 მლრდ	20,2
2005	539 600	2 539 600	54,3	1,626 მლრდ	16,8
2008	329 300	1 735 600	55,3	1,551 მლრდ	8,1
2010	275 300	1 049 400	55	1,518 მლრდ	7,3

1990 წლისათვის სურსათის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი იმპორტის მხოლოდ 25%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც 2005 წელს იგი 70%-ს აღწევდა, ხოლო 1990 წელს – 170%-ს. პარადოქსია, მაგრამ 2000 წლიდან სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა გაორმაგდა, მაშინ როდესაც ამ პერიოდიდან დაიწყო ეკონომიკის დივერსიფიკაცია და საპირისპირო ტენდენციას უნდა ჰქონოდა ადგილი.

მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით დღეისათვის სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი დამატებითი ღირებულება 13 წლის წინ შექმნილი დამატებითი ღირებულების ნახევარზე ნაკლებია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოში, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა შეადგენს 1872 აშშ დოლარს წელიწადში, რაც ბევრად ჩამოუვარდება არა მხოლოდ განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობის მაჩვენებლებსაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში მხოლოდ 6%-ს შეადგენს, ანუ სოფლის მეურნეობის წარმოების 94% განკუთვნილია საკუთარი მოხმარებისათვის. თავის მხრივ შინამეურნეობების წილი მთლიან ნათეს ფართობებში შეადგენს 94%-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნესინტერესი დარგის მიმართ თითქმის ნულის ტოლია. დაბალეფექტიანობა პრობლემის მხოლოდ ნაწილი იქნებოდა დარგში არსებული ვითარებისა, სოფლის მეურნეობის სექტორში მუშახელის ნახევარზე მეტი რომ არ იყოს დასაქმებული.

ოფიციალური სტატისტიკით საქართველოში 850 000 კაცია დასაქმებული სოფლის მეურნეობაში. მაგანმა შეიძლება იდაოს ამ მონაცემების სიზუსტეზე, მაგრამ ფაქტია, რომ სოფლად მცხოვრები მუშახელის უმრავლესობას არ გააჩნია დასაქმების ალტერნატიული საშუალება. უკანასკნელ პერიოდში გამოიკვეთა საშიში ტენდენცია: საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში სოფლის მეურნეობა იმდენად დაბალშემოსავლიანია, რომ ხშირ შემთხვევაში მოსახლეობა უარს ამბობს მიწის დამუშავებაზე და ურჩევნია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩენით გაუჩნდეს შემოსავლის ალტერნატიული წყარო – უმწეოთა დახმარება.

1000 ვეტერინარის და 1000 აგრონომის მომზადება

დღეისათვის ქვეყანა განიცდის კვალიფიციური ვეტერინარებისა და აგრონომების დეფიციტს. ის კადრები, რომლების საბჭოთა დროს მუშობდნენ საპენსიო ასაკს მიღწეული არიან, ან განიცადეს დეკვალიფიკაცია. მნიშვნელოვანია, შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 4 წლის განმავლობაში მოამზადებს ან გადაამზადებს უკვე არსებულ აგრონომებს და ვეტერინარებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად. აგრონომები და ვეტერინარები უნდა დასაქმდნენ მუნიციპალიტეტების ყველა თემში, ანუ არსებობს მინიმუმ 1000 აგრონომის და ვეტერინარის საჭიროება.

პირველ ეტაპზე აქცენტი უნდა გაკეთდეს არსებული აგრონომების და ვეტერინარების გადამზადებაზე, რომლის პარალელურადაც სპეციალური პროგრამების ფარგლებში უმაღლესი სასწავლებლები მოამზადებენ ახალგაზრდა სპეციალისტებს.

ვინაიდან ამ სფეროზე მაღალია მოთხოვნა, სახსრების გადანაწილება უნდა მოხდეს სხვა, ნაკლებ პრიორიტეტული სპეციალობებიდან. ამ მიზნით დამატებით საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა არ არის აუცილებელი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის კონტროლი/სასურსათო უსაფრთხოება

საქართველოში სურსათის ხარისხის კონტროლის შემოღება სახელმწიფო ინტერესია. ეს ევროკავშირის მოთხოვნაცაა. პროდუქციაზე ხარისხის კონტროლის დანერგვა გამოიწვევს უხარისხო და მავნე პროდუქციის აკრძალვას, რომელიც ძირითადად იმპორტირებულია და არაკონკურენტუნარიან პირობებში აყენებს სამამულო პროდუქციას. სურსათზე ხარისხის კონტროლის შემოღებით გაიზრდება მოთხოვნა ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რაც სტიმულს მისცემს პროდუქციის რაოდენობის და ხარისხის ზრდას, შესაბამისად გამოიწვევს შემოსავლების და დასაქმების მაჩვენებლების ზრდას.

ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების დამატებით გამოყოფა არ არის აუცილებელი. დონორი ორგანიზაციები, განსაკუთრებით ევროკავშირი, აქტიურ ფინანსურ დახმარებას უწევს საქართველოს სურსათის უვნებლობის სფეროში.

ეკონომიკური და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება

სახელმწიფო მინიმალური დონით უნდა ჩაერიოს ბიზნესურთიერთობებში და თავად ბიზნესმა, განსაკუთრებით კი, მცირე ბიზნესმა (მცირე, საშუალო და წვრილი წარმოება) უნდა უზრუნველყოს შემდეგი მიზნების მიღწევა:

- დასაქმება;
- ადგილობრივი წარმოების მოცულობის ზრდა;
- რეალურად თავისუფალი კონკურენციის და ფასწარმოქმნის თავისუფალი საბაზრო პრინციპების უზრუნველყოფა;
- მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის უზრუნველყოფა და დაცვა;
- დაგროვების სტიმულირება;
- მონმარების სტიმულირება.

მაცროეკონომიკური საკითხები

საქართველოში ეკონომიკა არ ვითარდება თავისუფალი კონკურენციის პრინციპით. ეკონომიკის თითქმის ყველა დარგში გაბატონებულია მონოპოლია და მოხდა ხელისუფლების შეზრდა კაპიტალთან. ჩვენ პრაქტიკულად დავბრუნდით ეკონომიკაზე სახელმწიფო კონტროლის ეპოქაში. დაშინებულია და სახელმწიფო რეკეტის ქვეშ იმყოფება ბიზნესი, მისთვის არ არის შექმნილი უსაფრთხო და პროგნოზირებადი გარემო. მმართველი კლანის ვინრო წრეში დამკვიდრებულია ელიტური კორუფცია. მთლიანი შიდა პროდუქტის და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების მატებისა მიუხედავად რეალურად არ მომხდარა მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება. ძალიან ბევრი ოჯახი ყოველგვარი შემოსავლის გარეშეა დარჩენილი.

ამგვარად, ახალი მემარჯვენის მიზანია:

- მოისპოს დღეს არსებული მონოპოლიები და ქვეყანაში შეიქმნას კონკურენტული გარემო ბიზნესის განვითარებისთვის, რაც ნიშნავს დაბალ ფასებსა და ახალ სამუშაო ადგილებს;
- ხელი შეეწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და შეწყდეს ის სახელმწიფო ტერორი, რომელიც მენარმეობით დაკავებული ადამიანების წინააღმდეგ მიმდინარეობს, რაც ქვეყანაში ათეულ ათასობით ადამიანს დაასაქმებს;
- არა მონოპოლიებს – ქვეყანას თავისუფალი კონკურენცია სჭირდება ხელისუფლება სრულად აკონტროლებს ბიზნესს და ქვეყანაში შექმნა მონოპოლიები მთელ რიგ სფეროებში, რაც ანგრევს ეკონომიკას, ხელს უშლის კონკურენციას და შესაბამისად, წარმოშობს სამუშაო ადგილების დეფიციტს, ინვესს სანავის, მედიკამენტების, საკვები პროდუქტების, მომსახურების ცალკეული სახეობების სიძვირეს. მონოპოლიების შექმნა და მფარველობა უზარმაზარ ფინანსურ სარგებელს აძლევს ხელისუფლებას, მაგრამ აზარალებს მოსახლეობას. ეს პირდაპირ აისახება თითოეული ოჯახის ბიუჯეტზე და უძვირებს მას ცხოვრებას.

ჩვენ ბრძოლა გამოვუცხადეთ მონოპოლიებს და ვაიძულებთ ხელისუფლებას ხელი აიღოს მონოპოლიების შექმნაზე, მათ მფარველობასა და აქედან უზარმაზარი სარგებელის მიღებაზე. ჩვენ საკანონმდებლო დონეზე მივალნვეთ თავისუფალი კონკურენციის გარემოს შექმნას ქვეყანაში, რითაც მოგებული დარჩება თითოეული ოჯახი. მცირე და საშუალო ბიზნესი ეკონომიკის ის საფუძველია, რომლის გარეშე შეუძლებელია ადამიანების ცხოვრების მაღალი სტანდარტით უზრუნველყოფა, მათი სოციალური დაცვა, ხელმისაწვდომი ჯანდაცვა და განათლება. ამავე დროს მხოლოდ ფინანსურად უზრუნველყოფილი ადამიანია თავისუფალი გადანყვეტილებების მიღებაში, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ მას შეუძლია გააკეთოს თავისუფალი არჩევანი და ამით უზრუნველყოს დემოკრატია საკუთარ ქვეყანაში. ძლიერი ეკონომიკა კი მცირე და საშუალო მენარმეობას ეფუძნება. მსოფლიო მასშტაბით ბიზნესის 95%-ზე მეტს მცირე და საშუალო მენარმეობა წარმოადგენს და ამ სეგმენტში წარმოებული პროდუქტი მთლიანი შიდა პროდუქტის 50%-ია. აშშ-ში არსებული სანარმეობის 90%-ზე მეტი მცირე სანარმოა, სადაც თითოეულში ათამდე ადამიანია დასაქმებული, ხოლო ევროკავშირში მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა კერძო სექტორში დასაქმებულების 2/3-ს შეადგენს. იქ სადაც არსებობს მცირე ბიზნესი არის ფული. გარდა ამისა არის გონება, ღირსება და საკუთარი თუ სხვის უფლებების დაცვის მზაობა, არის საშუალო კლასი, რომელიც ქვეყნის ნორმალური განვითარების გარანტია.

დღეს საქართველოში მსხვილი ბიზნესი ან ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენელთა ხელშია, ან არსებობს მხოლოდ მისი ნებართვით და ექვემდებარება გავლენას. მცირე და საშუალო ბიზნესი კი ხელისუფლების მხრიდან საგადასახადო ტერორის ქვეშაა. სანამ არ დასრულდება მცირე და საშუალო ბიზნესის ტერორი, სანამ მას არ შეექმნება პირობები – ვერ განვითარდება ქვეყნის ეკონომიკა, ვერ შეიქმნება სამუშაო ადგილები.

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მისცემს საშუალებას ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს იცხოვრონ შეძლებულად, იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე, მიიღონ განათლება, ჰქონდეთ უზრუნველყოფა

ფილი სიბერე;

- ქვეყანაში მიღწეული იქნება გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი, რაც ეკონომიკაში თავისუფალი ბაზრის პრინციპების ფართოდ დანერგვით, მკაცრი ფისკალური დისციპლინითა და ჯანსაღი მონეტარული პოლიტიკის გატარებით იქნება უზრუნველყოფილი;
- არ იარსებებს მონოპოლიები და გასაქანი მიეცემა თავისუფალ კონკურენციას, რითაც შეიქმნება სამუშაო ადგილები და მოსახლეობას გაუჩნდება შემოსავალი და ხელმისაწვდომი გახდება სანავი, ნამალი, პროდუქტი და სხვა;
- ჩამოყალიბდება ძლიერი საშუალო ფენა, რაც უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფალ განვითარებას.

მოხდება ბიზნესის სტიმულირება, შეიქმნას მყარი გარანტიები ინვესტიციების განხორციელებისთვის, უნდა მოხდეს გასაღების ახალი ბაზრების მოძიება და ეფექტურად იქნას გამოყენებული აშშ-ს თან და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შემოღების შესაძლებლობები. ეს მოგვცემს საშუალებას ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკა და საბიუჯეტო ხარჯების მოცულობა პირდაპირპროპორციულად იყოს დამოკიდებული ეკონომიკური ზრდის (მთლიანი შიდა პროდუქტის) მაჩვენებელზე.

შესაბამისად, „ახალი მემარჯვენეების“ პოზიციაა, რომ საბიუჯეტო ხარჯების თანაფარდობას და სხვადასხვა საბიუჯეტო ხარჯის ხვედრით წილს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში შემდეგი სახე ჰქონდეს:

თავდაცვა – 2%	დღეს არსებული 2,5%-ის ნაცვლად
განათლება – 5%	დღეს არსებული 2,2%-ის ნაცვლად
შსს – 1,8%	დღეს არსებული 2,2%-ის ნაცვლად
ჯანდაცვა – 2,5%	დღეს არსებული 1,6%-ის ნაცვლად
სოციალური სფერო – 6%	დღეს არსებული 5%-ის ნაცვლად
სოფლის მეურნეობა – 2%	დღეს არსებული 0,5% ნაცვლად
ინფრასტრუქტურული პროექტები – 2%	დღეს არსებული 3,6%-ის ნაცვლად
სახელმწიფო აპარატი – 1,5%	დღეს არსებული 7% ნაცვლად

2004 წლიდან დღემდე ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტურობის შეფასების მთავარ ინდიკატორად სახელისუფლებო ორგანოების მიერ მშპ-ს მაჩვენებლების ზრდაში გამოხატული ეკონომიკური ზრდა სახელდება. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ეკონომიკური ზრდა, ძირითად, შემდეგ ფაქტორებს ეფუძნებოდა:

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;
- სახელმწიფო ხარჯების ზრდა.

უცხოურ ინვესტიციებად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციისა და მესაკუთრეთა შეცვლისას დაფიქსირებული ფინანსური ნაკადები ითვლება. აღნიშნული პროცესის ერთგვარი ნეგატიური მხარე არის ის, რომ ინვესტიციების სახით ქვეყანაში შემოდინებული სახსრების მხოლოდ უმნიშვნელო, მცირე ნაწილი თუ აისახა ახალი აქტივების შექმნაზე, მათ შორის ძირითადი კაპიტალის მოცულობის და მწარმოებლურობის ზრდაზე. განხორციელებული ინვესტიციების ძირითადი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქტივების შექმნაზე მოდის.

ხოლო, რაც შეეხება სახელმწიფო დანახარჯების ზრდას, ეს, უფრო მეტად, ეკონომიკის ლეგალიზაციის ხარისხის ზრდისა და ფისკალური შემოსავლების ზრდის შედეგია. ეკონომიკისა და ბიზნესის სხვადასხვა დარგის მშპ-ს მაჩვენებლის ზრდის ტენდენციას თუნდაც ზედაპირულად თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ზრდას ჰქონდა მკვეთრად გამოხატული არათანაბარზომიერი დარგობრივი ტენდენცია და აღნიშნული ზრდა ძირითა-

დად მხოლოდ 3-4 დარგის მკვეთრი ზრდით იყო განპირობებული. ეს ეხება სამთო-მოპოვებით მრეწველობას, გადამამუშავებელ მრეწველობას და საფინანსო საქმიანობას. რაც, ამ დარგებში ზრდის მრავალწლიანი ტრადიციული ტენდენციების შენარჩუნებით არის გამოწვეული.

დღეს ბიზნესის თითქმის ყველა სფერო მონოპოლიზებულია და სწორედ ამის გამოა, რომ ქვეყანაში წამალი, საწვავი, ტრანსპორტი და თითქმის ყველა სახის პროდუქტი კატასტროფულად ძვირია. მონოპოლიები მნიშვნელოვნად აძვირებს ცხოვრებას, ზოგადად ხელს უშლის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რაც თავის მხრივ ძირითადი მიზეზია სამუშაო ადგილების ტოტალური დეფიციტისა. მონოპოლიების და შესაბამისად წამლებზე, საწვავზე, კვების და პირველადი მოხმარების პროდუქტებზე მაღალი ფასების დაწესების, ცხოვრების გაძვირების და უმუშევრობის თემა ერთნაირად მტკივნეულია როგორც ქალაქის მოსახლეობისათვის, ასევე სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის. დღეს მონოპოლიებისგან გამოწვეული პრობლემები ქვეყნის მთელი მოსახლეობის უმთავრეს თავის ტკივილად იქცა. რომელ სფეროშიც არ არის მონოპოლია, იქ ბიზნესიც წარმატებით ვითარდება და ფასებიც დაბალია. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სამომხმარებლო ფასებში შეინიშნება ძალიან უარყოფითი ტენდენცია – სხვა კატეგორიებთან შედარებით განსაკუთრებით დიდი ზრდა ფიქსირდება კვების და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, ჯანმრთელობის დაცვის სექტორში, ტრანსპორტზე, კომუნალურ და სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში.

ამავდროულად, მოსახლეობა და შინამეურნეოები თავისი შემოსავლების დიდი ნაწილით დამოკიდებული გახდნენ სახელმწიფოს სახარჯო პოლიტიკაზე. მათი საერთო შემოსავლების წილში შემცირდა საკუთრივ წარმოებული, და საგრძნობლად გაიზარდა სახელმწიფოს მონაწილეობის ხვედრითი წილი, როგორც დახმარებების და სუბსიდიების ნაწილში, ასევე სახელმწიფო დაკვეთების კუთხით. აღნიშნულმა ტენდენციამ მკვეთრად უარყოფითად განსაკუთრებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის და საზოგადოების დაუსაქმებელი ნაწილის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე იმოქმედა. რადგან, საზოგადოების ეს ნაწილი საკუთარი შემოსავლების, დანაზოგების ან საოჯახო ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს სწორედ კვების პირველადი პროდუქტების, მედიკამენტების და კომუნალური სერვისების შეძენაზე ხარჯავს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2004 და 2007 წლებში მოხდა საარსებო მინიმუმის გადახედვა აუცილებელად მისაღები მინიმალური კალორიების შემცირების კუთხით და რბილად რომ ვთქვათ, საგრძნობლად განსხვავებული სტატისტიკა მივიღეთ. 2004 წლიდან საარსებო მინიმუმი ახალი, უკვე შეცვლილი მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით იანგარიშება. სასურსათო კალათის შემადგენლობის შეცვლას ზოგჯერ მეთოდოლოგიურ ცვლილებას უწოდებენ, რაც პრინციპული შეცდომაა, ვინაიდან გაანგარიშების მეთოდოლოგია უცვლელია. შეცვლილია მხოლოდ პარამეტრები. 2004 წლამდე და 2004 წლიდან მოქმედი საარსებო მინიმუმის საფუძველად გამოყენებული მინიმალური სასურსათო კალათა არსებითად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, როგორც ენერგეტიკული ღირებულების, ისე შემადგენლობის თვალსაზრისით. ზედაპირული ანალიზის საფუძველზე შიძლება დავასკვნათ, რომ საარსებო მინიმუმის შემცირება სასურსათო კალათის კვების ენერგეტიკის 2500-დან 2300 კილოკალორამდე შემცირებამ განაპირობა. ეს, ცხადია, გამოიწვევდა შემცირებას, მაგრამ არა ისეთს, როგორც დღეს არსებულ ტენდენციებშია. საარსებო მინიმუმის შემცირების ძირითადი მიზეზი მინიმალური სასურსათო კალათის შემადგენლობაა, რომელიც 2004 წლის ცვლილების შემდეგ უფრო იაფი პროდუქტებისაგან შედგება და სადაც ძირითადად პურპროდუქტები დომინირებს, ხოლო ხორცი, თევზი და შედარებით ძვირად ღირებული კალორიული პროდუქტები ნაკლებადაა წარმოდგენილი. შედეგად, მივიღეთ სურათი, როცა დღეს არსებული მინიმალური სასურსათო კალათა ექსპერტული შეფასებით 30-40%-ით მაინც ნაკლები ღირებულებისაა, ვიდრე მისი რეალური მაჩვენებელი.

ქვეყნისთვის ბოლო წლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო და არის ინფლაცია. საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული არაეფექტური პოლიტიკის, როგორც მონეტარული, ისე ფისკალური პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში ინფლაციამ, განსაკუთრებით სურსათის და მედიკამენტების ფასებზე, ტრანსპორტსა და კომუნალურ მომსახურებაზე, 2010 წლის და 2011 წლის პირველი ნახევრის პერიოდში უკვე სახიფათო ზღვარს

მიადნია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგად 2011-2012 წლების პერიოდისთვის შესაძლებელი გახდა ინფლაციის აღმავალი მაჩვენებლის „მოთოკვა“ და 2012 წლის დასაწყისისთვის წლიური ინფლაციის ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლის 2%-მდე, ხოლო 2012 წლის ივნისის მონაცემებით უარყოფით მაჩვენებლამდე (-0,2%) შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის მეორე ნახევრიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით ინფლაციური პროცესების მართვის კუთხით დადებითი ტენდენციები ფიქსირდება, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ინფლაციის დაბალი მაჩვენებელი შენარჩუნდება.

აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ ხელისუფლებას არ აქვს გაცნობიერებული ინფლაციის მასშტაბის სოციალ-ეკონომიკური შედეგები და ნაკლებად გრძნობს პასუხისმგებლობას მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ნაწილის წინაშე. ანუ, მათზე, ვისაც ინფლაციური პროცესები უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აყენებს და, რაც ყველაზე საგანგაშოა, არ გააჩნია ინფლაციის გრძელვადიანი მართვის ერთიანი სამთავრობო პროგრამა. ქვეყანაში ინფლაციის და პირველადი მოხმარების პროდუქტებსა და სერვისებზე ფასების ზრდის მთავარ მაპროვოცირებელ და განმსაზღვრელ ფაქტორებად, სხვა გარე ფაქტორების გათვალისწინებით, შემდეგი სამი ძირითადი მიზეზი გვევლინება:

- ბიუჯეტის დეფიციტი და მნიშვნელოვნად გაბერილი ხარჯვითი პოლიტიკა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწორედ დეფიციტური ბიუჯეტი და გაბერილი სახელისუფლებო ხარჯვითი ქვეყანაში ინფლაციის გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი;
- მონოპოლიების თემა. დღესდღეობით დიდ საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ბენზინის, პურის ფქვილის, ხორბლის, შაქრის, ზეთის, მარილის, ფარმაციის და სხვა ფართო მოხმარების პროდუქტების იმპორტი, მხოლოდ სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული ბიზნეს სტრუქტურების მიერ ხორციელდება, რაც მათ მაღალი მოგების მიღების მიზნით მონოპოლიურად მაღალი ფასების ხელოვნურად დადგენის და ბაზარზე ახალი მოთამაშეების თავისუფალი შეღწევაობის პირობების შეზღუდვის საშუალებას აძლევს;
- ბიზნესის ტერორი და სისხლის სამართლებრივი დევნა. სწორედ წინასწარი პატიმრობის მეშვეობით მოახერხა პროკურატურამ საქართველოში ბიზნესმენების დატერორება და ასეულობით მილიონი ლარის ერთგვარი გამოძალვა ბიზნეს სექტორისაგან, რაც თავის მხრივ, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამ ბიზნესების გაკოტრების, გაჩერების ან/და ბიზნეს საქმიანობის შეფერხების მიზეზი გახდა. მეორეს მხრივ, განხორციელებული სამომხმარებლო ეკონომიკური პოლიტიკა, ითვალისწინებდა ხელოვნურად გამყარებულ ეროვნულ ვალუტას. მიუხედავად იმისა, რომ გამყარებული გაცვლითი კურსი ხელს უწყობს იმპორტის ზრდას, ექპორტის ზრდას იგი ხელს უშლის და მნიშვნელოვნად აზარალებს ადგილობრივ წარმოებას.

ამის მაგალითია ის, რომ ბოლო პერიოდში ქვეყნის **სავაჭრო სალდო** მკვეთრად უარესდებოდა, მაგრამ სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსავლები მკვეთრად იყო დამოკიდებული სავაჭრო სექტორზე და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მოსალოდნელი არ იყო. ეკონომიკური ზრდის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაღალი მაჩვენებლის ფონზე ინფლაციის 2007 წლის 11%-იანი მაჩვენებელი ქვეყნის ეკონომიკისათვის კატასტროფული ხასიათის ნამდვილად არ იყო. 2009 წლიდან კი, სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანმა ზრდამ და მთავრობის მიერ არაეფექტური ხარჯვითი პოლიტიკის გატარებამ ინფლაციური პროცესის ერთგვარი პროვოცირება მოახდინა და ეროვნული ვალუტა მკვეთრად გაუფასურდა. ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციით 3%-დან (2009 წელი) 11,2%-მდე (2010 წელი) მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა. 2010 წლიდან გაუფასურების ტენდენცია კვლავ გაგრძელდა და 2011 წლის ივნისისთვის მდგომარეობით 14,4% შეადგინა, რითაც მნიშვნელოვნად გაუსწრო თვით 2007-2008 წლის მაჩვენებლებსაც კი. ზრდადი ინფლაციური ფონი 2012 წლის ივნისში გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად მართვადი გახდა და ამ პერიოდიდან ფიქსირდება მისი მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია.

ქართული ლარის გაუმართლებელი გამყარება, რომელმაც არ გამოიწვია სამომხმარებლო ფასების შემცირება, კიდევ ერთი ძალიან წონადი არგუმენტი იმისა, რომ საქართველოში 2007-2008 წლებში ადგილი ჰქონდა

ე.წ. „პოლანდიურ დაავადებას“. ამის აღმოსაფხვრელად კი, რაიმე ქმედითი ნაბიჯის გადადგმა არ ხდებოდა და დღესაც არ ხდება. ყოველივე ეს, უფრო აღრმავებს ფარულ კრიზისულ ფონს, კვლავ რჩება აღნიშნული კრიზისული რისკ-ფაქტორების მომავალში ტალღისებური განვითარების მომეტებული საფრთხე და რაც ბუნებრივია, სამომავლოდ მთავრობის მხრიდან მყისიერ გადაწყვეტილებას უფრო რთულს ხდის. აღნიშნული კი, შესაბამისად ნეგატიურად აისახება გატარებული ანტიინფლაციური და ანტიკრიზისული პოლიტიკის ეფექტურობაზე. შემდგომი პერიოდისათვის ინფლაციის კონტროლი და ეფექტური მონეტარული ინსტრუმენტების გამოყენება ეფექტური ინფლაციური პოლიტიკის ძირითად პირობას წარმოადგენს. სამწუხაროდ კვლავ მაღალია იმის რისკი, რომ ქვეყანაში პროვოცირებული იქნეს *მაღალი ინფლაციური ტენდენციები*, რასაც შემდეგი ფაქტორები განაპირობებს:

- ბიუჯეტის ხარჯვითი პოლიტიკა – საბიუჯეტო დეფიციტი და საბიუჯეტო ხარჯების მაღალი დონე;
- მონოპოლიების თემა – ხელისუფლების მხრიდან მონოპოლისტი კომპანიებისადმი ლოიალური დამოკიდებულება და სახელმწიფო პროტექციონიზმი მათ მიმართ, რაც პირდაპირ ნეგატიურად აისახება კვების პროდუქტების, პირველადი და სტრატეგიული მოხმარების პროდუქტების ფასზე, კომუნალურ და სატრანსპორტო დანახარჯებზე;
- ადგილობრივი წარმოების, მათ შორის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების დაბალი დონე და დაბალი შესაძლებლობა კონკურენცია გაუწიონ იმპორტს და ჩაანაცვლონ იმპორტირებული პროდუქცია და მომსახურება ადგილობრივი ანალოგებით.

დღეს არსებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის მიხედვით მშპ-ს განაწილების ტენდენციის და დინამიკის კიდევ უფრო სიღრმისეული ანალიზი და მათი წინა წლების მონაცემებთან შედარება ცხადყოფს, რომ ბოლო წლებში მშპ-სთან მიმართებაში ეკონომიკის საერთო სექტორულმა სურათმა მძლავრი სტრუქტურული ცვლილება განიცადა მშპ-სთან მიმართებაში ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა სოფლის მეურნეობის, მრეწველობის ხვედრითი წილი, ხოლო ვაჭრობის წილი კი, საგრძნობლად გაიზარდა. მეტ-ნაკლები სტაბილურობით ხასიათდება სატრანსპორტო სექტორი, კომუნიკაციები და მშენებლობა. არსებული მდგომარეობა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში ა. სამრეწველო სექტორი მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მრეწველობა (აბსულუტურ ციფრებში) ბოლო ათწლეულის განმავლობაში იზრდებოდა, მისი ხვედრითი წილი მშპ-ში 2003 წლიდან 2011 წლამდე 17,7%-დან 9,5%-მდე შემცირდა.

ეს ტენდენცია იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანა სრულად თავისი სამრეწველო პოტენციალის მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილს იყენებს. სწორედ ამის შედეგია ის ფაქტი, რომ ჯართი წლების მანძილზე ქართული ექსპორტის უმთავრეს სასაქონლო ნომეკლატურად ჩამოყალიბდა. სამწუხაროა, რომ ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მრეწველობის ზოგიერთ ტრადიციულ სექტორში ქვეყანას აშკარად ფარდობითი უპირატესობა გააჩნდა, რომელიც ბუნებრივ რესურსებთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, მიწისქვეშა ბუნებრივი რესურსები, ჯერ კიდევ იაფი მუშახელი, გეოგრაფიული მდგომარეობა და ასე შემდეგ.

თუ გავანალიზებთ **გადამამუშავებელი მრეწველობის ზრდის ტემპებს** ქვესექტორების მიხედვით, დავინახავთ რომ კვების პროდუქტების, სასმელების და თამბაქოს პროდუქციის წარმოების ზრდა ბოლო წლებში მხოლოდ უმნიშვნელოდ მოხდა და ამ პერიოდისთვის არსებული ინფლაციის მაჩვენებელსაც თუ გავითვალისწინებთ, მაშინ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ინდუსტრიის ეს სექტორი პრაქტიკულად არ გაზრდილა. კვების მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-გადამამუშავების მაჩვენებლის ნომინალური ზრდა სერიოზული შემფოთების საგანია და ეს არ აიხსნება მხოლოდ ქართულ ღვინოსა და მინერალურ წყლებზე დაწესებული რუსული ემბარგოთი. ეს უფრო სოფლის მეურნეობის და პირველადი პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის ღრმა სტრუქტურულ კრიზისზე მიუთითებს. ბ. საბანკო სექტორი საბანკო სისტემის განვითარების ტემპები და მაჩვენებლები საკმაოდ შთამბეჭდავია. საბანკო სექტორმა უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს ეკონომიკის ზრდაში (მშპ-ს ზრდა) და ძირითად მამოძრავებელ ძალად ჩამოყალიბდა.

საქართველოს შემთხვევაში სექტორული ეკონომიკის ზრდა, ისევე როგორც ეკონომიკური ზრდა, პირდაპირ-პროპორციულია საბანკო აქტივობისა ყველა სექტორში. გამონაკლისს მხოლოდ მრეწველობა და სოფლის მეურნეობა წარმოადგენს, რომლებიც პროცენტულად მთლიანად საბანკო აქტივობაში მცირედ დაკრედიტებას იღებს. საბანკო სექტორის მიერ დაფინანსება ძირითადად ვაჭრობის, იპოთეკური ოპერაციების, მშენებლობის და სამომხმარებლო სესხების მიმართულებით ხდება. საბანკო დაფინანსება და არასახელმწიფო ინვესტიციები ფაქტობრივად სინქრონიზირებულია და ერთი და იგივე სექტორებს აფინანსებენ, მცირედი განსხვავებებით. მაგალითად, უძრავი ქონების სექტორში ინვესტიციების უდიდესი წილი უშუალოდ მშენებლობაზე მოდის, ხოლო საბანკო სესხების დიდი პორტფელი იპოთეკურ და სამომხმარებლო სესხებზე. სწორედ ეს სექტორები გახდა ის ძირითადი ბაზა, რომელიც დღეს მშპ-ს ზრდის უმთავრესი აგრეგატებია. საბანკო საქმიანობის ანალიზიდან ნათლად ჩანს ამ სექტორის მისწრაფება სწრაფი და ნაკლებად რისკიანი ბრუნვების მიმართ. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს საბანკო სექტორის ბუნებრივი ქმედებაა. ამით აიხსნება სექტორული ეკონომიკის ძირითადად ვაჭრობის სექტორის დაფინანსების პრიორიტეტულობა. აღნიშნული კი ინვესს სავაჭრო საქონლის იმპორტის ოპერაციების სტიმულირებას, უცხოური ბაზრების ხარჯზე აბალანსებს ადგილობრივ მოთხოვნას და ინვესს ვაჭრობის სექტორის მზარდ დაფინანსებას, რომელიც საბანკო სექტორისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამოქვეყნის საგადასახდელო ბალანსის კიდევ უფრო გაუარესებას ემსახურება.

თავისუფალი ვაჭრობის სისტემის დანერგვა, რომელიც დღეს საქართველოში ხორციელდება, ბუნებრივია მისასალმებელია საზოგადოებაში კეთილდღეობის ამალგების თვალსაზრისით. მაგრამ, ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გრძელვადიან პერიოდში მშპ-სთვის არ არსებობს ცალკე აღებული იმპორტის სტიმულირების დადებითი მხარეები, ხოლო საქართველოში განხორციელებულ პოლიტიკას სწორედაც, რომ მხოლოდ იმპორტის სტიმულირება შეიძლება ეწოდოს. როგორც ქვეყნის არსებული საგადასახდელო ბალანსის ანალიზიდან ჩანს, ბოლო წლებში ქვეყანაში არ ათვისებულა არცერთი ახალი საექსპორტო სექტორი ავტომობილების გარდა.

საქართველოს დიდი შესაძლებლობები გაუჩნდა ევროპის და ამერიკის ბაზარზე საკუთარი პროდუქციის საექსპორტოდ. მაგრამ, ეს შესაძლებლობები და უპირატესობა ჯერ კიდევ არ არის სრულფასოვნად გამოყენებული. ბუნებრივად, აქაც სახელმწიფოს გარკვეული მარეგულირებელი ფუნქციის გამოყენებამდე მივიღვართ, რომელიც მან აუცილებლად უნდა შეასრულოს. საქართველოს საკანონმდებლო გარემო სრულ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის კონკურენტულ პოლიტიკასთან. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება (FTA) ისევე, როგორც საქართველოს ვალდებულება, რომელიც განსაზღვრულია პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებითა (PCA) და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ხელშეკრულებით (ENP AP), მოითხოვს, რომ პარტნიორ ქვეყნებში არსებული კანონმდებლობა შეესაბამებოდეს ევროპულ სისტემას კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში.

ფინანსები

ფისკალური პოლიტიკა ერთ-ერთი მთავარი იმ რეფორმებს შორის, რომლებიც საქართველოში 2004 წლის შემდეგ განხორციელდა, იყო საგადასახადო სისტემის და კერძოდ, საგადასახადო კანონმდებლობის რეფორმირება. დეკლარირებული ლიბერალური ეკონომიკური კურსის ასახვას ხელისუფლება საგადასახადო კოდექსის არსებულ ნორმებზე შეეცადა. 2004 წელს მიღებული იქნა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც 2005 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა და ამით, 1997 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი გააუქმა. შემცირდა გადასახადების რაოდენობა და გადაიდგა რიგი ნაბიჯები საგადასახადო განაკვეთების შემცირების და ოპტიმიზაციის კუთხით.

თუმცა, შემდგომმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ახალმა საგადასახადო კოდექსმა ის მოლოდინები, რაც მის მიღებასთან დაკავშირებით ხელისუფლებასა და საზოგადოებაში იყო, პრაქტიკულად ვერ გაამართლა. აღნიშნული სამი ძირითადი მიზეზით იყო განპირობებული:

- საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია შეეხო გადასახადების არსებული რაოდენობის და განაკვეთების მექანიკურ შემცირებას, ხოლო საგადასახადო ადმინისტრირების ნაწილი (საგადასახადო კონტროლი და ჯარიმები) პრაქტიკულად უცვლელი და ხისტი დარჩა;
- საგადასახადო კოდექსი კვლავ ბუნდოვანი და ძნელად გასაგები იყო მენარმეთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის და იგი კვლავ იძლეოდა ცნებების და საგადასახადო პროცედურების ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას, რაც ფისკალურ ორგანოებს ბუნებრივად უბიძგებდა სუბიექტური და ხშირ შემთხვევაში, მენარმეებისათვის და ზოგადად ბიზნესისთვის საზიანო გადაწყვეტილებების მიღებისაკენ;
- ახალ საგადასახადო კოდექსში ლიბერალურ საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, წესით, საგადასახადო ტვირთის შემცირება უნდა მოჰყოლოდა, რეალურად კი საპირისპირო შედეგი მივიღეთ. მაგალითად, თუ შემოსავლების ხვედრითი წილი მშპ-სთან მიმართებაში 2005 წელს 24,2% იყო, 2008 წელს ეს მაჩვენებელი 30,4%-მდე გაიზარდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, 2010 წელს ხელახლა იქნა მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც 2011 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა. ახალმა კოდექსმა საგადასახადო მიზნებისათვის შემოიტანა მიკრო და მცირე ბიზნესის ცნება, გარკვეული თვალსაზრისით გაამარტივა საგადასახადო აღრიცხვის სისტემა და საგადასახადო ანგარიშგების (საგადასახადო დეკლარირება) პროცედურები, დავების განხილვის მექანიზმი, პირველად შეიქმნა და ამოქმედდა საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი. თუმცა, საგადასახადო კოდექსში არსებული ე.წ. თეთრი ლაქები და ხარვეზები მხოლოდ ნაწილობრივად გამოსწორებული. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი 2011 წლის პირველ იანვარს ამოქმედდა, ხელისუფლებამ უკვე 2011 წლის პირველ კვარტალშივე დაიწყო საუბარი ახლად მიღებულ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე და რიგი ცვლილებები განახორციელა კიდევ. თუმცა, ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებში არსებული ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პრინციპი ერთგვარი ტრანსფორმირებული სახით ბიზნესისადმიც „ნულოვანი ტოლერანტობის“ პრინციპად ჩამოყალიბდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, კვლავ აქტუალურ თემებად რჩება:
- ხისტი საგადასახადო ადმინისტრირების საკითხი და საგადასახადო კონტროლის ის მეთოდები, რომლებიც მნიშვნელოვნად ზღუდავს მენარმეებს სრულფასოვნად განახორციელონ სამენარმეო საქმიანობა (დალუქვების და საწარმოო პროცესის შეჩერების თემა). ასევე, ადრე მოქმედ საგადასახადო კოდექსთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა ჯარიმების რაოდენობა, ხოლო საჯარიმო სანქციები საგადასახადო დარღვევებთან შედარებით არაადექვატურად მაღალია;
- სუბიექტივიზმის მომატებული ფაქტორის გავლენა ფისკალური ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და პროცედურებზე. ანუ, კვლავ მნიშვნელოვნად მაღალია საგადასახადო მოხელის ადამიანური ფაქტორი საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მათ შორის, საწარმოს ფუნქციონირების შეჩერების, საწარმოო და სასაწყობო მარაგების დალუქვის, საჯარიმო სანქციის დადების, საქონლის ან/და მომსახურების საბაზრო ფასის განსაზღვრის, საგადასახადო დავის განხილვის და გადაწყვეტის საკითხებთან დაკავშირებით;
- საგადასახადო ადმინისტრირების და კონტროლის მექანიზმების განხორციელების პროცედურების შესახებ ბევრი საკითხი კვლავ „საგადასახადო კოდექსის“ რეგულირების მიღმა დარჩა და ისევ მრავალრიცხოვანი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების (ბრძანებები, ინსტრუქციები, მეთოდური მითითებები) რეგულირების კომპეტენციას წარმოადგენს. აღნიშნული კი, ბიზნეს სექტორისათვის კიდევ უფრო ბუნდოვანს და ძნელად გასაგებს ხდის საგადასახადო კანონმდებლობას;
- ფისკალური ორგანოების ხელში სალარო აპარატი კვლავ საგადასახადო დევნის და მენარმეთა დასჯის ინსტრუმენტის ფუნქციის მატარებელია;
- წარმოადგენს რა აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელ ნაწილს, საგადასახადო ომბუდსმენის კომპეტენცია, უფლებრივი და ვალდებულებითი მდგომარეობა საკმაოდ შეზღუდულია. საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტის არსებული მოდელი ცალსახად მიკერძოებული და ნაკლებად ეფექტურია. შესაბამისად, იგი სრულფასოვნად ვერ ასრულებს გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის ფუნქციას;
- მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსი მხოლოდ ფიზიკური პირების მიერ განხორციელებულ სამენარმეო

საქმიანობაზე გავრცელდა და რეალური მცირე და მიკრო („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები) სექტორი ფაქტობრივად აღნიშნული სტატუსის და მასთან დაკავშირებული გამარტივებული საგადასახადო რეჟიმის მიღმა დარჩა. ბ. საბიუჯეტო პოლიტიკა საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წლის დეკემბერში იქნა მიღებული და გაანგარიშებისას მხედველობაში იქნა მიღებული 2011 წლისათვის ეკონომიკური განვითარების საპროგნოზო პარამეტრები, კერძოდ: ეკონომიკური ზრდა, ფასების ცვლილება, საგადასახადო პოლიტიკა და ახალი საგადასახადო კოდექსი, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება და სხვა ფაქტორები. ეკონომიკური ზრდის რისკი (დეფიციტი) დაბალანსებულია სახელმწიფო ვალდებულებების ზრდით, რაც მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია უცხოურ კაპიტალსა და ფინანსურ ნაკადებზე. 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები (შემოსულობები, შემოსავლები, გადასახდელები და ხარჯები შემდეგი ოდენობით განისაზღვრა:

- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები – 8040,0 მილიონი ლარი. მ.შ. შემოსავლები – 6839,4 მილიონი ლარი;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები – 7940,3 მილიონი ლარი. მ.შ. ხარჯები – 6554,3 მილიონი ლარი. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში 2012 წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები ჩამოყალიბდა შემდეგი ოდენობებით:
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები – 8016,1 მილიონი ლარი.
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები – 7915,4 მილიონი ლარი.

2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა 6839,4 მილიონი ლარის ოდენობით (2011 წელი – 6,471,5 მილიონი ლარი). ზრდა განპირობებულია ძირითადად გადასახადების გეგმის ზრდით, რომლის საფუძველსაც ახალი საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ზოგიერთი გადასახადის განაკვეთის ზრდა წარმოადგენს. აგრეთვე, დაბეგვრის არეალის გაფართოვება, გამკაცრებული საგადასახადო ადმინისტრირება და ინფლაციის მაჩვენებელი, რომელიც განსაკუთრებით არაპირდაპირი გადასახადების სახით მისაღები შემოსავლების ზრდას უწყობს ხელს. 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების ნაწილი 6554,2 მილიონი ლარს შეადგენს (2011 წელს – 6,029,4 მილიონი ლარი). შესაბამისად, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა – 285,1 მილიონი ლარის ოდენობით. 2011 წელთან შედარებით, 2012 წელს გაზრდილია ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 6471,5 მილიონი ლარიდან 6839,4 მილიონ ლარამდე (ზრდა – 6,3%).

2012 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საპროგნოზო გადასახადები გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 5775,0 მილიონი ლარიდან 6300,0 მილიონ ლარამდე (ზრდა – 10,5%). ზრდა ხარჯების თითქმის ყველა სახეობაში ფიქსირდება, მათ შორის, შრომის ანაზღაურების ნაწილში ზრდამ 11% შეადგინა, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების ნაწილში ზრდა მხოლოდ 6%-ია. გამოდის, რომ 2012 წლის ბიუჯეტში საჯარო მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების ზრდის კოეფიციენტი გაცილებით მეტია, ვიდრე სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების ზრდის კოეფიციენტი. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში შრომის ანაზღაურების ზრდას განაპირობებს როგორც საჯარო სექტორში ახალი საშტატო ერთეულების დამატება, ასევე თავად შრომის ანაზღაურების საშუალო განაკვეთის ზრდა. ბუნებრივია, საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის შრომის მაღალი ანაზღაურება და მოტივაციის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია.

თუმცა, საჯარო ფინანსებში არსებული პრობლემური მდგომარეობის გათვალისწინებით და ე.წ. „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკის გატარების აუცილებლობის პირობებში, ასეთი პრიორიტეტის გამოკვეთა არამიზანშეწონილია. საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემების თანახმად, მთლიან შემოსავლებში გადასახადების წილი 91,1%-ია. აღნიშნული მაჩვენებელი 2011 წლისათვის 89,6%-ს, 2010 წლისთვის 84,6%-ს, 2008 წლისთვის – 81,8%-ს, ხოლო 2005 წლისთვის კი, 70,5%-ს შეადგენდა. მთლიან გადასახადებში დიდი წილი უჭირავს არაპირდაპირ გადასახადებს (58%), ხოლო შედარებით მცირე – პირდაპირ გადასახადებს (42%).

არაპირდაპირ გადასახადებში უდიდესი წილი დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის და მისი წილი, როგორც წესი მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 48%-ს შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ სავაჭრო ბალანსში იმპორტი სტაბილურად მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდება და ადგილობრივი ბრუნვის მოცულობა კი შედარებით უცვლელია, დღგ-ს უმეტესი ნაწილი სწორედ იმპორტის ოპერაციებზე მოდის. უკანასკნელ წლებში ერთგვარ ტრადიციად იქნა ჩამოყალიბებული, რომ მობილიზებული დღგ-ს 2/3 სწორედ იმპორტსა, ხოლო 1/3-ს ქვეყნის შიგნით განხორციელებულ მიწოდებას შორის ნაწილდება.

სახელმწიფო ვალი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი საქართველოს სახელმწიფო ვალის წარმოშობის უმთავრესი საფუძველია. როდესაც, ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების მოცულობა უფრო მცირეა, ვიდრე სახელმწიფოს ვალდებულებები და ხარჯები, ქვეყნის ხელისუფლება იძულებული ხდება აიღოს საშინაო თუ საგარეო ვალი და ამით დააფინანსოს ბიუჯეტის რეალური დეფიციტი. 2005 წლიდან 2012 წლის საანგარიშო პერიოდამდე საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი ზრდით ხასიათდება და ამ მაჩვენებელმა 2012 წლის დასაწყისისათვის 11 მილიარდ 269 ათას აშშ დოლარს, ხოლო 2012 წლის მარტის მდგომარეობით 11 მილიარდ 398 ათას აშშ დოლარს მიაღწია. 2004 წლიდან ქვეყნის ხელისუფლების კურსი მთავრობის საგარეო ვალების შემცირებაზე იყო ორიენტირებული და 2004 წლიდან 2006 წლამდე პერიოდში საგარეო ვალის მოცულობა წლების მიხედვით საშუალოდ ყოველწლიურად 7%-ით მცირდებოდა. 2006-2007 წლებში კი სტაბილური მაჩვენებლით ხასიათდებოდა. საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 2007 წლიდან მოყოლებული ზრდის უკვე დიდი მაჩვენებლით ხასიათდება. მხოლოდ 2008 წელს საგარეო ვალის ზრდამ 61%, ხოლო 2009 და 2010 წლებში შესაბამისად – 23% და 22% შეადგინა. 2011-2012 წლებში ზრდის მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა, თუმცა ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა. 2010 წლის მდგომარეობით, მთავრობის საგარეო ვალმა მშპ-სთან მიმართებაში 24,5%, ხოლო საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა მშპ-სთან მიმართებაში 77% შეადგინა. თუმცა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნული მაჩვენებელი კლების ტენდენციით არ ხასიათდება. საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს მიდგომა, რომ ზღვარი, რომლის ზემოთ საგარეო ვალის მოცულობის ზრდაც უკვე ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვნად აფერხებს, დაახლოებით მშპ-ს 50%-ია. იმავე მიდგომის მიხედვით, ანალოგიური ზღვარი, ოღონდ ექსპორტის მაჩვენებელთან მიმართებაში, 100-105%-ზე გადის. საქართველოში კი, ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი ექსპორტის 516%-ია. საქართველოში ბოლო წლებში ჩამოყალიბდა ვალით ვალის დაფარვის (გადაფარვის) ტენდენცია, რაც უდაოდ მნიშვნელოვანწილად ზრდის ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულების ხარისხს საგარეო ვალზე.

საბაღამსდელი ბალანსი

მართალია, ქვეყნის სავაჭრო ბრუნვა ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც უდაოდ დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ, ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სავაჭრო ბალანსის დეფიციტის მაჩვენებელიც მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება. 2004 წლიდან 2012 წლამდე, ანუ ბოლო 7 წლის განმავლობაში, სავაჭრო ბალანსის დეფიციტის 4-ჯერ გაზრდილი მაჩვენებელი მივიღეთ. ეკონომიკურ ზრდას საქართველოში ბოლო წლებში მოხმარების საგრძნობი ზრდა განაპირობებს, რაც იმპორტის ზრდითაა განპირობებული. საქართველოს ეკონომიკა რეალურად ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნის შესაბამის მიწოდებას. შესამჩნევია, რომ ბოლო წლების განმავლობაში პრაქტიკულად არ შეცვლილა ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფი. არ გაჩენილა ახალი სასაქონლო ნომეკნლატურა, პროდუქტები და ახალი დარგები. ისევე, როგორც წინა წლებში, ექსპორტის სტრუქტურაში კვლავ ძალიან მაღალია საექსპორტო საქონლის კონცენტრაციის დონე. დომინირებს ავტომობილები, ფეროშენადნობები, ჯართი, თხილი და სასუქები. მხოლოდ ამ ხუთ სასაქონლო ჯგუფზე მთელი ექსპორტის 46% მოდის და მათ შორის, მხოლოდ ავტომობილებზე – 22%. შესაბამისად, რეალურად ქვეყნის მთელი საექსპორტო პოტენციალის ნახევარზე მეტი მხოლოდ რამდენიმე სანარმოზე მოდის.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფაქტობრივად, ბოლო წლებში ქვეყნის სიღრმისეული განვითარების თვალსაზრისით ბევრი არაფერი შეცვლილა, ანუ თითქმის არ გაზრდილა შრომითი რესურსების გამოყენების მაჩვენებელი, არ გაზრდილა შრომის მწარმოებლურობა (რომელიც კაპიტალსა და აღჭურვილობასთან უშუალოდაა კავშირში), შესაბამისად, არ გაზრდილა ადამიანთა ცხოვრების დონე. ეკონომიკურ საქმიანობაში ხდება ტრადიციული სავაჭრო, ძირითადად კი, იმპორტზე ორიენტირებული სექტორების სტიმულირება და ვერ მოხერხდა ახალი სექტორების, განსაკუთრებით კი, ექსპორტზე ორიენტირებული სექტორების ათვისება.

ინვესტიციები

2004 წლის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი, რასაც ძირითადად გამოცხადებული ახალი ლიბერალური კურსი, ფისკალური რეჟიმების გამარტივება და ხელისუფლების მიერ წარმოებული საერთაშორისო პიარ კამპანიები განაპირობებდა. 2004 წლიდან 2007 წლის ჩათვლით ქვეყანაში შემოსული ინვესტიციები 499 მილიონი აშშ დოლარიდან 2015 მილიონ აშშ დოლარამდე, ანუ 404%-ით გაიზარდა. 2008 წლის მესამე კვარტალში საქართველოში საინვესტიციო აქტივობა მნიშვნელოვნად შემცირდა, განსაკუთრებით პირდაპირი ინვესტიციების მაჩვენებელი. თუ 2008 წლის პირველ და მეორე კვარტალში შესაბამისად განხორციელებული იყო 430,2 და 525,2 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია, მესამე კვარტალში განხორციელებული იქნა მხოლოდ 150,0 მილიონი დოლარის ინვესტიცია. 2008 წლის მესამე კვარტლის მონაცემი გასული 2007 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 339,1 მილიონი დოლარით ჩამორჩება და მხოლოდ მის 30%-ს შეადგენს. ინვესტიციების შემცირების ტენდენცია ასევე უშუალოდ უკავშირდება საქართველოში მსხვილი საპრივატიზაციო ობიექტების რაოდენობის შემცირებას ან/და ამონურვას, ხოლო მცირე საპრივატიზაციო ობიექტები მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენენ მთლიან საინვესტიციო პორტფელზე. 2008 წლიდან მომდევნო 2 წლის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა სამჯერ შემცირდა და 2009 წლის მდგომარეობით მხოლოდ 658 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ხელისუფლებას უჭირს მომდევნო წლების საინვესტიციო აქტივობის ზუსტი გათვლა და ეფექტური დაგეგმვა. ხელისუფლების გათვლები და პროგნოზები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 2009 და 2010 წლების საპროგნოზო მონაცემებთან დაკავშირებით პრაქტიკულად ვერ შესრულდა. დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს 2010 და 2011 წლების მონაცემებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის მცირედ, მაგრამ მაინც ზრდა (შესაბამისად 23% და 20%). თუმცა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მაჩვენებლის ზრდის პარალელურად ფიქსირდება ქვეყნიდან გადინებული კაპიტალის მაჩვენებლის ზრდა. მხოლოდ 2010 წელს ქვეყნიდან გადინებულმა კაპიტალის მოცულობამ 200 მილიონი აშშ დოლარი, 2011 წელს 244 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო 2012 წლის მხოლოდ პირველ კვარტალში 116 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ეკონომიკური სტიმულირების პაკეტიდან და ინფრასტრუქტურული საინვესტიციო პოლიტიკიდან გამომდინარე, მთლიან შიდა პროდუქტში მოხმარების და სახელმწიფო შესყიდვების კომპონენტების პროცენტული წილი მნიშვნელოვნად იზრდება, ხოლო ინვესტიციების კომპონენტი მცირდება, რაც საბოლოო ჯამში არასახარბიელო გადახანგრძობად და შესაბამისად, არასახარბიელო შედეგებამდე მიგვიყვანს – წარმოების შეფერხება გაზრდის ექსპორტ-იმპორტს შორის უარყოფით სალდოს და შესაბამისად, წმინდა ექსპორტის უარყოფითი მაჩვენებელი უფრო გაიზრდება. ეკონომიკის და ბიზნესგარემოს განვითარების ზოგადი კონცეფცია:

ძირითადი ტენდენციები საქართველოს ეკონომიკის მდგრადობა და ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე, მათ შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაზე, საგარეო წყაროებიდან მოზიდულ საკრედიტო რესურსებზე (საგარეო ვალი), საერთაშორისო გრანტებზე, უცხოეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობაზე და პრივატიზაციის პროცესის განხორციელების შედეგად მიღებული შემოსავლების ოდენო-

ბაზე- ამის გამო, ქვეყნის განვითარებაში ადგილობრივი შესაძლებლობების და რესურსების სრულფასოვანი გამოყენება საგრძნობლად შეზღუდულია, ხოლო მათი ხვედრითი წილი, კი – უმნიშვნელო. ძირითადად, რამდენიმე ფაქტორი იკვეთება, რომლებიც უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, მოქნილი სოციალ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებასა და ჯანსაღი ბიზნეს გარემოს შექმნაზე. კერძოდ:

- **ჭარბი მოხმარების დონე** – ანუ, კერძო და სახელმწიფო მოხმარებას მნიშვნელოვნად მაღალი წილი უკავია მშპ-ში. შესაბამისად, მიწოდების არსებული დონე ვერ უზრუნველყოფს მოხმარების დაკმაყოფილებას და მოხმარება-მიწოდებას შორის მეტ ნაკლებად ოპტიმალური ბალანსის დაცვას. რეალურად, ჭარბი მოხმარება გულისხმობს, რომ მშპ-ში კერძო დანაზოგების წილი ძალიან დაბალია და ადგილობრივი ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკურ პროცესებში მხოლოდ ნომინალურია;
- **ბიზნესგარემო** – გატარებული რიგი ცვლილებების და გარკვეული ბიზნეს ფაქტორების მკვეთრი ლიბერალიზაციის ფონზე, კვლავ აქტუალური რჩება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფის, სექტორული მონოპოლიების, საგადასახადო ადმინისტრირების ლიბერალიზაციის, დეკრიმინალიზაციის (ბიზნესის სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა, ეკონომიკური დანაშაულისთვის წინასწარი პატიმრობის გაუქმება, ბიზნესზე სახელმწიფო ტერორის აკრძალვა, სადამსჯელო და ჩასაფრების პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმა), კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის და მცირე ბიზნესის განვითარების სტიმულირების თემები;
- **საგარეო სავაჭრო დეფიციტი** – ჭარბი მოხმარების მეორე უარყოფითი მხარე. საქართველოს ეკონომიკა 2010 წლის მონაცემებით, 76%-ით დამოკიდებულია უცხოურ ეკონომიკებზე. ანუ, ქვეყანა საკუთარი სანარმოო სიმძლავრით მოხმარების მხოლოდ უმნიშვნელო წილის დაკმაყოფილებას ახერხებს და დარჩენილი 76%-ის დაბალანსებას იმპორტის საშუალებით ახდენს. რეალურად, იმის მაგივრად, რომ ქვეყნის ჭარბი მოხმარება ადგილობრივი სანარმოო სიმძლავრეების გაზრდას უწყობდეს ხელს, იგი იმპორტის მასტიმულირებელ ფაქტორად გვევლინება. ასეთ პირობებში, სარგებელს მხოლოდ იმპორტიორები ღებულობენ, ხოლო ადგილობრივი და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოება ზარალდება;
- **დასაქმების დაბალი დონე და მიგრაცია** – რეალურად ქვეყანაში არ იქმნება სამუშაო ადგილები, რადგან საქართველოს ეკონომიკა იმპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის კატეგორიას განეკუთვნება და ადგილობრივი წარმოების დონე საგრძნობლად ჩამორჩება მოხმარების დონეს. იმპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა კი, რეალურად ვერ უზრუნველყოფს დასაქმების დონის ზრდას. ხოლო, ქვეყნის მიგრაციული ნაკადი ერთ მილიონ ადამიანზე მეტია, რაც, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, პრაქტიკულად აქტიური შრომითი რესურსის გარეშე დატოვების ტოლფასია.

რას ეწუძნება განვითარების კონცეფცია

კონცეფცია ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის და ეფექტური ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებაზე ორიენტირებულ სამუშაოვადიან და გრძელვადიან პერიოდში გასატარებელ ღონისძიებებს, რომლებიც უახლოესი 3 წლის განმავლობაში უნდა გატარდეს. არსებული მდგომარეობისა და რეალობის გათვალისწინებით, ქვეყნის უმთავრესი პრიორიტეტი მიწოდების სტიმულირების უზრუნველმყოფი პირობების ჩამოყალიბება და განვითარება უნდა გახდეს, რაც ბუნებრივად მიწოდების მოცულობის შესაძლებლობების ზრდას, ქვეყნის ეკონომიკის ავტონომიურ რეჟიმში ეფექტურ ფუნქციონირებას, საფასო ოპტიმიზაციას, დასაქმების დონის ზრდას და საბოლოო ჯამში, მოხმარების სტიმულირებასაც გულისხმობს. გრძელვადიანი სტრატეგიის უმთავრესი ამოცანა ლიბერალურ, თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებაა, რომელიც შემდეგ ფუნდამენტალურ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს:

- კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და უზენაესობა;
- სახელმწიფოს და სახელისუფლებო ორგანოების მიერ ბიზნესზე ტერორის განხორციელების აკრძალვა;

- თავისუფალი ბაზრის და თავისუფალი კონკურენციის პირობების დაცვა;
- მინიმალური საჯარო სექტორი და მისი კერძო სექტორის, ბიზნესის კომპეტენციებში ჩაურევლობა;
- საჯარო და კერძო სექტორის რეალური გამიჯვნა და მათ შორის მკვეთრი ზღვარის გავლება. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამული პრიორიტეტების ქვაკუთხედს ორი ძირითადი მიმართულება წარმოადგენს:
- ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება;
- მცირე ბიზნესის განვითარება და მისი ფინანსურ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა.

ეკონომიკური და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება

საქართველოში ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს, თუ რა მასშტაბებით და რა ტემპებით იქნება შესაძლებელი ქვეყანაში ეკონომიკური და ბიზნეს პროცესების შემდგომი განვითარება და რამდენად სრულფასოვნად შეძლებს იგი რეალური ზრდის და განვითარების მიღწევას. ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი უნდა გახდეს მცირე ბიზნესის განვითარების სტიმულირება და არა სახელმწიფო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრება და განვითარება. ამის უმთავრესი ამოსავალი პრინციპი დაფუძნებული უნდა იყოს კერძო საკუთრების, კერძო გარიგების და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის საკონსტიტუციო და საკანონმდებლო გარანტიების შექმნის საფუძველზე. სახელმწიფო მინიმალური დონით უნდა ჩაერიოს ბიზნესურთიერთობებში და თავად ბიზნესმა, განსაკუთრებით კი, მცირე ბიზნესმა (მცირე, საშუალო და წვრილი წარმოება) უნდა უზრუნველყოს შემდეგი მიზნების მიღწევა:

- დასაქმება;
- ადგილობრივი წარმოების მოცულობის ზრდა;
- რეალურად თავისუფალი კონკურენციის და ფასწარმოქმნის თავისუფალი საბაზრო პრინციპების უზრუნველყოფა;
- მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის უზრუნველყოფა და დაცვა;
- დაგროვების სტიმულირება;
- მოხმარების სტიმულირება.

ბიზნესგარემოს გაუმჯობესების და ბიზნესის ზრდის უზრუნველყოფი გადაუდებელი ღონისძიებები და სტრატეგია რამდენიმე ძირითად ბლოკად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ა. დეკრიმინალიზაცია (ბიზნესის სისხლის სამართლებრივი დევნის შეზღუდვა)

საკანონმდებლო დონეზე მნიშვნელოვნად უნდა შეიზღუდოს სახელმწიფოს ჩარევა ბიზნესურთიერთობებში. ასევე, იმ სახელმწიფო ინსტიტუტების კომპეტენციის და უფლებამოსილების ფარგლები, რომლებიც პირდაპირ ან/და ირიბად ახორციელებენ ბიზნესის და ბიზნეს გარიგებების კონტროლს. აუცილებელია ბიზნესის დეკრიმინალიზაციის (ბიზნესის სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა, ეკონომიკური დანაშაულისთვის წინასწარი პატიმრობის გაუქმება, ბიზნესზე სახელმწიფო ტერორის აკრძალვა, სადამსჯელო და ჩასაფრების პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმა) განხორციელება. უნდა გაივლოს ცალსახა ზღვარი კრიმინალსა და იმ ქმედებებს შორის, რომლებიც ბიზნესის მიერ არასწორად ან/და შეცდომით განხორციელებულ საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშსწორებით გამოწვეულ სახელმწიფოს მიმართ არსებული ვალდებულებების შეუსრულებლობის საკითხებს უკავშირდება. თუ, სანარმო შეცდომით ან/და არამიზანმიმართულად არ იხდის გადასახადებს ან/და ვერ ასრულებს სახელმწიფო ბიუჯეტისადმი კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებს, მის წინააღმდეგ გამოყენებული უნდა იქნას ადმინისტრაციული ჯარიმები და კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სანქციები კუთვნილი გადასახადების, ჯარიმების და საურავე-

ბის გადახდევინების უზრუნველყოფის მიზნით. სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორებიცაა:

1. ერთი და იგივე მიზეზით კუთვნილი გადასახადების მრავალჯერ გადაუხდელობა;
2. საგადასახადო დავალიანების განსაკუთრებით დიდი ოდენობა, რაც განისაზღვრება 200000 ლარით და მეტი ოდენობით. მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ უარი თქვას წინასწარი პატიმრობის შეფარდების პრაქტიკაზე იმ პირებისთვის, ვინც ეჭვმიტანილია ეკონომიკური დანაშაულის ჩადენაში ან/და ვის მიმართაც ეკონომიკური დანაშაულის ჩადენისთვის მიმდინარეობს გამოძიება.

აღნიშნული პრაქტიკის დანერგვა, თუ არ გამორიცხავს, პრაქტიკულად მინიმუმამდე დაიყვანს ბიზნესზე სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახის ზეწოლის ან ტერორის განხორციელებას, იძულებას და გადაწყვეტილებებზე სუბიექტური გავლენის მოხდენის შესაძლებლობას.

საკუთრების დაცვისა და ხელშეუხებლობის პირობების უზრუნველყოფა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ძირითად პირობას - სახელმწიფოსთვის ქონების გადაცემის, ჩუქების, მემკვიდრეობით გადაცემის, ასევე ქონების ექსპროპრიაციის პროცედურები მნიშვნელოვნად უნდა გართულდეს და იმ შემთხვევების ჩამონათვალი, როდესაც დასაშვები იქნება აღნიშნულის განხორციელება, მკაცრად უნდა იყოს სამართლებრივ (საკანონმდებლო) დონეზე განსაზღვრული.

ბ. კონკურენციის დაცვა ეკონომიკური და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს თავისუფალი კონკურენციის დაცვა და ქვეყანაში სრულფასოვანი ანტიმონოპოლიური, ანტიტრასტული კანონმდებლობის ამოქმედება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით პროგრამულ პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- საქართველოში თავისუფალი კონკურენციისა და ვაჭრობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის საფუძვლიანი და ძირეული რევიზია, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ან/და დამატებების მომზადება და მიღება;
- ქვეყანაში სრულფასოვანი ანტიმონოპოლიური და ანტიტრასტული პოლიტიკის გამტარებელი სახელმწიფო ინსტიტუტის – „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს“ ფუნქციონალური რეორგანიზაცია, მისი კომპეტენციის, უფლებრივი მდგომარეობის და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო“ უნდა გამოვიდეს აღმასრულებელი ხელისუფლების ვერტიკალიდან და მისი ანგარიშვალდებულება განისაზღვროს ექსკლუზიურად მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე. შესაბამისად, სააგენტოს ხელმძღვანელის დანიშვნის გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს საქართველოს პარლამენტი;
- აქტიური ანტიმონოპოლიური და ანტიტრასტული პოლიტიკის გატარება, რაც ქვეყანაში მიზნობრივი და მაღალი რისკის მატარებელი ბაზრების აქტიური კვლევით, შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებების დაგეგმვით და ამ ღონისძიებების აღსრულების პროცესზე ეფექტური მონიტორინგის განხორციელებით გამოიხატება.

გ. საგადასახადო კანონმდებლობა ქვეყანაში საგადასახადო ადმინისტრირება კვლავ მხოლოდ სადამსჯელო ინსტრუმენტის ფუნქციას ასრულებს, რაც განსაკუთრებით მტკივნეულად მცირე ბიზნესს, მცირე, საშუალო და წვრილი საწარმოო და მომსახურების სფეროებს ეხება. სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის, მათ შორის სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის სწორი საგადასახადო ურთიერთობის აწყობა სახელმწიფოებრიობის მყარი ფუნდამენტის და წარმატების უმთავრესი პირობის შექმნას ნიშნავს. საქართველოში ეს ფუნდამენტი ჯერ კიდევ არ შექმნილა და საჭიროა საგადასახადო სისტემის ძირეული განახლება.

საგადასახადო კანონმდებლობა არა ბიზნესის დასაჭერად, დასასჯელად ან დასაშინებლად, არამედ მის დასახ-

მარებლად უნდა იქმნებოდეს. მიმდინარე ეტაპზე, აუცილებელია რამდენიმე პრინციპული ცვლილების დაუყოვნებლივ გატარება – ეფექტური საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი განვითარება. აღნიშნული, ითვალისწინებს საგადასახადო კანონმდებლობის მცირე ბიზნესის ინტერესებზე ორიენტირებულობას და პირველი რიგის შემდეგი პრობლემური საკითხების გადაჭრას:

- „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“, როგორც ორგანულ კანონად ჩამოყალიბება და მისი ამ სტატუსის დაფიქსირება „საქართველოს კონსტიტუციაში. აღნიშნული, მინიმუმამდე შეამცირებს საგადასახადო კანონმდებლობაში ხშირი, ხანდახან სუბიექტურ მოტივებზე დაფუძნებული ცვლილებების და დამატებების შეტანის მანკიერ პრაქტიკას, სტაბილურობის და დაცულობის მეტ განცდას გააჩენს ბიზნეს სექტორში და საშუალებას მისცემს მათ გრძელვადიანი პროგნოზებისა და გათვლების შესაბამისად აწარმოონ სამენარმეო საქმიანობა. „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებების, დამატებების და შესწორებების შეტანა მხოლოდ წინასწარი ერთთვიანი საჯარო განხილვების საფუძველზე უნდა მოხდეს;
- კანონმდებლობით უნდა განხორციელდეს შესაბამის სახელმწიფო უწყებათა და ორგანოთა უფლებამოსილებების არეალის მკვეთრი შეზღუდვა;
- საგადასახადო კანონმდებლობაში მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს ორმაგად წაკითხვადი და რთულად განმარტებადი დებულებების არსებობა. ასევე, თავად „საქართველოს საგადასახადო კოდექსმა“ უნდა მოიცვას საკითხების სრული სპექტრი და მინიმუმამდე შეამცირდეს ის კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზა (ინსტრუქციები, ბრძანებები), რომლითაც რეგულირდება საგადასახადო ურთიერთობის და განსაკუთრებით, საგადასახადო კონტროლის საკითხები;
- საგადასახადო ადმინისტრირების კომპონენტის ლიბერალიზაცია, რაც ამ ეტაპზე უკვე განხორციელებულ გადასახადების რაოდენობის და საგადასახადო განაკვეთების შემცირების შემდეგ, საგადასახადო კონტროლის მექანიზმების შემცირებას და პროცედურების გამარტივებას გულისხმობს;
- გადამხდელთა შერჩევითი საგადასახადო კონტროლის მექანიზმის შემოღება, რაც მინიმუმამდე შეამცირებს მენარმეებში საგადასახადო შემონმებებთან და კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით არსებულ შიშს; დაბეგვრის რეჟიმის გამარტივება, რათა მცირე ბიზნესისათვის კუთვნილი გადასახადების დაანგარიშების და გადახდის პროცედურები იყოს მნიშვნელოვნად გამარტივებული. ეს, საგრძნობლად შეამცირებს ბიზნესის, განსაკუთრებით კი, მცირე და წვრილი სამენარმეო საქმიანობით დაკავებულ პირთა მიერ ადმინისტრირების და საბუღალტრო მომსახურებაზე გასაწევ დანახარჯებს. კერძოდ, დაბეგვრის საშუავათო რეჟიმის დაწესება ითვალისწინებს:
 1. მცირე და წვრილი საწარმოებისათვის სახელმწიფო რეგისტრაციის პირველ წელს მოგების გადასახადის გადახდის და შესაბამისად, საგადასახადო დეკლარირების წარდგენის ვალდებულებისაგან განთავისუფლებას;
 2. მცირე და წვრილი საწარმოებისათვის საქმიანობის მეორე და მესამე წელს მოგების გადასახადის არსებული განაკვეთის მხოლოდ 50%-ის გადახდის ვალდებულებას. ამასთან, დაბეგვრის აღნიშნული რეჟიმი უნდა გავრცელდეს ექსკლუზიურად მხოლოდ შემდეგი პროფილის სამენარმეო საქმიანობაზე: 1. სოფლის მეურნეობის პროდუქტების პირველადი წარმოება; 2. სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი წარმოება;
 3. კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება;
 4. ტურიზმი;
 5. ექსპორტზე ორიენტირებული წარმოება.
- საგადასახადო აღრიცხვისა და ანგარიშგების ფორმების გამარტივება. ეს იმას ნიშნავს, რომ მცირე ბიზნესსექტორისათვის და საშუალო საწარმოო სექტორისთვის მნიშვნელოვნად მარტივდება, ხოლო წვრილი და მცირე საწარმოო და მომსახურების სფერო პრაქტიკულად სიმბოლური ანგარიშგების პრაქტიკაზე გადადის, რაც გულისხმობს წლიური საგადასახადო დეკლარირების პრაქტიკის შემოღებას. ანუ, საგადასახადო დეკლარირება უნდა განხორციელდეს წელიწადში მხოლოდ ერთხელ და ისიც გამარტივებული, მხოლოდ ერთი კომბინირებული დეკლარაციის წარდგენის ფორმით. ეს მნიშვნელოვნად შე-

ამცირებს ბიზნესის მხრიდან სამენარმეო და აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში შეცდომის დაშვების რისკსა და შესაძლებლობას;

- ბიზნესის, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის (მცირე, საშუალო და წვრილი საწარმოების) წინასწარი დალუქვების, მიმდინარე საქმიანობის შეჩერების და დაყადაღების პრაქტიკის აკრძალვა, კანონმდებლობით მკაცრად განსაზღვრული ერთეული გამონაკლისების და ე.წ. განსაკუთრებული შემთხვევების გარდა. ამასთან, საგადასახადო ორგანოებისათვის ამ პროცედურების გატარებასთან დაკავშირებული მოქმედებები კანონმდებლობით უნდა იქნას მაქსიმალურად გართულებელი, ხოლო მათი უფლებრივი მდგომარეობა – შეზღუდული. სამენარმეო საქმიანობის დალუქვა, შეჩერება და დაყადაღება უნდა ხდებოდეს მხოლოდ სასამართლოს საჩქევით. და ისიც, როცა: 1. საგადასახადო დანაშაული და შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანება განსაკუთრებით დიდ მასშტაბებს აღწევს (მაგალითად, საგადასახადო დავალიანების განსაკუთრებით დიდი ოდენობა, რაც 200000 ლარით და მეტი ოდენობით განისაზღვრება);
- საგადასახადო ორგანოებისათვის სალარო აპარატის, როგორც სადამსჯელო ინსტრუმენტად გამოყენების პრაქტიკის აკრძალვა. სალარო აპარატი და ჩეკი უნდა იქცეს ბიზნესის დამხმარედ და არა სახელმწიფოს მხრიდან მის საწინააღმდეგო ქმედების განხორციელების და დასჯის იარაღად. ეკონომიკის და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული პოლიტიკის პრიორიტეტი არ უნდა იყოს მენარმეზე „ჩასაფრების“ და მისი შეცდომაში შეგნებულად, მიზანმიმართულად შეყვანის პოლიტიკა;
- ჯარიმების სისტემის შეცვლა. საჯარიმო საჩქევების გამოყენება არ უნდა მოხდეს, თუ მენარმე შეცდომით ან წინასწარი გაზრახვის გარეშე უშვებს შეცდომას კუთვნილი გადასახადების გამოანგარიშებასა და მათ გადახდასთან დაკავშირებით. ჯარიმების ოდენობა და განაკვეთები უნდა იყოს დანაშაულის ან/და დარღვევის ადექვატური და არ უნდა წარმოადგენდეს ბიზნესისთვის საქმიანობის შეწყვეტის ან შეჩერების რისკს და საფუძველს. ჯარიმების გამოყენება დასაშვებია უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მენარმე არ ასრულებს საგადასახადო ორგანოების მხრიდან მისთვის შეცდომით ან წინასწარი გაზრახვის გარეშე დაშვებული შეცდომის გამოსწორების მოთხოვნას ან არღვევს აღნიშნული მოთხოვნის გამოსწორების ვადებს. აღნიშნული პრაქტიკა უნდა გავრცელდეს სალარო აპარატების გამოყენების არსებულ პრაქტიკაზეც;
- საგადასახადო დავების და გასაჩივრების პრაქტიკის დახვეწა. არსებული კანონმდებლობით საგადასახადო ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები მუდმივად უპირატეს მდგომარეობაში არიან ჩაყენებული. მათ შეუძლიათ პრაქტიკულად ნებისმიერი საბაბით შეაფერხონ, ან საერთოდ შეაჩერონ მენარმის საქმიანობა. გასაჩივრების, საჩივრის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა უნდა დაეფუძნოს პრინციპს, სადაც პრიორიტეტი მიენიჭება ბიზნესს და არა საგადასახადო უწყებას. დ. ბიზნეს ომბუდსმენი კონცეფციის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს გადასახადის გადამხდელთა და, ზოგადად ბიზნესის უფლებების დაცვის საკითხი. ქვეყანაში ბიზნეს ომბუდსმენის ინსტიტუტის სრულფასოვან ჩამოყალიბებასა და მისი საქმიანობის ეფექტურობაზე მნიშვნელოვან წილად არის დამოკიდებული, ბიზნესგარემოს გაჯანსაღების და შემდგომი განვითარების საკითხი. საგადასახადო ომბუდსმენის დღეს არსებული ინსტიტუტი ნაკლებად ეფექტურია და მას რეალური გავლენის მოხდენა მიმდინარე პროცესებზე პრაქტიკულად არ შეუძლია. ეს განსაკუთრებით მცირე ბიზნესის (მცირე, საშუალო და წვრილი საწარმოების) პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება. აღნიშნული სახელმწიფო ინსტიტუტის შედეგზე ნაკლებად ორიენტირებულობას და ნაკლებ ეფექტურობას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:
- ომბუდსმენის სტატუსი. საქართველოს კანონმდებლობით საგადასახადო ომბუდსმენი წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების დანაშაულს, და მისი როგორც დამოუკიდებლობის ხარისხი, ასევე უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის შეზღუდული;
- ინტერესთა კონფლიქტი. საგადასახადო ომბუდსმენი პრაქტიკულად ახორციელებს ზედამხედველობას იმ სახელისუფლებო შტოს საქმიანობაზე, რომლის ნაწილსაც თავად წარმოადგენს. მისი საქმიანობა რეგულირდება და უფლებრივი კომპეტენცია განსაზღვრულია „საქართველოს საგადასახადო კოდექსით“ და საგადასახადო ომბუდსმენს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს სა-

ქართველოს პრემიერ-მინისტრი. ეს პრაქტიკა ყოველთვის იძლევა სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების და აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი რანგის მოხელეების (მაგალითად, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი) მხრიდან მასზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას;

- უფლებრივი მდგომარეობა. საგადასახადო ომბუდსმენი მნიშვნელოვნად არის შეზღუდული საკუთარ კომპეტენციებსა და უფლებებში და მას, პრაქტიკულად არანაირი სამართლებრივი გავლენის მოხდენა საგადასახადო თუ სხვა უფლებების დარღვევის ფაქტებზე არ შეუძლია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ქვეყანაში ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული ბიზნეს ომბუდსმენის ინსტიტუტის უზრუნველსაყოფად აუცილებელ პირობებს წარმოადგენს არსებული საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტის ბიზნესომბუდსმენის რეალურ და ქმედით ინსტიტუტად გარდაქმნა, რაც ითვალისწინებს შემდეგს: • მიღებული იქნას კანონი „ბიზნეს ომბუდსმენის“ შესახებ, რომელიც განსაზღვრავს და უზრუნველყოფს აღნიშნული სახელისუფლებო ინსტიტუტის დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის მაღალ ხარისხს, უფლებრივ კომპეტენციასა და მკაცრად განსაზღვრულ ვალდებულებებს;
- ბიზნეს ომბუდსმენის ინსტიტუტი უნდა გამოვიდეს აღმასრულებელი ხელისუფლების ვერტიკალიდან და გავლენის არეალიდან. იგი უნდა გახდეს დამოუკიდებელი სახელისუფლებო რგოლი და მისი ანგარიშვალდებულება უნდა განისაზღვროს ექსკლუზიურად მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე. შესაბამისად, ბიზნესომბუდსმენის დანიშვნას და მისი აპარატის საქმიანობაზე ზედამხედველობას უნდა ახორციელებდეს საქართველოს პარლამენტი;
- ბიზნეს ომბუდსმენს უნდა ჰქონდეს ბიზნესის, განსაკუთრებით კი, მცირე ბიზნესის უფლებების დარღვევის ან/და შეზღუდვის შემთხვევებში მიმდინარე პროცესებზე, მათ შორის საგადასახადო დავებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა და რაც ყველაზე მთავარია, ვალდებულება. აღნიშნული, უნდა ეხებოდეს არა მხოლოდ საგადასახადო დავებს და გადასახადის გადამხდელთა უფლებების დარღვევის საკითხებს, არამედ, მცირე ბიზნესისა და ხელისუფლების ურთიერთობის უკლებლივ ყველა ასპექტს;
- ბიზნეს ომბუდსმენის ინსტიტუტმა უნდა შეიძინოს სახელისუფლებო, როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ორგანოებსა და მცირე ბიზნესს შორის მედიაციის ფუნქცია. ამ მიზნით, ბიზნეს ომბუდსმენის აპარატში ამოქმედდება „ბიზნეს დავების საბჭო“, რომლის შემადგენლობაში პარიტეტულ საწყისებზე შევლენ ბიზნეს ომბუდსმენის აპარატის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ბიზნეს გაერთიანებების, მათ შორის მცირე ბიზნეს გაერთიანებების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. „ბიზნეს დავების საბჭო“ იხილავს ბიზნესსა და სახელისუფლებო ორგანოებს შორის წარმოქმნილ ნებისმიერი სახის სადავო საკითხს და შესაბამის რეკომენდაციას აძლევს მხარეებს;
- მცირე ბიზნეს ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად ბიზნესომბუდსმენის აპარატი აქტიურად უნდა გამოვიდეს სასამართლო ორგანოებში განსახილველ საქმეებზე.

დ. მცირე ბიზნესი – დღეს ქვეყნის განვითარების მთავარი პრიორიტეტი არის მცირე ბიზნესი და მცირე მენარმეობა.

მიმდინარე ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია რეალური პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება სახელმწიფოსა და მცირე ბიზნესს შორის. მსხვილი ბიზნესისთვის, უცხოა მცირე ბიზნესისთვის დამახასიათებელი პრობლემები და სირთულეები. მსხვილ ბიზნესს ჰყავს ლობი ხელისუფლებასთან ურთიერთობებში, ხელი მიუწვდება მაღალი ხარისხის და ძვირად ღირებულ იურიდიულ, აუდიტორულ და სხვა სახის საკონსულტაციო მომსახურებებზე. ასევე, მათთვის მნიშვნელოვნად მარტივია საკრედიტო რესურსებზე წვდომა. მცირე მენარმეებისათვის ეს „სიკეთები“ კი, პრაქტიკულად ხელმიუწვდომელია. მცირე ბიზნესი და მისთვის განვითარების ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნა წარმოადგენს ძირითად პროგრამულ პრიორიტეტს. საქართველოს ეკონომიკური განვითარება და ზრდა მნიშვნელოვან წილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწრაფად და სრულფასოვნად განვითარდება ქვეყანაში მცირე ბიზნესი, ანუ მცირე, საშუალო და წვრილი საწარმოო და მომსახურების სფერო. მცირე ბიზნესი თავის თავში მცირე, საშუალო და წვრილ საწარმოებს მოიცავს, რომლებიც ყველა განვითარებულ ქვეყანაში ეკონომიკურ და ბიზნეს პროცესებში დომინანტურ როლს თამაშობენ. მცირე ბიზნესი წარმოადგენს მოსახლეობის ძირითად დამსაქმებელს და ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ რე-

გულატორს, ძირითადი სოციალური გარანტიების შემქმნელ ინსტრუმენტს. დღეს თანამედროვე მსოფლოში, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის წარმატების ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველს, სწორედ მცირე ბიზნესი – მცირე, საშუალო და წვრილი მწარმოებელი წარმოადგენს. მსოფლიოში არსებული ბიზნეს სტრუქტურების აბსოლუტური უმრავლესობა (ევროკავშირი – 99,7%, აშშ – 99,8%) სწორედ მცირე საწარმოებზე, მცირე, საშუალო და წვრილ წარმოებაზე მოდის, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციის და მომსახურების ხვედრითი წილი საერთო მშპ-ში 50%-ს და მეტს შეადგენს. საქართველოში კი, ამ მხრივ მნიშვნელოვნად განსხვავებული სურათია

- 2010 წელს მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი მთლიან ბრუნვაში მხოლოდ 16%-ს შეადგენდა;
- 2010 წელს კერძო სექტორში დასაქმებული 335,3 ათასი კაციდან მხოლოდ 38%, ანუ 127,4 ათასი კაცი იყო დასაქმებული მცირე ბიზნესში.
- მცირე ბიზნესის უპირატესობები და პრიორიტეტულობა შემდეგი ფაქტორებით ხასიათდება:
- სტრუქტურული მოქნილობა და მართვის ოპერატიულობა;
- საბაზრო კონიუნქტურისადმი, ბაზარზე ცვლილებებისადმი და მომხმარებელთა მოთხოვნილებებისადმი მარტივი ადაპტირების უნარი;
- მეტი სამუშაო ადგილი / ნაკლები კაპიტალი;
- სტაბილურობა და რისკმედეგობა;
- ნაკლები კაპიტალტევადობა;
- ძირითადი დამსაქმებელი;
- კონკურენციის მაღალი დონე.

საქართველოში ერთიანი სახელმწიფოებრივი ხედვა და პოლიტიკა მცირე ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით არ არსებობს. ქვეყანას არ გააჩნია „მცირე ბიზნესის განვითარების კონცეფცია“ და მასთან დაკავშირებული სტრატეგიული გეგმა, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს ქვეყნის ძირითად პრიორიტეტებს და მცირე მწარმოების განვითარებისათვის აუცილებელ პირობებს. ხელისუფლების ყოველი ახალი ინიციატივა ნაკლებად თანმიმდევრულ, ფრაგმენტულ და საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილ ხასიათს ატარებს და შესაბამისად, ნაკლებად არის შედეგზე ორიენტირებული. თავად მცირე ბიზნესის სტატუსიც კი, განსაზღვრულია მხოლოდ „საქართველოს საგადასახადო კოდექსით“ (თავი XII, „საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი“) და ისიც, მხოლოდ საგადასახადო მიზნებისათვის. მასთან, არსებული კანონმდებლობით, საქართველოში მცირე ბიზნესად ითვლება მხოლოდ გარკვეული კატეგორიის ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა და რეალური ბიზნეს სექტორი, ანუ სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები (მაგალითად: შპს, კოოპერატივი), ავტომატურად აღნიშნული სტატუსის მიღმა რჩებიან. ქვეყანაში არ არსებობს რაიმე სახის სპეციალური ინსტიტუცია ან/და რეგულაცია, რომლითაც რეგულირდება სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მცირე ბიზნესთან მიმართებაში. მცირე ბიზნესის პრიორიტეტულობის უზრუნველყოფისა და მისი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით, აუცილებელია ქვეყანაში გატარდეს რიგი სამართლებრივი და სტრუქტურული რეფორმები, კერძოდ:

- უნდა შეიქმნას „მცირე ბიზნესის სააგენტო“, რომელიც იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო სააგენტო. იგი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ქვეყანაში მცირე ბიზნესთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში, კოორდინაციასა და მონიტორინგს გაუწევს ქვეყანაში მცირე ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხებს და განხორციელებულ სახელმწიფო პოლიტიკას. მსგავსი ინსტიტუტები და სახელმწიფო რეგულაცია სხვადასხვა ფორმით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით ფუნქციონირებს. მაგალითად, „მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია“ აშშ-ში, „ბიზნესის, საწარმოების და რეფორმების დეპარტამენტი“ დიდ ბრიტანეთში;
- შეიქმნას „მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი“, რომლის მიზანია ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით სპეციალური საკრედიტო და საინვესტიციო ფინანსური რესურსების აკუმულირება და მიზნობრივი პროგრამების განხორციელების ორგანიზება მცირე ბიზნესისთვის იაფი საკრედიტო რესურსის მიწოდების ხელსაყრელი პირობების უზრუნველსაყოფის გზით;

- მიღებულ იქნას „სტატუსი მცირე ბიზნესის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს მცირე ბიზნესის რეალურ სტატუსს და დაარეგულირებს მასთან დაკავშირებულ ყველა სამართლებრივ საკითხებს. კერძოდ, მცირე ბიზნესის სტატუსი უნდა მოიცავდეს მცირე, საშუალო და მიკრო საწარმოებს და აღნიშნული სტატუსი უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ ფიზიკური პირების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ყველა საწარმოზე. ხოლო, მათი დივერსიფიცირება უნდა მოხდეს განხორციელებული საქმიანობის მასშტაბის და დასაქმებულთა რიცხოვნობის მიხედვით: 1. მიკრო საწარმო – რომლის საშუალო წლიური ბრუნვა არ აღემატება 50000 ლარს (მაქსიმალური დღიური ბრუნვა 136,9 ლარი) და რომელშიც დასაქმებულთა მაქსიმალური რიცხოვნობა არ აღემატება 3 კაცს; 2. მცირე საწარმო – რომლის საშუალო წლიური ბრუნვა შეადგენს 50000 ლარიდან 365000 ლარამდე (მაქსიმალური დღიური ბრუნვა 1000 ლარი) და რომელშიც დასაქმებულთა მაქსიმალური რიცხოვნობა არ აღემატება 30 კაცს; 3. საშუალო საწარმო – რომლის საშუალო წლიური ბრუნვა შეადგენს 365000 ლარიდან 1 მილიონ ლარამდე (მაქსიმალური დღიური ბრუნვა 2739,7 ლარი) და რომელშიც დასაქმებულთა მაქსიმალური რიცხოვნობა არ აღემატება 100 კაცს.
- მცირე ბიზნესისთვის უნდა დაწესდეს საგადასახადო აღრიცხვის მინიმალური და ანგარიშგების გამარტივებული რეჟიმი. საგადასახადო დეკლარირების პრაქტიკა უნდა ითვალისწინებდეს ფისკალურ ორგანოებში ფინანსური საქმიანობის ამსახველი მხოლოდ ერთი დეკლარაციის და ისიც, მხოლოდ წელიწადში ერთხელ წარდგენას;
- საჭიროა დამკვიდრდეს ე.წ. „მცირე ბიზნესის ტესტის“ პრაქტიკა, რაც გულისხმობს შემდეგს – ქვეყანაში დაგეგმილი ნებისმიერი სახის საკანონმდებლო ინიციატივა, ცვლილება ან/და ადმინისტრაციული რეფორმა გადის ე.წ. „მცირე ბიზნესის ტესტს“, ანუ რამდენად ეხება მოსალოდნელი ახალი ინიციატივა, ცვლილება ან რეფორმა მცირე ბიზნესის ინტერესებს და ხომ არ უშლის ხელს ან ზღუდავს ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებას. ხელის შემშლელი ან შემზღუდავი გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში, ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, ცვლილება ან რეფორმა ავტომატურ რეჟიმში იბლოკება. აღნიშნული პრაქტიკა წარმატებით ფუნქციონირებს ევროკავშირის ქვეყნებში. კერძოდ: 2008 წელს ევროკავშირში მიღებული იქნა „მცირე ბიზნესის აქტი“, რომელიც სწორედ ზემოთაღნიშნულ პრინციპებზეა (თჰინკ ჟირსტ შმალლ ჟრინციპლე) აგებული. 5. ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა საკრედიტო და საინვესტიციო რესურსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა წარმოადგენს ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაჯანსაღებისა და განვითარებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას.

მცირე ბიზნეს სექტორისათვის, რომელიც თავის თავში მცირე საშუალო და წვრილ საწარმოო სექტორს და მომსახურების სფეროს მოიცავს და ქვეყანაში რეალურად მთავარ დამსაქმებლად უნდა გვევლინებოდეს, მნიშვნელოვნად არის შეზღუდული წვდომა საკრედიტო და საინვესტიციო რესურსებზე. აღნიშნული, უმთავრესად სამი ძირითადი ფაქტორით არის განპირობებული. კერძოდ:

- საკრედიტო და საინვესტიციო რესურსების სიძვირე, რაც მცირე ბიზნესს საშუალებას არ აძლევს ბაზარზე, ისედაც არათანაბარი კონკურენტული გარემოს პირობებში, კონკურენტული და ეფექტური გახადოს „ძვირი“ ფინანსური რესურსი და მისი გამოყენებით წარმოებული პროდუქცია ან განეული მომსახურება;
- სესხის და საინვესტიციო რესურსის მიღების პროცედურების სირთულე, რაც უშუალოდ უკავშირდება საბანკო თუ საინვესტიციო ინსტიტუტების მიერ ბიზნეს სესხების გაცემის ან ინვესტიციების განხორციელების გართულებულ პროცედურებს და ამ პროცედურებთან დაკავშირებულ ბიუროკრატიულ ბარიერებს;
- სესხის და საინვესტიციო რესურსების მოძიების და მოზიდვის უნარების არ ცოდნა ან/და არასაკმარისი კვალიფიკაცია, რაც ბაზრების, პროდუქტების ან მომხმარებლების კვლევის საკითხებთან, სასესხო განაცხადის და საინვესტიციო პროექტების კვალიფიციურად მომზადებასთან, შესაბამისი ბიზნეს და ფინანსური გათვლებისა ან დასაბუთებების მომზადებასთან არის დაკავშირებული. არსებული სირთულე-

ების დაძლევის საშუალებას წარმოადგენს ქვეყანაში სპეციალური ინსტიტუციის და სისტემის შექმნა, რაც სწორედ ზემოთაღნიშნული სამი ფაქტორით გამოწვეული პრობლემების დარეგულირებაზე იქნება ორიენტირებული. კერძოდ, ქვეყანაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის „მცირე ბიზნესის განვითარების ფონდის“ (შემდგომში, „ფონდი“) შექმნა.

აღნიშნული პრაქტიკა კარგადაა აპრობირებული და წარმატებით გამოიყენება დასავლეთის მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამ ქვეყნებში მცირე ბიზნესისათვის იაფ ფინანსურ რესურსებზე წვდომის ამაღლებას, მცირე ბიზნეს საქმიანობის დაწყების (start-up) გამარტივებას და შესაბამისად მათი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. ფონდის სამი ძირითადი მიზანია:

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების და ზრდის სტიმულირება;
- დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება;
- ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების სტიმულირება. ფონდის ამოცანებია:
- მცირე ბიზნესის (მცირე, საშუალო, წვრილი სანარმოები) განვითარების ხელშეწყობისა და საქმიანობის დაწყების (start-up) ხელშეწყობი გარემოს შექმნის მიზნით, სპეციალური მიზნობრივი პროგრამების განხორციელების ორგანიზება მცირე ბიზნესისთვის იაფი საკრედიტო და საინვესტიციო რესურსის, ფინანსური რესურსების აკუმულირების და მიწოდების ხელსაყრელი პირობების უზრუნველსაყოფად;
- მცირე ბიზნესისთვის სპეციალური ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა მათთვის შესაბამისი ბიზნეს უნარების ამაღლების, ბიზნეს და სამართლებრივი კონსალტინგის განხორციელების, საინვესტიციო და სხვა სახის ბიზნეს პროექტების, ფინანსური გათვლებისა და დასაბუთებების კვალიფიციურად მომზადების, მარკეტინგული კვლევების ჩატარების და ამ კვლევებზე ხელმისაწვდომობის მიზნით. ფონდის დამფუძნებელი და მის ფინანსურ ვალდებულებებზე პასუხისმგებელი არის სახელმწიფო. ფონდის ფინანსური წყაროებია:
- სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი ტრანსფერი – „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს ფონდის საქმიანობის პირველი 5 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველწლიური შემოსავლების 1%-ის მიზნობრივად მიმართვას ფონდის საბრუნავი კაპიტალის (ძირითადად საკრედიტო კაპიტალის) ფორმირებაზე, რაც ყოველწლიურად საშუალოდ 70 მილიონ ლარს, ხოლო 5 წლის განმავლობაში 350 მილიონ ლარს შეადგენს;
- ფონდის გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების (ობლიგაციები) ემისია, რომელიც გამყარებული იქნება სახელმწიფო გარანტიით. ემისია განხორციელდება ყოველწლიური ტრანშების სახით 5 წლის განმავლობაში და წლიური ემისიის მოცულობა იქნება საშუალოდ 60 მილიონი ლარი, რაც 5 წლის განმავლობაში 300 მილიონ ლარს შეადგენს;
- საერთაშორისო დონორებისგან მცირე ბიზნესის განვითარებისათვის მოზიდული თანხები. ფინანსური რესურსის მოზიდვა განხორციელდება ყოველწლიური ტრანშების სახით 5 წლის განმავლობაში და წელიწადში მოზიდული ფინანსური რესურსის მოცულობა იქნება 30 მილიონი ლარი, რაც 5 წლის განმავლობაში 150 მილიონ ლარს შეადგენს. შედეგად ფონდის საბრუნავი კაპიტალი იქნება წელიწადში 160 მილიონი ლარი, რაც 5 წლის განმავლობაში 800 მილიონ ლარს შეადგენს. ფონდი ახორციელებს მცირე ბიზნესის განვითარების და ხელშეწყობის პროექტების მართვას. თავად ფონდის ფინანსური სახსრების ოპერაციულ მართვას ანუ, სესხების ან საინვესტიციო თანხების გაცემას ფონდის მიერ წინასწარ განსაზღვრული წესებისა და პირობების შესაბამისად ახორციელებენ შესაბამის სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებული საბანკო და სხვა ფინანსური ინსტიტუტები. კერძოდ: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საინვესტიციო კომპანიები.

ფონდის მიერ მცირე ბიზნესის განვითარების და ხელშეწყობის პროექტების ფარგლებში გასაცემი საკრედიტო და საინვესტიციო პროდუქტების ძირითადი მახასიათებლებია:

- • მიკრო სესხი – 0-დან 3 ათას ლარამდე;

- მცირე სესხი – 3 ათასიდან 25 ათას ლარამდე;
- საპროცენტო განაკვეთი – წლიური 6%-მდე ;
- დაფარვის პერიოდი – 3-დან 24 თვემდე. მათ შორის, ერთ წელზე ხანგრძლივი საკრედიტო ხელშეკრულებებისათვის სესხის დაფარვის 3 თვიანი საშელავათო პერიოდით;
- მიზნობრიობა – ძირითადი კაპიტალის შექმნა, საბრუნავი კაპიტალის შევსება, სალიზინგო ოპერაციები მარკეტინგული კვლევები და კამპანიები;
- პრიორიტეტულობა – წარმოება, მომსახურების სფერო, სასოფლო სამეურნეო პროდუქტების პირველადი წარმოება და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავება, ექსპორტზე ორიენტირებული საქმიანობა;
- არ დაფინანსდება – თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება, აზარტული თამაშების ორგანიზება და სათამაშო ბიზნესი, იმპორტის ოპერაციები, გარდა ძირითადი საშუალებების შექმნისა. ფონდის მიერ მცირე ბიზნესის განვითარების და ხელშეწყობის პროექტების ფარგლებში შესაძლებელია ყოველწლიურად საშუალოდ 10000 პროექტის განხორციელება, რაც 4 წლის განმავლობაში 40000 მცირე ბიზნესპროექტს შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ფონდის მიერ განხორციელებულმა თითოეულმა მცირე ბიზნესპროექტმა შესაძლებელია დამატებით საშუალოდ 4 სამუშაო ადგილი შექმნას, მოსალოდნელია მხოლოდ მცირე ბიზნესში წლის განმავლობაში დამატებითი 40000 სამუშაო ადგილის შექმნა, რაც 4 წლის განმავლობაში 160000 დამატებით სამუშაო ადგილს შეადგენს.

ფონდის მართვა:

- ფონდის საქმიანობა ეფუძნება გამჭვირვალობის და საჯაროობის პრინციპს;
- ფონდის მართვას განხორციელებს 12 წევრისაგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.
- ფონდის სამეთვალყურეო საბჭოში ქვოტები ნაწილდება შემდეგი პროპორციით: საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები – 2 წევრი; აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები – 2 წევრი; მცირე ბიზნესის სააგენტო – 1 წევრი; ბიზნეს ომბუდსმენის აპარატი – 1 წევრი; საქართველოს საბანკო ასოციაცია – 1 წევრი; მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაცია – 1 წევრი; ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლები – 4 წევრი.
- ფონდის სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურ ანგარიშს აბარებს საქართველოს პარლამენტს და იგი ექვემდებარება ყოველწლიურ სავალდებულო საჯარო გამოქვეყნებას. ფონდის მიერ მცირე ბიზნესის განვითარებისა და ქვეყანაში სამენარმოე უნარების სრულყოფა-განვითარების მიზნით იქმნება რეგიონალური ბიზნეს ინკუბატორები, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა მცირე ბიზნესისთვის (მცირე, საშუალო და წვრილი სანარმოები) ადგილებზე შემდეგი სახის მომსახურების განევა:
- საკონსულტაციო მომსახურება ბიზნესის ორგანიზებისა და დანეების სამართლებრივ საკითხებზე;
- საკონსულტაციო მომსახურება საგადასახადო აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე;
- საკონსულტაციო მომსახურება საინვესტიციო და სხვა პროექტების, საბანკო და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან სესხის მისაღებად საჭირო აუცილებელი ფინანსური გათვლებისა და დასაბუთებების კვალიფიციურად მომზადების საკითხებზე;
- საკონსულტაციო მომსახურება ბაზრების, პროდუქტების და მომხმარებლების მარკეტინგული კვლევების ჩატარების საკითხებზე.

სოფლის მეურნეობა

საქართველოს სოფლებში მოსახლეობას უმძიმეს პირობებში უწევს ცხოვრება. აშკარად თვალშისაცემია, რომ სოფლად ცხოვრების დონე ბევრად ჩამორჩა ქალაქში ცხოვრების დონეს და ეს ძალიან მძიმედ აისახება მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფაზე. სამწუხაროდ, საქართველოს სოფლების უმეტესობაში არ იგრძნობა, რომ

ცივილიზებული სამყარო 21-ე საუკუნეში ცხოვრობს და მისი უახლესი მიღწევების სიკეთით სარგებლობს. საქართველოს სოფლებში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეა და მოსახლეობა მინას ხარებით ხნავს, არ აქვს გზა, გაზი, წყალი. სოფლად ცხოვრობს ახალგაზრდა თაობა, რომლისთვისაც ინტერნეტ მიუწვდომელი ფუფუნებაა. სოფლის მცხოვრებთათვის ხელმიუწვდომელია ჯანდაცვა, მისი დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველია და უამრავ პრობლემას აწყდება, როცა კუთვნილ ფინანსურ დახმარებას ან სამედიცინო დაზღვევის პოლისს ითხოვს.

სოფელში ასეთ ვითარებას განაპირობებს ის, რომ გლეხს არ აქვს მიწის დამუშავების საშუალება: ძალიან ძვირია სანვავი, არ არის საკმარისი რაოდენობით ტრაქტორი. დღეს სულ 600 ერთეული ტრაქტორია, მაშინ როცა ქვეყანას მინიმუმ 5000 ცალი ტრაქტორი მაინც სჭირდება. ასევე ძალზე ძვირია და მოსახლეობა ვერ ყიდულობს სასუქს, შხამ-ქიმიკატებს. სოფლების მიწები, სათიბები, საძოვრები ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაა და არა თვითონ სოფლის, ამიტომ ისე იყიდება, სოფელი ვერც გებულობს. სოფლებში აღარ არის სანარმოები, რომლებიც ადრე იყო – ფერმა, მეფრინველეობის ან ჩაის ფაბრიკა, სასათბურე მეურნეობა, სახერხი საამქრო. არც ერთ პოლიტიკურ ძალას, არც ერთ ეტაპზე, ქართული სოფელი ფართომასშტაბიანი კამპანიის საგნად არ უქცევია.

ჩვენ მოვახერხეთ, სოფელი გვექცია ქართული პოლიტიკის დომინანტურ თემად და ვაიძულეთ ხელისუფლება და სხვა პოლიტიკური ძალები, რომ ამ მიმართულებით მეტი ძალისხმევა გამოეჩინათ. ჩვენ გაგვარჩნია სოფლად კრიზისული სიტუაციის დაძლევის და ქართული სოფლის აღორძინების დეტალურად განერილი პროგრამა, რომლის განხორციელებაც მომავალ პარლამენტში 4 წლის განმავლობაში ჩვენთვის ერთერთი უმთავრესი საზრუნავი იქნება. გლეხს ხელის შეწყობა უნდა.

ამიტომ ჩვენ პირველ რიგში გლეხისთვის და ფერმერისთვის ფულზე ხელმისაწვდომობისათვის შევქმნით

- „**სასოფლო ბანკს**“, საიდანაც ისინი კრედიტს აიღებენ თითქმის უპროცენტოდ (წლიური 4 %).
- **სოფლად გლეხი უნდა დასაქმდეს.** ხელი უნდა შევუწყოთ ფერმერებს, მენარმეებს სოფლებში ააშენონ მეფრინველეობის ფაბრიკები, ფერმები, ყველის მინი-ქარხნები, სახერხები, და ა.შ. თითო სანარმო ყოველ სოფელში უნდა იყოს.
- **უნდა გავაიაფოთ სანვავი**, რომელიც გლეხს მიწის დამუშავებისთვის სჭირდება. ამ მიზნით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სანვავი უნდა გათავისუფლდეს დღგ-სგან და აქციზის გადასახადისგან. ტრაქტორისთვის და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისთვის განკუთვნილი სანვავი უნდა იყოს მარკირებული, ანუ ჰქონდეს სხვა შეფერილობა და ამით უნდა იქნას აცილებული თავიდან სხვა ტიპის მანქანებისთვის მისი გამოყენება. ამ შემთხვევაში ერთი ლიტრი დიზელის ფასი 55-60 თეთრით გააიფუძება.
- ჩვენ გამოვედით წინადადებით ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ქუთაისის სატრაქტორო ქარხანაში **დაიწყოს ტრაქტორების წარმოება და ქვეყანაში მისი რაოდენობა 5000 ერთეულამდე გაიზარდოს.** ყველა სოფელს უნდა ჰყავდეს ტრაქტორი.
- სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს გლეხს **სასუქის საფასურის ნაწილი**, ისე, როგორც ეს მეზობელ თურქეთშია.
- პირველივე კანონი, რომელსაც „ახალი მემარჯვენეები“ პარლამენტში შევიტანთ იქნება კანონი სოფლის შესახებ, რომელიც **სოფელს დაუკანონებს თავის სათიბს, საძოვარს, სახნავ-სათეს მიწებს.**

სოფლის მეურნეობის განვითარების და სოფლად ცხოვრების დონის ამაღლება უნდა იყოს ქვეყნის პრიორიტეტი. სოფლის მოსახლეობამ არა მარტო უნდა ირჩინოს თავი, არამედ შეძლებულად უნდა იცხოვროს. ქვეყნის სასიცოცხლო არტერია – ინტენსიური სოფლის მეურნეობა. ისტორიულად, საქართველო აგრარული ქვეყანაა, თუმცა ხელისუფლების, საქმიანი წრეების ან ინვესტორების მცირე ნაწილს თუ მიაჩნია ასე. ქვეყნის ძირითადი კურსი მიმართულია იქითკენ რომ, საქართველო გადაიქცეს რეგიონის საერთაშორისო ფინანსურ ცენტრად, შეასრულოს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო და ენერგოდერეფის ფუნქცია და ასევე, წარმოადგენდეს ტურისტებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ადგილს. საბოლოო მიზანს წარმოადგენს ჩამოყალიბდეს დივერსიფიცირებული ეკონომიკა სრული დასაქმებით და მუშახელისათვის მიმზიდველი

ანაზღაურებით, რაც სიღარიბის აღმოფხვრის საწინდარია. რეალურად, ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციის გზაზე სოფლის მეურნეობის უგულვებელყოფა მცდარი პოლიტიკაა. ეს თვალნათლივ დადასტურდა 2011 წლის პირველ ნახევარში, როდესაც მსოფლიო ბაზრებზე სურსათის ფასების მნიშვნელოვანმა (30%-ით და მეტი) ზრდამ გაამწვავა ინფლაციური პროცესები და საფრთხე შეუქმნა საქართველოს ფინანსურ სტაბილურობას. მიუხედავად ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიღწეული ეკონომიკური ზრდისა და სტრუქტურული რეფორმებისა, წინსვლა სათანადოდ არ აისახა ქვეყნის მოსახლეობაზე.

სიღარიბის და უმუშევრობის მაჩვენებლები კვლავ სტაბილურად მაღალია საქართველოში. ერთ-ერთი პოტენციური საშუალება ამ პრობლემის აღმოფხვრისათვის არის სოფლის მეურნეობის განვითარება, რომელსაც დიდი პოტენციალი გააჩნია. საბჭოთა მმართველობის პერიოდში სოფლის მეურნეობის წარმოება გაიზარდა 10-ჯერ. საქართველო ერთ-ერთი მოწინავე იყო ამ სფეროში, 1980-იან წლებამდე დარგში წარმოების მოცულობა ყოველწლიურად 10%-ით იზრდებოდა. სოფლის მეურნეობის ექსპორტი იმპორტს 70%-ით აჭარბებდა. სექტორში დაახლოებით 700 000 ადამიანი იყო დასაქმებული, რაც შეადგენდა მთლიანი სამუშაო ძალის 25%-ს. კვების გადამამუშავებელ მრეწველობაში რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი იყო დასაქმებული. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ სამოქალაქო ომებმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ დიდი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობის სექტორს. 1990 წლისათვის სურსათის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი იმპორტის მხოლოდ 25%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც 2005 წელს იგი 70%-ს აღწევდა, ხოლო 1990 წელს – 170%-ს. პარადოქსია, მაგრამ 2000 წლიდან სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა გაორმაგდა, მაშინ როდესაც ამ პერიოდიდან დაიწყო ეკონომიკის დივერსიფიკაცია და საპირისპირო ტენდენციას უნდა ჰქონოდა ადგილი. მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით დღეისათვის სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი დამატებითი ღირებულება 13 წლის წინ შექმნილი დამატებითი ღირებულების ნახევარზე ნაკლებია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოში, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა შეადგენს 1872 აშშ დოლარს წელიწადში, რაც ბევრად ჩამოუვარდება არა მხოლოდ განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობის მაჩვენებლებსაც. აღსანიშნავია ისიც, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში მხოლოდ 6%-ს შეადგენს, ანუ სოფლის მეურნეობის წარმოების 94% განკუთვნილია საკუთარი მოხმარებისათვის. თავის მხრივ შინამეურნეობების წილი მთლიან ნათეს ფართობებში შეადგენს 94%-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნეს ინტერესი დარგის მიმართ თითქმის ნულის ტოლია. დაბალეფექტიანობა პრობლემის მხოლოდ ნაწილი იქნებოდა დარგში არსებული ვითარებისა, სოფლის მეურნეობის სექტორში მუშახელის ნახევარზე მეტი რომ არ იყოს დასაქმებული. ოფიციალური სტატისტიკით საქართველოში 850 000 კაცია დასაქმებული სოფლის მეურნეობაში. მაგანმა შეიძლება იდაოს ამ მონაცემების სიზუსტეზე, მაგრამ ფაქტია, რომ სოფლად მცხოვრები მუშახელის უმრავლესობას არ გააჩნია დასაქმების ალტერნატიული საშუალება.

უკანასკნელ პერიოდში გამოიკვეთა საშიში ტენდენცია: საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში სოფლის მეურნეობა იმდენად დაბალშემოსავლიანია, რომ ხშირ შემთხვევაში მოსახლეობა უარს ამბობს მიწის დამუშავებაზე და ურჩევნია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩენით გაურჩნდეს შემოსავლის ალტერნატიული წყარო – უმწეოთა დახმარება. *ქვემოთ ჩამოთვლილი და გაანალიზებულია ის ფაქტორები, რამაც გამოიწვია ასეთი სავალალო მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში:*

- **ინვესტიციები** სოფლის მეურნეობის სექტორში უკვე ორი ათეული წელია მნიშვნელოვანი ინვესტიციები არ განხორციელებულა;

- 1992 წლიდან მოყოლებული ირიგაციის სისტემამ მოშლა დაიწყო. სარწყავი მიწების საერთო ფართობი ამის გამო 552 000 ჰექტარიდან 290 000 ჰექტარამდე შემცირდა არადა ირიგაცია და მელიორაცია ერთ-ერთი მთავარია მოსავლიანობისათვის;

- ამ პერიოდის განმავლობაში განადგურდა სოფლის მეურნეობის ტექნიკის უმეტესობა. ამორტიზირებული საბჭოთა ტექნიკა ვერ იძლევა წარმოებისთვის საჭირო ეფექტს, ამასთან, მთავრობის თუ დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამებით შემოყვანილი ტექნიკის რაოდენობა მცირეა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მანქანა – დანადგარების და პროდუქციის შესანახი მაცივრების უმრავლესობა განადგურდა ან ჯართად იქნა ჩაბარებული;

- ასევე იქნა განადგურებული სატრანსპორტო ქსელი, **ინფრასტრუქტურა და მონყობილობები**, რაც ზრდის ბაზარზე პროდუქციის მოხვედრის დანახარჯებს;

- **რუსეთის ემბარგომ**, რომელიც პროდუქციის გასაღების ტრადიციულ ბაზარს წარმოადგენდა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობას, 2005 წლის ბოლოდან აიკრძალა ხილისა და ბოსტნეულის, ხოლო 2006 წლის დასაწყისიდან – ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტი. 2006 წელს საქართველოში ექსპორტი 115 მილიონი დოლარით შემცირდა, საიდანაც დახლოებით 2/3 სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოდის. მცირე გამოცოცხლება შეინიშნებოდა 2008 წლამდე, რომელიც შეწყდა რუსეთ-საქართველოს ომის და საერთაშორისო ფინანსური კრიზისის გამო. სერიოზული პრობლემები შექმნა ომის შედეგად შიდა ქართლისთვის მიყენებულმა ზიანმა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული რეგიონია საქართველოში. არაოფიციალური ექსპორტი, რომელიც სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის გავლით, ფარულად ხორციელდებოდა რუსეთში შეწყდა ადმინისტრაციულ საზღვარზე სამხედრო კონტროლის გაძლიერების გამო. რუსეთის ბაზრის დაკარგვას გრძელვადიანი შედეგები ექნება ამ დარგისთვის;

- **მთავრობის პოლიტიკა** - მთავრობას გააჩნია სამი ფუნდამენტური ამოცანა: *მოახდინოს ქვეყნის მოდერნიზება, მოახდინოს აქტივების და სერვისების პრივატიზაცია და შექმნას ხელსაყრელი ბიზნეს გარემო*. 2011 წლამდე სოფლის მეურნეობა არ წარმოადგენდა მთავრობის პრიორიტეტს. თუმცა მთავრობის მხრიდან იყო ცალკეული, არც თუ წარმატებული მცდელობები, შეხშიანებოდა სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ პრობლემებს: ე.წ. „იაფი კრედიტი“, „ბურების“ ჩამოსახლების პროგრამები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ნავთობპროდუქტებისა და სასუქის დარიგება სოფლად წარმოადგენდა ერთჯერადი ხასიათის მცდელობებს, რომელიც გათვლილი იყო პოპულისტურ შედეგზე და არ ისახავდა რაიმე სერიოზული ცვლილებების დაწყებას ამ დარგში. ხშირ შემთხვევაში ასეთი პროგრამების განხორციელება ზრდის საბიუჯეტო დანახარჯებს, აჩენს ინფლაციურ მოლოდინებს და პრაქტიკულად ნულოვანი ეფექტის მომტანია.

მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის უგულვებელყოფა საბიუჯეტო მაჩვენებლებითაც მტკიცდება. რუსეთის მიერ ემბარგოს შემოღების შემდგომ დარგის დაფინანსება გაიზარდა, თუმცა უმნიშვნელოდ. 2011 წელს საერთაშორისო ბაზრებზე პროდუქციის გაძვირებამდე, მთავრობის ფინანსური გათვლებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსებას 2013 წლისათვის უნდა შეედგინა 18.2 მლნ ლარი, ანუ ბიუჯეტის მხოლოდ 0,4%. დ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობები სამინისტროს არ შესწევს უნარი გაუმკლავდეს დარგში არსებულ გამოწვევებს. უწყებას არ გააჩნია სტრატეგია ან პოლიტიკის დოკუმენტი. სამინისტროში, ისევე როგორც მთლიანად მთავრობაში, ხშირია მინისტრების ცვლა, რასაც მოსდევს ხედვის ცვლილება და აპარატის რეორგანიზაცია. ბოლო 5 წლის მანძილზე სამინისტროს პერსონალი შემცირდა 70%-ით და ფუნქციების ნაწილი გადაეცა კერძო სექტორს (მაგ. ვეტერინარული და ფიტოსანიტარული სამსახურები).

- **განათლება, კვლევა და კონსულტაციები** ამ მიმართულებით საქართველოში დღეს მხოლოდ მცირედი კეთდება. მთავრობის ხედვაა, რომ ეს მთლიანად კერძო ბიზნესის საქმეა და სახელმწიფოს ჩარევას არ საჭიროებს. სოფლის მეურნეობაში ჩატარებული მცირერიცხოვანი კვლევები არ არის დაკავშირებული სფეროში არსებულ პრობლემებთან ან პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენასთან. შემცირდა სასოფლო-სამეურნეო პროფილის პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა, აგრარულ უნივერსიტეტს გააჩნია მოძველებული ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებები და მწირი დაფინანსება. პროფესიული მომზადების/გადამზადების ცენტრები, რომელიც ქვეყანაში ფუნქციონირებს ან არ იძლევა საფუძვლიან ცოდნას და ეს ცოდნა არასაკმარისია. ასევე, არ არის ნათლად ჩამოყალიბებული თუ როგორ გაუნევენ დარგისთვის მომზადებული სპეციალისტები

დახმარებას/მომსახურებას ფერმერებს. შესაბამისად, ფერმერების უმეტესობა საკუთარი თავის და ცოდნის იმედად არის მიტოვებული არსებულ პრობლემებთან გასამკლავებლად.

- **დაავადებები** - სოფლის მეურნეობის დარგი ბოლო წლების განმავლობაში სერიოზულად დაზარალდა ეპიდემიებით, როგორც მემცენარეობის, ასევე მეცხოველეობის სფეროში. საზღვრებზე ფიტო-სანიტარული კონტროლის გაუქმებამ, ისევე როგორც ვეტერინარული სერვისების დაფინანსების შეწყვეტამ დრამატულად იმოქმედა სექტორზე. მართალია, ქათმის გრიპი საქართველოში მასობრივად არ გავრცელებულა, მაგრამ მან შეამცირა ფრინველის მოხმარება 2007-2008 წლებში. სამაგიეროდ, აფრიკული ღორის ჭირმა, რომელიც 2008 წელს გავრცელდა ქვეყანაში, დრამატულად შეამცირა ღორის სულადობა და საქართველო რამდენიმე წლით დამოკიდებული გახდა იმპორტზე. მემცენარეობის სექტორში ფართოდ გავრცელდა მღრღნელები, კალიები, ე.წ. "თეთრი პეპელა" და სხვადასხვა სახის პარაზიტული დაავადებები და მათ წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის გარეშე ცალკეული ფერმერების მიერ განხორციელებული ერთჯერადი ინტერვენციები არაპროდუქტიულია.

- **კრედიტების ხელისაწვდომობა** - მიუხედავად ფინანსურ სახსრებზე დიდი მოთხოვნისა, სოფლის მეურნეობის სფეროსთვის კრედიტები პრაქტიკულად ხელმიუწვდომელია. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2011 წლის ივლისის მდგომარეობით კომერციულ ბანკებს 6 თვეში გაცემული აქვთ 812 მილიონი ლარის სესხი იურიდიულ პირებზე, სადაც სოფლის მეურნეობის წილი მხოლოდ 3 მილიონი ლარია, ანუ მთელი თანხის მხოლოდ 0,3%. კომერციული ბანკების დაბალი ინტერესი სექტორის მიმართ აიხსნება მაღალი რისკით სოფლის მეურნეობაში, ასევე ნაკლები მიმზიდველობით ისეთ სექტორებთან მიმართებაში, როგორიცაა მშენებლობა ან ვაჭრობა და ფინანსური შუამავლობა. ამას, ასევე, ემატება ფერმერების (განსაკუთრებით წვრილი) უუნარობა შეიმუშავონ გამართული ბიზნეს გეგმა, ან სხვა სათანადო დოკუმენტაცია.

- **დაზღვევა** - მიუხედავად იმისა, რომ სადაზღვევო სექტორი ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ სწრაფად ვითარდება საქართველოში, სოფლის მეურნეობის სექტორი სადაზღვევო კომპანიებისთვის არ არის მიმზიდველი. ამის მიზეზია სოფლის მეურნეობაში სტიქიური უბედურებების სისშირით გაზრდილი რისკები და დარგის დაბალი პროდუქტიულობა.

- **მინა** - 1992 წლიდან სახელმწიფომ დაიწყო მინაზე საკუთრების უფლების გადაცემა ქალაქად და სოფლად მაცხოვრებელთათვის. საკუთრებაში გადასაცემი სასოფლო სამეურნეო მიწის მთლიანი ფონდი შეადგენდა 763 000 ჰექტარს. სოფლად მცხოვრებთ შეხვდათ საშუალოდ 1.25 ჰექტარი, ხოლო ქალაქად მაცხოვრებლებს – კიდევ უფრო ნაკლები. 464 000 ჰექტარი დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში, რომლისგან 299 000 ჰექტარი იჯარით გაიცა ფერმერებზე. დარჩენილი 165 000 ჰექტარი დარჩა სახელმწიფოს საკუთრებაში და სარგებლობაში. საბოლოო ჯამში, 2005 წლისათვის ფერმერთა სარგებლობაში იმყოფებოდა დაახლოებით 1 000 000 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა. 2005 წელს ჩატარდა სასოფლო სამეურნეო მიწების აღწერა და გამოვლინდა რომ 726 021 პირს აქვს მფლობელობაში მიწა, რომლის საშუალო ფართობი არის 1,37 ჰექტარი. დაახლოებით 140 000 პირს აქვს მიწა მფლობელობაში, რომლის ფართობი 0.2 ჰექტარზე ნაკლებია. დამატებით, 360 000 პირის მფლობელობაში არსებული მიწა 1 ჰექტარზე ნაკლებია. დაახლოებით 16 000 ფერმერს აქვს 4 ჰექტარი და მეტი მიწა მფლობელობაში, რაც მთელი სასოფლო სამეურნეო მიწის 40%-ს შეადგენს.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, სასოფლო სამეურნეო მიწა ძალიან დანაწევრებულია. პატარ-პატარა ნაკვეთები არაეფექტურია სასოფლო სამეურნეო წარმოების თვალსაზრისით, ასევე მიწის ნაწილი მოცდენილია შიდა გზების და დამაკავშირებელი ბილიკების გამო. წვრილი ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ან სამეურნეო ნოვაციების შეძენა/დანერგვა არარენტაბელურია. ზემოთ მოყვანილი პრობლემების გამო, სასოფლო-სამეურნეო მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუმუშავებელია. ამასთან, საგადასახადო კოდექსის თანახმად, 5 ჰექტარამდე მიწის მფლობელები განთავისუფლებული არიან გადასახადებისაგან, რაც მფლობელებს არ უჩენს მოტივაციას იჯარით გასცენ ან სულაც განკარგონ გამოუყენებელი მიწა. კ. ფერმერები წვრილი ფერმერები მთელი რიგი გამოწვევების წინაშე დგანან.

ფერმერებს უჭირთ:

- ა) აიღონ კრედიტი გონივრული საპროცენტო განაკვეთით;
- ბ) შეიძინონ მაღალი ხარისხის თესლი;
- გ) შეისყიდონ ტექნიკა და მონყობილობები, რომლის გამოყენება მცირე ფართობზე, როგორც წესი, არარენტაბელურია;
- დ) მიიღონ ინფორმაცია აგრარულ სფეროში თანამედროვე მიღწევების შესახებ;
- ე) მოახდინონ საკუთარი პროდუქციის მარკეტინგი.

ამ პრობლემის დაძლევის ერთ-ერთი გზა იქნებოდა **ფერმერული კოოპერატივების** შექმნა. თუმცა, როგორც მთავრობაში, ასევე ფერმერებში კოოპერატივი ინვესს საბჭოთა კოლმეურნეობის ასოციაციას და მის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებაა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საგადასახადო კოდექსი მნიშვნელოვან შეღავათებს ითვალისწინებს ფიზიკურ პირებზე, რომლებიც დასაქმებულნი არიან სოფლის მეურნეობაში. გარდა 5 ჰექტრამდე მიწაზე არსებული ქონების გადასახადზე შეღავათისას, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირი გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან თუ ერთობლივი შემოსავალი წლიურად არ აღემატება 200 000 ლარს. სასოფლო სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირი მთლიანად არის გათავისუფლებული დამატებული ღირებულების გადასახადისაგან (გარდა რამდენიმე სახის პროდუქციის, მაგ კვერცხის წარმოებისას).

სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობაში დაწესებული საგადასახადო შეღავათები არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე. შესაბამისად, ფერმერების მიერ კოოპერატივების ან ამხანაგობების დაფუძნება არამომგებიანია.

1. სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბება ბიზნესისთვის მიმზიდველ დარგად

ა. საგადასახადო შეღავათების შემოღება მიზანშეწონილია საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადით ფიზიკურ პირთათვის განსაზღვრული საგადასახადო შეღავათები გაერცვლდეს იურიდიულ პირებზეც. ეს ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ბიზნესდარგად ჩამოყალიბებას. დამატებით, ის იურიდიული პირები, რომლებიც უშუალოდ სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის წარმოებაში განახორციელებენ 500 000 ლარზე მეტის ინვესტიციას, 4 წლის განმავლობაში გათავისუფლებიან მოგების გადასახადისაგან, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის გადამამუშავებელ წარმოებაში ინვესტიციის განხორციელების შემთხვევაში – მოგების გადასახადისაგან. ანალოგიური მეთოდი სახელმწიფომ უკვე გამოიყენა ტურიზმის სფეროში ქობულეთის და ბათუმის ტურისტულ ზონებში, რამაც ხელი შეუწყო მის განვითარებას. აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული საგადასახადო შეღავათების შემოღება არ გამოიწვევს საგადასახადო შემოსავლების შემცირებას, ვინაიდან ინდივიდუალური ფერმერები, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის 95%-ს აწარმოებენ, ისედაც გათავისუფლებულნი არიან გადასახადებისაგან.

ბ. საკრედიტო რესურსის ხელმისაწვდომობა

სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად მნიშვნელოვანია საკრედიტო რესურსის გააფხვება. წვრილი და საშუალო ფერმერების საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში მიზანშეწონილია გამოიყოს სახსრები, რომელიც მოახდენს საბანკო პროცენტის მთლიანად ან ნაწილობრივ სუბსიდირებას. ამასთან, ჩვენი აზრით, მხოლოდ საკრედიტო რესურსის გააფხვება გლეხური მეურნეობებისთვის შედეგს ვერ გამოიღებს. წვრილი ფერმერები, რომელთაც მიწის მხოლოდ მცირე ფარ-

თობი გააჩნიათ, ვერ მოახერხებენ ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჩამოყალიბებას. ამასთან, მიწის დამუშავების, პროდუქციის შენახვის, ტრანსპორტირების დანახარჯები მცირე ფერმერს გაცილებით დიდ ტვირთად დააწვება. ასევე, მაღალია რისკი მიღებული სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენებისა. გლეხურ მეურნეობებს გაუჭირდებათ გამართული ბიზნეს გეგმის შედგენა და შესაბამისად დაფინანსების მოპოვება. შეღავათიანი საკრედიტო რესურსი, პირველ რიგში, ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ფერმერული გაერთიანებებისათვის, რომლებიც დაფუძნდებიან ამხანაგობებად ან კოოპერატივებად. ამასთან, პირველ ეტაპზე, გაერთიანებების დაფუძნების ხელშეწყობისთვის მათი საჯარო რეგისტრაცია უფასო უნდა იყოს. შეღავათიანი კრედიტები პრიორიტეტულად გამოეყოფა იმ ფერმერულ გაერთიანებებს, რომელთაც მფლობელობაში აქვთ 40 ჰექტარი და მეტი მიწა, ჰყავთ 40 და მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და აერთიანებს მინიმუმ 2 და მეტ ფერმერს. მაღალმთიან რეგიონებში ეს მოთხოვნები შეიძლება უფრო ნაკლები იყოს. ფერმერული გაერთიანებები შეღავათიან სესხებს მიიღებენ კომერციული ბანკებიდან, სათანადოდ შედგენილი განაცხადის და გაანგარიშებული ბიზნეს გეგმების საფუძველზე. შეღავათიანი სესხი უნდა გაიცეს შემდეგი მიზნობრიობით:

- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება, მაღალპროდუქტიული თესლის, საკვების, შხამქიმიკატების შექმნა;
- ფერმის მოწყობა;
- სასათბურე მეურნეობის მოწყობა;
- პროდუქციის შესანახი ცენტრის (მათ. შორის მაცივრების) მოწყობა. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს ინიციატივა – შეიქმნას მსხვილი საწყობები პროდუქციის შესანახად, არაეფექტურია. პირველ რიგში ასეთი სახის საწყობები ორიენტირებული იქნება უმეტესად იმპორტირებული პროდუქციის დასაწყობებაზე, ვინაიდან ფერმერებისთვის ასეთ ცენტრებში საკუთარი პროდუქციის ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯები საკმაოდ მაღალი იქნება. მნიშვნელოვანია, რომ ფერმერებს საკუთარი პროდუქციის შენახვა შეეძლოთ ფერმასთან ახლოს და არა რამდენიმე ათეული კილომეტრის მოშორებით. სასათბურე მეურნეობების განვითარება მნიშვნელოვანია უწყვეტი (და არა სეზონური) სასოფლო-სამეურნეო ციკლის ჩამოყალიბებისათვის საქართველოში.

დარგს უნდა შეეძლოს პროდუქციაზე ადგილობრივი მოთხოვნის 70-80%-ის დაკმაყოფილება მთელი წლის მანძილზე. სასათბურე მეურნეობების ენერჯის წყაროდ შეიძლება გამოყენებულ იქნას თერმული წყლები, აგრეთვე მზის და ქარის ენერჯია. საქართველოს იაფი ენერჯის წყაროების მხრივ უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ფერმერული მეურნეობების ხელშეწყობისა და მათთვის შეღავათიანი კრედიტების ხელმისაწვდომობისათვის უნდა შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოახდენს საბანკო პროცენტის სუბსიდირებას მთლიანად ან ნაწილობრივ. სასურველია, ფერმერულ მეურნეობებზე გაიცეს წელიწადში 50-60 მილიონი ლარის კრედიტები. თუ გავითვალისწინებთ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც 30%-ია და ვიანგარიშებთ, რომ სახელმწიფო საბანკო პროცენტის 2/3-ის სუბსიდირებას მოახდენს პირველი 4 წლის განმავლობაში. ეს სახელმწიფო ბიუჯეტს დაუჯდება სულ 50 მილიონი ლარი, ანუ წელიწადში სულ 12.5 მილიონი ლარი.

გ. დაზღვევა

დაზღვევა ფართოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში აშშ-ს, ევროპის, ლათინური ამერიკის, აზიის და აფრიკის უმეტეს ქვეყანაში. მიუხედავად იმისა რომ მსოფლიოში დაზღვევის მრავალგვარი სისტემაა აპრობირებული (მოსავლის, შემოსავლის, მოსავლიანობის, ფასების და ა.შ), პირველ ეტაპზე საქართველოში მიზანშეწონილია სტიქიური მოვლენების წინააღმდეგ დაზღვევის ჩამოყალიბება. მხედველობაში გვაქვს სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხლით, ხანძრები და ამ ტიპის ბუნებრივი მოვლენები. სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, რომ საქარ-

თველოში მოსავლიანობაზე ამინდი 50% და მეტად ახდენს გავლენას. რაც შეეხება მეცხოველეობას, აქ ძირითადი რისკი ეპიდემიური დაავადებებია. იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობაში დაზღვევის სისტემა შეიქმნას ორი პირობის დაკმაყოფილებაა აუცილებელი. პირველ რიგში, დაზღვევამ უნდა მოიცვას ფერმერთა (როგორც მეცხოველეობაში, ასევე მემცენარეობაში დასაქმებული) მნიშვნელოვანი რაოდენობა, რათა სადაზღვევო შენატანი არ იყოს ძალიან მაღალი. მეორე რიგში, სახელმწიფომ უნდა იკისროს აქტიური როლი სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის დაზღვევის სისტემაში ყველა ქვეყანაში სახელმწიფო აქტიურ როლს თამაშობს. სოფლის მეურნეობაში დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება უნდა მოხდეს ვაუჩერული სისტემის გამოყენებით. სადაზღვევო ვაუჩერებმა უნდა მოიცვას მთელი ქვეყანა, პირველ ეტაპზე რამდენიმე საპილოტე რეგიონი.

სოფლის მეურნეობის სადაზღვევო ვაუჩერებმა უნდა მოიცვას სადაზღვევო ხარჯების მინიმუმ 50%-ის ანაზღაურება. ხარჯების დანარჩენი 50% ფერმერების, გლეხების თანამონაწილეობით დაიფარება. იმისათვის, რომ კუპონის განაღდება მოხდეს, ფერმერებმა ის უნდა წარუდგინონ სადაზღვევო კომპანიებს. თავის მხრივ, სადაზღვევო კომპანიები დააფიქსირებენ, თუ რა სახის პროდუქციის მოყვანას გეგმავენ ფერმერები, რა ფართობზე და რამდენი ტონა მოსავლის ალება ნავარაუდევი. ექსპერტული გათვლებით სადაზღვევო ხარჯებმა მემცენარეობაში შეიძლება შეადგინოს 55 ლარი 1 ჰექტარზე (მოსავლის ღირებულების 5,5%), ხოლო მეცხოველეობაში – 80 ლარი 1 სულ მსხვილფეხა საქონელზე (პირუტყვის ღირებულების 8%). თუ დაზღვევის ხარჯების ნახევარს სახელმწიფო დაფარავს, ეს წელიწადში შეადგენს სავარაუდოდ 81,25 მილიონ ლარს (1 მილიონი ჰექტარი სახნავ-სათეს მიწაზე და 1 მილიონი მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე გაანგარიშებით). სადაზღვევო სისტემის ამოქმედება მოაწესრიგებს სოფლის მეურნეობის სტატისტიკას; ხელმისაწვდომს გახდის დარგში დასაქმებულ ფერმერთა, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესახებ ინფორმაციას.

დ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების ხელშეწყობა

თუ არ ჩავთვლით მეღვინეობის სექტორს, დღეისათვის სასოფლო – სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები თითზე ჩამოსათვლელია. ხშირ შემთხვევაში ფერმერები მონეულ ჭარბ მოსავალს თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასადაც ყიდიან, ვინაიდან არ არსებობს პროდუქციის გასაღების ალტერნატიული საშუალება. ამავე დროს, სამომხმარებლო ბაზარზე ჭარბად არის მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან იმპორტირებული ბოსტნეულის თუ ხილის კონსერვი. მთავრობის პოლიტიკა ამ სფეროში უნდა ეფუძნებოდეს ადგილობრივი გადამამუშავებელი საწარმოების ხელშეწყობას. ამ მიზნით სასურველია ის ბიზნესმენები, რომლებიც დააფუძნებენ სასოფლო – სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებს, 4 წლის ვადით გათავისუფლდნენ ყველა ტიპის გადასახადისაგან.

ე. შხამქიმიკატები და პესტიციდები

საქართველოში შხამქიმიკატები და პესტიციდები ფერმერთა უმრავლესობისათვის ხელმიუწვდომელია. ეს განპირობებულია, ერთის მხრივ, მაღალი ფასით, რასაც ხელს უწყობს სფეროში მონოპოლიის არსებობა, რომელიც ძირითადად იმპორტზეა დამოკიდებული. მეორეს მხრივ, შხამქიმიკატების და პესტიციდების გასაღების ცენტრები არ არის განთავსებული მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში, რაც კიდევ უფრო აძვირებს ფასს ტრანსპორტირების ხარჯების გამო. სახელმწიფო პოლიტიკა ამ სეგმენტში უნდა წახალისოს კონკურენციამ. ვინაიდან შხამ-ქიმიკატების და პესტიციდების დიდი ნაწილი იმპორტირებულია, მაქსიმალურად კონკურენტული პირობები უნდა შეიქმნას ამ პროდუქციის შემოტანისთვის. სახელმწიფომ კონკურენციის ხელშეწყობის სააგენტოს მეშვეობით, ასევე აქტიური მონიტორინგი უნდა განახორციელოს შიდა ბაზარზე არსებულ საბითუმო ფასებზე. შხამ-ქიმიკატებსა და პესტიციდებზე ფერმერებისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სახელ-

მნიშვნელოვან უნდა გაატაროს საბოლოო ფასის ჩამოყალიბებაში თანამონაწილეობის პოლიტიკა – მყიდველისთვის, რომელიც პროდუქციას არ იძენს რეექსპორტის მიზნით, სახელმწიფოს თანადაფინანსების ხარჯზე მიღწეული უნდა იქნას ფასის მნიშვნელოვნად შემცირება. შხამ-ქიმიკატებზე და პესტიციდებზე ფასების 30-40%-ით შემცირების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს ყოველწლიურად 12.5 მილიონი ლარი. შხამ-ქიმიკატებსა და პესტიციდებზე ხელმისაწვდომობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანია ხარისხის კონტროლი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ვადაგასული ან უხარისხო საშუალებების ქვეყანაში შემოტანა. ამ მიზნით სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს ხარისხის კონტროლი და განახორციელოს შხამქიმიკატების და პესტიციდების იმპორტიორი და დისტრიბუტორი კომპანიების პროდუქციის სერტიფიცირება. ამ ღონისძიებების გატარებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს ყოველწლიურად დაახლოებით 13.2 მილიონი ლარი.

ვ. სანვაჯი

სანვაჯზე, განსაკუთრებით დიზელის სანვაჯზე მაღალი ფასის გამო, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ტექნიკით დამუშავება გლეხური და წვრილი და საშუალო ფერმერული მეურნეობებისათვის ხელმიუწვდომელია. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს აქტიური ჩარევა და ფერმერთათვის შეღავათების დაწესება. მიგვაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით იმპორტირებული სანვაჯი უნდა გათავისუფლდეს დამატებული ღირებულების და აქციზის გადასახადებისაგან, რაც მნიშვნელოვან შეღავათს მისცემს ფერმერებს. სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი სანვაჯის არადანიშნულებისამებრ გამოყენებისგან თავის არიდების მიზნით პროდუქტი უნდა დაექვემდებაროს სპეციალურ მარკირებას. გარდა ამისა, მარკირებული სანვაჯი უნდა გაიყიდოს სპეციალურ ქსელში, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი არადანიშნულებით გამოყენება. საგადასახადო შეღავათები გაზრდის სანვაჯის მოხმარებას სოფლის მეურნეობაში და მნიშვნელოვან დანაკარგს არ მოუტანს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს.

2. სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ა. სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია

რეაბილიტაციის პროგრამამ მიზნად უნდა დაისახოს საბჭოთა პერიოდისთვის არსებული სისტემის რეაბილიტაცია. რეაბილიტირებულმა სისტემამ უნდა მოიცვას 469 000 ჰექტარი ირიგირებული სახნავ-სათესი და 163 000 ჰექტარი დრენაჟირებული სახნავ-სათესი ფართობი. რეაბილიტაციის პროგრამა სავარაუდოდ მოიცავს 4-5 წელს და შემდეგ კომპონენტებს:

- ირიგაციის სისტემის რეაბილიტაცია

- დრენაჟის სისტემის რეაბილიტაცია

- მდინარეთა ნაპირ-სამაგრი და ირიგაციის სისტემის რეაბილიტაცია. 2001 წელს მსოფლიო ბანკის შეფასებით, ამ სისტემის რეაბილიტაციას სჭირდებოდა 30 მლნ აშშ დოლარი. ინფლაციის გათვალისწინებით, სისტემის რეაბილიტაციას დასჭირდება 50-55 მლნ აშშ დოლარი, ანუ, დაახლოებით 80 მილიონი ლარი. სავარაუდოდ, ყოველწლიურად ირიგაციის და დრენაჟის სისტემის რეაბილიტაციისთვის უნდა გამოიყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 20 მილიონი ლარი.

ბ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია

უკვე 15-20 წელიწადია ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა. სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციასთან ერთად მნიშვნელოვანია სავარგულებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაციაც. ხშირ შემთხვევაში ეს გზები მენყრების და დიდი ხნის მოუვლელობის გამო ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და სავარგულებთან მისვლა განსაკუთრებით მაღალი გამავლობის მქონე ტექნიკის გარეშე რთულია. პრობლემის გადაწყვეტის მიზნით აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ეტაპობრივად, 4 წლის განმავლობაში გამოიყოს სპეციალური ტრანსფერი მუნიციპალიტეტებისათვის, რომელიც უნდა მოხმარდეს სავარგულებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაციას და მოვლა – შენახვას. ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4 წლის განმავლობაში უნდა გამოიყოს 60 მილიონი ლარი, ანუ 15 მილიონი ლარი – ყოველწლიურად.

გ. მექანიზაცია

სურსათის წარმოების გაზრდის მიზნით აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების აღჭურვილობის შექმნისა და მომსახურების ცენტრების შექმნის ხელშეწყობა. დღეისათვის ქვეყანაში არსებული პარკი 7 ათასამდე ერთეულს ითვლის, საიდანაც 70%-ზე მეტს გასული აქვს ექსპლუატაციის ვადა, რაც ზრდის მათი ექსპლუატაციის ხარჯს, ამცირებს დამუშავების ხარისხს და აგროვადებში მათი გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად, აუცილებელია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში მექანიზაციის სერვისცენტრების მოწყობა და მათი აღჭურვა ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის 4 – წლიანმა პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (ტრაქტორები, კომბაინები და ა.შ) შექმნა და საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში დაფუძნებული მექანიზაციის ცენტრებისათვის გადაცემა ლიზინგის წესით.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექმნამდე გათვალისწინებულ უნდა იქნას თითოეული რეგიონის სპეციფიკა, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო ზონების და ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების ნათესების მიხედვით განსხვავებული სახის ტექნიკაა საჭირო. შესაბამისად, შექმნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული ადგილობრივ საჭიროებებს. 5000-მდე ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექმნას 4 წლის განმავლობაში დასჭირდება, სავარაუდოდ, 150 მილიონ ლარამდე, წელიწადში – 37.5 მილიონი ლარი.

3. ფერმერთა მომსახურება და კონსულტაცია

ფერმერთა კონსულტაციის სერვისების მოწყობა გადამწყვეტია სოფლის მეურნეობის დარგის აღორძინებისათვის. ამ სერვისის შექმნამ ხელი უნდა შეუწყოს ერთის მხრივ გადამდები დაავადებების პრევენციას, ხოლო მეორეს მხრივ, მოსავლის მისაღებად შხამქიმიკატების სწორ გამოყენებას. ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრები უნდა შეიქმნას ყველა მუნიციპალიტეტში, რომელსაც დაევალება ფერმერული და გლეხური მეურნეობებისათვის უფასო კონსულტაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით მუდმივ პროფესიულ ტრენინგს გაივლიან და ინფორმაციით მომარაგდებიან, ასევე, აგრონომები და ვეტერინარები, რომლებიც უნდა მუშობდნენ მუნიციპალიტეტების ყველა თემში.

ა. პროდუქტიული ჯიშების, სოფლის მეურნეობის თანამედროვე მიღწევების შესახებ ინფორმაციის გავრცელება

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მთლიანი სულადობის 70-75 პროცენტი დაბალპროდუქტიულია. იდენტური სიტუაციაა მემცენარეობის კუთხითაც. მნიშვნელოვანია, რომ ფერმერთა მუნიციპალურმა საკონსულტაციო ცენტრებმა, ასევე თითოეულ თემში ვეტერინარმა და აგრონომმა მოახდინონ ფერმერთა ცოდნის ამაღლება ამ მიმართულებით. ფერმერებს უნდა გაეჩინოს რეგულარული კონსულტაცია მეცხოველეობასა და მემცენარეობაში მაღალპროდუქტიული ჯიშების თაობაზე. ფერმერებს უნდა განემარტოს თუ რა სარგებელს ნახავენ ისინი სიახლეების დანერგვით, თუ როგორ შეუძლიათ მაღალპროდუქტიული ჯიშების შექმნა და როგორ უნდა მოხდეს მათი მოვლა. ფერმერულ მეურნეობებს შეღავათიანი სესხის პროგრამამ საშუალება უნდა მისცეს მაღალპროდუქტიული ჯიშები შეიძინონ სესხის საშუალებით.

ბ. პროდუქციის მიმღებ – გადამამუშავებელი ცენტრების, გასაღების ბაზრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება

მნიშვნელოვანია, რომ ფერმერები, საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით ფლობდნენ ინფორმაციას საქართველოში მოქმედი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმღებ-გადამამუშავებელი ცენტრების შესახებ. კერძოდ, ცენტრების მდებარეობის, მათი წარმოების მოცულობის, პროდუქციაზე დადგენილი ხარისხობრივი კრიტერიუმების თაობაზე. ასევე, მნიშვნელოვანია ფერმერებს ჰქონდეთ ინფორმაცია შიდა ბაზარზე სხვადასხვა პროდუქციაზე მოთხოვნის მოცულობის, ასევე, ფასების თაობაზე. სოფლის მეურნეობის სამინისტრო რეგულარულად უნდა ახდენდეს ამ ინფორმაციის მოგროვებას, დამუშავებას და მოსალოდნელი მოთხოვნის პროგნოზირებას. ასეთი სახის ინფორმაციის ფერმერებისათვის მიწოდებას დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო – სამეურნეო წარმოების სწორად დაგეგმვისათვის. ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრების ჩამოსაყალიბებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად უნდა გამოიყოს 7,5 მილიონი ლარი.

გ. ვეტერინარული და აგრონომიული მომსახურება

აუცილებელია მუნიციპალიტეტების ყველა თემში არსებობდეს ვეტერინარი და აგრონომი, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი დააფინანსებს. ვეტერინარმა უნდა უზრუნველყოს თემის ტერიტორიაზე ცხოველთა რეგისტრაცია და შექმნას მონაცემთა ბაზა. ვეტერინარის ფუნქცია იქნება, ასევე, ცხოველთა დაავადებების სანინაალმდეგო უფასო პროფილაქტიკური ვაქცინაცია. ყველა მუნიციპალიტეტის დონეზე უნდა შეიქმნას ბიოპრეპარატების სარეზერვო ფონდი, რომელიც ეპიდემიის გაჩენის შემთხვევაში გამოყენებულ იქნება ეპიდემიის სალიკვიდაციო ღონისძიებების გასატარებლად. აგრონომმა უნდა უზრუნველყოს ფერმერთა უფასო კონსულტაცია შხამქიმიკატებისა და პესტიციდების გამოყენების თაობაზე, რათა მიღწეულ იქნას მაღალი მოსავლიანობა და მავნებლებისაგან მცენარეთა დაცვა. მაღალ მოსავლიანობასთან ერთად მიღწეულ უნდა იქნეს პროდუქციის უვნებლობა და შესაბამისად, მოხმარებული შხამქიმიკატებისა და პესტიციდების გამოყენების მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ სახელმწიფოს მიერ ჩამოსაყალიბებულია სისტემა, რომელიც დაადგენს შხამქიმიკატებისა და პესტიციდების გამოყენების ნორმებს თითოეული სახის მცენარეზე, ხოლო, ამ სტანდარტების დაცვის მონიტორინგი უნდა განახორციელოს აგრონომებმა. მნიშვნელოვანია, ჩამოყალიბდეს ასევე მავნე ორგანიზმების გავრცელება-განვითარების პროგნოზირების სისტემა, ხოლო თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით შეიქმნას საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციოდ პრეპარატების სარეზერვო ფონდი. აგრონომისა და ვეტერინარის ინსტიტუტის ჩამოყალიბება თემის დონეზე სახელმწიფო ბიუჯეტს დაუჯდება 12.5 მილიონ ლარამდე წლის განმავლობაში. აგრონომები და ვეტერინარები რეგულარულად უნდა მარაგდებოდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან სიახლეების შესახებ ინფორმაციით, ბროშურებით და ბუკლეტებით. ასევე, ისინი უნდა გადიოდნენ პერიოდულ ტრენინგს ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრებში.

4. განათლება და ცოდნა

სოფლის მეურნეობაში ქვეყანაში აგრარული სექტორის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ კახეთის რეგიონში, ქალაქ სიღნაღში უნდა შეიქმნას აგრარული პროფილის ძლიერი საუნივერსიტეტო განათლების თანამედროვე ცენტრი. ასევე, სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებში უნდა შემუშავდეს სასწავლო პროგრამები, რომელსაც სახელმწიფო სრულად დააფინანსებს.

ა. 1000 ვეტერინარის და 1000 აგრონომის მომზადება

დღეისათვის ქვეყანა განიცდის კვალიფიციური ვეტერინარებისა და აგრონომების დეფიციტს. ის კადრები, რომლების საბჭოთა დროს მუშობდნენ საპენსიო ასაკს მიღწეული არიან, ან განიცადეს დეკვალიფიკაცია. მნიშვნელოვანია, შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 4 წლის განმავლობაში მოამზადებს ან გადაამზადებს უკვე არსებულ აგრონომებს და ვეტერინარებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად. აგრონომები და ვეტერინარები უნდა დასაქმდნენ მუნიციპალიტეტების ყველა თემში, ანუ არსებობს მინიმუმ 1000 აგრონომის და ვეტერინარის საჭიროება. პირველ ეტაპზე აქცენტი უნდა გაკეთდეს არსებული აგრონომების და ვეტერინარების გადამზადებაზე, რომლის პარალელურადაც სპეციალური პროგრამების ფარგლებში უმაღლესი სასწავლებლები მოამზადებენ ახალგაზრდა სპეციალისტებს. ვინაიდან ამ სფეროზე მაღალია მოთხოვნა, სახსრების გადანაწილება უნდა მოხდეს სხვა, ნაკლებ პრიორიტეტული სპეციალობებიდან. ამ მიზნით დამატებით საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა არ არის აუცილებელი.

5. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის კონტროლი/სასურსათო უსაფრთხოება

საქართველოში სურსათის ხარისხის კონტროლის შემოღება სახელმწიფო ინტერესია. ეს ევროკავშირის მოთხოვნაცაა. პროდუქციაზე ხარისხის კონტროლის დანერგვა გამოიწვევს უხარისხო და მავნე პროდუქციის აკრძალვას, რომელიც ძირითადად იმპორტირებულია და არაკონკურენტუნარიან პირობებში აყენებს სამამულო პროდუქციას. სურსათზე ხარისხის კონტროლის შემოღებით გაიზრდება მოთხოვნა ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რაც სტიმულს მისცემს პროდუქციის რაოდენობის და ხარისხის ზრდას, შესაბამისად გამოიწვევს შემოსავლების და დასაქმების მაჩვენებლების ზრდას. ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების დამატებით გამოყოფა არ არის აუცილებელი. დონორი ორგანიზაციები, განსაკუთრებით ევროკავშირი, აქტიურ ფინანსურ დახმარებას უწევს საქართველოს სურსათის უვნებლობის სფეროში.

6. ქვეყნის ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გამოყოფილი სახსრების ფინანსური გაანგარიშება სულ სოფლის მეურნეობის სექტორის გაძლიერებისათვის ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს დაახლოებით 198 მილიონი ლარი, ანუ მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 2,8%-ია.

სოციალური უზრუნველყოფა

საპენსიო სისტემა უნდა მოიცავდეს 3 კომპონენტს:

- საბაზისო საპენსიო განაკვეთი, ანუ მინიმალური ფიქსირებული სახელმწიფო საპენსიო სტანდარტი. პენსიის საბაზისო განაკვეთი უნდა იყოს არანაკლებ საარსებო მინიმუმის ოდენობის და იგი უნდა დაეინიშნოს უკვე პენსიონერ პირებს, საპენსიო ასაკს მირწეულ პირებს და პირებს, ვისი ასაკიც აღემატება 40 წელს. ასევე, პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ შრომითი სტაჟი და შესაბამისად, მოკლებულნი არიან ინდივიდუალური საპენსიო დანაგროვის შექმნის შესაძლებლობას;
- ინდივიდუალური საპენსიო დანაგროვი. მისი ოდენობა უნდა განისაზღვროს და დამოკიდებული იყოს პირის მიერ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეტანილი თანხების ოდენობასა და ამ შენატანების გადახდის პერიოდზე. აღნიშნული სისტემის რეგულირება უნდა განხორციელოს სახელმწიფომ, ხოლო საპენსიო დანაგროვებისა და საპენსიო ანგარიშების მართვა უნდა განხორციელდეს კერძო საპენსიო ფონდების მეშვეობით. ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეტანილი თანხები, ანუ საპენსიო დანაგროვი, პირებისათვის უნდა გამოიქვითოს დასაბეგრი შემოსავლებიდან და გათავისუფლდეს საშემოსავლო გადასახადისაგან;
- სპეციალური საპენსიო განაკვეთი. აღნიშნული პენსია უნდა დაენიშნოს უნარშეზღუდულ პირებს და ვეტერანის სტატუსის მქონე პირებს. საპენსიო განაკვეთის ოდენობა საარსებო მინიმუმზე 30%-ით მეტი უნდა იყოს. იმ უნარშეზღუდული პირებისათვის და ვეტერანის სტატუსის მქონე პირებისათვის, რომლებიც ამავდროულად მარტოხელა პირების სტატუსს ფლობენ და დამოუკიდებლად გადაადგილების და საკუთარი თავის მოვლის შესაძლებლობა არ გააჩნიათ, საპენსიო განაკვეთი უნდა გაორმაგდეს.

სოციალური დახმარების სფეროში „ახალი მემარჯვენეების“ პრიორიტეტებია:

- მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სოციალური დახმარების გაცემის სრულიად ახალი პრინციპი, რომლის მთავარი განმსაზღვრელი იქნება დახმარების დანიშვნის მომენტისთვის ოჯახის შემოსავლების ოდენობა და მისი თანაფარდობა საარსებო მინიმუმთან, ნაცვლად დღეს არსებული მანკიერი პრინციპისა, როდესაც სოციალური დახმარების სააგენტოს ეძლევა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების საშუალება;
- დამყარდეს სრული წესრიგი სოციალური დახმარებების გაცემაში;
 - უნდა აღმოიფხვრას უთანაბრობა სოციალური დახმარების გაცემისთვის სარეიტინგო ქულების რაოდენობაში, როდესაც ეს ქულა სხვადასხვა თბილისში, აჭარაში და დანარჩენ რეგიონებში და დადგინდეს დახმარების გაცემისთვის ერთიანი სარეიტინგო ქულა ქვეყნის მასშტაბით, კერძოდ სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის დახმარების დანიშვნა ხდებოდეს 100 000 ქულაზე;
 - შესრულდეს „მოქალაქეთა სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი და ღია და საჯარო გახდეს ოჯახებისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულები. მოქალაქეებს დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებლობა ჰქონდეთ გაიგონ რა ქულებით შეფასდა მათი ქონება;
 - უმწეოთა დაზღვევას უნდა დაემატოს მედიკამენტებით უზრუნველყოფა

იძულებით გადაადგილებულ პირთა ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფის თვალსაზრისით პრიორიტეტებია:

- გადაიხედოს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია და მათი ჩასახლება ძირითადად მოხდეს საქართველოს სხვადასხვა რაიონში საგანგებოდ მათთვის გამოსყიდულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებში, სადაც მოწყობილია შინამეურნეობა და შექმნილია პირობები ეკონომიკური საქმიანობისთვის;
- დევნილთა იმ ჯგუფებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ თვითკმარობის მისაღწევად საჭირო რესურსე-

ბი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მარტოხელა და უმწეო მოხუცები, მარტოხელა დედები და მათი შვილები, ობოლი ბავშვები), განისაზღვროს სოციალური და ჰუმანიტარული დახმარების სხვადასხვა ფორმების გამოყენება;

- მოხდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლებების ინვენტარიზაცია, მათი საჭიროებების განსაზღვრა და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დევნილთა ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად;
- დევნილთა დაცვა უკანონო გამოსახლებებისგან;
- კონფლიქტურ ზონაში სტიქიურად დაბრუნებულ დევნილთა მხარდაჭერა, სახელმწიფო უწყებების კოორდინირებული მუშაობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას კონფლიქტის ზონებში სტიქიურად დაბრუნებულ დევნილთა უსაფრთხოება;

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეთა და მათი ოჯახების სამართებრივი და სოციალური დაცვის მიმართულებით პარტიის პრიორიტეტებია:

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის და უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეთათვის უმადლესი და პროფესიული განათლების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნას სახელმწიფოს ხარჯზე;
- თითოეული ვეტერანი უზრუნველყოფილი სამედიცინო დაზღვევის პოლისით და მედიკამენტებით სახელმწიფოს ხარჯზე;
- ვეტერანთა სოციალური დაცვის სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ტიპის ვეტერანთა გარანტირებულ სოციალურ დაცვას, აღმოფხვრის უთანაბრობას მათ სხვადასხვა კატეგორიას შორის არსებულ დაცვის სხვადასხვა დონეს შორის;
- ვეტერანთათვის გამოყოფილი სოციალური დახმარება უნდა ქმნიდეს მათი ღირსეული ცხოვრების გარანტიას, ეს დახმარება უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ საარსებო მინიმუმს, არამედ, უნდა ქმნიდეს პირობებს, მათ შეძლონ ადამიანის ძირითადი საჭიროებების – განათლების, კულტურული ცხოვრების მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- შეღავათები ტრანსპორტის და სხვა სახის მომსახურების უზრუნველყოფაში გავრცელდეს არა მხოლოდ დედაქალაქში მცხოვრებ ვეტერანებზე, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით;
- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ვეტერანების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, რათა მოხდეს საზოგადოებაში მათი სრულყოფილი ინტეგრაცია და ისინი გახდნენ სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვანი წევრები;
- ვეტერანების სამედიცინო, საპროტეზო-ორთოპედიული დახმარება, სანიტარულ-საკურორტო მკურნალობა, სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით;
- უნდა აღმოფხვრას განსხვავება თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრებ ვეტერანთა სოციალური დახმარების ფორმებსა და რაოდენობაში. რეგიონებში მცხოვრებ ვეტერანებსა და მათ ოჯახებზე უნდა ვრცელდებოდეს დახმარების ყველა ის ფორმა და შეღავათი, რომელიც ვრცელდება დედაქალაქში მცხოვრებ ვეტერანებსა და მათ ოჯახებზე;

ჯანდაცვა

მოსახლეობის ჯანდაცვის გაუმჯობესების მიზნით ძირითადი აქცენტი აღებული უნდა იქნას მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის არეალის გაფართოებაზე. ამ მიზნით:

- 0-დან 16 წლამდე ბავშვების და 65 წელს ზევით ასაკის ხანდაზმულთა სამედიცინო დაზღვევა უნდა განხორციელდეს იგივე პრინციპით, როგორც ხორციელდება უმწეოთა დაზღვევა პლიუს ექიმის მიერ

დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

- ყველა დასაქმებულს კანონით უნდა მიეცეს საშუალება მისი და მისი ოჯახის წევრების სამედიცინო დაზღვევის ხარჯები გამოქვითოს საშემოსავლო გადასახადიდან იმ საბაზისო მინიმალური სადაზღვევო პაკეტის ღირებულების ფარგლებში, რომლითაც დღეს ხორციელდება უმწეოთა სამედიცინო დაზღვევა;
- დამქირავებლის მიერ თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევისათვის გაღებული თანხა უნდა ჩაითვალოს ხარჯებში და გათავისუფლდეს მოგების გადასახადისგან;
- იმ სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც მონაწილეობენ სახელმწიფო დაზღვევის პროგრამებში, უნდა დაუწესდეთ ვალდებულება, რომ სახელმწიფოსთან ყოველწლიურად გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით უზრუნველყონ მინიმალური საბაზისო სადაზღვევო პაკეტის შენარჩუნება კორპორატიული და ინდივიდუალური კლიენტებისათვის.

ექიმთა და სამედიცინო პერსონალის უფლებების დაცვის მიზნით:

- ყველა სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციას უნდა დაევალოს ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა და ამ მიზნით გაღებული თანხა უნდა ჩაეთვალოს ხარჯებში;
- უნდა მოწესრიგდეს შრომის კანონმდებლობა, რომელიც დაიცავს ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის უფლებებს.

მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

- შემუშავებული უნდა იქნას აუცილებელი (ესენციური) მედიკამენტების ნუსხა და აღნიშნული მედიკამენტების დაფინანსება უნდა განხორციელდეს მინიმალური სადაზღვევო საბაზისო პაკეტის ფარგლებში;
- უნდა ამოქმედდეს ანტიმონოპოლიური მექანიზმები ფარმაცევტულ ბაზარზე ფასების დარეგულირების მიზნით;
- მოძიებული უნდა იქნას ფარმაცევტული პროდუქციის შემოტანის ალტერნატიული გზები საერთაშორისო ტენდერებით შესყიდვების ხელშეწყობის გზით. ფასების რეგულირება უნდა მოხდეს შესაბამისი მარეგულირებელი გარემოს უზრუნველყოფით.

პარტიამ ჯანდაცვის სფეროში ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადა სოციალურად საშიში ისეთი დაავადების პრევენცია და მკურნალობა, როგორცაა C ჰეპატიტი. უმოკლეს ვადაში შეიქმნას C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიხედვითაც:

- სახელმწიფომ სრულად უნდა დააფინანსოს C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა;
- ბიუჯეტიდან ყოველწლიურად უნდა დაფინანსდეს C ჰეპატიტით დაავადებული მინიმუმ 2000 პაციენტის მკურნალობის ხარჯი (ავადმყოფთა შერჩევის კრიტერიუმები სპეციალისტებმა უნდა დაადგინონ);
- უნდა დაიწყო ინტერფერონის გენერიკის წარმოება საქართველოში, რაც მნიშვნელოვნად გააიაფებს C ჰეპატიტის მკურნალობას (დოჰა-ს 1 დეკლარაციის საფუძველზე);
- ქვეყანაში დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას და დაფინანსდეს ღვიძლის გადანერგვის სახელმწიფო პროგრამა (საწყის ეტაპზე მონვეული სპეციალისტების ხარჯზე);
- უნდა დაწესდეს მკაცრი კონტროლი სტერილიზაციის წესების დაცვის ხარისხზე კლინიკებსა და ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც C ჰეპატიტით დაინფიცირების მაღალი რისკია (სტომატოლოგიური კლინიკა, სილამაზის სალონი, და სხვა).

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

განათლება

2012-2016 სამოქმედო გეგმა

- სერტიფიცირებული მასწავლებლის საშუალო ხელფასი იქნება 600 ლარი, ხოლო საუკეთესო 25%-ის ხელფასი – 1000 ლარი.
- აშენდება 150 ახალი სკოლა.
- მოხდება ყველა საჯარო სკოლის რეაბილიტაცია.
- გაიხსნება 3 ახალი სახელმწიფო პროფესიული კოლეჯი.
- გაგრძელდება და გაფართოვდება სტუდენტების საზაფხულო დასაქმების პროგრამა.
- გაიხსნება 300 მომავლის კლასი.
- ყველა წარჩინებულ სტუდენტს დაენიშნება სტიპენდია.
- გაორმაგდება უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტთა რაოდენობა.
- ყველა პირველკლასელსა და ფრიადოსანს (საბაზო საფეხურის წარჩინებული კურსდამთავრებული) გა-დაეცემა პერსონალური კომპიუტერი.

თანაბარი შესაძლებლობები ყველასთვის

ჩვენი ქვეყნის ნათელ მომავალს ეფექტური საგანმანათლებლო რეფორმა განაპირობებს. დღემდე უმაღლეს სასწავლებლებში მერიტოკრატიული და შეჯიბრებითობის პრინციპებზე დაფუძნებული მისაღები გამოცდების დამკვიდრება მთავრობის უდიდესი მიღწევაა. დადგა კიდევ უფრო მეტი სიახლის დრო. 2013 წლიდან სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს აღარ მოუწევთ ორი მსგავსი საგამოცდო ეტაპის გადალახვა (სკოლის გამოცდებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების). სანაცვლოდ ისინი უმაღლესში მხოლოდ სკოლის გამოცდების საფუძველზე ჩააბარებენ.

სტუდენტური ბარათი

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, 2012 წლიდან ყველა ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სტუდენტური ბარათით.

ბარათის მეშვეობით სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ სხვადასხვა სახის ფასდაკლებით როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში, ისე კერძო კომპანიებში. სტუდენტური ბარათების აღება სტუდენტებს სამოქალაქო რეესტრის ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში შეუძლიათ. პროექტში მონაწილეობა უფასოა ყველა ავტორიზებული სასწავლებლის სტუდენტისათვის. ბარათებით სარგებლობა შესაძლებელი იქნება 2012 წლის 1 ივლისიდან.

პროფესიული განათლება აყალიბებს პროფესიონალებს

მთავრობამ შექმნა ხელსაყრელი გარემო, რამაც პროფესიული განათლებით დაინტერესებული მოსწავლეების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზარდა. საგანმანათლებლო კოლეჯები საქართველოს ყველა რეგიონშია გავრ-

ცვლებული. მსგავსი ტიპის განათლების მიმართ ინტერესს დასაქმების რეალური პერსპექტივა იწვევს. ამჟამად პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულთა 60% დასაქმებულია. 2012 წელს პროფესიული განათლებით დაინტერესებულ ყველა მოსწავლეს მთავრობის მიერ 1000-ლარიანი ვაუჩერი გადაეცემა. ამ პროგრამის საერთო ბიუჯეტი 7,000,000 ლარს შეადგენს.

პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება და დამატებითი განათლება მასწავლებლებისათვის

მასწავლებლებს საქართველოში შესაძლებლობა აქვთ, განივითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები და დამატებითი განათლება სხვადასხვა პროგრამების საშუალებით შეიძინონ. პროგრამები მოიცავს ტრენინგებს, სემინარებს, კონფერენციებსა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებს. ახლახან აშენდა მასწავლებლის სახლი, რომელიც თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა. სერტიფიცირებული მასწავლებლის ყოველთვიურ ხელფასს 75 ლარი ემატება. თუ მას ჩაბარებული აქვს ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდა, დანამატი 200 ლარს აღწევს. სერტიფიკატის მქონე მასწავლებლების საუკეთესო 25%-ის ხელფასი 1000 ლარს უტოლდება. მას დამატებით მენტორად მუშაობისა და თვეში დანამატის სახით 180

ქართული ენა მომავალი წარმატების მისაღწევად

პრეზიდენტის ინიციატივით, ამოქმედდა პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენის სწავლებას. პროგრამაში რამდენიმე ასეული მოხალისე მასწავლებელია ჩართული, რომელთა გადამზადება სპეციალურად პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე მოხდა. ამ ეტაპზე, პროგრამა მხოლოდ სამ რეგიონში ამოქმედდა: სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში, თუმცა 2012-13 წლებში იგი საქართველოს სხვა რეგიონებსაც მოიცავს.

ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად


საქართველოს მთავრობის მიერ ახალი პროექტი – „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ (“Teach and Learn with Georgia“) ხორციელდება. ის საქართველოს საჯარო სკოლებში 3000-მდე ინგლისურენოვანი მასწავლებლების ჩამოყვანას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში, ინგლისური ენის სწავლების განვითარება და ხელშეწყობა იგეგმება. მისი წარმატებით განხორციელება მომავალი თაობებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ინგლისური ენის უკეთ დაუფლების კვალდაკვალი, ისინი აქტიურად გაეცნობიან და ეზიარებიან დასავლურ ღირებულებებსა და კულტურას.

სამაგისტრო განათლება უცხოეთში

2012-13 წლებში, ნებისმიერ ორმოც წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც უკვე მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი ადგილობრივ უნივერსიტეტში, შესაძლებლობა ეძლევა, მოიპოვოს დაფინანსება და განაგრძოს სამაგისტრო სწავლების კურსი უცხოეთის უნივერსიტეტში საინჟინრო, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ზუსტ მეცნიერებათა და არქიტექტურის ფაკულტეტებზე. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, სამაგისტრო დაფინანსების პროგრამა ამოქმედდა 2005 წელს. პროგრამის ფარგლებში, უკვე 400-მა ქართველმა სტუდენტმა მიიღო შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა და განაგრძო სწავლება უცხოეთის საუკეთესო უნივერსიტეტებში.

დასაქმება

ბოლო წლებში საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განახორციელა. აღნიშნული რეფორმები ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკის ყველა დარგში სამენარმეო აქტივობის ზრდისა და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისაკენ იყო მიმართული. ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი კვლავ მაღალია და მთავრობა ამ პრობლემის გადასაჭრელად აქტიურ მუშაობას აგრძელებს.



მაკროეკონომიკური საკითხები

ბოლო წლებში საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განახორციელა. აღნიშნული რეფორმები ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკის ყველა დარგში სამენარმეო აქტივობის ზრდისა და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისაკენ იყო მიმართული. ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი კვლავ მაღალია და მთავრობა ამ პრობლემის გადასაჭრელად აქტიურ მუშაობას აგრძელებს.

ეკონომიკური რეფორმები

საბაჟო რეფორმა – გამარტივდა და შემცირდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული ხარჯები. საიმპორტო ტარიფების რაოდენობა პროდუქციის, დაახლოებით 90 %-ზე გაუქმდა.

ბიზნესის ლიცენზირების/ნებართვების მოდერნიზებული სისტემა – მნიშვნელოვნად გამარტივდა ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები, დამკვიდრდა „ერთი სარკმლისა“ და „დუმილი თანხმობის ნიშანის“ პრინციპი.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა – სახელმწიფომ მიიღო კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, რომლის თანახმადაც, ასეთი ზონა, შესაძლოა, 10 ჰექტარსა და მეტ ტერიტორიაზე შეიქმნას, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით – ინვესტორის ან მისივე ინიციატივის საფუძველზე. ზონაში განსხვავებული საგადასახადო რეჟიმი მოქმედებს.

სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია – საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და კერძო ინვესტიციების მოზიდვისათვის 2004 წელს პრივატიზების პროცესი დაიწყო. ამ პროცესის უმთავრესი მიზანი სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ობიექტების განსახელმწიფოებრიობაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისთვის, კერძო სექტორის ზრდისა და განვითარებისათვის, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყანაში არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენებისთვის.

სამოქმედო გეგმა 2012-2016

მომდევნო 4 წლის მანძილზე დასრულდება წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია ყველა დიდ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში. ყველა დასახლებულ პუნქტში იქნება ინტერნეტი.

გაგრძელდება ქალაქებისა და სოფლების რეაბილიტაციის პროექტები, რაც ქმნის ახალ შესაძლებლობებს დასაქმებისათვის და კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ჩვენს ქვეყანას, ტურიზმის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

პარლამენტი

ჩვენ გვჯერა, რომ თითოეულ რეგიონსა და ქალაქს შემდგომი განვითარებისა და ეკონომიკური სტაბილურობისათვის თანაბარი შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს. სწორედ ამიტომ, 2012 წლის ოქტომბრიდან ახალი პარლამენტი საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ქალაქში, ქუთაისში განთავსდება. პარლამენტისათვის ადგილმდებარეობის შეცვლა რიგი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზებით იყო განაპირობებული, კერძოდ კი: რეაბილიტირებული იქნება ქალაქის მთელი ინფრასტრუქტურა, გზები და აეროპორტი; ქუთაისს ბევრად მეტი ტურისტული ენვევა. ქალაქმა პოტენციური ინვესტორი არსებული საინვესტიციო გარემოთი უნდა დააინტერესოს. მეტი ინვესტიცია უზრუნველყოფს მეტი სამუშაო ადგილის შექმნას, რაც განაპირობებს რეგიონში არსებული უმუშევრობის დონის შემცირებას. „ჩვენ უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი ქუთაისიდან, სწორედ ისე, როგორც წლების წინ დავიბრუნეთ ბათუმი!“ – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ახალი პარლამენტის შენობა წარმოადგენს თანამედროვე არქიტექტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და შთამბეჭდავ ნიმუშს მთელ საქართველოსა და ევროპაში. შენობა მთლიანად დაფარულია 40-მეტრიანი შუშის გუმბათით, რომელიც მზის სხივებს ატარებს და უზრუნველყოფს შენობის ბუნებრივ განათებას.

შუშის გუმბათი გამჭვირვალეობის პრინციპებისა და იმ დემოკრატიული მმართველობის გამოხატულებაა, რომელიც, დღესდღეისობით, საქართველოშია დამყარებული.

ლაზიკა

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ანაკლიასა და ყულევს შორის ახალი ქალაქი, ლაზიკა დაფუძნდება. გეგმის თანახმად, ლაზიკა დასავლეთ საქართველოს მთავარი სავაჭრო, ეკონომიკური და ბიზნეს ცენტრი გახდება. 10 წელიწადში ის თბილისის შემდეგ, სიდიდით მეორე ქალაქი იქნება, მინიმუმ ნახევარმილიონიანი მოსახლეობით. ქალაქის ცენტრალური ნაწილი 1300 ჰექტარზე განთავსდება. ლაზიკას ფართობი კი, 3000 ჰექტარს მიაღწევს. ლაზიკაში აეროპორტი, რკინიგზის სადგური, პორტი და ბიზნესცენტრი აშენდება. ძირითადი სამუშაოები კომუნიკაციების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობისთვის უკვე დაწყებულია. „ეს ქალაქი, სავსებით რეალურია. იმ ვითარებაში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის 45% ცხოვრობს სოფლად, ჩვენ უნდა ავაშენოთ ახალი ურბანული ცენტრები, რათა დავასახლოთ ეს ხალხი და შევუქმნათ მათ ახალი სამუშაო ადგილები“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მთავრობის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარედგინება საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვითაც, ქალაქ ლაზიკას განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭება. „ჩვენთვის ეს არის სტრატეგიული საკითხი, რომ სპეციალური სტატუსი მივანიჭოთ ქალაქს განვითარებისთვის, რომელსაც გააჩნია ძალიან კარგი კლიმატური პირობები, ასე ახლოს მდებარეობს რკინიგზასთან და ოკუპირებულ აფხაზეთთან“, – თქვა პრეზიდენტმა.

ლაზიკაში დაბალი საგადასახადო რეჟიმი და მაღალი დონის თვითმმართველობა იარსებებს.

გზეპი, გვირაბები, ესტაკადები

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია ქვეყნის მასშტაბით გზების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. მთავრობამ უკვე დაიწყო „მეორეხარისხოვანი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაციის პროექტი“. პროექტის მიზანია არსებული გზების რეაბილიტაცია და შენახვა-შეკეთების ხარჯების ეფექტური განაწილება. პროექტის ფარგლებში რეაბილიტირებული და განახლებულია 350 კმ-მდე სიგრძის მეორეხარისხოვანი გზები. ამჟამად მიმდინარეობს დამატებით 400 კმ სიგრძის მეორეხარისხოვანი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2006 წელს დაიწყო ახალი ესტაკადის მშენებლობა, რომელიც მოიცავს მთელ საქართველოს. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ გზებზე შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მშენებლობის პროცესი მიმდინარეობს, პარალელურად, რამდენიმე სეგმენტზე. ძირითადი ესტაკადის გარდა, იგეგმება ქობულეთი-ბათუმისა და ქუთაისი-სამტრედიის შემოვლითი გზების მშენებლობა, რომელიც დაუკავშირდება ძირითად ესტაკადას. დასრულდა სვანეთი-რუისის ესტაკადის მშენებლობა, რომელიც მოიცავს ორ 800-მეტრიან გვირაბს, ხიდებსა და პატარა ქალაქებს, სადაც მოწყობილია მოსასვენებელი გაჩერებები. ამას გარდა, სრულად განახლდა ვაზიანი-გომბორი-თელავის გზა.

გარდა გზების რეაბილიტაციისა, საქართველოს მთავრობა ახორციელებს გვირაბების რეაბილიტაციას, მთელი ქვეყნის მასშტაბით. გვირაბების მშენებლობა მეტად მნიშვნელოვანია მთიანი რეგიონებისათვის. დასრულებულია რიკოთის გვირაბის რეაბილიტაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე დასრულებულია 2 გვირაბის მშენებლობა რუისში და იგეგმება ახალი გვირაბის მშენებლობა მლეთა-სტეფანწმინდის მონაკვეთზე, რომელიც შეამცირებს თბილისი-ლარსის მანძილს. ასევე მთავრობა მუშაობს გვირაბზე, რომელიც დააკავშირებს ლენტეხისა და სვანეთის რეგიონებს. „ჩვენ ვაშენებთ გვირაბებს და ამით ვაერთიანებთ საქართველოს“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ელექტროენერგია, წყალი და გუნებრივი აირი

მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მოსახლეობა 24 საათი დღეში და 7 დღე კვირაში – წყლით, გაზითა და ელექტროენერგიით იყოს უზრუნველყოფილი. საქართველოს მთავრობამ ევროპულ საინვესტიციო ბანკთან ერთად წყლის სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო. პროცესს კოორდინაციას რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უწევს. პირველ ეტაპზე 17 ქალაქსა და სოფელში წყლის მიწოდების სისტემა მთლიანად შეიცვლება. ჯამში 5 000 ადამიანი დასაქმდება, – უმრავლესად ადგილობრივი მოსახლეობიდან.

პროექტის ფარგლებში 63 მუნიციპალიტეტს ყოველდღიური წყალმომარაგება ექნება. წყლის მილსადენები მთლიანად განახლდება, ხოლო უკვე არსებული წყლის რეზერვუარები და წყლის მომწოდებელი სადგურები რეაბილიტირდება. ჯამური პროექტის ღირებულება 40 მილიონ ლარს შეადგენს. 2008 წელს პრეზიდენტის სპეციალური პროგრამით, პროექტი „ბუნებრივი აირი ყველასთვის“ იქნა ინიცირებული. პროექტის ფარგლებში ახალი გაზმიწოდების მილსადენები დამზადდა, ისევე როგორც არსებული მილსადენები რეაბილიტირდა. პროექტის დასრულებისას მოსახლეობის 70% -ს უწყვეტი გაზმომარაგება ექნება. მთელი ქვეყნის მასშტაბით მოხდა ელექტრო სისტემის მასობრივი დაფარვა. ამ პროექტის მიზანია: ახალი მრიცხველების დამონტაჟება, ამორტიზირებული კაბელების გამოცვლა და ახალი დაფარული კაბელების დამონტაჟება და ელექტროენერგიის გარდამქმნელის გაუმჯობესება მთელ სისტემაში.

სოფლის მეურნეობა

საქართველოს მთავრობამ სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის აქტიური პროცესი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია: ექსპორტის ზრდა, წარმოების გაფართოება, ახალი ქარხნებისა თუ საწარმოების მშენებლობა. ამას მოსახლეობის დასაქმება უნდა მოჰყვეს.

სოფლის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაიხარჯება 4 მილიარდი ლარი.

ყველა სოფელს ექნება წყალმომარაგება, ყველა სოფელში დასრულდება გაზიფიკაციის პროგრამა, გაკეთდება ყველა სოფლამდე მისასვლელი გზა. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დამატებით შექმნილი იქნება 2000 ტრაქტორი, კომბაინი, აგრეგატი.

შეიქმნება 500-ზე მეტი ახალი სოფლის მეურნეობის საწარმო, განხორციელდება დამატებით 90 000 ჰექტარის ირიგაცია, გაკეთდება დრენაჟის სისტემა 35 000 ჰექტარზე.

ყველა ამ ნაბიჯის შედეგი იქნება – ქართული სასოფლო პროდუქციის გაორმაგება, რაც გააძლიერებს ქართულ სოფელს, გააძლიერებს ქართულ ეკონომიკას და გააძლიერებს ქართულ სახელმწიფოს.

სამაცივრე მეურნეობის განვითარება

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის სამთავრობო პროგრამის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, ეწყობა ახალი სამაცივრე კომპლექსები, მათ შორის, ახლახან ავჭალაში გაიხსნა ხილისა და ბოსტნეულის შემნახველი მაცივარი. ავჭალის შემნახველი მაცივრის ტევადობა 8 000 ტონაა. აქ, დღეის მდგომარეობით, 50 ადგილობრივია დასაქმებული, თუმცა სრულად დატვირთვის შემთხვევაში, კიდევ 150 ადამიანის დასაქმება იგეგმება. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, მთელი საქართველოს მასშტაბით, უკვე ავჭალის მაცივრის მსგავსი, 40 000 ტონა ტევადობის მაცივრები გაიხსნა. სამაცივრე მეურნეობის განვითარება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქარ-

თული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლებასა და დაასაქმებს კიდევ უფრო მეტ ჩვენს თანამოქალაქეს.

ფერმერთა მომსახურების ცენტრი

საქართველოს მასშტაბით, 12 მუნიციპალიტეტში ფერმერთა მომსახურების ცენტრები გაიხსნა. ახლად გახსნილი ცენტრების საშუალებით ფერმერს შეუძლია 42 აგროტექნიკური ღონისძიება შეასრულოს, შეღავათიან ფასად შეიძინოს მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქი და მექანიზაციის მარაგანწილები. ფერმერებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ კონსულტაცია სხვადასხვა ტიპის აგროტექნიკური ღონისძიების შესახებ.

ახალი ტრაქტორები რეგიონებში

საქართველოს მასშტაბით, 126 ახალი ტრაქტორი გადანაწილდა ფერმერთა მომსახურების 12 ცენტრში. 2012 წლის განმავლობაში ასობით ტრაქტორისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოყვანა იგეგმება. სპეციალური, სამთვნიანი პროგრამის ფარგლებში, 300 ტექნიკოსს ტრენინგი ჩაუტარდა. მათ ახალი ტექნიკის გამოყენება შეასწავლეს.

30 ლარიანი ვაუჩერები ფერმერებს

800 000 ფერმერი მიიღებს 30-ლარიან ვაუჩერს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სამუშაოების შესასრულებლად. ვაუჩერი შესაძლებელია, გადაიცვალოს 35 კგ სასუქში, რომლის საბაზრო ღირებულებაც 70 ლარს შეადგენს და საკმარისია 1000 მ² მიწის დასამუშავებლად. ვაუჩერების განაღდება შესაძლებელი იქნება 2012 წლის ივნისიდან და გაგრძელდება 2012 წლის დეკემბრის ჩათვლით.

ქართული ღვინო

საქართველოს მთავრობას დაგეგმილი აქვს ქართული ღვინის ექსპორტის გაზრდა, მსოფლიოს მასშტაბით. 2012 წელს გამოიცემა ყოველთვიური, ე.წ. „ნიუსლეტერები“, რომლებიც გავრცელდება სხვადასხვა ქვეყანაში და უზრუნველყოფს ქართული ღვინის პოპულარიზაციას მსოფლიო ბაზარზე. 2011 წელს საქართველოდან ექსპორტირებულმა ღვინის რაოდენობამ შეადგინა 14,850,000 ბოთლი. მიმდინარე წელს ექსპორტი მკვეთრად გაიზარდა და 15,000,000 ბოთლს გადააჭარბა. 2010 წელს ქართული ღვინო ექსპორტზე გადიოდა 42 ქვეყანაში, ხოლო შემდეგ წელს მოცემული ქვეყნების რაოდენობა 52-ს გაუტოლდა. საქართველოს მთავრობის განცხადებით, 2012 წელს ღვინის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 60,000,000 აშშ დოლარს მიაღწევს, ხოლო მომდევნო ორი წლის განმავლობაში მოცემული რიცხვი გაიზარდება და 100,000,000 აშშ დოლარს შეადგენს.

საირიბაცეო სისტემა

სარწყავი სისტემების სათავე ნაგებობების მშენებლობა – ქვეყნის მასშტაბით, მთლიანად გარემონტდა და რეაბილიტირდა მოძველებული, მწყობრიდან გამოსული სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობები.

გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნიქოზთან, მდ. დიდ ლიხვზე აშენდა ტირიფონი-სალთვისის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობა.

სიონის არხს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია.

სოციალური უზუნველყოფა

საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაიხარჯება 6 მილიარდი ლარი, რაც ნიშნავს იმას, რომ 2013 წლიდან საპენსიო პაკეტი 100 დოლარის ექვივალენტი გახდება და გადააჭარბებს საარსებო მინიმუმს. რაც მთავარია, ჯანმრთელობის დაზღვევა იქნება საპენსიო პაკეტის განუყოფელი ნაწილი და არც ერთ პენსიონერს არ ექნება შიში, მიაკითხოს ექიმს, ჩაიტაროს გამოკვლევები, ისარგებლოს საემედიცინო მომსახურებით. სოციალურად დაუცველები გააგრძელებენ მათთვის დღეს უკვე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობას, ყველა ბავშვს დაბადებიდან 5 წლის ჩათვლით ექნება საბავშვო დაზღვევა ისევე, როგორც ყველა მასწავლებელს, ყველა დევნილის, ყველა ჯარისკაცსა და პოლიციელს, მათ საჭიროებებზე მორგებული ჯანმრთელობის დაზღვევა. ყველა სხვა კატეგორიის მოქალაქეს, რომელიც ზემოჩამოთვლილ არც ერთ ჯგუფს არ მიეკუთვნება, ექნება ჯანმრთელობის დაზღვევის საბაზისო პაკეტი. ეს პაკეტი გათვლილი იქნება იმაზე, რომ უბედურმა შემთხვევამ ანდა მოულოდნელმა მძიმე ავადმყოფობამ ოჯახის გაღატაკება არ გამოიწვიოს.

სოციალური დახმარების მიზნით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაიხარჯება 3 მილიარდი ლარი. ჩვენი ამოცანაა, შევქმნათ სამუშაო ადგილები და ისინი, ვინც უმუშევრობის გამო უსახსროდაა დარჩენილი და ყოველთვიურ სახელმწიფო შემწეობას ელის, დასაქმდნენ და ყოველთვიურად საკუთარი შრომის საფასურ ხელფასს დაელოდონ. მაგრამ ვიდრე ყოველ ოჯახს საკუთარი შემოსავალი გაუჩნდება, სახელმწიფო სოციალური დახმარება გარანტირებულად მიეცემა მათ, ვისაც ეს სჭირდება. დღეს სახელმწიფო ნახევარ მილიონამდე ადამიანს აძლევს სოციალურ დახმარებას. 2013 წლიდან მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ეს დახმარება კიდევ უფრო მასშტაბური გახდება და მიმართული იქნება ყოველი სოციალურად დაუცველი ადამიანის საჭიროებაზე.

ჯანდაცვა

ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაიხარჯება 3 მილიარდი ლარი, რაც ნიშნავს იმას, რომ ჯანმრთელობის დაზღვევა იქნება ყველას!

2006 წელს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი ჰქონდა საქართველოს მხოლოდ 40,000 მოქალაქეს. წელს 1 სექტემბრიდან კი უკვე 1,9 მლნ ადამიანი იქნება სახელმწიფოს მიერ დაზღვეული. ნახევარ მილიონამდე ადამიანს აქვს კერძო დაზღვევის პოლისი. სულ ამჟამად, 2,4 მლნ მოქალაქეს აქვს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი, მაგრამ ჩვენი მიზანია, რომ ამის შესაძლებლობა ჰქონდეს ყოველ ოჯახს.

კოალიცია „ქართული ოცნება“

ბანათლება

ხელისუფლების მიერ განხორციელებული განათლების სისტემის რეფორმა მათივე განცხადებით მიზნად ისახავდა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სისტემის შექმნას, მაგრამ არაპროფესიონალური, ნაჩქარევი, უპასუხისმგებლო, ფასადური და სუბიექტურ ინტერესებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად ქვეყანა უმწვავესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა.

განათლების სისტემა პოლიტიზებულია და ის პოლიციური რეჟიმის პირობებში ფუნქციონირებს.

- უკიდურესად შეზღუდულია საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტონომია;
- პოლიტიკური მიზანშეწონილობის საფუძველზე ინიშნებიან/აირჩევიან პირები საგანმანათლებლო დაწესებულებათა საკვანძო თანამდებობებზე;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები (როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური თანამდებობის პირები) სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედების პირობებში საქმიანობენ;
- პოლიტიკური ლოიალურობის საფუძველზე განხორციელებული საკადრო პოლიტიკის შედეგად, მთელ რიგ შემთხვევებში, საგანმანათლებლო დაწესებულების მიღმა დარჩნენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე (მათ შორის – ახალგაზრდა) პედაგოგები;
- მმართველი პოლიტიკური ძალის ზემოქმედების ერთ-ერთი ინსტრუმენტის, მანდატურის ინსტიტუტის ამოქმედებით, სკოლა პოლიციური რეჟიმის პირობებში ფუნქციონირებს;
- სკოლა გადაიქცა (დირექტორები, მასწავლებლები) ხელისუფლების ხელში არჩევნების გაყალბების ინსტრუმენტად;
- შეზღუდულია სტუდენტთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი შესრულების პროცესში; სტუდენტური თვითმმართველობები ფაქტობრივად არიან მმართველი პოლიტიკური ძალის ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლობები.

არაეფექტიანია განათლების სისტემის მართვა

- განათლების მიმდინარე რეფორმა არ ითვალისწინებს ქვეყნის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს;
- არ არსებობს სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმები;
- სამართლებრივი რეგულაციების მყისიერი და ხშირი ცვლა არ იძლევა ნორმალური და ხარისხიანი სწავლის, სწავლების, კვლევისა და მართვის საშუალებას;
- სისტემა უკიდურესად ცენტრალიზებულია;
- ფორმალურია საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ორგანოების ფუნქციონირება;
- მწირია და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისაგან მკაფიოდ არ არის გამიჯნული განათლების სფეროში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კომპეტენციები.

მხირია განათლების დაფინანსება

- განათლება ხელისუფლებისთვის ნაკლებად პრიორიტეტული სფეროა, მცირეა საბიუჯეტო დაფინანსება;
- დაბალია განათლების სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი;
- საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაფინანსების არსებული მოდელი და სკოლების ბრენდირების ჩატარების ნესი ქმნის არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს და განათლების მიღების არათანაბარ შესაძლებლობებს.

დაბალია განათლების ხარისხი და ხელმისაწვდომობა

უკიდურესად არათანაბარი და შეზღუდულია სკოლამდელი აღზრდა-ანათლების, ზოგადი პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა როგორც ტერიტორიული და ფინანსური, ისე ხარისხიანი განათლების მიღების თვალსაზრისით;

- განათლებას ვერ იღებს ბევრი ბავშვი და ახალგაზრდა;
- ხშირ შემთხვევაში, განათლების ხარჯების დასაფარავად მოსახლეობას მისთვის საარსებოდ მნიშვნელოვანი ხარჯების შემცირება უწევს;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სრულფასოვან ინტეგრაციას;
- არ არის უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო პირობები – პედაგოგებსა და აკადემიურ პერსონალს არა აქვს სათანადო კვალიფიკაცია, დაბალი ხარისხისაა და მაღალი ფასი აქვს სახელმძღვანელოებს;
- არაეფექტიანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობა;
- უმწვავესი პრობლემაა უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის განვითარების უმნიშვნელოვანესი მექანიზმის – უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაცია; დღეისათვის ეს პროცესი ქაოსურად მიმდინარეობს და არ არის შედეგზე ორიენტირებული;
- არაეფექტიანი და გაუმჭვირვალეა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის მექანიზმები/პროგრამები.

განათლების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები

განათლება ჩვენი საარჩევნო ბლოკისთვის პრიორიტეტული მიმართულება იქნება.

განხორციელდება განათლების სისტემის დეკოლიტიზაცია და აღმოიფხვრება პოლიციური რეჟიმის გავლენა

- განათლების სისტემა დაეფუძნება დემოკრატიულ ღირებულებებს და გათავისუფლდება ოლიგარქიული ავტორიტარული მმართველობისა და პირად ერთგულებაზე დაფუძნებული მართვის პრინციპებისაგან;
- კანონმდებლობით გარანტირებული იქნება საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური, ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომიის მაღალი დონე;
- შეიცვლება მანდატურის ინსტიტუტის შინაარსი; მანდატური, როგორც სკოლის თანამშრომელი, დაიცავს სკოლის უსაფრთხოებას, სკოლის დებულებისა და ადმინისტრაციის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად;
- გაუქმდება გადამისამართების (რეფერალის) ნესი და შესაბამისი ინსტიტუტები, რაც გამოორიცხავს რთულად აღსაზრდელი ბავშვების სოციალური ჯგუფების ხელოვნურად შექმნას; შეიქმნება ყველა პი-

რობა, რომ რთული ქცევის ბავშვებმა განათლება სკოლაში მიიღონ;

- ალიკვეთება სტუდენტურ თვითმმართველობებზე ზემოქმედების მექანიზმები ვინრო პოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად; უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტური თვითმმართველობების საქმიანობა კანონისა და თავიანთი დებულებების ფარგლებში.

შეიქმნება განათლების სისტემის ეფექტიანი მართვის მექანიზმები

- განათლების სისტემის მართვა არა ფასადურ, არამედ თანამიმდევრულ და შედეგებზე ორიენტირებულ მოკლე, საშუალო და გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმვას დაეფუძნება;
- გადაისინჯება და დადგინდება განათლების სფეროში სახელმწიფო ორგანოების (მათ შორის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს) უფლებებისა და მოვალეობების გონივრული და ეფექტიანი თანაფარდობა;
- გაიზრდება და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისაგან მკაფიოდ გაიმიჯნება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციები განათლების სფეროში;
- მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის პროცესის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენცია იქნება სკოლების დაარსება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად (შემდგომში – სსიპ), ასევე მათი დაფინანსება და კონტროლი;
- რეგიონს გადაეცემა უფლებამოსილებები (დაფუძნება, დაფინანსება, კონტროლი) პროფესიული განათლების სფეროში;
- კანონმდებლობით განისაზღვრება სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების უფლებამოსილება მხოლოდ სსიპ-ის ფორმით;
- გაუქმდება რეგენტთა საბჭო;
- გაუქმდება სკოლების ბრენდირების წესი;
- სკოლების წარმატებული ფუნქციონირება, მასწავლებლის კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებასთან ერთად, დაეფუძნება ზოგადი განათლების სფეროში ადგილობრივი ხელისუფლების როლის გაძლიერებასა და თემის აქტიურ მონაწილეობას;
- შეიქმნება როგორც სკოლებს, ისე მასწავლებელთა შორის ეფექტიანი თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მექანიზმები;
- შეიქმნება ობიექტური, გამჭვირვალე და ეფექტიანი მექანიზმები საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვალიფიციური კადრების შესანარჩუნებლად/მოსაზიდად როგორც ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, ისე აკადემიურ და სხვა პოზიციებზე;
- დაცული იქნება მასწავლებლის, პროფესორის, მეცნიერის შრომის უფლება და მათ ვერავინ გაათავისუფლებს/გადაირჩევს პირადი თუ პოლიტიკური მოტივების გამო;
- განათლების სტრატეგიის განხორციელების შედეგად დაიწყება საზღვარგარეთ ე.წ. „გადინებული ტვინების“ უკან დაბრუნების პროცესი;
- კანონით დადგინდება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ პედაგოგიური, აკადემიური და/ან სამეცნიერო გამოცდილება;
- სკოლის დირექტორი იქნება არა მხოლოდ მენეჯერი, არამედ ამავე სკოლის მასწავლებელიც. ეს უზრუნველყოფს მის მიმართ მასწავლებელთა ნდობის ამაღლებას და მათ ეფექტიან თანამშრომლობას;
- სკოლის დირექტორს აირჩევს პედაგოგიური საბჭო;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს რეალურად აირჩევს აკადემიური საბჭო სრული პროფესორებისაგან;
- უზრუნველყოფილი იქნება მშობლების (მშობელთა საბჭოს მეშვეობით) ეფექტიანი მონაწილეობა სასკოლო გეგმის შემუშავებაში, სკოლის საქმიანობის ანგარიშის განხილვასა და შეფასებაში;
- ხელი შეეწყობა მშობელთა კომიტეტების შექმნას ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე და მათ ეფექტიან ფუნქციონირებას;

- სახელმწიფოსთან ერთად, ბავშვის უფლებების (მათ შორის განათლების უფლების) უპირველესი დამცველი იქნება მშობელი;
- განხორციელდება განათლების სისტემის ობიექტური და სანდო სტატისტიკის წარმოება, დაინერგება შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკა და მეთოდოლოგიები;
- უზრუნველყოფილი იქნება განათლების პროგრამული ბიუჯეტის შედგენა;
- შემუშავდება საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრატეგიული გეგმების შედგენისა და საქმიანობის ანგარიშის მომზადების ერთიანი მეთოდოლოგიები;
- განხორციელდება განათლების სისტემის მიუკერძოებელი ყოველწლიური მონიტორინგი და შეფასება;
- უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი დოკუმენტების საჯაროობა. განათლების სისტემის მონიტორინგი და შეფასება მიმართული იქნება არა სისტემაში სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელების, არამედ ხარვეზების გამოსწორებისა და განვითარების მიმართულებების დასახვისაკენ;
- შეიქმნება და განხორციელდება რეფორმის პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობის მექანიზმები; ინფორმაცია განათლებისათვის გამოყოფილი ხარჯებისა და საგანმანათლებლო სისტემის დაწესებულებების საქმიანობის შესახებ გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი გახდება საზოგადოებისათვის.

შეიქმნება განათლების დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმები

- განათლების დაფინანსების წესი, ფორმები და ოდენობა შექმნის ადამიანური რესურსების უწყვეტი განვითარებისა და განათლების სისტემის პრიორიტეტულობის, მდგრადობის, განვითარების, ეფექტიანობისა და განათლების კონსტიტუციური უფლების რეალიზების სოციალურ-ეკონომიკურ გარანტიებს;
- გაიზრდება სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით;
- განათლების საერთო ხარჯების ზრდასთან ერთად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მნიშვნელოვნად მოიმატებს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, ამალღდება მათი სოციალური სტატუსი და პრესტიჟი;
- მასწავლებელს ექნება ღირსეული ცხოვრების პირობები;
- გადაიხედება განათლების დაფინანსების „ვაუჩერული“ წესი (როგორც დაფინანსების ძირითადი წყარო) და იგი შეივსება საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების სხვა კომპონენტებით;
- სახელმწიფო თავის ხარჯზე უზრუნველყოფს მაღალი სტანდარტის საყოველთაო ზოგად განათლებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში; გაიზრდება სკოლამდელი აღზრდა-განათლებისათვის, პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლებისათვის გამოყოფილი ხარჯები; შესაბამისად, გაიზრდება განათლების ხელმისაწვდომობა ყველა საფეხურზე;
- სახელმწიფო განახორციელებს როგორც საჯარო, ისე კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იმ დოქტორანტთა მხარდაჭერის (წახალისების) პროგრამებს, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული მიღწევებით.

გაიზრდება განათლების ხელმისაწვდომობა

- განათლების უფლების რეალიზაცია ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს მისცემს განვითარების რეალურად თანაბარ შანსს, რაც გააჩენს საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის დაძლევის შესაძლებლობას;
- შემუშავდება და დამტკიცდება სათანადო (მათ შორის, ტერიტორიული ხელმისაწვდომობის) სტანდარტები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებათა შექმნა/რეორგანიზაცია განხორციელდება არა სუბიექტური ინ-

ტერესების შესაბამისად, არამედ ამ სტანდარტების გათვალისწინებით;

- ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობები უზრუნველყოფენ ქართულ ენაზე სკოლამდელი აღზრდა-განათლების ხელმისაწვდომობას;
- სოფლებისა და ქალაქებისათვის დანესდება სკოლის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის სტანდარტები;
- სტანდარტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოსწავლეებს ექნებათ შეღავათები ტრანსპორტით სარგებლობისას;
- სახელმწიფო განსაკუთრებულად იზრუნებს მაღალმთიანი რეგიონების მცირეკონტინგენტიანი სკოლების ფუნქციონირებაზე;
- შეიქმნება (ასევე, ითარგმნება) და მოსწავლეებისათვის/სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე;
- პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის შემუშავდება და განხორციელდება განათლების ფინანსური ხელმისაწვდომობის სხვადასხვა მექანიზმები (სსიპ-ების საბაზო დაფინანსებასთან ერთად, სტუდენტთა გრძელვადიანი დაკრედიტება, მისამართული ეფექტიანი სოციალური დახმარებისა და დასაქმების პროგრამების განხორციელება, საერთო საცხოვრებლებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა და სხვ.); განისაზღვრება სტიპენდიების გაცემის წესი;
- ამა თუ იმ პროფესიის დაუფლებისა და ამ პროფესიით დასაქმების თითოეული მსურველისათვის ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული განათლება;
- უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული განათლების ტერიტორიული ხელმისაწვდომობა;
- ჩამოყალიბდება შრომის ბაზრის რეგულარული კვლევისა და საზოგადოების ინფორმირების სისტემა;
- უზრუნველყოფილი იქნება ეროვნული უმცირესობებისათვის ქართული ენის სწავლება და, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სრულად იქნება რეალიზებული მათთვის ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლება;
- განხორციელდება შედეგზე ორიენტირებული მიზნობრივი პროგრამები, რაც შექმნის თითოეული სპეციალური საჭიროების მქონე პირისათვის (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ე.წ. „ქუჩის ბავშვების“) განათლების ხელმისაწვდომობის რეალურ გარანტიებს;
- საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ექნება მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების შესაძლებლობა;
- ხელი შეეწყობა ელექტრონული სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას.

ამაღლებს განათლების ხარისხი

- განათლების ხარისხი დაეფუძნება ქართულ ისტორიულ, დასავლურ სტანდარტებსა და გამოცდილებას;
- კანონმდებლობით უზრუნველყოფილი იქნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დამოუკიდებლობა ცენტრალური მართვის ორგანოებისაგან;
- ეროვნული ცენტრის ფუნქცია იქნება ხარისხის გარე შეფასება, ხარვეზების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა/უზრუნველყოფა (უკიდურეს შემთხვევაში, ავტორიზაცია/აკრედიტაციის გაუქმება);
- არსებითად გადაისინჯება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოქმედი წესი; ავტორიზაცია/აკრედიტაციისას უზრუნველყოფილი იქნება აუცილებელი გაზომვადი და ობიექტური ინდიკატორების გამოყენება, ასევე დარგობრივი და შინაარსობრივი მხარის შეფასება;
- განათლების ხარისხის განვითარება უზრუნველყოფილი იქნება სამი აუცილებელი კომპონენტის თანაარსებობით:
 - ა) ეროვნული სასწავლო გეგმა/საგანმანათლებლო პროგრამები (დარგობრივი მახასიათებლები);
 - ბ) პედაგოგიური/აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის შესაბამისი კვალიფიკაცია;
 - გ) ხარისხიანი სახელმძღვანელოები.

- სკოლამდელი დაწესებულებებისათვის შემუშავდება და დაინერგება საგანმანათლებლო-სააღმზრდელო გეგმა და პროგრამები;
- უზრუნველყოფილი იქნება საბავშვო ბალებში დასაქმებულთა სათანადო კვალიფიკაცია;
- არსებითად გადაისინჯება ეროვნული სასწავლო გეგმა, აგრეთვე ამ გეგმით განსაზღვრული როგორც სწავლა-სწავლებისა და საათობრივი განაწილების ძირითადი პრინციპები, ისე საგნობრივი პროგრამები;
- სკოლას დაუბრუნდება აღმზრდელობითი ფუნქცია;
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართული ენის, როგორც ცალკე საგნის, სწავლებას;
- სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კლასში მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობად განისაზღვრება არა უმეტეს 25 მოსწავლისა;
- შეიქმნება კვალიფიკაციის ამაღლების მდგრადი და ეფექტიანი სისტემა – უზრუნველყოფილი იქნება მასწავლებლების/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
- განხორციელდება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნობრივი პროგრამები;
- ხელი შეეწყობა მასწავლებლის მოტივაციისა და შესაძლებლობების გაზრდას, იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. ამაღლება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო პოტენციალი. შეიქმნება უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციის ხელშემწყობი ეფექტიანი სამართლებრივი, ინსტიტუციური და ფინანსური მექანიზმები;
- განხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმნიშვნელოვანესი როლის საკანონმდებლო რეგლამენტაცია მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების სფეროში;
- სათანადო პროგრამები/ლონისძიებები გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა შესაბამის სახელმწიფო სტრატეგიაში;
- ამ სტრატეგიებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შედეგები გაანალიზდება სწავლებისა და კვლევის შეფასების საერთაშორისო ინდიკატორების შესაბამისად;
- განხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის საბაზო დაფინანსების სახელმწიფო პროგრამა;
- ამ დაფინანსების ფარგლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ექნება სამეცნიერო პრიორიტეტების განსაზღვრის უფლებამოსილება, გაიზრდება მეცნიერთა შრომის ანაზღაურება;
- სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის/ფონდების მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მეცნიერთა პროექტების საგრანტო დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფოს პრიორიტეტების შესაბამისად, ობიექტური და გამჭვირვალე შეფასებისა და დაფინანსების წესის საფუძველზე;
- შემუშავდება და განხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სამეცნიერო კვლევებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ეფექტიანი მექანიზმები.

მეცნიერება

არსებული ხელისუფლების პირობებში ქართული მეცნიერება და მისი განვითარება არ არის პრიორიტეტული. მეცნიერებისადმი არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულება მხოლოდ მისი მწირი დაფინანსებით არ შემოიფარგლება. წლების განმავლობაში სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტები მიზანმიმართულად დაიხურა, მკვეთრად შემცირდა მეცნიერების დაფინანსება. საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში მოხვდა არა ერთი სამეცნიერო და კვლევითი დაწესებულება, რომელთა გასხვისებას მოჰყვა მეცნიერ-თანამშრომელთა უმუშევრად დარჩენა და ქვეყნის ინტელექტუალური ძალის საზღვარგარეთ გადინება. განყვეტილია კავშირი მეცნიერებს შორის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. კატასტროფულად მცირეა იმ ახალგაზრდების წილი, რომლებიც აკადემიურ კარიერას ირჩევენ. სახელმწიფომ თითქმის სრულად მოიხსნა პასუხისმგებლობა ქვეყანაში მეცნიერების განვითარებაზე.

მოიშალა მეცნიერული ცოდნის ფორმირების ინტეგრირებული სისტემა. ახალი სისტემის ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებელია ცოდნის განახლება, გაზიარება, მისი აკუმულირება და მომავალი თაობებისათვის გადაცემა. ამ მიზნებისთვის საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება.

მეცნიერების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

- შემუშავდება სახელმწიფო პოლიტიკა მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის კუთხით;
- მეცნიერება გახდება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის საფუძველი;
- ჩვენ მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების საფუძველზე მნიშვნელოვნად გაიზრდება მეცნიერების დაფინანსება;
- მოხდება ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევათა ორგანიზებისა და მხარდაჭერის ახალი, ევროპული ტიპის სისტემის ფორმირება;
- თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი სამეცნიერო კვლევების უზრუნველსაყოფად შეიქმნება ქმედითი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში არსებული სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას, მეცნიერების მუდმივ განვითარებას და მის ინტეგრაციას ერთიან სამეცნიერო სივრცეში;
- უზრუნველყოფილი იქნება სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება, კვლევების ხარისხის ამაღლება, ახალგაზრდობის ჩართვა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, ქვეყნის მეცნიერების ინტეგრირება საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში;
- შეიქმნება მეცნიერების სფეროში შედეგზე ორიენტირებული საგრანტო დაფინანსების სისტემა;
- სახელმწიფო ხელს შეუწყობს ქართული მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო და აკადემიურ სივრცეში, მათ შორის, ერთობლივ კვლევით საქმიანობას, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ფორმით;
- მეცნიერების სისტემა უნდა დაეფუძნოს არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პოტენციალს. ამ დაწესებულებების მართვაში უშუალო მონაწილეობას მიიღებენ ამ დაწესებულებების წარმომადგენლები;
- ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად გამოცხადდება ნიჭიერი ახალგაზრდების მეცნიერებაში მოზიდვა.

დასაქმება

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდებში ერთჯერადი „პროგრამებით“ გადაწყვიტა მოსახლეობის დასაქმება, რამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ხელისუფლებას არასდროს ჰქონია დასაქმების სტრატეგია და, შესაბამისად, მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები ქაოსური იყო. ბოლო 8 წლის განმავლობაში ქვეყანაში დასაქმების მაჩვენებელი არ გაუმჯობესებულა, პირიქით – უმუშევრობა გაიზარდა, დასაქმებულთა რაოდენობა 170.000 კაცით შემცირდა. მხოლოდ დამსაქმებელზე მორგებული შრომის კოდექსის მოქმედების შედეგად, მასობრივი ხასიათი მიიღო ადამიანების სამსახურიდან დათხოვნამ. მრავალი პრობლემისა და წნეხის პირობებში ბიზნესში ვერ იქმნება ახალი სამუშაო ადგილები. საზღვარგარეთ გასული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა არ მუშაობს სპეციალობით და მათი 80%-ზე მეტი საკუთარ კვალიფიკაციასთან სრულიად შეუფერებელ სამუშაოს ასრულებს.

განსხვავებით ხელისუფლების პოლიტიკისაგან, ჩვენი პოლიტიკა დასავლურ ღირებულებებზე – ადამიანის უფლებების დაცვის, შრომის თავისუფლებისა და ღირსეული საარსებო პირობების შექმნის პრინციპებზეა აგებული.

დასაქმების უზრუნველსაყოფად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის, ინვესტიციების მოზიდვისა და წარმოების ხელშეწყობის, განათლებისა და კვალიფიკაციის ზრდის საშუალებები ჩვენ მიერ მომზადებულ შესაბამის სტრატეგიებშია ასახული. თითოეული მიმართულებით სავსებით კონკრეტული გზებია დასახული.

ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობის თითოეული თეთრის გაკონტროლების სურვილმა განაპირობა ელექტრონული ფულის ცნობილი და მრავალ ქვეყანაში აპრობირებული საანგარიშსწორებო სისტემების ფაქტობრივი დაბლოკვა საქართველოში. საქართველო დღემდე იმ მცირერიცხოვან ქვეყანათა ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებშიც მოქალაქეებს არა აქვთ საშუალება გამოიყენონ „PayPal“ და სხვა ანალოგიური ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემები.

სამაგიეროდ, საქართველოში გამოჩნდა არა ერთი კომპანია, რომელიც მოსახლეობას სთავაზობს გადახდების სისტემა „PayPal“-ით ტრანზაქციების განხორციელებას მაღალი საშუამავლო ტარიფებით. ჩვენ მიერ შემუშავებული დასაქმების პოლიტიკის შედეგებს იგრძნობს თითოეული ადამიანი:

- იგი მოძებნის თავისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამის სამუშაო ადგილს და შეძლებს საკუთარი ცოდნისა და უნარის რეალიზაციას;
- გაუჩნდება დამატებითი შემოსავლები და გაუმჯობესდება მისი სოციალური მდგომარეობა;
- შემცირდება მოსახლეობის მასობრივი გასვლა საზღვარგარეთ;
- შემცირდება სოციალური სიდუხჭირის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვი;
- გაუმჯობესდება დემოგრაფიული მაჩვენებლები.

სამუშაო ადგილების შექმნისათვის მნიშვნელოვანია ეკონომიკის რეალური განვითარება და ინვესტიციები კონკრეტულად იმ სფეროებში, რომლებმაც უნდა გააჩინონ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა. ჩვენი ხედვები ორიენტირებულია ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის დონის ამაღლებაზე, რათა სამუშაო ძალა თანამედროვე ტექნოლოგიური მოთხოვნებისა და ინოვაციური განვითარების ადეკვატური იყოს. საქართველოში ეკონომიკური განვითარების ვექტორი განსაკუთრებით ბოლო მ წლის განმავლობაში არ ემსახურებოდა ეკონომიკის რეალური სექტორის ორი მნიშვნელოვანი მიმართულების, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის, განვითარებას. ეკონომიკური ზრდა ძირითადად კონცენტრირებული იყო ფინანსურ სექტორზე, უძრავ ქონებაზე (მათ შორის, მშენებლობაზე), მომსახურებასა და ვაჭრობაზე. ამასთან, არც აღნიშნულ სფეროებში ჩამოყალიბებული სურათი იძლეოდა სამუშაო ძალაზე მოთხოვნის გაზრდის შესაძლებლობას. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დასაქმების პროგრამები არაეფექტიანი აღმოჩნდა, რადგან მხოლოდ მოკლევადიან პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა.

დასაქმებაზე ორიენტირებული პოლიტიკა გულისხმობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის რეალურ განვითარებას. ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს:

- სოფლის მეურნეობის, მასთან დაკავშირებული გადამმუშავებელი დარგების, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება;
- მთლიანად შრომის ბაზრის სტრუქტურაში დაქირავებით მომუშავეთა რიცხვის განუხრელი ზრდა;
- ასევე, თვითდასაქმებულთა წილის შემცირება ცალკეულ სექტორებში (ძირითადად აგრარული სექტორი) კოოპერაციის, კომერციალიზაციის დონის ზრდისა და ტექნოლოგიური განვითარების შედეგად.

ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ეფექტიანი და ცივილიზებული შრომის ბაზრის ჩამოყალიბება. შრომის კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია ამ ამოცანის შესრულების მნიშვნელოვანი კომპონენტია. კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და ცივილიზებული შრომის ბაზრის ფორმირებისათვის საჭიროა:

- შრომის ახალი კანონმდებლობის შემუშავება და მიღება;
- შრომის კანონმდებლობის რეფორმირება ეკონომიკაში შრომითი რესურსების ეფექტიანი განთავსებისა და გამოყენებისათვის, დასაქმებულთა ძირითადი უფლებების მკაცრი დაცვით (შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება, შრომის შესაბამისი პირობების უფლება, სამუშაოდან დაუსაბუთებელი დათხოვნისაგან დაცვის უფლება, გაფიცვის უფლება და სხვ.);
- უმუშევართა აღრიცხვის საინფორმაციო ბანკის შექმნა, რათა შესაძლებელი გახდეს მათი გადამზადება და შესაბამისი სამუშაოს შეთავაზება;
- სახელმწიფოს მხრიდან უმუშევართა მხარდამჭერი ღონისძიებების ეფექტიანობის გაზრდა;
- სოციალური დიალოგისა და სოციალური პარტნიორობის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფა.

მ ა კ რ ი ა კ ო ნ ო მ ი კ ა შ ო რ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი

სახელმწიფო ბიუჯეტი

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისას პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთ-პასუხისმგებლობის საკითხი. ამ საკითხში პირველი სიტყვა მთავრობას, ხოლო საბოლოო სიტყვა პარლამენტს უნდა ეკუთვნოდეს. ეს ნიშნავს, რომ ბიუჯეტის პროექტის წარდგენის უფლება მხოლოდ მთავრობას ექნება და მისი თანხმობის გარეშე ვერ მოხდება ბიუჯეტის პროექტში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც იწვევს სახელმწიფოს ხარჯის ზრდას ან შემოსავლის შემცირებას. მეორე მხრივ, მთავრობას უფლება არ ექნება, პარლამენტის თანხმობის გარეშე აიღოს სახელმწიფო სესხი ან რამე ფინანსური ვალდებულება, აგრეთვე, გადაიტანოს ხარჯი ბიუჯეტის ერთი ნაწილიდან მეორეში. თუ პარლამენტმა მომდევნო საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ვერ მოახერხა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიღება, მთავრობას უფლება ექნება, ხარჯი გასწიოს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ადრე ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად და მხოლოდ წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით. თუ პარლამენტმა საბიუჯეტო წლის დაწყების შემდეგ, კონსტიტუციით განსაზღვრულ 60-დღიან ვადაში ვერც სახელმწიფო ბიუჯეტი მიიღო და ვერც მთავრობა შეცვალა, პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს. პარლამენტს უფლება ექნება, გააკონტროლოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეაჩეროს შესაბამისი ხარჯის განევა. თუ სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობის გამო პარლამენტმა არ დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, მთავრობა უნდა გადადგეს.

კონტროლის პალატა (სახელმწიფო აუდიტის სამსახური)

პარლამენტი სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებისა და ხარჯვის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას აკონტროლებს კონტროლის პალატის მეშვეობით. რადგან სახელმწიფო სახსრების ძირითადი მხარჯველი არის მთავრობა, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობს, ობიექტური კონტროლის უზრუნველსაყოფად, მისი მაკონტროლებლის შექმნისას გადაწყვეტი სიტყვა მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობას არ უნდა ეკუთვნოდეს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ კონტროლის პალატა იყოს 5-წევრიანი კოლეგიური ორგანო, რომელიც იქმნება 5 წლის ვადით. მის თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი თავის წევრთა სულ ცოტა 1/5-ის მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან. არჩევისათვის სავალდებულო უნდა იყოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა, იმ პირობით, რომ მას მხარს უნდა უჭერდეს საპარლამენტო ოპოზიციის აბსოლუტური უმრავლესობაც. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოლიტიკურ ნეიტრალურობას და მიუკერძო-

ებლობას. რაც შეეხება პალატის წევრებს, ისინი, სათანადო დონის პროფესიონალთაგან, უნდა აირჩიოს პარლამენტმა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, იმ პირობით, რომ 2 წევრის არჩევას მაინც მხარს უჭერდეს საპარლამენტო ოპოზიციაც. კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და წევრების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად თანამდებობიდან მათი ვადამდე გათავისუფლება უნდა შეიძლებოდეს მხოლოდ იმპიჩმენტის წესით.

სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური

სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისათვის საჭიროა ქვეყნის მდგომარეობის ობიექტური შეფასება. ამისათვის კი, სხვა მონაცემებთან ერთად, აუცილებელია ობიექტური სტატისტიკური ინფორმაცია. ეს ინფორმაცია საჭიროა აგრეთვე მთავრობის საქმიანობის ქმედითი საპარლამენტო კონტროლის განსახორციელებლად. ამ ამოცანის შესრულება მხოლოდ მაღალპროფესიულ, მიუკერძოებელ, მთავრობისაგან დამოუკიდებელ, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილ სტატისტიკის სამსახურს ძალუძს, როგორც ამჟამად აღარ გვაქვს. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია, კონსტიტუციით განისაზღვროს, რომ სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური არის დამოუკიდებელი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული დაწესებულება, რომლის დირექტორსაც 5 წლის ვადით, პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის, მათ შორის, საპარლამენტო ოპოზიციის უმრავლესობის თანხმობით, თანამდებობაზე ნიშნავს.

ძირითადი მიდგომები და კონცეპტუალური საკითხები ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი პრობლემები

საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე, გონივრული და თანამიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის დეფიციტი ქართულ სახელმწიფოს მუდმივად თან სდევს. 20 წლის განმავლობაში დაუსრულებელი „რეფორმების“ ფონზე მხოლოდ ერთი შედეგი მივიღეთ – მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, საქართველო 2010 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე გათვლილი მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური მოცულობით 1990 წლის მაჩვენებელს 25%-ით ჩამორჩება, რაც მას ყოფილ საბჭოთა ქვეყნებშიც კი გამოარჩევს (ამავე პერიოდში ესტონეთში, 1990 წელთან შედარებით, ზრდამ შეადგინა 63%, ლატვიაში – 28%, ლიტვაში – 24%, სომხეთში – 66%, აზერბაიჯანში – 87%).

მშპ საქართველოში 1997 წლიდან 2003 წლის ჩათვლით გაიზარდა 70%-ით, ხოლო 2004-დან 2010 წლის ჩათვლით – მხოლოდ 36%-ით. 2004 წლის არჩევნებში, როდესაც საზოგადოება ძალიან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე იდგა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ეკონომიკის სწრაფი აყვავების ლოზუნგითა და მნიშვნელოვანი სოციალური პაკეტის შეთავაზებით გაიმარჯვა. თუმცა, კურსი მალევე შეცვალა და დაიწყო ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელება ფსევდოლიბერტარიანიზმის დევიზით (რომელიც ძალიან შორს აღმოჩნდა ნამდვილი ლიბერტარიანიზმისაგან) და უარი თქვა სახელმწიფოს სოციალურ პასუხისმგებლობაზე. „ლიბერტარიანული სასწაული“ საქართველოში ვერ მოხდა და ვერც მოხდებოდა, მით უფრო, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ამის პრეცედენტი არ არსებობს.

2004 წლიდან დღემდე, სრულფასოვანი და თანამიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა არ განხორციელებულა. საზოგადოებრივი ნდობის კრედიტის ამონურვასთან ერთად, ხელისუფლებამ სულ უფრო ხშირად დაიწყო ძალადობრივი ღონისძიებების განხორციელება და დასავლელ პარტნიორებთან ამ მოქმედებების გასამართლებლად წამოიწყო პროპაგანდა, რომ ქართული საზოგადოება არ არის მზად დემოკრატიისა და რეფორმებისათვის. ამიტომ, ხელისუფლება იძულებულია იმოქმედოს მმართველობის ავტოკრატიული ფორმით (სინგაპურის მაგალითი). შესაბამისად, ცხადია, რომ დეკლარირებული ევროინტეგრაციის მიღმა „სინგაპურიზაციის“ სურვილი არის სწრაფვა სწორედ ავტოკრატიისაკენ და არა ლიბერალური ეკონომიკური მოდელისაკენ. სინგაპურს, როგორც ქალაქ-სახელმწიფოს, ეკონომიკის სრულიად განსხვავებული სტრუქტურა აქვს და ამიტომ იგი ვერასოდეს გახ-

დება ქართული ეკონომიკის განვითარების სამიზნე მოდელი.

საბოლოოდ ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ საქართველოსათვის ყველაზე კომფორტულია ტრადიციული, ოლიგოპოლიური ეკონომიკური მოდელი, რომლის გაკონტროლება ავტორიტარული მმართველობის ფონზე მარტივია, და ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა ელიტარული კორუფციისათვის. ამ მოდელის „წარმატებას“ საქართველოს ყველა მოქალაქე გრძნობს პირველადი მოთხოვნილების საქონლისა და მომსახურების – საკვების, სანავის, მედიკამენტების, ელექტროენერჯისა და სხვადასხვა კომუნალური მომსახურების შექენისას. ოლიგოპოლიურმა მოდელმა, რომელიც „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ ეგიდით ჩამოყალიბდა, გამოიწვია მოსახლეობის უმეტესი ნაწილის გაღარიბება. ამიტომ, სოციალური უკმაყოფილების შემცირების მიზნით, მთავრობა იძულებული გახდა დაეწყო „სიღარიბის დაძლევის“, „დასაქმების“, „ბიზნესის ხელშეწყობისა“ და სხვა პოპულისტური პროგრამები, რომლებიც ორიენტირებული იყო მხოლოდ წინასაარჩევნო პროპაგანდაზე და არა შედეგზე.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდის ყველა წინასაარჩევნო დაპირება არჩევნების შემდეგ მხოლოდ დაპირებად დარჩა: **უმუშევრობის პრობლემის მოგვარება**; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; საქართველო სიღარიბის გარეშე; ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა; პენსია 100 აშშ დოლარის ოდენობით; საქართველოს გადაქცევა მსოფლიო ფინანსურ ცენტრად; და სხვა მრავალი დაპირება. ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, მაგრამ რეალური ეკონომიკური განვითარება ვერ მოხდა. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მოცულობა კვლავ კატასტროფულად დაბალია, მიუხედავად იმისა, რომ ზრდის სტიმულირებისათვის დიდი რაოდენობით კრედიტები იქნა აღებული, გაიზარდა საგარეო ვალდებულებები და გაიყიდა სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო ქონება. პერმანენტულად უარესდება ვითარება დასაქმების სფეროში, იზრდება უმუშევრობა და კრიტიკულ ნიშნულს აღწევს ფარული უმუშევრობა. ოფიციალური სტატისტიკით, სოფლის მცხოვრებნი თვითდასაქმებულებს მიეკუთვნებიან. ამიტომაც, სოფლად სტატისტიკურად უმუშევრობის ხელოვნური – 6,5%-იანი მაჩვენებელი გვაქვს, მაშინ როცა ქალაქებში ეს მაჩვენებელი 27 პროცენტამდეა. სტატისტიკურად, საქართველოში დაქირავებულთა რაოდენობა 600.000 არ აღემატება, ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა მილიონზე მეტია, – მათგან 90 პროცენტი სოფლის მცხოვრებია. მნიშვნელოვანია, რომ თითქმის 15 წელია არც სოფლის მეურნეობა ვითარდება ტექნოლოგიურად და არც ეკონომიკის სხვა სექტორებში იქმნება ახალი სამუშაო ადგილები. ამასთან, უკვე მრავალი წლის განმავლობაში მკვეთრად ჩამოყალიბდა საქართველოდან სამუშაო ძალის გადინების სახიფათო ტენდენცია. სხვადასხვა ქვეყნებში გასული სამუშაო ძალის აბსოლუტური უმრავლესობა დაკავებულია დაბალკვალიფიციური და დაბალანაზღაურებადი შრომით და ძალიან მცირე ნაწილია დასაქმებული მაღალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებზე.

ეროვნული დანაზოგები – ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი წყარო – სულ უფრო და უფრო მცირდება იმპორტზე ორიენტაციის გამო. წლების განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა იძულებული იყო იმაზე მეტი დაეხარჯა, ვიდრე გამოიმუშავებდა – დანაზოგების წილი მშპ-თან მიმართებით, 2003 წელს დაფიქსირებულ 16%-იან მაჩვენებელთან შედარებით, ყოველ მომდევნო წელს მცირდებოდა. 2010 წელს, რესურსების ამონურვის ფონზე იგი 2,2%-მდე შემცირდა. მოსახლეობისათვის, მით უფრო დაბალშემოსავლიანი ფენებისათვის, სერიოზულ პრობლემად იქცა ინფლაცია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, პირველადი მოხმარების პროდუქტების ფასების ზრდაზე აისახა. სახელმწიფო პოლიტიკა, უცხოური ინვესტიციები და კომერციული ბანკების მიერ საკრედიტო დაფინანსება სოფლის მეურნეობის განვითარებისაკენ არ იყო მიმართული. სურსათის მოხმარებაში შემცირდა სამამულო პროდუქციის წილი, ხოლო იმპორტირებული პროდუქციის წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საქართველოს მოსახლეობისათვის განსაკუთრებით შემაშფოთებელია ქვეყანაში ბოლო წლებში განხორციელებული **პრივატიზაციის პროცესი**. საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ქონებას ასხვისებდა გაუმჭვირვალედ და ხშირად საზოგადოებისათვის ფარულად. მსხვილი ობიექტების, მათ შორის, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დიდი ნაწილის პრივატიზაცია გამჭვირვალედ კი არ მოხდა, არამედ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით (აუქციონის გარეშე) და სახელმწიფო ინტერესების სრული იგნორირებით.

ხელისუფლებაში განსაკუთრებული „პოპულარობით“ სარგებლობს საპრივატიზაციო ობიექტების სიმბოლურ ფასად (1 ლარად) გასხვისება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე. მსოფლიოში არსებული გამოცდილებით, ეს გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი არის მსოფლიოში ცნობილი ბრენდი ან კომპანია, რაც საქართველოში პრაქტიკულად არ მომხდარა. სამწუხაროდ, ასეთი გარიგებების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა ხელისუფლების მხრიდან „ელიტარული კორუფციის“ წყარო, ხშირ შემთხვევაში, ნეპოტიზმის კლასიკური ნიშნებით. ხელისუფლება არ ახდენს ინვესტორებთან დადებული ხელშეკრულებების პირობების მონიტორინგს და არ მიმართავს სანქციებს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისას. მთლიანად, საქართველოს მთავრობის მხრიდან სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესში გამჭვირვალე პოლიტიკის არქონამ, გაუაზრებელი და მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღებამ უდიდესი ზიანი მიაყენა როგორც საზოგადოების, ისე ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება კვლავ ანალოგიური მეთოდებით აგრძელებს პრივატიზაციის პროცესს, რომელიც ორიენტირებულია მოკლევადიან ფისკალურ ეფექტზე და ემსახურება ხელისუფლებაში მყოფი მაღალი რანგის ჩინოვნიკების პირად ინტერესებს.

მოქმედი ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი პრობლემა გახდა ის, რომ სახელმწიფომ „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ ეგიდით უარი განაცხადა საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირებულ ისეთ ორგანულ ფუნქციებზე, როგორცაა: ჯანსაღი და კონკურენტული ბიზნესგარემოს შექმნა; სოციალური პასუხისმგებლობა; საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა. იგნორირებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის, სურსათისა და მედიკამენტების ხარისხის უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი რესურსების თავისუფალი წვდომისა და სახელმწიფოს, მთელი რიგი სხვა, საყოველთაოდ აღიარებული ფუნქციები. ამავ დროს ქვეყანამ არა თუ ვერ შეძლო ეკონომიკაში ძირეული გარდატეხის შეტანა, არამედ „სიღარიბის ხაფანგში“ მოხვედრის საფრთხის წინაშე დადგა. ამ საფრთხის თავიდან აცილებისა და დღეს შექმნილი ვითარების გამოსწორებისთვის საჭიროა სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მიღება. ვინაიდან 9 წლის განმავლობაში ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ მას არ შესწევს უნარი, არსებითად შეცვალოს შექმნილი ვითარება, საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ მზად არის პასუხისმგებლობა აიღოს განვითარების თვისებრივად ახალ კურსზე, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ინტერესებსა და ევროინტეგრაციაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას.

საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ ეკონომიკური პოლიტიკის უპირატესობები

საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ მიერ შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებს და ემყარება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და იმ თანამედროვე მიდგომებს, რომლებიც გამოკვეთს სახელმწიფოს როლს სოციალური კეთილდღეობისა და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. საქართველოში განვითარების გრძელვადიანი და სტაბილური პროცესის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ: ეკონომიკური პოლიტიკა დაეფუძნოს მდგრადი განვითარების მოდელს; სისტემური ტრანსფორმაციის პროცესში საკვანძო როლი მიენიჭოს სახელმწიფოს, რომელმაც უნდა განსაზღვროს განვითარების სტრატეგია უმთავრესი მიზნებისა და შესაბამისი ინდიკატორების დონეზე; განვითარების სტრატეგიის ფარგლებში განისაზღვროს ყველა ის ფუნქცია, რომელთა არსებობა აუცილებელია სტაბილური განვითარებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის; მოხდეს ეკონომიკის სტრუქტურული მოდერნიზება საქართველოს ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, რაც დაემყარება ქვეყნის შედარებითი უპირატესობების გონივრულ გამოყენებას. განხორციელდეს ექსპორტის სტიმულირება და იმპორტის ჩანაცვლება, რაც სტრუქტურული მოდერნიზაციის განუყოფელი ნაწილია;

სახელმწიფომ უზრუნველყოს სამართლიანი, თავისუფალი და კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნა; ხელი შეეწყოს თანამედროვე და მოქნილი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელზეც თანაბრად მიუწვდება ხელი ყვე-

ლა ეკონომიკურ სუბიექტს. ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა არის განვითარების ერთადერთი მიზანი და ინდიკატორი. მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყანა ინტერესდება არა მხოლოდ მშპ-ის, არამედ კეთილდღეობის მაჩვენებლებით – რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა საბინაო პრობლებით, შემოსავლების დონითა და მათი გადანაწილებით, სამსახურით, საცხოვრებელი ინფრასტრუქტურით, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხარისხით, მმართველობის ეფექტიანობით. მშპ-ის ზრდა თავისთავად არ განაპირობებს საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ამიტომ, ჩვენი პოლიტიკის განხორციელების შედეგად:

- საჯარო ფინანსების მართვაში დამკვიდრდება ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის თანამედროვე სტანდარტები;
- გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რაც უზრუნველყოფს საქართველოს შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის სტაბილურ შემოსავალს, აგრეთვე საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებასა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდას;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანას, უმუშევრობის შემცირებას, სიღარიბის დაძლევისა და სოციალური ფონის გაუმჯობესებას, მრავალრიცხოვანი და ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებას;
- ბაზარი გათავისუფლდება ხელოვნური მონოპოლიებისაგან, რომლებიც ხელს უშლიან თავისუფალ მენარმეობას და ითვისებენ შინამეურნეობების შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს პირველადი მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე არარეალურად მაღალი ფასების დანესებით;
- მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადები დაიხარჯება მიზნობრივად და გამჭვირვალედ;
- დაიძლევა შემოსავლების განაწილებაში არსებული დიდი უთანაბრობა და ყველა ოჯახი იგრძნობს კეთილდღეობას.

მოქმედი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად სახელმწიფოს გაუქმებული ფუნქციების აღდგენა, ისევე როგორც არსებული და არასრულყოფილი ფუნქციების ოპტიმიზაცია, შეუძლებელია ძირეული ინსტიტუციური რეფორმის გარეშე. ჩვენ პრინციპულად მიგვაჩნია, რომ საჯარო მოსამსახურეებს მიენიჭოთ კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღების უფლება. იმისათვის, რომ მივალნიოთ საჯარო სამსახურის საზოგადოებრივი სარგებლიანობის ზრდას, საჭიროა მოხდეს სტიმულირება იმისა, რომ სწორედ საჯარო მოხელეებმა მიიღონ ინფორმირებული, კომპეტენტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები.

დღევანდელი საგანგაშო რეალობისაგან განსხვავებით, ინსტიტუციური რეფორმის ჩვენეული ხედვა ნიშნავს ევროპული ტიპის სახელმწიფო ინსტიტუტებისაკენ სწრაფვას. ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი ქონების მართვა მოხდება გონივრული მეთოდების გამოყენებით.

- განხორციელდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების სრული ინვენტარიზაცია;
- განისაზღვრება პრიორიტეტები და სახელმწიფო პოლიტიკა პრივატიზაციის კუთხით;
- აუცილებლად გადაიხედება სტრატეგიული ობიექტების დეფინიცია და მომზადდება მათი ახალი ჩამონათვალი;
- შესაბამისი უწყება დაანესებს ინვესტორთა მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უმკაცრეს კონტროლს;
- პრივატიზაციის პროცესი წარიმართება გამჭვირვალედ, უპირატესად, აუქციონების გამართვის გზით.

ჩვენი მიზანია ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ზრდა. ამ თვალსაზრისით, ინოვაციებისა და სამეცნიერო კვლევების დეფიციტი, რაც განათლების სისტემის არათანამიმდევრულმა რეფორმირებამ და სამეცნიერო ინსტიტუტებზე მიზანმიმართულმა შეტევამ განაპირობა, ქვეყანას „ინტელექტის გადინების“ უპრეცედენტო რისკის წინაშე აყენებს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებული გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი უკვე რამდენიმე წელია საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად სამუშაო ძალის დაბალ კომპეტენციას ასახელებს.

არსებული ეკონომიკური პოლიტიკისაგან განსხვავებით, ჩვენი სტრატეგია გულისხმობს რისკების მართვის სრულფასოვანი მექანიზმის შექმნას, რომელიც ეფუძნება ინდიკატორთა სისტემას და რომლის მიზანია როგორც შიდა, ისე საგარეო შოკების პრევენცია-პროფილაქტიკა.

სახელმწიფო სტიმულირების პოლიტიკა და ეკონომიკური პოლიტიკის აქცენტები

საბაზრო ეკონომიკა სხვა ეკონომიკურ სისტემებთან შედარებით ყველაზე წარმატებული, ეფექტიანი და კეთილდღეობის ზრდასთან დაკავშირებული მოდელია. თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს მხრიდან ამ სისტემის ხარვეზების გამოსწორებისა და სხვა ცალკეული ინტერესების გათვალისწინების მიზნით მასში გონივრული ჩარევის საჭიროება კვლავ რჩება. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების არსებითი ანალიზი აჩვენებს, რომ უმთავრესი ამოცანა ოპტიმალური, დემონოპოლიზებული საბაზრო სისტემის ფორმირებაა. თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული ჩვენი ხედვა ითვალისწინებს, რომ:

- 1. ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის გაივლოს მკვეთრი ზღვარი და მოხდეს მათი რეალური ფუნქციური გამიჯვნა;**
- 2. საჯარო სექტორის მონაწილეობა იყოს მინიმალური, ხოლო მისთვის განსაზღვრული ფუნქციების რეალიზაციისას – ადეკვატური და ეფექტიანი;**
- 3. ხელისუფლებამ ხელი არ უნდა შეუშალოს კერძო სექტორს, ბაზარს და კონკურენტულ გარემოს, რომლებსაც განმსაზღვრელი ფუნქცია ენიჭებათ კეთილდღეობის ზრდის საქმეში.**

ზემოაღნიშნული მიდგომების მკაცრი და უკომპრომისო განხორციელება აუცილებლად გამოიწვევს საგრძნობ ეკონომიკურ ზრდას. ზრდის ფაქტორები იქნება მნიშვნელოვანი და მდგრადი. ამასთან, საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ ხედვა ითვალისწინებს ეკონომიკის შერჩეულ სექტორებში აქცენტირებული პოლიტიკის ელემენტებს.

სახელმწიფოს აქტიური მიზნობრივი პოლიტიკისათვის შერჩეულია შემდეგი სფეროები:

- 1. სოფლის მეურნეობა, მცირე და საშუალო მენარმეობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი წარმოება –** პოლიტიკის ინსტრუმენტებად მოცემულია ირიბი სუბსიდირების მექანიზმები და ამ დარგებში სხვა დარგებიდან რესურსების გადანაცვლების სტიმულირება;
- 2. სოციალური სფერო –** საპენსიო რეფორმა, ჯანმრთელობის დაცვის სფეროს რეფორმა, უმწეო მდგომარეობაში მყოფთა დახმარების სისტემა. ამ სფეროებში პროგრამით გათვალისწინებული რეფორმა გულისხმობს პირად პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული სოციალური სისტემების ჩამოყალიბებას, რეფორმის პირველ წლებში სახელმწიფოს აქტიური ჩარევით.
- 3. ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა –** ნებისმიერი ქვეყნისათვის ინვესტიციები ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბოლო წლებში საქართველოში შემოსული ინვესტიციების უმეტესი ნაწილი დაკავშირებულია პრივატიზაციასთან, კერძო აქტივების მესაკუთრეთა ხშირ შეცვლასთან და ნაკლებად უკავშირდება ახალი სანარმოო აქტივების შექმნას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. სახელმწიფომ ხელსაყრელი გარემო უნდა შექმნას როგორც შიდა, ისე უცხოური ინვესტიციებისთვის, რაც გულისხმობს ინვესტიციების დაცულობას, სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნესგარემოს შექმნას. უცხოური ინვესტიციების ნახალისების პარალელურად იგივე პირობები უნდა გავრცელდეს შიდა ინვესტიციებზე, უნდა იზრდებოდეს და-

ნაზოგები და რეინვესტირება. საგარეო-ფინანსური დახმარებები და სხვა ინიექციები ქვეყანას დროებით შე-
ღავათებს აძლევს, მაგრამ ვერ ახდენს ადგილობრივი კაპიტალის არასაკმარისად დაგროვების კომპენსირებას.

ჩვენი პოლიტიკა, მოხმარებაზე ორიენტირებული ეკონომიკის ნაცვლად, მიმართული იქნება დანაზოგებისა და
კაპიტალიზაციის ზრდაზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე, რამაც გრძელვადიანი მდგრადი განვითარების განმ-
საზღვრელი როლი უნდა შეასრულოს.

დაგროვების სტიმულირების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია:

- საპენსიო დაზღვევის სისტემების დაგროვებითი ფუნქცია;
- სოფლის მეურნეობის ფონდის აქტიური მონაწილეობა გრძელვადიანი კაპიტალის ფორმირებაში;
- რეალური დეცენტრალიზების როლი შემოსავლების განაწილების ნორმალიზაციაში რეგიონების მი-
ხედვით;
- საგადასახადო გარემოს გაუმჯობესება და მისი გამოკვეთილი როლი დაგროვების ხელშეწყობაში;
- ახალი საერთაშორისო ბაზრების გახსნისა და ძველ ბაზრებზე სრულფასოვანი დაბრუნების მნიშვნელო-
ბა ქვეყანაში მეტი მაღალშემოსავლიანი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით;
- ადგილობრივი წარმოების პროდუქციის მოხმარების მასტიმულირებელი როლის გაძლიერება;
- სახელმწიფოს მდგრადი და გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის მნიშვნელობა, რათა საქართვე-
ლოს მეტ მოქალაქეს ჰქონდეს სტიმული საკუთარ ქვეყანაში განათავსოს დანაზოგები და არა საზღვარ-
გარეთ;
- დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მნიშვნელობა დანაზოგების უსაფრთხოების გარანტირებისათვის.

თანამედროვე ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია ვილაპარაკოთ ქვეყნის განვითარებასა და მოსახლეო-
ბის კეთილდღეობაზე სხვა ქვეყნებთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და გლობალურ
ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაციის გარეშე. სახელმწიფოს სპეციფიკური ფუნქცია ექსპორტის სტიმუ-
ლირების საქმეში არის სხვადასხვა სახელმწიფოსთან ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებების, შეღავათიანი და
თავისუფალი რეჟიმების მოპოვებისა და იმ ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა ქვეყნის შიგ-
ნით, რომელიც ქართველ ექსპორტიორებს გაუადვილებს სხვა ქვეყნების რეგულაციურ ჩარჩოებთან შესაბა-
მისობას და ექსპორტის მუდმივ ზრდას. ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია საექსპორტო საბაზრო არეალების
მნიშვნელოვანი გაფართოება, ევროკავშირისა და აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების ამოქმედება,
რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა.

ოჯახი და ინდივიდი

ცენტრალური ზრუნვის ობიექტი – ოჯახი და ინდივიდი

ოფიციალური სტატისტიკაც კი ვერ მალავს იმ ფაქტს, რომ საქართველოში შემოსავლების უთანაბრობა პერმა-
ნენტულად იზრდება. შედარებით მაღალშემოსავლიანი პირები ძალიან ვიწრო სეგმენტში არიან კონცენტრირე-
ბული, ხოლო ოჯახების უმეტესობა სიღარიბის ზღვარს მიღმაა.

შინამეურნეობა, რომელიც თავისი არსით ახლოს არის ოჯახთან, ეკონომიკის საბაზო ერთეულია. მიუხედავად
იმისა, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახური მთელ რიგ კვლევებს სწორედ შინამეურნეობის მიხედვით აწარ-
მოებს, მოქმედი ეკონომიკური პოლიტიკა მაინც არ ცნობს ოჯახის როლს, არ ინტერესდება მისი პრობლემე-
ბითა და საჭიროებებით. მრავალშვილიანი დედებისათვის დაწესებულ შეღავათებს თუ არ გავითვალისწინებთ,
ოჯახის ინსტიტუტის სტიმულირების სხვა პრაქტიკა საქართველოში არ არსებობს. განვითარებულმა ქვეყნებმა
უკვე დიდი ხანია აღიარეს ოჯახის არა მარტო სოციალური, არამედ ეკონომიკური მნიშვნელობა – სრულფასო-
ვანი ოჯახი უფრო მდგრადია რისკების მიმართ, აგრეთვე დაგროვების მეტი სტიმული და, ოჯახის ერთ წევრზე

გათვლით, ნაკლები სამეურნეო ხარჯი აქვს. ერთი ოჯახის დონეზე ეს ეფექტი ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ მაკროდონეზე ყველა ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია. ამასთან, ოჯახი მყარი პლატფორმაა მცირე სანარმოებისათვის, რომელთა მხარდაჭერა საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

განვითარების ახალი სტრატეგია, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ საზოგადოებას, ითვალისწინებს ოჯახის როლის გააქტიურებას.

ოჯახის ხელშეწყობის ფარგლებში, ჩვენ მიერ მომზადებული განვითარების სტრატეგია მოიცავს:

- მცირე ბიზნესის დაწყებაში ოჯახის ჩაბმულობის მხარდამჭერ ღონისძიებებს;
- საშემოსავლო გადასახადის დასაბეგრ ბაზაში გამოქვითვის სისტემის დანერგვას;
- მრავალშვილიანობის სტიმულირების სისტემურ და არა ერთჯერად შეღავათებს;
- მოქალაქეებისათვის თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზაციის საშუალების მიცემას;
- საგადასახადო სისტემის ჰარმონიზაციასა და ოპტიმიზაციას.

კომუნალური მომსახურების ტარიფები

კომუნალური გადასახდელების ტარიფები საქართველოში 2004 წლიდან ყველა მიმართულებით გეგმაზომიერად მკვეთრად იზრდებოდა და 2012 წლისათვის ტარიფების სიდიდით საქართველომ არა მარტო დსთ-ის ქვეყნებს, არამედ ევროპის ბევრ ქვეყანასაც კი გაუსწრო. ტარიფების ზრდითა და კომუნალური გადასახდელების ამოღების არაცივილიზებული ხერხების გამოყენებით მკვეთრად გაზრდილი კომუნალური ხარჯები ისედაც ღარიბ მოსახლეობას მძიმე ტვირთად დაანვა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის 2004 წლის შემდეგ კომუნალური ხარჯები საშუალოდ 3-4-ჯერ გაიზარდა. ელექტროენერჯის, გაზის, წყლის მიწოდებასა და ნარჩენების გატანას საქართველოში ერთი საერთო რამ აქვს – თითოეული ამ მომსახურების საფასური არაადეკვატურად მაღალია. ამის მიზეზი მთავრობისა და მარეგულირებელი კომისიების მიერ დაკანონებული უსამართლო მოქმედებაა. ამ მხრივ განსაკუთრებით 2007 და 2010 წლები გამოირჩეოდა, როდესაც დაპირებებისა და მძიმე სოციალური ფონის მიუხედავად, ტარიფები მკვეთრად გაიზარდა.

თბილისში წყლის ტარიფი 2003 წელთან შედარებით 160%-ით გაიზარდა: 2007 წელს იგი გაორმაგდა, ხოლო 2010-ში კიდევ ერთხელ გაიზარდა. არც ერთი დაპირება (24-საათიანი მომარაგება, წყლის ხარისხის გაუმჯობესება, ტარიფის დიფერენცირება და სხვ.) არ შესრულებულა და ფაქტობრივად მოტყუებულმა მოსახლეობამ გაცილებით ძვირად იგივე, უფრო მეტიც, ხშირად უარესი მომსახურება მიიღო.

თითქმის გაორმაგდა ბუნებრივი აირის ფასი. იგი ძალიან მაღალია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წინაპირობა არსებობს ბუნებრივი აირის ტარიფის საგრძნობლად შემცირებისათვის (საქართველო არსებული მაგისტრალური და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენით გაზის ტრანზიტისათვის უფასო გაზს იღებს; ბუნებრივი აირის ხარისხი მაღალი არ არის და ა.შ.). ელექტროენერჯის ტარიფი იმავე პერიოდში დაახლოებით 70%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ დაწესებული დიფერენცირებული ტარიფიც სოციალურად უსამართლოა.

2004 წლიდან კომუნალური მომსახურების ტარიფების განსაზღვრის მიზნით გატარებული უსამართლო პოლიტიკა დაგვირგვინდა თბილისში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საფასურის ელექტროენერჯის მოხმარებაზე მიბმით. ეს გადაწყვეტილება გამოირჩევა თავისი უსამართლობითა და ალოგიკურობით და ცხადყოფს, რომ მთავრობის მიზანია, უბრალოდ, მაქსიმალური ოდენობის თანხების ამოღება და არა რეალური ტარიფის

გაანგარიშება.

სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა იყოს დანაკარგების შემცირება, ეკონომიკურად მომგებიანი ინფრასტრუქტურის ნახალისება და ტარიფების გაანგარიშების მექანიზმების სრულყოფა. ამ გზით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ტარიფების ოპტიმიზაცია და მათი სტაბილურობა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა იყოს მომხმარებელსა და ოპერატორს შორის ინდივიდუალური ხელშეკრულების გაფორმება, რომელშიც მკაფიოდ იქნება გათვალისწინებული ორმხრივი, მათ შორის, ოპერატორის მხრიდან მომხმარებლისათვის მომსახურების განევის ხარისხთან და შესაბამის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ კომუნალური ტარიფები უნდა ეფუძნებოდეს რეალურ გათვლებს, შეესაბამებოდეს განუვლი მომსახურების ხარისხს და ხელმისაწვდომი იყოს ქვეყნის მოქალაქეებისათვის. აქედან გამომდინარე:

- უმოკლეს ვადებში განვახორციელებთ ტარიფების ხელახალ და სამართლიან გადაანგარიშებას ტარიფების მნიშვნელოვანი შემცირების მიმართულებით;
- არ დავუშვებთ ტარიფების ზრდას სუბიექტური, უსამართლო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების საფუძველზე;
- არ დავუშვებთ ბიზნესისათვის კაბალურ ტარიფებს, რაც აძვირებს პროდუქციას და ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას;
- გამოირიცხება კოლექტიური მრიცხველები, სხვადასხვა კომუნალური გადასახდელების ერთმანეთზე მიბმა და სხვა ნებისმიერი მექანიზმი, როდესაც უპირატესობა ენიჭება მომსახურების საფასურის ამოღებას და არა მომხმარებელთა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას.

ტრანსპორტი

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, მასზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნით მიმზიდველია მძლავრი სატერმინალო ქსელის – ლოგისტიკური ცენტრების შესაქმნელად. სამხრეთ კავკასიის რეგიონი ერთნაირად ახლოს არის როგორც ევროპის უკვე ჩამოყალიბებულ საერთო ბაზართან, ისე კასპიისპირა რეგიონის სწრაფად განვითარებად ცენტრებთან. საქართველოს, როგორც სატრანზიტო ფუნქციის ქვეყნად, ჩამოყალიბება, ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, რეგიონის სტაბილურობას, მეორე მხრივ კი, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო/ენერ-გეტიკული დერეფნების განვითარებას და მათი უსაფრთხოების განმტკიცებას.

ტრანსპორტის სფეროსთვის მნიშვნელოვანი საკითხია რეგულირების სისტემის არსებობა, რომელიც განახორციელებს მთლიანად საზოგადოებრივი ტრანსპორტის დარგის უსაფრთხოების რეგულირებას.

საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ ის ძირითადად უნდა ეფუძნებოდეს კერძო სექტორს, გარდა საქართველოს რკინიგზის, სარკინიგზო მაგისტრალთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის და თბილისის მეტროპოლიტენისა. ავტობუსების, სამარშრუტო მიკროავტობუსების, ტაქსების სფეროში სახელმწიფოს როლი უნდა იყოს მხოლოდ რეგულირება, მარშრუტების სქემების/ტექნიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით და ფასის ზედა ზღვრების (გარდა ტაქსებისა) დანესების კუთხით. ამასთან, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია ხელს კი არ უნდა უწყობდეს ამ სფეროში მონოპოლიზებას ან ცალკეული ოპერატორების ძალაუფლების გაზრდას, არამედ უნდა უზრუნველყოფდეს კონკურენციის ზრდას და ფასების ფორმირების პროცესში უპირატესად საბაზრო მექანიზმების არსებობას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სარკინიგზო სექტორში, გარდა უშუალოდ სარკინიგზო მაგისტრალის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურისა, მნიშვნელოვნად გაიზარდოს სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების

სფეროში კერძო სექტორის როლი პრივატიზაციის, ბარიერების შემცირებისა და კონკურენციის ჩამოყალიბების გზით. თბილისის მეტროპოლიტენთან დაკავშირებით მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი მართვის უფლებით კერძო კომპანიისთვის გადაცემა, პრივატიზაციის გარეშე. საჯარო რეგულირება სატრანსპორტო მომსახურების მასშტაბებისა და გეოგრაფიის გათვალისწინებით უნდა იქნეს გადანაწილებული მუნიციპალურ, რეგიონალურ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

ბიზნესგარემო და კონკურენციის პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება

განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტული მიმართულებაა. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრაქტიკა მონიშნავს, რომ მცირე და საშუალო მენარმეობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის, უმუშევრობის დაძლევის, ცხოვრების დონის ზრდის, სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისა და შენარჩუნების საქმეში. მიუხედავად ამისა, საქართველოში დღემდე არ არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკა, ხოლო ბიზნესი მძიმე საგადასახადო ადმინისტრირებისა და წნეხის პირობებშია. ასეთი ვითარება საფრთხეს უქმნის ქვეყანაში მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარებას. მაგალითისათვის, ევროკავშირის ქვეყნებში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოთა ბრუნვა, გამოშვებული პროდუქციის მოცულობა და დასაქმება მთლიანი მაჩვენებლების 60%-ზე მეტია, მაშინ როდესაც საქართველოში ამ სექტორის როლი გაცილებით მოკრძალებულია.

ქართველ მენარმეთა დიდი ნაწილი მასობრივად ამცირებს ეკონომიკურ აქტიურობას საკუთარ ქვეყანაში და ცდილობს თავისი კაპიტალი და ინტელექტუალური შესაძლებლობები საზღვარგარეთ გაიტანოს. მცირე და საშუალო ბიზნესი ვერ ვითარდება და მისი ნილობრივი მონაწილეობა ეკონომიკაში ძალიან მცირეა, ასევე დაბალია მისი ფინანსური მაჩვენებლები, კერძოდ:

- მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვა, გამოშვებული პროდუქციის მოცულობა და დამატებული ღირებულება მთლიანი ბიზნესის მაჩვენებლების 20%-ს არ აღემატება;
- ინვესტირება მცირე და საშუალო ბიზნესში (კაპიტალის შექმნა) 10%-ზე ნაკლებია;
- მცირე საწარმოთა დიდი ნაწილი საბალანსო წელს ზარალით ხურავს ან მიზერული მოგება აქვს.
- შესაბამისად, ვერ ხდება ფულადი სახსრების რეინვესტირება და ბიზნესის გაფართოება;
- თუ საწარმოს უფიქსირდება მაღალი მოგება, ის აუცილებლად ხვდება ხელისუფლების თვალთახედვის არეში, რასაც მოჰყვება მაკონტროლებელი ორგანოების მიერ მისი მუდმივი შემონიშნება;
- ბევრ მათგანს აღებული აქვს საბანკო სესხი მაღალი საპროცენტო განაკვეთით (16-20%-მდე) და მთელი მათი ძალისხმევა ხმარდება მხოლოდ აღებული სესხის შეუფერხებელ მომსახურებას.

მცირე და საშუალო ბიზნესი ქვეყნის ხელისუფლების პრიორიტეტებში არ ხვდება. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ამ სექტორის ბიზნესის მეტ-ნაკლებად ადეკვატური დეფინიციაც კი არ არსებობს და სექტორის არანაირი ხელშეწყობა არ ხორციელდება. 2011 წლის 1 იანვრიდან შემოღებულმა ახალმა საგადასახადო კოდექსმა მიკრო და მცირე ბიზნესის მდგომარეობა არათუ ვერ გააუმჯობესა, არამედ პირიქით, ამგვარი საწარმოების საგადასახადო ტვირთი უფრო გაზარდა.

საქართველოში ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში შემცირდა, მიუხედავად მშპ-ის ზრდისა. დასაქმების მაჩვენებლების გაუმჯობესება არც ხელისუფლების მიერ განხორციელებულ დასაქმების „პროგრამებს“ მოჰყოლია, არადა ამ „პროგრამებზე“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან რამდენიმე

ასეული მილიონი ლარი დაიხარჯა. ამ კუთხით პრობლემა იყო ის, რომ ძირითადად ერთჯერადი ხასიათის პროგრამები ემსახურებოდა წინასაარჩევნოდ მოკლევადიანი ეფექტის მიღებას.

ქვეყანაში ბიზნესის დაწყების ცდა ხშირად კრახით მთავრდება. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ბევრი სახელმწიფოს მხრიდან ემსახურება ორ მთავარ მიზანს – უმუშევრობის შემცირებასა და სოციალური ფონის გაუმჯობესებას. აღნიშნულის შედეგად სახელმწიფოს უმსუბუქდება სოციალური დაცვის ღონისძიებების ტვირთი, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება გამოთავისუფლებული სახსრების სხვა სექტორებისკენ მიმართვა.

ჩვენ დავინყებთ საქართველოში სოციალური პრობლემების გადაჭრას არატრადიციული, მაგრამ მსოფლიოში უკვე კარგად აპრობირებული, თანამედროვე მიდგომებით. ეს მიმართულება არის სოციალური ბიზნესის განვითარება საქართველოში, რაც ითვალისწინებს საზოგადოების თანამონაწილეობას და ბიზნესინსტრუმენტების გამოყენებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და უკიდურესი სიღარიბის დაძლევის შესაძლებლობას.

საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული იქნება სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის იმგვარი წახალისება, რომელიც უზრუნველყოფს ამ სექტორში ინვესტიციებისა და ინოვაციების ზრდას. ასეთი შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდება კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებით:

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის გამოცხადება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართულებად;
- საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდის შექმნა;
- დანახარჯების შემცირების უზრუნველყოფი რეფორმების განხორციელება, ანუ ნედლეულსა და რესურსებზე მონოპოლიური ფასების შემცირება თავისუფალი კონკურენციის პრინციპის განუხრელი დაცვის საფუძველზე;
- სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ბიზნესგარემოში არსებული რისკების შემცირებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნის კუთხით;
- საბანკო სექტორში კარტელური შეთანხმებების შეზღუდვით კონკურენტული გარემოს შექმნა (რაც საპროცენტო განაკვეთების შემცირებას და კრედიტების ხელმისაწვდომობას შეუწყობს ხელს), რათა მცირე და საშუალო ბიზნესმა შეძლოს წარმატებული ფუნქციონირება და ბიზნესის გაფართოება;
- საკუთრებისა და გარიგების დაცულობა, მათი ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა სამართლიანი სასამართლო სისტემის საშუალებით;
- საგადასახადო პროცედურების გამარტივება (გადასახადების გამომანგარიშების წესები და გადახდის პროცედურების გამარტივება, ინსტრუქციების კანონში ასახვა);
- ბიზნესინკუბატორებისა და სხვა მცირე ბიზნესის ხელშეწყობი ინსტიტუტების შექმნა და ხელშეწყობა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების განწევა მთელი ქვეყნის მასშტაბით;

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან მუშაობის გააქტიურება, რათა გადაიხედოს გამოყოფილი მიზნობრივი საკრედიტო ხაზების გამოყენების პირობები და საკრედიტო ხაზები რეალურად გახდეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტიმულირების მექანიზმი, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ერთი მხრივ, სამართლიანი კონკურენციის პოლიტიკა და, მეორე მხრივ, მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერა უზრუნველყოფს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობისა და შემოსავლის ზრდას. ეს კი ამ სექტორში დასაქმების მაჩვენებლების ზრდას გამოიწვევს, რაც სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი საფუძველი იქნება.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, სიღარიბის დაძლევისა და დასაქმების უზრუნველყოფის ძირითადი წყარო სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაა. ამ პოლიტიკის წარმატებით განხორციე-

ლების მთავარი შედეგი იქნება მრავალრიცხოვანი და ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბება როგორც საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიისა. საკუთრებისა და გარიგების დაცულობა მენარმის საკუთრების დაუცველობა და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მისი ხელყოფა ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია. კერძოდ:

- სახელმწიფო, საგადასახადო სამსახურის მეშვეობით, გვევლინება უპირატესი კრედიტორის როლში. ამით ირღვევა სამართლიანობის პრინციპი და ხდება სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილე პირების არათანაბარ პირობებში ჩაყენება;
- მოსამართლის ბრძანების გარეშე გადამხდელის საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა და სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება ანტიკონსტიტუციური ღონისძიებაა;

არასამართლიანია გადასახადის გადამხდელის ქონების პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლა, რადგანაც აუქციონზე პოტენციურად ყოველთვის არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ქონება მაღალ ფასად გაიყიდოს. გლობალური კონკურენტუნარიანობის 2011 წლის ინდექსით, საქართველო 142 ქვეყანას შორის საკუთრების უფლების დაცვის კუთხით 120-ე ადგილზეა და ჩამორჩება ყველა მეზობელ ქვეყანას. საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა:

- არსებობდეს სამართლიანი, დეპოლიტიზებული, დამოუკიდებელი სასამართლო; უზრუნველყოფილი იყოს სასამართლოს სისტემის ეფექტიანობა და დროულად მოხდეს გადაწყვეტილებების მიღება;
- აღმოიფხვრას „ელიტარული“ კორუფცია;
- გათავისუფლდეს სასამართლო სისტემა სახელმწიფო ორგანოების ზეგავლენისაგან;
- შეიქმნას ისეთი პირობები, როდესაც შეუძლებელი იქნება სამართლიანად მოპოვებული საკუთრების კონფისკაცია.

ინვესტორთა სამართლებრივი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა. ინვესტორთა სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა:

- არ დაიშვას დისკრიმინაცია როგორც კანონმდებლობით, ისე სხვადასხვა ადმინისტრაციული პროცედურის განხორციელებით;
- ჩამოყალიბდეს საკუთრების დაცვის მყარი ინსტრუმენტები;
- გაიზარდოს სასამართლო სისტემის ქმედითობა ადმინისტრაციულ პალატაში სპეციალიზებული მოსამართლეების დანიშვნის გზით, რათა კვალიფიციურად იქნეს განხილული და გადაწყვეტილი ინვესტორთა და მენარმეთა დავები;
- კანონმდებლობით განისაზღვროს კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტის როლი სახელმწიფოსა და მენარმეთა შორის დავის გადაწყვეტის საქმეში.

კონკურენცია და მომხმარებელთა უფლებების დაცვა კონკურენციის განვითარება აღიარებულია ეკონომიკური წინსვლის უმთავრეს პირობად და მისი ხელშეწყობა არის სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა. ეს ამოცანა ითვალისწინებს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შემზღვევით მოქმედებების გამოვლენასა და აღმოფხვრას. 2005 წელს საქართველოს ხელისუფლებამ გააუქმა „ანტიმონოპოლიური“ კანონმდებლობა და სახელმწიფო რეგულირების გარეშე დატოვა კონკურენციის შემზღვევით ისეთი მოქმედებები, როგორიცაა:

- ბაზარზე პრივილეგირებული მდგომარეობის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენება – მსხვილი მოთამაშეების მიერ ფასების ხელოვნურად დადგენა;
- კარტელური გარიგებები – ბაზრის მსხვილ მოთამაშეებს შორის ხელოვნურად გაზრდილ ფასსა და არასამართლიან პირობებზე შეთანხმება;
- მსხვილი საწარმოების შერწყმა, რაც ინვესს ბაზარზე კონკურენციის მნიშვნელოვნად შეზღუდვას.

ამ „რეფორმის“ შედეგად, ნავთობპროდუქტების, ფარმაცევტულ და სხვა ბაზრებზე საგანგაშო ვითარება შეიქმნა. რეალურად რამდენიმე მსხვილი მოთამაშე ანებს ფასებს და ზღუდავს ბაზარზე კონკურენტების შემოსვლას. ეს მოთამაშეები დაკავშირებული არიან ხელისუფლებასთან და ზემოგებით მიღებული თანხები არაპირდაპირი გზებით (ბიუჯეტის გვერდის ავლით) მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიას და ჩინოვნიკების პირადი კეთილდღეობის ზრდას ხმარდება. კარტელური გარიგებების ნათელი მაგალითია სანვავის ფასები და მისი ცვლილების დინამიკა. ყოველგვარი შენიღბვის გარეშე, საქართველოში სანვავის ფასების ცვლილება მსხვილ მოთამაშეებს შორის ერთდროულად ხორციელდება. მსგავსი შეთანხმებული პოლიტიკა განვითარებულ ქვეყნებში დასჯადი მოქმედებაა. საქართველოში კი მსხვილი მოთამაშეების მიერ ხელოვნურად გაზრდილ ფასებზე შეთანხმება არ ითვლება კანონდარღვევად, რაც ხელისუფლებამ 2005 წლიდან დააკანონა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გაუქმებით. სანვავი საქართველოში მთლიანად იმპორტირებულია და მისი ფასი მსოფლიო ბაზრებზე ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებულ ფასზეა დამოკიდებული. მსოფლიო ფასების ზრდა მყისიერად და სრულად აისახება საქართველოში არსებულ ფასებზე, ხოლო კლება – დაგვიანებით და გაცილებით ნაკლები მოცულობით. ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში შეზღუდულია კონკურენცია. შედეგად, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ფასები, რაც მომხმარებელზე (ძირითადად სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე) მკვეთრად უარყოფითად აისახება. ევროპაში კონკურენციაზე ორიენტირებული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია მომხმარებლის კეთილდღეობის ზრდა. საქართველოში კი მომხმარებლის ინტერესის იგნორირების ხარჯზე ხდება ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესწრეების კეთილდღეობის სწრაფი ზრდა.

საქართველოს საბანკო სისტემაში კომერციული ბანკები არათანაბარ პირობებში არიან ჩაყენებული. წლების განმავლობაში ხელისუფლება მიზანმიმართულად ახდენს ცალკეულ მსხვილ კომერციულ ბანკებში როგორც მუნიციპალური პროექტების, ისე სხვა სახის მიზნობრივი დანიშნულების საბიუჯეტო თანხების გარკვეული ვადით აკუმულირებას, რის შედეგადაც გაუმართლებლად იზრდება ბანკის მიმდინარე ლიკვიდურობა, რაც ცალკეულ ბანკებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს. შესაბამისად, მათ საშუალება ეძლევათ სხვა ბანკებთან შედარებით ნაკლებად იფიქრონ დამატებითი ფულადი სახსრების (მათ შორის, დეპოზიტების გზით) მოზიდვაზე.

ასეთ ვითარებაში ბანკი არაკონკურენტუნარიანს ხდის სხვა ბანკებს. სახელმწიფოს მხრიდან პრივილეგირებული ბანკები გადაქცეული არიან სახელმწიფო ინტერესების გამტარებელ საფინანსო ინსტიტუტებად და ვალდებული ხდებიან შეასრულონ ხელისუფლების ნებისმიერი მითითება. საბოლოოდ, ასეთი კომერციული ბანკები იმდენად დამოკიდებული ხდებიან ეროვნულ ბანკზე, რომ ამ უკანასკნელმა შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს ბანკის ბიზნესგადაწყვეტილებებზეც კი. ამ ვითარებაში კომერციული ბანკი კარგავს ფინანსურ დამოუკიდებლობას, რომელიც მინიჭებული აქვს საქართველოს საბანკო კანონმდებლობით. საბანკო სისტემაში უცხო არ არის სახელმწიფო და კორპორაციულ ინტერესთა კონფლიქტი და სხვა ისეთი ფაქტორები, რომელთა ერთობლიობა უარყოფითად მოქმედებს საბანკო დაწესებულებების მიმართ ნდობის ზრდასა და ზოგადად საბანკო სისტემის მდგრადობაზე.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბაზრების განვითარებამ ხელი შეუწყო საქონლისა და მომსახურების ისეთი მრავალფეროვნების შექმნას, რომ მომხმარებელი თავად ვეღარ იცავს ბაზარზე საკუთარ უფლებებს მომწოდებლების, წარმოებისა და რეალიზაციის კარგად ორგანიზებული, ძვირადღირებული სქემების პირობებში. შედეგად, მომხმარებელი, რომლის უფლებებსაც სახელმწიფო სათანადოდ არ იცავს, იმთავითვე უთანასწორო მდგომარეობაშია.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში მიღებულ ბევრ სხვა გაუაზრებელ გადაწყვეტილებასთან ერთად, პრაქტიკულად გაუქმდა სახელმწიფოს მხრიდან მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმები. მმართველი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად, ბიზნესსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობა მხოლოდ ბაზარმა უნდა მოაწესრიგოს და სახელმწიფოს მხრიდან მომხმარებლის მოტყუებისაგან დამცავი დამატებითი გარანტიები საჭირო არ არის. მსგავსი მიდგომა არა მარტო რადიკალურად ეწინააღმდეგება თანამედროვე გან-

ვითარებული ქვეყნების პრაქტიკას, არამედ საკმაოდ მნიშვნელოვან რისკებსაც შეიცავს. ასეთი პოლიტიკის პირობებში ბიზნესსექტორს თავისუფლად შეუძლია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება სხვადასხვა სახის უკიდურესად მძიმე შედეგები გამოიწვიოს.

სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლი სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, საქართველოში ეს საკითხი პრაქტიკულად იგნორირებულია. ევროკავშირთან ჰარმონიზაციის მიზნით მხოლოდ ფორმალურად გაკეთებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა რეალური შედეგი ვერ გამოიღო, რის გამოც დღეს სურსათის ხარისხის კონტროლი პრაქტიკულად არ ხდება. ამ თვალსაზრისით მომხმარებელი სრულიად დაუცველია და არაკეთილსინდისიერი ბიზნესი დაუშვებელი გზებით მდიდრდება, რაც სრულად ეწინააღმდეგება ევროინტეგრაციის პოლიტიკას.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკური გარემოს შექმნა, რომელიც დაემყარება სამართლიანობის პრინციპს და მომხმარებელთა უფლებების დაცვას. 2010 წელს ხელისუფლებამ ევროკავშირის მოთხოვნის საფუძველზე დაიწყო კონკურენციის პოლიტიკის ფორმალურად აღდგენის პროცესი, რომელსაც დროში აჭიანურებს. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის აღდგენა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკების პროცესში უმთავრესი თემაა.

2011-2012 წლებში ხელისუფლებამ შეიმუშავა და დაამტკიცა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის“ შესახებ ახალი კანონი, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს. რეალურად ხელისუფლება კვლავ არ აპირებს კონკურენციის შემზღუდავი მოქმედებების გამოვლენას, სათანადოდ რეაგირებასა და აღმოფხვრას. განხორციელდება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშემწყობი პოლიტიკა:

- შეიქმნება რეალურად დამოუკიდებელი კონკურენციის სააგენტო (დღეს ეს სააგენტო მთელი ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ 9 ადამიანით არის წარმოდგენილი და მისი ბიუჯეტი ყოველწლიურად მცირდება);
- სააგენტოს კანონით განესაზღვრება სათანადო ფუნქციები (დღეს სააგენტოს მიერ განსახორციელებელ მოქმედებებს არა კანონი, არამედ მთავრობა განსაზღვრავს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება სააგენტოს დამოუკიდებლად არ შეუძლია);
- სააგენტოს მიენიჭება ბაზრის მონიტორინგის ფუნქცია, რაც შესაბამისი კვლევების განხორციელებას გულისხმობს (დღეს მოქმედი კანონით სააგენტო მხოლოდ საჩივრებსა და განცხადებებზე უნდა რეაგირებდეს და ისიც მხოლოდ იმ სფეროებში, რომლებიც მთავრობამ განუსაზღვრა);
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ვერტიკალური და ჰორიზონტალური გარიგებების კონტროლის არეალი (დღეს მოქმედი კანონით მსგავსი გარიგებების დიდი ნაწილი რეგულირების სფეროში არ ხდება, რაც ევროკავშირის მოდელს არ შეესაბამება);
- აღდგება სახელმწიფოს მიერ კონკურენციის შემზღუდავი მოქმედებების კონტროლი (დღეს მოქმედი კანონმდებლობით პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და თბილისის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების მართვის დროს არ ხდება სახელმწიფო შესყიდვების და კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინება);
- გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული საუკეთესო გამოცდილება, რის შედეგადაც საქართველოში მომხმარებლების უფლებების დაცვა საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე იქნება გარანტირებული;
- საქართველოს ეროვნული ბანკი დაანესებს მკაცრ კონტროლს, რათა არ იქნეს დაშვებული კომერციული ბანკების არაკონკურენტულ გარემოში ჩაყენება და ინტერესთა კონფლიქტი.

საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ პოლიტიკის განხორციელების შედეგად:

- მოხდება სანვაგის, ფარმაცევტული პროდუქციისა და სხვა საქონლის ფასების კლება, რაც ჯანსაღი კონკურენციის შედეგად მიიღწევა და რასაც მოსახლეობა პრაქტიკულად დაუყოვნებლივ იგრძნობს;

- მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს მიეცემათ დღეს მათთვის ხელოვნურად დახურულ სფეროებში ოპერირების შესაძლებლობა, რაც დადებითად აისახება როგორც ბიზნეს აქტიურობაზე, ისე მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელზე;
- გამჭვირვალე გახდება ბიზნესსექტორსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა, რაც პოზიტიურად აისახება ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებზე;
- საკვები პროდუქტებისა და მომსახურების შექმნა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში არ იქნება;
- მნიშვნელოვნად შემცირდება მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტები.

საგადასახადო პოლიტიკა

საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ხშირი ცვლილებები ცხადყოფს, რომ ხელისუფლებამ ბოლო რვა წლის განმავლობაში ვერ მოახერხა გააზრებული საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება. ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები და არამდგრადი საგადასახადო სისტემა ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად უშლის ხელს. ახალ მიღებულ საგადასახადო კოდექსში, მისი ამოქმედებიდან დღემდე, რამდენიმე ათეული კანონით იქნა ცვლილებები შეტანილი, რომელიც შეეხო კოდექსის 800-ზე მეტ პუნქტს. ამ მხრივ წინა წლებთან შედარებით მდგომარეობა გაუარესდა. მცირე და საშუალო ბიზნესი ვერ ახერხებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების მყისიერად გააზრებას, ვინაიდან არა აქვს მაღალანაზღაურებადი კადრების დაქირავებისა და ცვლილებების ოპერატიულად გაცნობის საშუალება; შესაბამისად, ძალიან დაბალია საგადასახადო რეგულაციებთან დაკავშირებით მენარმეთა ინფორმირების დონე; ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები მენარმეთა ინფორმირებულობის დეფიციტს და მათ დაჯარიმებას იწვევს, რაც მენარმეობის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს.

გადასახადების ადმინისტრირების რთული სისტემა მნიშვნელოვნად აფერხებს ბიზნესის განვითარებას და მშვიდ გარემოში საქმიანობას უშლის ხელს:

- გამოქვითვის ბუნდოვანი სისტემა, ზოგიერთ ნაწილში მაღალი და გაუმართლებელი ჯარიმები, საგადასახადო სუბიექტივიზმი და სხვა ფაქტორები იწვევს მენარმეთა უსამართლო დაჯარიმებასა და დასჯას;
- საგადასახადო კოდექსის მიხედვით მტკიცების ტვირთი მენარმეს აქვს დაკისრებული, რაც იმას ნიშნავს, რომ შემონმებისა და დამატებითი გადასახადის დაკისრების შემდეგ მენარმეს უწევს ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ამასთან, მან მაინც უნდა გადაიხადოს უკანონოდ დარიცხული გადასახადები და იმ შემთხვევაში, თუ თავი გაიმართლა, უნდა იზრუნოს მათ მომდევნო გადასახდელებში ჩათვლაზე;
- საგადასახადო ორგანოებს სურვილისამებრ, ხშირ შემთხვევაში, სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით, შეუძლიათ დააყადაღონ გადამხდელის საბანკო ანგარიშები და ქონება, რითაც ახდენენ მათი საქმიანობის პარალიზებას;
- საგადასახადო დავების გადაწყვეტის რთული სისტემა და სახელმწიფოს დომინანტური როლი ბიზნეს-გარემოს გაჯანსაღების შემაფერხებელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია;
- საგადასახადო დავები არც ფინანსთა სამინისტროს სისტემაში და არც სასამართლოში, როგორც წესი, გადასახადის გადამხდელთა სასარგებლოდ არ წყდება;
- მოსამართლეთა დაბალი კვალიფიკაცია ხელს უშლის ეკონომიკური (მათ შორის, საგადასახადო) დავების განხილვის დროს სამართლიან გადაწყვეტას;
- სასამართლო ბაჟის ოდენობა (სამივე ინსტანციაში ჯამურად სადავო თანხის 12%) საკმაოდ მძიმე ტვირთია გადასახადის გადამხდელისათვის და სასამართლოს ხელმისაწვდომობის პრობლემას წარმოშობს.

ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა, დაბალ საგადასახადო განაკვეთებთან ერ-

თად, არის სწორედ საგადასახადო პოლიტიკის სტაბილურობა, რაც პოტენციურ ინვესტორებს გრძელვადიანი დაგეგმვისა და რისკების გათვლის საშუალებას აძლევს. მთავრობის ჩამოუყალიბებელი საგადასახადო პოლიტიკა და საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ხშირი ცვლილებები ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ.

საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის მიზნით, საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, განხორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- უზრუნველყოფს სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული დაბეგვრის მექანიზმებს;
- ყოველწლიურად დაადგენს საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავ მინიმუმს, რომელიც არ იქნება საარსებო მინიმუმზე ნაკლები. ასევე, შემოიღებს ფიზიკური პირებისათვის გამოქვითვის გონივრულ სისტემას (ჯანდაცვასთან, დაზღვევასა და პროფესიული საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები);
- მოაწესრიგებს მოგების გადასახადში გამოქვითვების სისტემას;
- გადახედავს აქციზური საქონლის ნომენკლატურას და დაბეგრავს ძირითადად ფუფუნების საგნებს;
- გააუქმებს ქონების გადასახადში აფასების სისტემას და შეინარჩუნებს რეალურ 1%-იან განაკვეთს;
- შექმნის დაბეგვრის სტაბილურობის გარანტიებს (შექმნის სტაბილურ საგადასახადო გარემოს და არ დაუშვებს საგადასახადო კანონმდებლობაში ხშირ ცვლილებებს);
- კანონით არ დაუშვებს ახალმიღებული ცვლილებების მყისიერად ამოქმედებას და დაანებს გონივრულ ვადას მათი მიღებიდან ამოქმედებამდე;
- მოაწესრიგებს საგადასახადო კანონმდებლობაში ბუნდოვან და ორმაგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის მომცემ დებულებებს, გაამარტივებს საგადასახადო ნორმებს და მენარმის სასარგებლოდ გადაწყვეტს სადავო ნორმებს;
- შეამცირებს საგადასახადო დავების განხილვაში სახელმწიფოს დომინანტურ როლს და დანიშნავს ადმინისტრაციულ პალატაში სპეციალიზებულ მოსამართლეებს;
- შექმნის მცირე ბიზნესის დაბეგვრის ოპტიმალურ მოდელს მარტივი აღრიცხვა-ანგარიშგების წესებით და დაბეგვრის ალტერნატიულ მექანიზმებს;
- მოახდენს საგადასახადო სისტემაში ცალკეული დარღვევების დეკრიმინალიზაციას;
- შეამცირებს და გონივრულ ფარგლებში მოაქცევს საგადასახადო და ადმინისტრირების სფეროში ჯარიმებსა და საურავებს;
- სანქციების დაწესების შემთხვევაში, არ განხორციელდება კომპანიის მარაგების დალუქვა და არ შეიზღუდება მისი ბიზნესაქტივობა;
- შეამცირებს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განეული მომსახურების საფასურსა და ბაჟს;
- დაარეგულირებს კანონქვემდებარე აქტებით (ბრძანებები, ინსტრუქციები) საგადასახადო ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ მხოლოდ ტექნიკურ საკითხებს.

მაკროეკონომიკური პოლიტიკა უცხოური ინვესტიციები და საგადასახადო ბალანსი

უკანასკნელ წლებში უცხოური ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამასთან, ინვესტიციების შემოსვლამ ვერ განაპირობა ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ვერ უზრუნველყო შრომის ბაზრის გაფართოება და სამუშაო ადგილების გაზრდა. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს არ მოჰყოლია ტექნოლოგიების შემოტანა და, შესაბამისად, შრომის მწარმოებლურობის ზრდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგადასახადო ბალანსის მიმდინარე ანგარიში მკვეთრად დეფიციტურია. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობა დაბალია.

საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს თითქმის ყველა ძირითად პარტნიორთან. იმპორტი თითქმის 4-ჯერ აღემატება ექსპორტს. ის ძირითადი პროდუქცია კი, რომელიც საზღვარგარეთ გადის, არ არის საქართველოში წარმოებული. ექსპორტის თითქმის ერთი მეოთხედი მოდის უცხოეთში წარმოებული იმპორტირებული პროდუქციის – ავტომობილების ექსპორტზე. საქართველო არ არის არც რკინის მომპოვებელი ქვეყანა, მაგრამ შავი ლითონის ჯართის ექსპორტს საექსპორტო პროდუქციაში ბოლო წლებში სტაბილურად ერთ-ერთი მონივრე ადგილი უჭირავს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საექსპორტო სასაქონლო პოზიციებში ნაკლებია საბოლოო პროდუქტი, ანუ ძირითადად ხორციელდება დაუმუშავებელი ნედლეულის ექსპორტი, რაც, საბოლოოდ, ქვეყანას ძვირი და, ხშირ შემთხვევაში, დაბალხარისხიანი იმპორტული პროდუქციის სახით უბრუნდება უკან.

საქართველოს წლების განმავლობაში უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს, თუმცა საგარეო ვაჭრობის დეფიციტის პრობლემა ბოლო წლებში განსაკუთრებით გაღრმავდა და, შედეგად, საქართველო იმპორტზე ორიენტირებულ ქვეყნად იქცა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე ზეგავლენის მოხდენის მაღალი რისკის შემცველია საგარეო ფაქტორები. მსოფლიოში არსებული სისტემური ფინანსური კრიზისის ფონზე დიდია იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოს რომელიმე მსხვილ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში გაღრმავდეს ფინანსური კრიზისი, რასაც მოჰყვება იმპორტის გაიფხვება და საქართველოს შიდა სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის ყიდვის მოთხოვნის მკვეთრი ზრდა, რაც გამოიწვევს უცხოური ვალუტის მასშტაბურ გადინებას ქვეყნიდან.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, ცალკეული გაუაზრებელი პროგრამების მეშვეობით გაეზარდა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი, წარუმატებელი აღმოჩნდა. ამის ნათელი დასტურია „ჰიბრიდული სიმინდის“ პროექტი, რომლის მიხედვითაც 2011 წელს იგეგმებოდა სიმინდის მოსავლის ისეთი რაოდენობის მიღება, რომელიც საშუალებას მისცემდა ქვეყანას საექსპორტოდ გაეტანა ეს პროდუქტი. შედეგი მივიღეთ სრულიად საპირისპირო – სიმინდის იმპორტი 3-ჯერ გაიზარდა, ხოლო ექსპორტი 2,7-ჯერ შემცირდა.

რაც შეეხება ავტომობილების ექსპორტს (უფრო ზუსტად, რეექსპორტს), აღნიშნულ სეგმენტში, სომხეთისა და აზერბაიჯანის გარდა, მაღალი აქტიურობით ცენტრალური აზიის ქვეყნები გამოირჩეოდნენ (კერძოდ, ყაზახეთი). 2011 წლის შემოდგომაზე ყაზახეთის მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო ავტომობილების იმპორტზე დაბეგვრის ახალი გაზრდილი განაკვეთის შემოღების შესახებ, რაც იმის მანიშნებელია, რომ 2012 წელს საქართველოდან ყაზახეთში ავტომანქანების ექსპორტის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდება. უკვე შეიმჩნევა ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან სწრაფი ფულადი გზავნილების მკვეთრი შემცირება და სამომავლოდ ეს ტენდენცია შენარჩუნდება.

ხელისუფლების მხრიდან ხშირად გვეხმის, რომ ექსპორტის მოცულობა წინა წლებთან შედარებით იზრდება, თუმცა არაფერს ამბობენ იმაზე, რომ იმპორტის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება ექსპორტის ზრდის ტემპს. მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებს უთანასწორო სავაჭრო ურთიერთობები: პარტნიორი ქვეყნები მიმართავენ პროტექციონისტულ პოლიტიკას და ახდენენ საექსპორტო პროდუქციის სუბსიდირებას (მაგალითად, თურქეთი უზრუნველყოფს სუბსიდიებით ადგილობრივი მარცვლეულის წარმოებას), რის შედეგადაც მნიშვნელოვნად მცირდება საქართველოს მენარჩევების კონკურენტუნარიანობა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში დაიწყო სავაჭრო ბარიერების გაუქმება და დაიწყო რეგიონალური და თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები, ბოლო პერიოდში ექსპორტის ზრდის მაჩვენებელი უცვლელია, ხოლო იმპორტი და საშუალო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა, რის შედეგადაც სავაჭრო ბალანსის დეფიციტის ზრდა კიდევ უფრო დაჩქარდა. 2006-2010 წლებში სავაჭრო დეფიციტი გაიზარდა 1,4-ჯერ, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი კი – 3,5-ჯერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამემამულეების მიერ გადმორიცხული თანხები (რომლებიც წლიდან წლამდე იზრდება და 2011 წელს 1,26 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა) არასაკმარისია იმისათვის, რომ უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდოს კომპენსირება უზრუნველყოს.

ხელისუფლება იღებს ვალს, რომლის მოცულობაც უკანასკნელ წლებში დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა. მთლიანად საგარეო ვალის მიმდინარე მოცულობა 11,5 მლრდ აშშ დოლარია და აქედან ერთ მესამედზე მეტი სახელმწიფოს ვალია. საქართველო კვლავ რჩება მაღალი რისკის მქონე 47 ქვეყნად, სადაც საკუთრების უფლების დარღვევები, პოლიტიკური ხელისუფლების გაუთვალისწინებელი მოქმედებები და გამწვავებული გეოპოლიტიკური ურთიერთობები აიძულებს ინვესტორებს, თავი შეიკავონ კაპიტალის დაბანდებისაგან ან გაყინონ დაბანდებული კაპიტალი და ხელსაყრელ დროს დაელოდონ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება ბოლო წლებში სულ უფრო თვალსაჩინო ხდება.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის, ინვესტიციების მოზიდვისა და საგადასახდებლო ბალანსის მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“:

- შეუქმნის ინვესტორებს სტაბილურ სამართლებრივ გარემოს;
- ინვესტორებს გაათავისუფლებს ხელისუფლების ზეგავლენისაგან და შეუქმნის მათ საკუთრების დაცვის მყარ გარანტიებს;
- გაათავისუფლებს მენარმეებს „ვალდებულებისაგან“, დააფინანსონ ხელისუფლების ღონისძიებები და განიონ ხელისუფლების მიერ იძულებით თავს მოხვეული „ქველმოქმედება“;
- გაააქტიურებს მუშაობას ევროკავშირსა და აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დასადებად.

ამ მიზნით, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, განახორციელებს ცვლილებებს შრომის კოდექსში, შემოიღებს კონკურენციის შესახებ რეალურ კანონმდებლობას და რეგულირების მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტანდარტიზაციისა და სერტიფიცირების მექანიზმების დანერგვას და სურსათის უსაფრთხოებას, რაც ამ შეთანხმებების დადების აუცილებელი წინაპირობებია; სტიმულს მისცემს დივერსიფიცირებულ ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის ზრდას, ასეთი სანარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და გააუმჯობესებს საგარეო სავაჭრო ბალანსის სტრუქტურას; უხარისხო საქონლისა და დემპინგური ფასებისაგან დაიცავს ადგილობრივ ბაზარს, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკი და მთავრობა (ეკონომიკის სამინისტრო) განახორციელებს იმპორტისა და შიდა სავალუტო ბაზრის სისტემურ ანალიზს. გაცვლითი კურსი და ინფლაცია საქართველოს შიდა სავალუტო ბაზარზე ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობა ცალკეულ შემთხვევებში მაღალ დიაპაზონში ფიქსირდებოდა და იგი არ იყო დაკავშირებული ეროვნული ეკონომიკის განვითარების ხანგრძლივ სტრატეგიულ მიზნებთან. ეს ძირითადად გამოიხატებოდა იმით, რომ უცხოური კაპიტალის შემოდინებისა და მისი „შიმშილის“ პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკი ცალმხრივი ან ორმხრივი ინტერვენციებით ცდილობდა ეროვნული ვალუტის მკვეთრი რყევების შემცირებას. საქართველოს მოსახლეობამ და მენარმე სუბიექტებმა არა ერთხელ განიცადეს ფულადი დანაკარგები ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ფართომასშტაბიანი ორმხრივი სავალუტო ინტერვენციების შედეგად.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ვალუტა საქართველოში დამკვიდრდა როგორც ძირითადი საგადასახდებლო საშუალება, მან სრულფასოვნად მაინც ვერ შეიძინა დაგროვების ფუნქცია, რასაც თავისი მიზეზები აქვს. კერძოდ ის, რომ წლების განმავლობაში ფასები პერმანენტულად იზრდება, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში დაფიქსირდა ლარის გაცვლითი კურსის მკვეთრი ვარდნა უცხოური ვალუტის მიმართ (ე.წ. „მინიშოკები“), მუდმივად ინვესს ლარის, როგორც დაგროვების საშუალების, მიმართ მოსახლეობის უნდობლობას. ეროვნული ვალუტისადმი ნდობის დაბალ ხარისხს მიგვანიშნებს ისიც, რომ კომერციული ბანკების მიერ ვადიან დეპოზიტებზე განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთი ლარით 17-18%-ს შეადგენს, იმ დროს, როდესაც უცხოური ვალუტით ანალოგიური ვადიანობის დეპოზიტებზე განაკვეთის ოდენობა 8-9%-ს არ აღემატება და ისიც წლიდან წლამდე მცირდება.

მონეტარულ სტაბილურობას საფრთხეს უქმნის ინფლაცია, რომელიც მაღალი რყევებით გამოირჩევა და პერიოდულად ორნიშნა ციფრს აღწევს. ეს კი მოსახლეობას სერიოზულ ტვირთად აწევს. ხელისუფლებამ შეცვალა ინფლაციის გამოსათვლელი ფორმულა და 2012 წლიდან სამომხმარებლო კალათში სასურსათო პროდუქციის წილი (რომლის ფასები მაღალი ზრდის ტემპით გამოირჩევა) 40%-დან 30%-მდე შეამცირა (მოსახლეობის მოხმარების სტრუქტურაში სურსათის წილი თითქმის ორი მესამედია). ამ გზით ხელისუფლება ცდილობს შეარბილოს ფასების მკვეთრი ზრდის გამომხატველი მაჩვენებელი და ხელოვნურად შექმნას ინფლაციის შემცირების ტენდენცია.

ქვეყანაში ვერ ხერხდება ფასების სტაბილურობის შენარჩუნება, რაც მონეტარული პოლიტიკის მარეგულირებელი სტრუქტურის უმთავრესი ფუნქციაა. მონეტარული სისტემისა და პოლიტიკის სტაბილურობისათვის, საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ“:

- ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას მიმართავს გრძელვადიანი მიზნობრივი ორიენტირების შემოღებისაკენ;
- ამ მიზანს დაუქვემდებარებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვას;
- განსაზღვრავს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებს. ფულის მასა იქნება ეროვნული შემოსავლის ზრდის შესაბამისი;
- მონეტარული პოლიტიკის ძირითად ორიენტირად გაიხდის საბანკო სისტემის სტაბილურობას და ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდას;
- გრძელვადიან ორიენტირად გაიხდის თარგეთირებული ინფლაციის მართვას;
- ეროვნულ ბანკს მისცემს რეკომენდაციას, რომ აქტიურად გამოიყენოს მონეტარული რეგულირების ინსტრუმენტები როგორც ფულის მიწოდების, ისე მისი სტერილიზაციის მიმართულებით;
- ხელს შეუწყობს ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობის გაზრდას და უზრუნველყოფს დოლარიზაციის მასშტაბების შემცირებას;
- ეროვნულ ბანკს გაათავისუფლებს პოლიტიკური წნეხისა და იმ ფუნქციებისაგან, რომლებიც ეწინააღმდეგება მონეტარული პოლიტიკის მიზნებსა და ინსტრუმენტებს (მაგალითად, სადაზღვევო საქმიანობისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება);
- ხელს შეუწყობს კომერციულ ბანკებს შორის ჯანსაღი კონკურენციის არსებობას;
- დანერგავს დეპოზიტების დაზღვევის სისტემას, რომელიც დანაზოგების ზრდისა და დაბანდების სტიმულირების საიმედო მექანიზმი გახდება.

ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელების უმთავრესი შედეგი, საბანკო და საფინანსო სისტემის მდგრადობასთან ერთად, გახდება ქვეყანაში ფასების სტაბილურობის შენარჩუნება. კრედიტების ხელმისაწვდომობა საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებშიც საბანკო კრედიტები ძალიან ძვირია და ეკონომიკის დაფინანსება კრედიტების ხარჯზე დაბალია. თუ 2003 წლის დეკემბერში ეროვნული ვალუტით სესხებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 25%-ს, 2011 წლის დეკემბერში იგი შემცირდა მხოლოდ ორი პროცენტული პუნქტით (საცალო დაკრედიტებაში), ხოლო 2011 წელს საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 2005 წლის დონეზე დარჩა. სესხებით ხდება ეროვნული ეკონომიკის მხოლოდ მესამედის დაფინანსება.

საბანკო სესხის აღებასთან დაკავშირებული სირთულეები, საბანკო სექტორის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიუხედავად, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბარიერია ბიზნესის განვითარებისათვის. მაღალი საპროცენტო განაკვეთები ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის პოტენციური შესაძლებლობების სრულად გამოყენებას. მცირე მეწარმეების უმრავლესობას და მსხვილი კომპანიების ნახევარზე მეტს არ მიუწვდებათ ხელი და არასდროს არ მიუღიათ ბანკიდან კრედიტი. სესხების მაღალი საპროცენტო განაკვეთების არსებობა ასევე განპირობებულია ზოგადად ბიზნესსფეროში არსებული მაღალი რისკებით, რომელთა შემცირებისათვის სახელმწიფოს ქმედითი ღონისძიებები წლების განმავლობაში არ განუხორციელებია.

უძრავი ქონების ორგანიზებული ბაზრის (ბირჟის) არარსებობის გამო, ძალიან აქტუალურია სესხის უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილი უძრავი ქონების შეფასებისა და, აგრეთვე, სესხის არდაბრუნების შემთხვევაში, მისი რეალიზაციის საკითხი. სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ ბიზნესფეროში რეგულაციების მუდმივი და გაუაზრებელი ცვლილებების განხორციელება, პოლიტიკური და სხვა სახეობის რისკები, ერთობლივად, საკმაოდ პესიმისტურ პერსპექტივას გვისახავს მოკლევადიან პერიოდში სესხების საპროცენტო განაკვეთების შემცირების კუთხით.

ამასთან ერთად, უმუშევრობის ზრდა და მოსახლეობის რეალური შემოსავლების კლება საბანკო სესხების ხელმისაწვდომობას კიდევ უფრო ამცირებს, რაც მოსახლეობას აიძულებს სესხი აიღონ კერძო იპოთეკარებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან, სადაც საპროცენტო განაკვეთები წლიური 36%-დან 42%-მდე მერყეობს. მაღალმა საპროცენტო განაკვეთებმა და მკაცრმა საკრედიტო პირობებმა გააუარესა სოციალური გარემო და მრავალი ადამიანი იძულებული გახდა სესხის დასაფარავად საკუთარი უძრავი ქონება გაეყიდა.

ხელისუფლება არ ზრუნავს მსესხებლის უფლებების დაცვისათვის. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოში მაქსიმალურად გამარტივებული და დაცულია მხოლოდ გამსესხებლის უფლებები. ამასთან, სესხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, მსესხებელს მარტივად უყიდიან იპოთეკით დატვირთულ ქონებას. იმ შემთხვევაში, თუ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის შედეგად ვერ მოხდა სესხის სრულად დაფარვა, გამსესხებელს უფლება აქვს განუსაზღვრელი ვადით ჰქონდეს მოთხოვნა დაუფარავ ვალდებულებასთან დაკავშირებით. ასეთ ვითარებაში მსესხებელი მუდმივად რჩება მოვალეთა რეესტრში, „კრედიტინფოს“ ბაზაში და უნესდება სხვადასხვა სახეობის შეზღუდვები.

კრედიტების ხელმისაწვდომობის საკითხი განსაკუთრებით საგანგაშოა შინამეურნეობებისთვის. სოფლის მეურნეობის წილი საბანკო სესხებში მინიმალურია და იგი დაახლოებით ერთ პროცენტს შეადგენს. რეალურ სექტორში ბანკების მხრიდან დაბალი აქტიურობა განპირობებულია მაღალი რისკფაქტორებითა და ამ დარგში სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობით.

კომერციული ბანკების მხრიდან ხორციელდება ძირითადად მოკლე და საშუალოვადიანი ბიზნესპროექტების დაფინანსება, რომელთა მიზანია ძირითადად იმპორტის ოპერაციების დაკრედიტება, რაც მათ რისკებს უმცირებს და საშუალებას აძლევს მოკლე დროში მიიღონ დიდი მოგება. კომერციული ბანკები კარგად აცნობიერებენ იმას, რომ ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა დამოკიდებულია არა მარტო საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობაზე, არამედ ხელისუფლების კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც არ არის საჯარო და გამჭვირვალე. სწორედ ამიტომ, სესხების დიდი ნაწილი უცხოური ვალუტით გაიცემა, ხოლო ლარით გაცემული სესხები ე.წ. „ჰეჯირების მეთოდით“ მიმბულია უცხოური ვალუტის კურსთან (ეროვნული ვალუტით სესხების გაცემა ხდება ორ წლამდე ვადით ან მაღალი საპროცენტო განაკვეთით).

ასეთი ვითარება ბანკებს უბიძგებს დაიზღვიონ თავი და მკაცრად შეაფასონ პოტენციური რისკები. საქართველოში, მაღალ ინფლაციასთან ერთად, მაღალი საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად ზღუდავს ეკონომიკის დაკრედიტებას და სამეწარმეო საქმიანობა საკმაოდ მაღალი რისკის პირობებში მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების მხრიდან იმის მტკიცება, რომ საქართველოში ბიზნესისათვის საუკეთესო საინვესტიციო გარემოა შექმნილი, არარეალურია. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ქვეყანაში საბანკო სესხებზე მაღალია საპროცენტო განაკვეთები, სწორედ ისაა, რომ საქართველოში არ არის განვითარებული კაპიტალის ბაზარი, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით კაპიტალის მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის დამაკავშირებელი სეგმენტია.

1999 წელს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის შექმნის მიზნით დაარსდა საქართველოს საფონდო ბირჟა, რომელიც დღემდე ჩანასახის სტადიაშია. საფონდო ბირჟა ვერ გადაიქცა ქმედით ინსტიტუტად კაპიტალის ბაზარზე. საქართველოს საფონდო ბირჟაზე განხორციელებული გარიგებების მოცულობა

წლების განმავლობაში სტაბილურად დაბალია, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია სააქციო საზოგადოებების არადაამაკმაყოფილებელი ფინანსური მაჩვენებლებით და მათი დაბალი რეიტინგით, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების მხრიდან ამ სფეროში პოლიტიკის არქონით.

კრედიტების ხელმისაწვდომობისათვის საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი -ქართული ოცნება“:

- უზრუნველყოფს, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარება მეტწილად დაფუძნებული იყოს ადგილობრივი წარმოების განვითარებასა და დანაზოგების სტიმულირებაზე;
- სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკა ხელს შეუწყობს საბანკო სექტორსა და ბიზნეს-სტრუქტურებს შორის პარტნიორულ თანამშრომლობას;
- პრიორიტეტულს გახდის სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური აგრარული ფონდის შექმნას, რომელიც მოემსახურება სასოფლო-სამეურნეო სექტორს და განახორციელებს მის მხარდაჭერას;
- უზრუნველყოფს სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური ფონდის შექმნას, რომელიც მხარს დაუჭერს საოჯახო, მცირე და საშუალო ბიზნესს;
- განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ბიზნესის დაწყებასა და იმ ახალგაზრდებისათვის კრედიტების ხელმისაწვდომობას, რომლებსაც სურთ წამოიწყონ ბიზნესი;
- მოამზადებს საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებებს, რომელთა მიხედვით განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მსესხებლის უფლებების დაცვას, ხოლო მათ მიმართ გამსესხებლის მიერ განხორციელებული სანქციები და შეზღუდვები საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ნორმების შესაბამისი გახდება;
- კომპლექსური ეკონომიკური რეფორმების განხორციელებით გაზრდის სააქციო საზოგადოებების შემოსავლებს და მათი აქციები ინვესტორთა მხრიდან რეალურად მოთხოვნადი გახდება;
- მაღალლიკვიდური და ინვესტორებისათვის მიმზიდველი აქციების საფონდო ბირჟაზე გამოტანით უზრუნველყოფს მოთხოვნისა და გარიგებათა რაოდენობის გაზრდას.

საბიუჯეტო პოლიტიკა და პრიორიტეტები

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გაიზარდა ნაერთი ბიუჯეტის მოცულობა, თუმცა შემოსავლების ზრდამ სოციალური მაჩვენებლების საგრძნობი გაუმჯობესება არ გამოიწვია. სამაგიეროდ, ხელისუფლებამ მკვეთრად გაზარდა ბიუროკრატის ხარჯები. დღეისათვის ქვეყანაში გატარებული საბიუჯეტო პოლიტიკა უამრავ ნაკლოვანებას შეიცავს. ხარჯები, რომელთა დაკანონებაც ბიუჯეტით ხორციელდება, დაუსაბუთებელი და გაუმჭვირვალეა. სრულფასოვანი საბიუჯეტო პროგრამების არარსებობა მთავრობას საშუალებას აძლევს დიდი ოდენობით დაუსაბუთებელი და მოსახლეობისათვის მიუღებელი, არაპრიორიტეტული ხარჯები განიოს. ვინაიდან ქვეყანაში არსებული ბიუჯეტების ფორმატი მოსახლეობისათვის გაუგებარია, ხოლო მთავრობის მხრიდან მათი განსაჯაროებისათვის თითქმის არაფერი კეთდება, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მონყვეტილია საბიუჯეტო პროცესებს და იძულებულია ბრმად ენდოს და დაეთანხმოს ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ ნებისმიერ ბიუჯეტს, ვინაიდან მისი რეალური შინაარსი მისთვის დაფარული და ბუნდოვანია. ჩვეულ პრაქტიკად იქცა საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტში ხშირი ცვლილებების შეტანა.

მაგალითად, 2011 წელს საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში შემავალ ადგილობრივ ბიუჯეტებში განხორციელდა 500-მდე ცვლილება. ამ რაოდენობით ცვლილებების შეტანის პირობებში მთავრობა ადვილად ახორციელებს ნებისმიერ სასურველ ხარჯს, იმის შეუფასებლად, თუ რა გავლენას ახდენს ყოველივე ეს მთლიანად ბიუჯეტზე.

ბიუჯეტი არის მთავრობის ფინანსური გეგმა და მასში უამრავი ცვლილების განხორციელება წლის განმავლობაში დაგეგმვის უუნარობას მიუთითებს. ტრადიციად იქცა წლის ბოლოს ბიუჯეტში მასშტაბური ცვლილებების

შეტანა, როდესაც პრაქტიკულად წლის განმავლობაში განხორციელებული ყველა არამიზნობრივი და გაუთვალისწინებელი ხარჯი კანონიერ სახეს იღებს. სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით განხორციელებული რეფორმა არასრულყოფილია. შემსყიდველი სუბიექტები არ ასაბუთებენ საქონლის/მომსახურების შესყიდვის აუცილებლობას, რაც იწვევს საჯარო ფინანსების ხარჯვის არაეფექტიანობას. ასევე, პრობლემატურია შესაძენი საქონლის მომსახურების (ექსპლუატაციის) ხარჯების გაუთვალისწინებლობა.

აღსანიშნავია, რომ ელიტარული კორუფცია განსაკუთრებით სწორედ სახელმწიფო შესყიდვების დროს იჩენს თავს, როდესაც ხელისუფლებასთან დაახლოებული ერთი და იგივე კომპანიები მუდმივად „იგებენ“ მრავალმილიონიან კონტრაქტებს. ზოგადად, დიდი როლი შეიძლება ითამაშოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ეფექტიანობის ამაღლებასა და საბიუჯეტო თანხების მიზნობრივად გამოყენების საქმეში კონტროლის პალატამ (სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა), რომლის უშუალო ფუნქციაა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მუდმივი მონიტორინგის განხორციელება.

კონტროლის პალატა (სახელმწიფო აუდიტის სამსახური) არ უნდა ახდენდეს მხოლოდ დარღვევებისა და ფაქტების კონსტატაციას, არამედ აქცენტს უნდა აკეთებდეს პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე, რათა ბიუჯეტის დამტკიცებამდე აღმოჩენილი და შესწორებული იყოს ის შესაძლო ხარვეზები, რომლებიც შემდგომში გაუთავებელ ცვლილებებსა და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიან ხარჯვას გამოიწვევს. ასევე, კონტროლის პალატა (სახელმწიფო აუდიტის სამსახური) უნდა გახდეს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად ხარჯვის შემფასებელი და არა მხოლოდ საბუღალტრო დოკუმენტაციის მაკონტროლებელი ორგანო. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ეფექტიანობის ზრდით, არამიზნობრივი ხარჯების გაუქმებით, ადმინისტრაციული ხარჯებისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირებით შესაძლებელია ბიუჯეტში მნიშვნელოვანი თანხების მოძიება, რომლითაც დაფინანსდება პრიორიტეტული მიმართულებები – ეს არის ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება და სოფლის მეურნეობა.

საბიუჯეტო რეფორმა წარიმართება შემდეგი მიმართულებებით:

- შემუშავდება საბიუჯეტო პრიორიტეტების დადგენის ქმედითი მექანიზმი, რომელიც საზოგადოების პრობლემების იდენტიფიცირებაზე იქნება ორიენტირებული;
- ბიუჯეტი გამოქვეყნდება გამარტივებული ფორმატით და მოხდება მისი საჯარო განხილვა;
- გაუშიფრავი ე.წ. „სხვა ხარჯების“ წილი ბიუჯეტში შემცირდება საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად;
- საბიუჯეტო პოლიტიკისა და ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები გახდება ურთიერთ-შესაბამისი;
- მოხდება ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზება;
- შემუშავდება საჯარო მოხელეების დაცვის ქმედითი მექანიზმები;
- შემუშავდება საბიუჯეტო ფონდების ფორმირებისა და განკარგვის ქმედითი, ასევე გამჭვირვალე მექანიზმები;
- მოხდება საბიუჯეტო შემოსავლების ბიუჯეტშორისი განაწილების სისტემის სრულყოფა და ფისკალური დეცენტრალიზება;

საქართველოს კონტროლის პალატა (სახელმწიფო აუდიტის სამსახური) რეალურად გახდება საბიუჯეტო პროცესის აქტიური მონაწილე. მისი ძირითადი საქმიანობა იქნება ფინანსური შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტი. განხორციელებული რეფორმების შედეგად:

- ბიუჯეტის ოპტიმიზების საშუალებით გამოთავისუფლდება სოლიდური თანხები;
- ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებლის შემცირებით გაიზრდება ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილი;
- შესაძლებელი გახდება მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაზე ორიენტირებული პროგრამების დაფინანსება; მოსახლეობის მონაწილეობით მოხდება საბიუჯეტო პრიორიტეტების დადგენა.

სახელმწიფო ვალის მართვა

სახელმწიფო ვალი, მისი სტრუქტურა, ხელისუფლების მიერ ამ კუთხით გატარებული პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყნის განვითარების პერსპექტივებს. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტია პერიოდულად ამტკიცებს, რომ ქვეყნის საგარეო ვალი საკმაოდ მცირეა და ამ მხრივ საგანგაშო არაფერია, ვალის მართვის კუთხით განხორციელებული პოლიტიკა სწორედ რომ საგანგაშოა. ხელისუფლების განცხადებები, რომ ჩვენს ქვეყანას ამ მხრივ პრობლემები არა აქვს, ემყარება ზოგიერთ ცნობილ ინდიკატორს (მთლიანი შიდა პროდუქტის 60 პროცენტი და ექსპორტის 110 პროცენტი). მხოლოდ ის, რომ ყველა ინდიკატორს კრიტიკულ დონემდე არ მიუღწევია, არ იძლევა ვალის ზრდის ტემპის დადებითად შეფასების საფუძველს.

უკანასკნელი მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვალი 11,5 მილიარდ აშშ დოლარს გაუტოლდა, საიდანაც 4,5 მილიარდი აშშ დოლარზე მეტი სახელმწიფო ვალია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 2004-2006 წლებში ოდნავ შემცირდა, 2007 წლიდან იწყება მისი ყოველწლიური მკვეთრი ზრდა. 2008 წელს ევროობლიგაციების გამოშვება, როდესაც, როგორც ხელისუფლება ამბობს, თითქოსდა ბიუჯეტის პროფიციტი გვექონდა, ალოგიკური იყო.

ამასთან, არ შესრულდა დაპირება და ქვეყანას ეს თანხები გაზსაცავის ან მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისთვის რეალურად არ გამოუყენებია. აღნიშნული თანხის გადაფარვის მიზნით, მთავრობამ 2011 წელს ახალი ევროობლიგაციები გამოუშვა, რომლებიც 2021 წელს უნდა დაფაროს. ხელისუფლების ამ უგუნური პოლიტიკის გამო, 500 მლნ დოლარის სესხებისთვის მომავალ თაობას დამატებით ჯამში 435 მლნ დოლარამდე პროცენტის გადახდა მოუწევს.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, მომავალი თაობებისათვის დიდი ოდენობით ვალების დატოვების არსებულ პოლიტიკაზე უარის თქმა და კრედიტების მხოლოდ გონივრულად და, რაც მთავარია, გამჭვირვალედ, დასაბუთებული საინვესტიციო პროექტებისათვის გამოყენება. აქედან გამომდინარე:

- გატარდება ვალების მართვის ეფექტიანი პოლიტიკა, რომელიც გაითვალისწინებს თაობათა შორის სამართლიანობას და უზრუნველყოფს მდგრადი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ხელშეწყობას;
- დაკანონდება ვალების მხოლოდ კაპიტალურ და ქვეყნის მოსახლეობისათვის მომგებიან პროექტებში გამოყენება, რაც გამოორიცხავს ვალების მიმდინარე, ხელოვნურად გაზრდილი ხარჯების არაეფექტიანად გამოყენებას;
- სწორი პოლიტიკის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება ვალების ოპტიმალურ დონეზე შენარჩუნება და მართვა, რაც ამავე დროს ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას.

ბოლო 20 წლის განმავლობაში არ არსებობდა სახელმწიფო პოლიტიკა საშინაო ვალების მიმართულებით. სხვადასხვა პერიოდში საქართველოს სახელმწიფომ აღიარა ან არ აღიარა მოქალაქეთა მიმართ ცალკეული დავალიანებები როგორც შიდა ვალი. მიუხედავად ამისა, ვერ მოხერხდა ვერც პრიორიტეტების განსაზღვრა და ვერც საშინაო ვალის მომსახურების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება. აქედან გამომდინარე, დავინწყებთ მუშაობას იმისათვის, რომ მოხდეს სახელმწიფო შიდა ვალის ინვენტარიზაცია და დაფარვის რეალური მექანიზმის შექმნა

სოფლის მეურნეობა

ხელისუფლების მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის უარყოფითმა შედეგებმა ყველაზე ნათლად სოფლის მეურნეობაში იჩინა თავი. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ეს სექტორი ერთმნიშვნელოვნად ეკონომიკურ ჩამორჩენილობასთან ასოცირდება და სისტემატურად ხდება მისი საჭიროებების იგნორირება. მთავრობამ ვერ შეძლო აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რამაც პროცესების პრაქტიკულად თვითდინე-

ბაზე მიშვება განაპირობა. გატარებული პოლიტიკა მხოლოდ პოპულისტური ნაბიჯებითა და დერეგულირების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებებით შემოიფარგლება. სოფლის მეურნეობის წილი როგორც საბიუჯეტო ასიგნებებში, ისე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 1-1,5%-ის ფარგლებში მერყეობს. ამ ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელისუფლების ადმინისტრაციულ, ერთჯერად, არაეფექტიან და პოპულისტურ აქციებს ხმარდება.

ქვეყანას, სადაც მოსახლეობის ნახევარი სოფლად ცხოვრობს და აგროსასურსათო წარმოებასთან არის დაკავშირებული, ხელისუფლების პოლიტიკამ, რომ „სოფელს დახმარება არ სჭირდება, რასაც ვერ ვანარმოებთ, უცხოეთიდან შემოვიტანთ“, კატასტროფული შედეგი მოუტანა მკვეთრად შემცირდა აგრარული სექტორის ძირითადი მაჩვენებლები. 2004-2011 წლებში ნათესი ფართობი განახევრდა. შემცირდა მემცენარეობის პროდუქციის წარმოება, მათ შორის, კარტოფილის, 36 ხილისა და ყურძნის მოსავალი – 50%-ით, ბოსტნეულისა და ბალჩეულის – 60%-ით, სიმინდის – 70%-ით, ხორბლისა – 80%-ით. შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, ღორისა და ფრინველის სულადობა. თითქმის 50%-ით ნაკლები ხორცი და 25%-ით ნაკლები რძე იქნა წარმოებული. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით თითქმის 5-ჯერ ნაკლები ხორბალი იქნა მოყვანილი.

აგრარულ სექტორში არ იზრდება მოსავლიანობა, ხოლო ზოგიერთი კულტურის შემთხვევაში, მოსავლიანობის მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად იკლო; გაუარესდა ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფის მდგომარეობა. სურსათის ძირითად სახეობებზე შემცირდა თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხორბალი, რომლის იმპორტი 3,7-ჯერ გაიზარდა. ხორბლით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 24%-დან 8%-მდე შემცირდა. საქართველოს მოსახლეობა ერთ სულზე გაანგარიშებით 2011 წელს მოიხმარდა უფრო ნაკლებ პურს, ხორცსა და ხორცის პროდუქტებს, რძესა და რძის ნაწარმს, კვერცხს, ხილს, ბოსტნეულს, თაფლს, შოკოლადს და კვების სხვა პროდუქტებს, ვიდრე 2003 წელს.

მნიშვნელოვნად შემცირდა მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის ისედაც დაბალი დონე. დიდ საწარმოო დანახარჯებთან შედარებით დაბალი საბაზრო ფასები განაპირობებს იმას, რომ სამამულო წარმოების პროდუქცია სათანადო კონკურენციას ვერ უწევს იმპორტულ პროდუქციას. 2004-2011 წლებში აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი თითქმის 6-ჯერ გაიზარდა, ხოლო ექსპორტი – მხოლოდ 2,5-ჯერ. უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 15-ჯერ გაიზარდა. ყოველივე ამის გამო, ადგილობრივ ბაზარზეც კი ქართული აგრარული პროდუქციის ადგილი უცხოურმა იაფფასიანმა, ხშირ შემთხვევაში, უხარისხო პროდუქციამ დაიკავა. შედეგად, საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის 80%-მდე იმპორტირებულია; არსებულმა მდგომარეობამ კიდევ უფრო გააღრმავა უმუშევრობისა და სიღარიბის პრობლემა და განაპირობა სოფლად მისი დონის ზრდა. საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს. ამასთან, სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში გაცილებით მოკრძალებულია და მხოლოდ 8%-ს შეადგენს. ქვეყანაში სამუშაო ძალის 54% სოფლის მეურნეობაშია „დასაქმებული“. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მათი უმეტესი ნაწილი „თვითდასაქმებულია“, ფაქტობრივად მათი უმრავლესობა კი – უმუშევარი. შედეგად, ამ სექტორში „დასაქმებულთა“ 64% საარსებო მინიმუმის ზღვარზე და მის ქვემოთ იმყოფება, აქედან 23% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. ადგილზე დასაქმებისა და საარსებოდ საჭირო შემოსავლის მიღების შეუძლებლობა მასობრივ მიგრაციას განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, სოფლის დაცარიელების მიზეზი გახდა.

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები საქართველოში განხორციელებულმა მიწის რეფორმამ წარმოშვა სავარგულების ფრაგმენტაციის პრობლემა.

- გლეხებს არ გააჩნიათ მიწის საკუთრების სამართლებრივი გარანტიები და საკუთრების დაცულობის განცდა;
- არ ვითარდება აგროსასურსათო პროდუქციის შემნახველ-გადამამუშავებელი წარმოება და კვების მრეწველობა;

- მიმე ვითარებაა სოფლის ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. არ იქმნება სტაბილური და შემოსავლიანი სამუშაო ადგილები;
- სექტორის დეგრადაცია მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ინფრასტრუქტურის მოშლითა და მომსახურების ხელმიუწვდომლობით – მოშლილია საირიგაციო-სადრენაჟო სისტემები, სახეზეა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნაკლებობა, ვერ ხდება ხარისხიანი სასუქებით, პესტიციდებითა და ქიმიკატებით უზრუნველყოფა, პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს სათესლე და სანერგე მეურნეობების, ჯიშთა გამოცდისა და განახლების სისტემები;
- პრობლემაა ტექნოლოგიური ჩამორჩენა;
- ვერ ვითარდება ამ სექტორზე ორიენტირებული მეცნიერება და განათლება, საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურება, ექსტენცია;

ფინანსური რესურსების დაბალი ხელმისაწვდომობა

2004-2010 წლებში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა თითქმის 10-ჯერ გაიზარდა. აქედან მხოლოდ 20% გაიცა რეგიონებში რეგისტრირებული კომპანიებისათვის. სოფლის მეურნეობის წილი გაცემული კრედიტების საერთო მოცულობაში წლიურად საშუალოდ 1-2%-ს არ აღემატებოდა. კრედიტების დაბალი ხელმისაწვდომობა გამოწვეულია აგრარული წარმოების მაღალი რისკებით, ლიკვიდური გირაოს უქონლობითა და სოფლად სადაზღვევო სისტემის არარსებობით. უმნიშვნელოა სოფლის მეურნეობაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აბსოლუტური მოცულობა – წლიურად მხოლოდ 10-20 მლნ აშშ დოლარი. სექტორის წილი უცხოური ინვესტიციების საერთო ოდენობაში მხოლოდ 1-2%-ის ფარგლებშია.

დაბალი ეკონომიკური აქტიურობა რეგიონებში და მოსახლეობის შემოსავლების სიმცირე

სოფლის მეურნეობაში დაქირავებით მუდმივად დასაქმებულია მხოლოდ 7 ათასამდე ადამიანი, რაც ქვეყანაში დაქირავებით დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 1,9%-ია. აგრარულ სექტორში დაბალია კომერციალიზაციის დონე. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება სულ უფრო მეტად იღებს ნატურალური მეურნეობის ხასიათს: შინამეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის მხოლოდ ერთი მეოთხედი იღებს სასაქონლო სახეს, დანარჩენი კი ადგილზე მოიხმარება.

სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები

საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ მიერ შემუშავებული აგრარული პოლიტიკის მიზანია სოფლის ეკონომიკური გაძლიერება, გლეხის (ფერმერის) შემოსავლების ზრდა და ცხოვრების დონის ამაღლება. აგრარული სექტორის მოდერნიზებამ და ინტენსიურმა განვითარებამ უნდა უზრუნველყოს სოფლად სიღარიბის აღმოფხვრა და რეგიონალური ეკონომიკის წინსვლა.

აგროსასურსათო სექტორის განვითარების ძირითადი ამოცანებია:

- სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად და ეფექტიანად ათვისება;
- აგროსასურსათო სექტორთან დაკავშირებული მომსახურების სხვადასხვა სახეობის განვითარება;
- აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდა;

- სექტორის რენტაბელურობის ზრდა და კონკურენტუნარიანი წარმოების განვითარება; გრძელვადიან პერიოდში მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა;
- აგროსასურსათო სექტორის საექსპორტო პოტენციალის გაძლიერება;
- სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- სურსათის უვნებლობა და აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკის რეალურ პრიორიტეტად იქცევა, რისი უპირველესი გარანტიაც მკაფიოდ განსაზღვრული აგარარული და რეგიონალური პოლიტიკა და სოფლის მეურნეობის სექტორის დაფინანსების რამდენჯერმე გაზრდა იქნება. სოფლის მეურნეობის დაფინანსების წყაროები უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში იქნება სახელმწიფო ბიუჯეტი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული დონორი ქვეყნების სესხები და გრანტები, კერძო ინვესტიციები (ადგილობრივი და უცხოური).

დაფინანსების სტრუქტურაში თანდათან მნიშვნელოვნად გაიზრდება კერძო ინვესტიციების წილი სხვა სახის დაფინანსების შემცირების ხარჯზე. შეიქმნება „სოფლის მეურნეობის განვითარების“ 1 მილიარდიანი ფონდი. ფონდი დააფინანსებს სოფლის მეურნეობის პროგრამებს, თავისი ფულადი სახსრებით თანამონაწილეობას მოახდენს გლეხებისათვის (ფერმერებისათვის) შეღავათიანი კრედიტების გაცემის უზრუნველყოფაში, ასევე აგრარულ დაზღვევაში. აღნიშნულ ფონდში ფულადი სახსრების აკუმულირება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საგარეო წყაროებიდან მიღებული დაფინანსების და სხვა მოზიდული ინვესტიციების ხარჯზე.

სტრატეგიის განხორციელება და მოსალოდნელი შედეგები

აგარარული და რეგიონალური პოლიტიკის სტრატეგიის განხორციელების შედეგად:

- დარეგულირდება მინათსარგებლობის საკითხები;
- შეიქმნება მინაზე საკუთრების დაცულობის მკაფიო გარანტიები;
- მოწესრიგდება სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების სამართლებრივი და ტექნიკური ასპექტები;
- ჩატარდება მიწების პასპორტიზაცია;
- ხელი შეეწყობა არსებული ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებას როგორც ექსტენსიური (ფართობების სრული მოცვა), ისე ინტენსიური (პროდუქციისა და მოსავლიანობის ზრდა) ფაქტორების გათვალისწინებით;
- შემუშავდება მინათსარგებლობის სისტემის მარეგულირებელი ნორმები, ჩამოყალიბდება საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურების ქსელი;

იმისათვის, რომ დაძლეულ იქნეს მიწების ფრაგმენტაციით გამოწვეული არაეფექტიანობა, შეიქმნება სავარგულების გამსხვილების სხვადასხვა ეკონომიკური სტიმული. ამ სფეროში გატარებული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება კოოპერაციის ხელშეწყობა და მისი განვითარების ნახალისება; სასოფლო-სამეურნეო სექტორი უზრუნველყოფილი იქნება მომსახურებითა და ნედლეულით. გლეხი (ფერმერი) შეძლებს სარწყავი და სადრენაჟე სისტემებით, ტექნიკით, ვეტერინარული მომსახურებით, აგრეთვე მოსავლის აღების შემდეგ საჭირო ტექნოლოგიებით (გადამუშავება, შენახვა, დაფასობა) სარგებლობას, ხარისხიანი სათესლე-სანერგე მასალების, სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და პირუტყვის საკვების გამოყენებას.

მომსახურების განვითარება და მასალასაშუალებების მიწოდების დროს გათვალისწინებული იქნება როგორც კომერციალიზაციის, ისე ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვა სახელმწიფოს მხარდაჭერით, ცალკეული რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიქმნება სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ცენტრები; შეიქმნება სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ბიოაგროწარმოების განვითარებას. მხარს

დავუჭერთ პროგრამის მონაწილე გლეხური მეურნეობების მიწების ბიომეურნეობებად რეგისტრაციასა და ბიომეურნეობათა ასოციაციების შექმნას.

განვახორციელებთ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებში ბიოსტანდარტის დასამკვიდრებლად. განვიხილავთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და ტყეების ბიონამდებით დამუშავების შესაძლებლობას. მცირე და საშუალო ფერმერები უზრუნველყოფილი იქნებიან ხელმისაწვდომი ფინანსებით. აგრო-სასურსათო სექტორის საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავებული პოლიტიკა შეამცირობს სექტორის რისკიანობას და უფრო მიმზიდველს გახდის მას საკრედიტო ინსტიტუტებისათვის.

სახელმწიფოს უშუალო ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები იქნება მიზნობრივი, გაითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ზრდის, ტექნოლოგიური განვითარებისა და კაპიტალიზაციის ამოცანებს; გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება. აგრარული პოლიტიკა ორიენტირებული იქნება სასოფლო-სამეურნეო სექტორში პროდუქციის წარმოების მოცულობის მკვეთრ ზრდაზე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდა უშუალოდ უნდა აისახოს სურსათის წარმოების ზრდაზე. ქართულმა აგროსასურსათო საწარმოებმა, მათ შორის, გადამამუშავებელმა მრეწველობამ უნდა შექმნას ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის (როგორც რაოდენობრივი, ისე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით) საფუძველი; გაიზრდება აგრარულ სექტორში მწარმოებლურობა, რენტაბელურობა და კონკურენტუნარიანობა.

აგრარული სექტორის ფუნქციონირების ხარისხობრივი მაჩვენებლები თანდათან გახდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ხოლო წარმოებული პროდუქცია – კონკურენტუნარიანი; გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლები. აგრარული სექტორის განვითარება უშუალოდ აისახება მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე. გაიზრდება კომერციალიზაციის დონე და ბრუნვა; ჩამოყალიბდება აგრარული განათლებისა და მეცნიერების, კონსულტირებისა და ექსტენციის თანამედროვე სისტემა. შეიქმნება გლეხების (ფერმერების) საკონსულტაციო-საინფორმაციო და ექსტენციის სისტემები.

აგრარული მეცნიერებისა და განათლების სისტემის განვითარება უზრუნველყოფს კვალიფიციური ადამიანური რესურსების მომზადებასა და სექტორისთვის მიწოდებას. გლეხების (ფერმერების) მხარდაჭერის (მათ შორის, ფინანსური) პროგრამებში პრიორიტეტული იქნება ტექნოლოგიური მოდერნიზაციისა და ინოვაციების შემცველი პროექტები; ქართული პროდუქცია დაბრუნდება შიდა ბაზარზე. აგრარული სექტორის განვითარების შედეგად გაიზრდება სამამულო წარმოების წილი შიდა მოხმარებაში და, შესაბამისად, ქვეყნის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი. იმპორტის შემცირების საფუძველი გახდება აგროსასურსათო პროდუქციის კონკრეტული სახეობების საბაზრო კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ზრდა.

ჩამოყალიბდება სურსათის უვნებლობის ეფექტიანი სისტემა; საქართველო დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს საერთაშორისო ბაზარზე. ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი აგროსასურსათო პროდუქციის წარმოება შექმნის საექსპორტო პოტენციალის სრულად გამოყენების შესაძლებლობას. ჩამოყალიბდება ისეთი ინსტიტუციური სისტემები, რომლებიც აგროსასურსათო პროდუქციის სამამულო მწარმოებლებს დაეხმარება უცხოეთის ქვეყნების არასატარიფო ბარიერების გადალახვაში. სახელმწიფოს საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის პრიორიტეტი იქნება პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების მოპოვება უცხოეთის ქვეყნებთან, უპირველესად, ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან, ევროკავშირსა და აშშ-თან, ასევე რუსეთისა და სხვა ტრადიციულ ბაზრებზე დაბრუნება;

გაიზრდება რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების როლი. მართვის დეცენტრალიზაციის შედეგად, ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების როლი განსაკუთრებით გაიზრდება იმ საჯარო მომსახურების/ინფრასტრუქტურის დაგეგმვასა და მიწოდებაში, რომელიც ადგილობრივი ბიზნესის მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას განაპირობებს. გაიზრდება თვითმმართველობის როლი აგროსასურსათო სექტორის, ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის

ადეკვატური ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნაში; მოხდება რეგიონებში ბიზნესგარემოს გაჯანსაღება და სტიმულირება.

კონკურენტუნარიანი პირველადი აგრარული პროდუქციის წარმოების გაზრდის საფუძველი გახდება სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული წარმოებისა და მომსახურების გაფართოება და განვითარება. ხელი შეეწყობა ისეთი ინფრასტრუქტურული კომპონენტების განვითარებას, რომლებიც ორიენტირებული იქნება აგრარული პროდუქციის წარმოების შემდეგ ეტაპებზე, და რომლებიც წარმოადგენს დასაქმებისა და მთლიანად რეგიონალური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს. პრიორიტეტული იქნება როგორც შიდა, ისე უცხოეთის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი სასურსათო და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება.

აგროსასურსათო სექტორის და მასთან დაკავშირებული ბიზნესკომპონენტების განვითარებამ უნდა შეასრულოს მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ძირითადი გენერატორის ფუნქცია, რაც შემდეგ, თავის მხრივ, აისახება არასასოფლო წარმოებისა და მომსახურების განვითარებაზე. ყოველივე ეს განაპირობებს მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის, აგრეთვე დანაზოგებისა და საინვესტიციო რესურსების ზრდას;

გაუმჯობესდება რეგიონებში ცხოვრების პირობები. სოფლის მეურნეობისა და რეგიონალური ეკონომიკური განვითარების ჩვენი პოლიტიკის წარმატების მაჩვენებელი იქნება სოფლად ცხოვრების დონის ამაღლება და სიღარიბის აღმოფხვრა, ადამიანების საყოფაცხოვრებო და ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესება, ადგილებზე ღირსეული ცხოვრებისა და საქმიანობის შესაძლებლობების შექმნა, რამაც მიმზიდველი უნდა გახადოს სოფლად ცხოვრება და განაპირობოს უცხოეთსა და დედაქალაქში ეკონომიკური სიდუხჭირის მიზეზებით მიგრირებული მოსახლეობის უკან დაბრუნების ტენდენცია. ამ პოლიტიკის განხორციელების შედეგად, უახლოეს წლებში, აგროსასურსათო სექტორში შეიქმნება რამდენიმე ათეული ათასი სამუშაო ადგილი დაქირავებით დასაქმებულთათვის; გაიზრდება თვითდასაქმებულთა კეთილდღეობა, მათი შემოსავლები საარსებო მინიმუმს მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, შემცირდება ფარული უმუშევრობა სოფლად.

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეყანას არ გააჩნია არც სახელმწიფო (სავალდებულო) და არც კერძო (ნებაყოფლობითი) საპენსიო დაზღვევის ერთიანი სისტემა. 2004 წლიდან საქართველოში გაუქმებულია სოციალური დაზღვევის კანონმდებლობა და სოციალური (საპენსიო) დაზღვევის შენატანი. ამიტომ არ გაგვაჩნია სახელმწიფო პენსიის საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი განმარტებაც კი და ის გაიგივებულია ხანდაზმულთათვის სახელმწიფო შემწეობასთან. დღეს სახელმწიფო პენსიის ოდენობა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების ნება-სურვილზე, ყოველი უმნიშვნელო მატება ემთხვევა პოლიტიკურ კალენდარს და იღებს ხელისუფლების „წყალობის“ ფორმას.

უფრო მეტიც, „წყალობის“ გამცემი ხელისუფლება, როგორც წესი, სანაცვლოდ საარჩევნო ხმებს ითხოვს პენსიონერებისაგან. ასეთი სისტემა სხვა არაფერია, თუ არა საბიუჯეტო სახსრებით ამომრჩეველთა მოსყიდვა, პოლიტიკური კორუფცია და, რაც სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით საშიშია, ავტორიტარიზმის სოციალურ-ფინანსური საფუძველი. პოლიტიკური ნების არარსებობის გამო სრულად არ ამოქმედდა არასახელმწიფო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ კანონი.

არსებული სისტემის პირობებში პენსია უშუალოდ ბიუჯეტიდან გაიცემა, რაც ბიუჯეტის მუდმივად ზრდად დანახარჯებს იწვევს და არ იძლევა შესაფერისი ოდენობის პენსიების გაცემის საშუალებას. დემოგრაფიული ტენდენციის გათვალისწინებით, აღნიშნული გარემოება სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ პრობლემას შექმნის.

საჭიროა ჩამოყალიბდეს დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომლითაც მოქალაქის მიერ პენსიის მიღების საფუძველი იქნება მისი საპენსიო შენატანებით დაგროვებული სახსრები. საქართველოში ამოქმედდება ევროკავში-

რის ქვეყნებში მოქმედი სახელმწიფო და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის უნიფიცირებულ კანონმდებლობაზე დაფუძნებული ახალი სისტემა, რომლის მეშვეობითაც თანდათანობით გავხდებით ევროპის სოციალური სივრცის ორგანული შემადგენელი ნაწილი. ახალი სისტემის საფუძველი არის მსოფლიოში აღიარებული ისეთი პრინციპები, როგორცაა სამართლიანობა, სოლიდარობა და გარანტირებულობა.

საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ პირველ ეტაპზე ვალდებულებას იღებს, რომ ყველა კატეგორიის პენსიონერი მიიღებს პენსიას არანაკლებ საარსებო მინიმუმისა, რაც შესაბამისი კანონით იქნება გარანტირებული.

საპენსიო სისტემის არსებითი რეფორმა, რომელიც ამ სისტემის დაგროვებით პრინციპზე გადასვლას ითვალისწინებს, დაეფუძნება სავალდებულო საპენსიო დაზღვევას. რეფორმის შედეგად, სისტემაში მნიშვნელოვან როლს კერძო საპენსიო ინსტიტუტები შეასრულებენ. პენსიის ოდენობა დამოკიდებული იქნება სადაზღვევო სტაჟისა და სადაზღვევო შენატანის ოდენობაზე. სახელმწიფოს ექნება გამოკვეთილი მარეგულირებელი ფუნქცია, რათა სისტემამ შეინარჩუნოს სტაბილურობა. გარდა ამისა, არასრული სტაჟისა და სადაზღვევო შენატანის მქონე მოქალაქეებს დაენიშნებათ (ან შეეცემათ) სოციალური პენსია.

საარსებო მინიმუმს გაუტოლდება სახელმწიფო შრომითი (ასაკით) პენსია, I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მარჩენალდაკარგულთა, პოლიტრეპრესირებულთა, ჩერნობილის კატასტროფის შედეგად დაზარალებულთა, ომისა და სამხედრო შეიარაღებული ძალების ვეტერანთა და სხვა სპეციფიკური კონტინგენტის სახელმწიფო პენსია; აღმოიფხვრება 2005 წელს ძალოვანი სტრუქტურებიდან დათხოვნილი მოსამსახურეების საპენსიო უზრუნველყოფაში არსებული დისკრიმინაცია და მოხდება მათი პენსიის გადაანგარიშება დღეს მოქმედი ნორმატივების საფუძველზე.

არსებული საპენსიო დანამატები „დამსახურების“ მიხედვით გაიზრდება ძირითადი პენსიის მატების პროპორციულად. იმ პირობებში, როდესაც სრულყოფილად არ ფუნქციონირებს ასაკობრივი და სპეციალური საპენსიო სისტემა, აგრეთვე ჯანდაცვის უზრუნველყოფის სისტემა, სოციალური დაცვის პრიორიტეტულ სფეროებად უნდა განიხილებოდეს სოციალური დახმარება ფულადი ფორმით და სოციალური მომსახურება. სოციალური დახმარების სისტემამ უნდა მოიცავს საზოგადოების ყველა ის ფენა, რომელიც რეალურად საჭიროებს ასეთ დახმარებას. სოციალური მდგომარეობის შეფასებისათვის გამოყენებული უნდა იყოს მრავალფაქტორიანი მოდელი, რომელიც შეიქმნება საქართველოში უკვე მოქმედი სოციალურად გაჭირვებული ოჯახების შეფასების სისტემის ბაზაზე, მისი შემდგომი სრულყოფის გზით.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ბაზა, შეფასების სისტემის გათვალისწინებით, დიფერენცირებული იქნება კატეგორიებად და, შესაბამისად, ამ კატეგორიებისათვის დახმარებაც დიფერენცირებული იქნება; გაორმაგდება უკიდურესად გაჭირვებულთათვის სოციალური დახმარების ოდენობა; გაიზრდება დახმარების მიმღებთა რაოდენობა.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური დახმარების სისტემა იქნება ფედერალური და უნიფიცირებული, ქვეყნის მასშტაბით სოციალურად დაუცველ პირთა შეფასების, მომსახურებისა და ადმინისტრირების ფუნქციები მუნიციპალურ ორგანოებს ექნებათ დელეგირებული. სოციალური მომსახურების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იქნება სპეციალიზებული დაწესებულებები – მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა, მოხუცებულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახლები და დღის სტაციონარები, აგრეთვე სხვა სპეციალიზებული დაწესებულებები.

სოციალური მომსახურების დაწესებულებათა ქსელის განვითარება დაემყარება გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპს. მათი დაფინანსებისა და ადმინისტრირების ფუნქცია, როგორც ექსკლუზიური უფლებამოსილება, გადაეცემა რეგიონალურ და მუნიციპალურ ხელისუფლებას.

ჯანდაცვა

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული გაუაზრებელი „რეფორმების“ შედეგად, საქართველოს მოსახლეობის 70%-ზე მეტი სამედიცინო მომსახურების გარეშე დარჩენილი. გაუმართლებლად მაღალია მედიკამენტების ფასები. მოსახლეობის უმრავლესობა ოჯახის ბიუჯეტის დიდ ნაწილს წამლების შეძენისა და ექიმებთან კონსულტაციებისათვის ხარჯავს. ბევრს კი საერთოდ არ გააჩნია მკურნალობისათვის საჭირო სახსრები. ჯანდაცვის სისტემაში დღემდე არ შემუშავებულა ჯანდაცვის ხარისხისა და სტანდარტიზაციის ერთიანი ეროვნული პოლიტიკა, აგრეთვე სახელმწიფო დონეზე სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა

შეფასების კრიტერიუმები და მქაანოზები

სისტემა არ არის დაყოფილი რეგიონალური და ფუნქციური პრინციპით და დონეების მიხედვით. შესაბამისად, არ არის განსაზღვრული თითოეული მათგანის უფლება-მოვალეობები, ანგარიშვალდებულება, სადაზღვევო კომპანიებისათვის არ არსებობს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე ანგარიშვალდებულების სისტემა, თითქმის არ გამოიყენება ქცევის რეგულაციის ისეთი ფორმები, როგორცაა თანამედროვე სტანდარტები/გაიდლაინები და პროტოკოლები, უწყვეტი სამედიცინო განათლება და განვითარება.

სახელმწიფოს როლი და ძირითადი პრინციპები

სახელმწიფო ზრუნავს თავისი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და იღებს პასუხისმგებლობას სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე. სახელმწიფოსთან ერთად მოსახლეობას აქვს უფლება და შესაძლებლობა, ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად მიიღოს მონაწილეობა თავისი ჯანმრთელობის დაცვის დაგეგმვასა და განხორციელებაში. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მთავარი ამოცანა იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის მუდმივად გაუმჯობესება. ამ ამოცანის გადამწყვეტა მოითხოვს ყველა მონაწილე მხარის (მომსახურების მიმწოდებელი, გადანყვეტილების მიმღები, დამფინანსებელი) ერთობლივ ძალისხმევას.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მახასიათებლები იქნება:

- ხარისხიანი ჯანდაცვის მომსახურების საყოველთაო და თავისუფალი ხელმისაწვდომობა;
- სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ბაზისური კალათით ოპერირება;
- სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი;
- დაავადებათა პრევენციაზე ორიენტირებული პირველადი ჯანდაცვის ქსელით ოპერირება;
- სახელმწიფო და კერძო სისტემებისათვის კონკურენტული გარემოს შექმნა;
- დამატებითი მომსახურების თავისუფალი არჩევანის უზრუნველყოფა.

საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების პირველივე ეტაპზე, საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო დაზღვევის უნივერსალური საბაზისო პაკეტით. ეს პაკეტი უზრუნველყოფს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, ფინანსური რისკებისაგან დაცვას, დაავადებათა პრევენციასა და საბაზისო პაკეტით გათვალისწინებულ მკურნალობას.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაფინანსების ორგანიზაცია და მართვა

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაფინანსების გაუმჯობესებისათვის შემოღებული იქნება მსოფლიოში აპრობირებული მექანიზმები. შეიქმნება არასახელმწიფო არამომგებიანი ინსტიტუტი, რომელიც მოახდენს თანხების ადმინისტრირებას, მიმწოდებლების (სამედიცინო პერსონალი, საავადმყოფოები) შერჩევას და დაფინანსებას. მისი საბჭო დაკომპლექტდება სახელმწიფოს, პაციენტების, სამედიცინო პერსონალის, სადაზღვევო და არასამთავრობო ორგანიზაციების (მათ შორის, პროფკავშირების) წარმომადგენლებისაგან.

ჯანდაცვის სამინისტროს ფუნქციებად განისაზღვრება საკანონმდებლო ინიციატივები, ინსტიტუტის მუშაობის მონიტორინგი, ბაზისური კალათის განსაზღვრა-განფასება, მარეგულირებელი აქტივობები (ლიცენზირება, სერტიფიცირება, ხარისხის კონტროლი, უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობა), საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება და მართვა.

გამიჯნული იქნება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციები. ცენტრალურ დონეზე შემუშავდება სისტემის დაფინანსების პოლიტიკა, განხორციელდება ფარმაცევტული რეგულაციები, ექიმთა და სამედიცინო დაწესებულებათა (სახელმწიფო, კერძო) ლიცენზირება და ჯანდაცვის პოლიტიკის კოორდინაცია, აგრეთვე უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო ტექნოლოგიების შეფასების (კალიბრირება, მეტროლოგია) სისტემის ფუნქციონირება.

ადგილობრივ დონეზე შეიქმნება საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტები, რომლებიც ეპიდემიოლოგიური კვლევების საშუალებით განახორციელებენ ლოკალური საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესწავლასა და ანალიზს, პრობლემების იდენტიფიცირებას და ცენტრალური ხელისუფლებისათვის მინოდებას; მათ დაქვემდებარებაში შევლენ პირველადი ჯანდაცვის ლოკალური ქსელები, რომლებიც ჩაბმული იქნებიან როგორც ჩვეული და ხშირი დაავადებების მკურნალობის, ისე რეგიონში საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

შეიქმნება მონაცემთა ერთიანი ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება ჯანდაცვის სისტემის საჭიროებათა რეალისტური გაანალიზება, დაგეგმვა, ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების პროცესის წარმართვა და სწორი ინტერვენციების განხორციელება.

კერძო სადაზღვევო კომპანიები ჩაბმული იქნებიან დამატებითი, ბაზისური კალათით გათვალისწინებულზე მეტი, მომსახურების განევაში. საქართველოს ჰოსპიტალური სექტორი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო ჰოსპიტლებით. ჯანდაცვის სისტემის დაფინანსება.

ჯანდაცვის სისტემის სახელმწიფო დაფინანსების მოდელი დაეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- განისაზღვრება სტანდარტიზებული ბაზისური სარგებლობის კალათა, რომელიც ერთიანი იქნება მთელი მოსახლეობისათვის;
- შემავსებელი და დამატებითი მომსახურების განევის უფლება მიეცემათ კერძო სადაზღვევო კომპანიებს;
- ხელი შეეწყობა კონკურენციას შემავსებელი და დამატებითი მომსახურების შესყიდვის მიზნით;
- ბაზისური კალათისათვის პრემიუმების ფასის წარმოებას მოახდენს სახელმწიფო და არ იქნება დაკავშირებული ინდივიდუალურ ჯანმრთელობის რისკთან.

სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ და დაფინანსებულ ბაზისური სარგებლის კალათაში შევა ის მომსახურებები, რომლებიც ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისით სრულად დაფინანსდება:

- ამბულატორიული მომსახურება (ოჯახის/სოფლის ექიმი და სპეციალისტები);

- მოსახლეობის პროფილაქტიკური გამოკვლევები (სკრინინგი) და იმუნიზაცია (აცრა);
- სასწრაფო სამედიცინო დახმარება;
- ჰოსპიტალური მომსახურება (მათ შორის გულის სისხლძარღვთა სტენტირება, შუნტირება);
- ორსულთა მოვლა და მშობიარობა;
- უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობა (მათ შორის სხივური თერაპია, ქიმიოთერაპია);
- გადაუდებელი სტომატოლოგია; მედიკამენტები – პირველადი მოხმარების (ესენციური) მედიკა
- მენტები 50%-იანი ფასდაკლებით.

ამასთან ერთად, გაგრძელდება ჯანდაცვის სპეციალიზებული მიმართულებების პროგრამული დაფინანსება, კერძოდ:

- დიაბეტის პროგრამა (ბიუჯეტიდან დაფინანსება გაორმაგდება);
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა (ბიუჯეტიდან დაფინანსება გაორმაგდება);
- ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) დახმარების პროგრამა (ბიუჯეტიდან დაფინანსება გაორმაგდება);
- უსაფრთხო სისხლის პროგრამა (ბიუჯეტიდან დაფინანსება გაორმაგდება);
- ტუბერკულოზის პროგრამა;
- აივ-ინფექცია/შიდსის პროგრამა;
- დიალიზისა და თირკმლის გადანერგვის პროგრამა;
- ნარკომანიის მკურნალობის პროგრამა;
- ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის პროგრამა;
- ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის პროგრამა;
- იშვიათი დაავადების მქონე ავადმყოფთა მკურნალობის პროგრამა;
- პროფესიულ დაავადებათა პრევენციის პროგრამა;
- უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და კვლევების ხელშეწყობის პროგრამა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე მზრუნველობის პროგრამა.

სამედიცინო მომსახურების მიწოდება და ხარისხი. სამედიცინო მომსახურება თანაბრად გადანაწილდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა მოსახლეობას მიეცეს საშუალება ქვეყნის ნებისმიერ ნერტილში მიიღოს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება.

სამედიცინო მომსახურების ხარისხი უზრუნველყოფილი იქნება შიდა და გარე აუდიტის, ხარისხის მართვის ოფისების, ხარისხის კონტროლის პროგრამების, შეფასების ინდიკატორების, აკრედიტაციის სტანდარტების, პაციენტთა უსაფრთხოების სტანდარტებისა და რისკების მართვის სტანდარტებით. პერსონალი გაივლის სწავლებას ტექნიკური უსაფრთხოების მეთოდოლოგიების გამოყენებით. უზრუნველყოფილი იქნება ფიზიკური, ფინანსური, ხარისხობრივი ხელმისაწვდომობა, მოხდება დასაბუთებული გადაწყვეტილებებით ოპერირება და დაცული იქნება სამედიცინო მომსახურების ეთიკის ნორმები.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

განათლება

ედუ-ს პროგრამა არ შეიცავს პარტიის ხედვას განათლების სფეროზე. იგი ძირითად აქცენტს აკეთებს უმუშევრობის დაძლევის პროგრამებზე, დაზღვევაზე და სხვა სოციალურ პროგრამებზე. თუმცა, პარტიის ლიდერთა განცხადებებიდან გამომდინარე, პარტიის ხედვით, სასწავლო კრედიტის დაფარვა დიპლომის აღების შემდგომ უნდა ხდებოდეს, როდესაც ახალგაზრდას საკუთარი შემოსავლის წყარო უჩნდება; ასევე, პარტიის მიზანია გახადოს პედაგოგის პროფესია პრესტიჟული, რაც მიიღწევა მაღალი ხელფასებითა და შრომითი უფლებების საკანონმდებლო გარანტიით.

დასაქმება

ამ სოციალური სენის დაძლევისთვის ედუ გამოდის ინიციატივით, შეიქმნას დასაქმების სახელმწიფო სამსახური (სააგენტო). ის ადამიანები, რომლებიც უკვე დასაქმებულნი არიან, აუცილებლად დაეზღვევიან, რათა, უმუშევრობის შემთხვევაში, მიიღონ ფულადი კომპენსაცია. უმუშევარი მოქალაქეები დარეგისტრირდებიან დასაქმების სახელმწიფო სააგენტოში, მიენიჭებათ უმუშევრის სტატუსი და მიიღებენ ყოველთვიურ ფულად დახმარებას. პარალელურად, დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მეშვეობით, ისინი მოძებნიან ახალ სამუშაო ადგილებს, ასევე, თუ საჭირო იქნება, შეისწავლიან იმ დროისათვის მოთხოვნად პროფესიებს. უმუშევრების ნაწილს, რომელთაც გაუჩნდებათ სურვილი ხელი მიჰყონ მცირე მენარმეობას, აქაც მათ დასაქმების სახელმწიფო სააგენტო დაეხმარება. მომსახურების ყველა ხარჯს განეცხ სახელმწიფო.

მცირე მენარმეობის საკითხები

მცირე მენარმეობა ედუ-ს მიზანია, ქვეყანაში ჩამოყალიბდეს ძლიერი საშუალო კლასი. საუბარი საშუალო კლასზე შეუძლებელია მცირე მენარმეობის გარეშე, ამიტომ სახელმწიფო არა მარტო დაცულს გახდის თავისუფალ მენარმეობას, არამედ დაეხმარება მცირე ბიზნესს – დაანესებს დაბალ გადასახადებს, გაუწევს უფასო იურიდიულ და ბუღალტრულ კონსულტაციებს. დამწყებ და უკვე მოქმედ მენარმეებს საშუალება ექნებათ, სახელმწიფოს გარანტიით აიღონ დაბალპროცენტისანი და გრძელვადიანი კრედიტები.

სოფლის მეურნეობა

ჩვენ ქართულ სოფელს აღვიქვამთ, როგორც ჩვენი ეროვნული იდენტურობის მნიშვნელოვან და ტრადიციულ კომპონენტს, რომელსაც გაფრთხილება და მოვლა სჭირდება. სოფლის მეურნეობა სახელმწიფოს დახმარების გარეშე ვერ განვითარდება, ამიტომ ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ოჯახური მეურნეობებს გრძელვადიანი და დაბალპროცენტისანი კრედიტებით, სოფლად მოწვეულ პროდუქციაზე მოახდინოს საბიუჯეტო სუბსიდირება, გააცნოს ფერმერებს თანამედროვე ტექნოლოგიები, სტიქიური უბედურებების, ასევე მოუსავლიანობის შემთხვევაში გაუწიოს ფინანსური დახმარება აგროდაზღვევის სახით, სოფლად უნდა შეიქმნას ვეტერინალური სამსახური. ესაა ეროვნულ-დემოკრატიების ხედვა და, ჩვენი აზრით, გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, არა მარტო შევინარჩუნოთ ქართული სოფელი, არამედ განვავითაროთ მთლიანად დარგი, უზრუნველყოთ მოსახლეობის მომარაგება უსაფრთხო და არა იმპორტზე დამოკიდებული სურსათით.

სოციალური უზრუნველყოფა

ედუ-ს აქვს ხელისუფლებისგან განსხვავებული მიდგომა. ჩვენი საპენსიო სისტემა ითვალისწინებს, როგორც დღევანდელი, ასევე მომავალი პენსიონერების ღირსეული სიბერის უზრუნველყოფას, ამიტომ აუცილებელია, ქვეყანაში იყოს, ერთის მხრივ, საბაზისო პენსია, რომელიც მიბმული იქნება საარსებო მინიმუმთან და ინფლაციის კვალობაზე ყოველწლიურად დაეჭვმდებარება ინდექსაციას, გაზრდას. საბაზისო პენსიით ისარგებლებენ სხვადასხვა კატეგორიის პენსიონერები. მეორეს მხრივ, უნდა შემოვიღოთ პენსიის დაგროვებითი სქემა – დღეს დასაქმებული მოქალაქეების პირად ანგარიშზე დაგროვდება მათ მიერ ბიუჯეტში გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ნაწილი. საპენსიო ასაკის დადგომისას ისინი მიიღებენ როგორც საბაზისო პენსიას, ასევე მათ პირად ანგარიშზე დაგროვილ თანხას.

ჯანდაცვა

სამედიცინო მომსახურებაზე ხელი საზოგადოების ყველა წევრს უნდა მიუწვდებოდეს, მიუხედავად მათი მატერიალური მდგომარეობისა. საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა, რასაც ჩვენ ვთავაზობთ მოსახლეობას, აგებულია როგორც მენარმეების, ასევე დაქირავებულებისა და სახელმწიფოს საერთო პასუხისმგებლობაზე. საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის სისტემა ყველა მოქალაქეს მისცემს საშუალებას, ჯიბიდან გადახდის გარეშე, მიიღოს სრულყოფილი სამედიცინო მომსახურება, იქნება ეს დაქირავებული, მენარმე, სახელმწიფო მოხელე, პედაგოგი, დიასახლისი, მოსწავლე თუ სტუდენტი, უმუშევარი თუ პენსიონერი. საქართველოში, რეალურად, დამკვიდრდება პრინციპი – ჯანმრთელობა ყველასათვის!

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა

განათლება

“განათლება დასაქმებისთვის“

1 მილიარდი ლარი განათლებაზე:

- ზოგადი განათლება – 690 მილიონი ლარი: სკოლის 50 000-მდე პედაგოგი მიიღებს მინიმალურ ხელფასს 900 ლარს, პორტატულ კომპიუტერებს და 600 000 მოსწავლესთან ერთად სასკოლო სახელმძღვანელოებს;
- უმაღლესი განათლება და სამეცნიერო კვლევების პროგრამა – 310 მილიონი ლარი (100 000 სტუდენტი მიიღებს დაფინანსების მინიმუმ ნახევარს ანუ 1125 ლარს, ხოლო მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი, მაღალმთიანი რეგიონების სტუდენტები 100%-ით დაფინანსდებიან, გაოთხმაგდება სამეცნიერო გრანტების დაფინანსება);

მაკროეკონომიკური საკითხები

ერთიანი საქართველო ყველა თაობას

არსებული 8 მილიარდიანი ბიუჯეტის 10 მილიარდამდე გასაზრდელად:

- დაუყოვნებლივ შეწყდება წნეხი ბიზნესზე და მოხდება ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია;
- აღმოიფხვრება ელიტური კორუფცია და ამოივსება ეკონომიკაში არსებული „შავი ხვრელები“ ბიზნეს-მონოპოლიების სახით;
- სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე შემოვიღებთ დიფერენცირებულ გადასახადს. ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის პრინციპი იქნება: „ნაკლები შემოსავალი – ნაკლები გადასახადი“. დაწესდება დაუბეგრავი მინიმუმი, რომელიც გათანაბრდება საარსებო მინიმუმთან, ხოლო საშემოსავლო გადასახადი შემოსავლის მიხედვით 10-25% ფარგლებში იქნება, რაც დამატებით 350 მილიონამდე ლარის მობილიზების საშუალებას მოგვცემს.

დასაქმება და დაბალი ტარიფები

ენერგეტიკა 1 მილიარდი ლარი:

- ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია – გაგრძელდება ჰესების მშენებლობა, თუმცა გამომუშავებული იაფი ჰიდრო-ელექტროენერგია მოხმარდება ტარიფის დაწევას, ეკონომიკის განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; სახელმწიფო უზრუნველყოფს დასახლებული პუნქტების გაზიფიცირებას;
- განხორციელდება თელასის აქციების 75%-ისა და ენერგოპრო-ჯორჯიას წილის 100%-ის გამოსყიდვა

– შედეგად ელექტროენერჯის ტარიფიდან მოხდება ინვესტიციის კომპონენტის ამოღება და ტარიფი კიდევ უფრო შემცირდება;

- მოხდება კუთვნილი ოფციური გაზის მიღება შაჰ-დენიზიდან, თბოელექტროსადგურებისთვის გაზის შესყიდვაზე უარის თქმა და ამით გაზის ტარიფის საგრძნობი შემცირება.

ინფრასტრუქტურა ყველა ოჯახის კეთილდემოკრატიისთვის

ინფრასტრუქტურის განვითარება – 700 მილიონი პირდაპირი საბიუჯეტო ხარჯი, ხოლო 800 მილიონი ლარი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან დამატებით, შესაბამისად, 1.5 მილიარდი ლარი:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 850 მილიონი ლარი, მათ შორის „გზა ყველა სოფელს“ – 400 მილიონი ლარი (3 წლის განმავლობაში დაიხარჯება 1.2 მილიარდი ლარი და ყველა სოფელს ექნება მონესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა);
- წყალმომარაგების სიტემის აღდგენა რეაბილიტაცია ანუ სასამელი წყალი ყველა ოჯახს – 250 მილიონი ლარი;
- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის აღდგენა – 250 მილიონი ლარი;
- იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა, საკუთარი საცხოვრისებით უზრუნველყოფა, თვეში ყოველ სულზე 100 კვ. სთ. ელექტროენერჯის სუბსიდირების აღდგენა – 150 მილიონი ლარი.

სახელმწიფო ვალუბის გარეშე

შიდა ვალუბის მომსახურება:

- კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროგრამა 60 მილიონი ლარი. 4 წლის განმავლობაში დაიხარჯება 240 მილიონი ლარი, აშენდება 100 კორპუსი და დაკმაყოფილდება 9000 დაზარალებული);
- 1998-2004 წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანებების გასტუმრების პროგრამა – 35 მილიონი (სულ 2 წლის განმავლობაში გამოიყოფა 70 მილიონი ლარი).

სოფლის მეურნეობა/დასახლება

“კონკურენტუნარიანი ფერმერი მცირემნიანი გლეხის ნაცვლად“

მილიარდი ლარი სოფლის მეურნეობისთვის:

- აგრარული კოოპერატივების განვითარების პროგრამა – 550 მილიონი ლარი: სახელმწიფო წაახალისებს კოოპერაციის წესით მიწების გამსხვილებას, მოახდენს სანვავისა და სასუქის სუბსიდირებას, შეიძენს ტექნიკას და დააზღვევს მოსავალს;
- აგრარული ბანკი – 300 მილიონი ლარი: სახელმწიფო კოოპერაციულ მეურნეობებზე გასცემს გრძელვადიან და დაბალპროცენტიან კრედიტებს, პირველი სამი წელი კრედიტის ძირსაც და პროცენტსაც მთლიანად დაფარავს სახელმწიფო. შედეგად ყოველწლიურად კოოპერაცია შექმნის 80 000 სამუშაო ადგილს;

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღებისთვის შესაბამისი სასაწყობე, სამაცივრე და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას – 250 მილიონი ლარი.

სოციალური უზრუნველყოფა

საპენსიო უზრუნველყოფა – 2.1 მილიარდი ლარი. ამ თანხაში შევა ვეტერანების პენსიებიც (60 მილიონი ლარი). ასაკობრივი პენსია 2014 წელს იქნება 200 ლარი, 2015 წელს – 220 ლარი, 2016 წელს – 240 ლარი;

ჯანდაცვა

ჯანმრთელობის დაცვა – 800 მილიონი ლარი: ბავშვები 18 წლამდე, პენსიონერები, ომისა და შრომის ვეტერანები, ძალოვანი სტრუქტურის პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, დევნილები მარჩენალდაკარგულები, სტუდენტები, მრავალშვილიანი ოჯახები, მაღალმთიანი რეგიონის მცხოვრებლები მიიღებენ დაზღვევის გაუმჯობესებულ პაკეტს, ხოლო ყველა სხვა მოქალაქე სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფილი იქნება საბაზისო სამედიცინო მომსახურებით.

ექსპერტული შეფასებები

ახალი მემარჯვენეები

განათლება (ISET-PI)

პარტიის ოფიციალური პროგრამული დოკუმენტი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს განათლებას. უპირველეს ყოვლისა ახალი მემარჯვენეები აპირებენ განათლების დაფინანსების გაორმაგებას ანუ მისი წილის გაზრდას მშპ-ში 2.2%-დან 5%-მდე, რაც წარმოადგენს მათი ბიუჯეტის ოპტიმიზაციისა და პრიორიტეტების გადაფასების პოლიტიკის ნაწილს.

პარტიის წინასაარჩევნო პროგრამაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სასკოლო და სკოლამდელ განათლებას. ძირითადი მიზნები, განათლების სისტემის რეფორმის კუთხით, მოიცავს: სასკოლო სისტემის რეალური დეცენტრალიზაცია და სკოლის მაქსიმალური ავტონომია; სკოლამდელი განათლების სისტემატიზაცია და საყოველთაო ხელმისაწვდომობა; დანყებითი განათლების საფეხურზე მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით სრული უზრუნველყოფა; პედაგოგიური განათლების მიღების ძლიერი მოტივაციის შექმნა.

პარტიის პროგრამის მიხედვით, წლიური დაფინანსება განათლებაზე გაიზრდება მინიმუმ ორჯერ მშპ-სთან და ბიუჯეტთან მიმართებაში. განათლებაზე საბიუჯეტო დანახარჯების ამგვარი ზრდა მისასაღამებელია იმ გაგებით, რომ განათლება გახდება კიდევ უფრო პრიორიტეტული ანუ ეკონომიკის გრძელვადიან ზრდას მიექცევა სათანადო ყურადღება. მეორეს მხრივ, ბიუჯეტში განათლების წილის ზრდა გამოიწვევს სხვა სფეროებზე დაფინანსების შემცირებას ან გადასახადების ზრდას, რაც იქნება გარკვეული უარყოფითი შედეგების მომტანი. პარტიის პროგრამის მიხედვით საჭირო საბიუჯეტო სახსრების გამოთავისუფლება ძირითადად მოხდება ინფრასტრუქტურული და სახელმწიფო აპარატის შენახვის ხარჯებიდან, თუმცა არ არის დაკონკრეტებული თუ რამდენად შესაძლებელია ამგვარი გამოთავისუფლება და თუ რა ნაკლი შეიძლება ჰქონდეს ამგვარ პოლიტიკას.

სკოლამდელი და სასკოლო განათლების სფეროში, პარტიის პროგრამა სავსებით მიღწევადია მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში. სკოლამდელი განათლების სისტემატიზაცია და საყოველთაო ხელმისაწვდომობა – ეს სფერო ნამდვილად მოითხოვს მიხედვას და ამგვარი მიზანი შეიძლება ჩაითვალოს პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დანაპირებად. სკოლამდელი განათლების სისტემის დახვეწა ხელს შეუწყობს შობადობის ზრდას და დაეხმარება მშობლებს, რომ მეტი დრო დაუთმონ საზოგადოებრივ საქმიანობას, სამუშაოს, კარიერას და კვალიფიკაციის ამაღლებას. ამგვარი პოლიტიკა ეკონომიკაზე აისახება როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდშიც.

ძირითადი აქცენტის გაკეთება სკოლამდელ და სასკოლო განათლებაზე უყურადღებოდ ტოვებს უმაღლეს განათლებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს უმაღლეს სასწავლებლებში დანყებული რეფორმების მიტოვება. მნიშვნელოვანია ყურადღება არ მოდუნდეს და მაქსიმალურად დაიხვეწოს უმაღლესი განათლების სისტემა.

დასაქმება (ISET-PI)

„ახალი მემარჯვენეების“ წინასაარჩევნო საპროგრამო დოკუმენტში უმუშევრობის პრობლემას ცალკე ქვეთავი არ ეთმობა, თუმცა პრობლემის ანალიზი და დაძლევის გზები პროგრამის სხვადასხვა ნაწილებშია წარმოდგენილი. მთლიანობაში პარტიის მიერ უმუშევრობასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი საკმაოდ ზუსტ

სტატისტიკურ მონაცემებს ეყრდნობა და პარტიის პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით გამყარებულია ოფიციალური წყაროებზე დაყრდნობით. პარტიის საპროგრამო დოკუმენტში სამართლიანადაა ხაზგასმული ის ფაქტი, რომ მიუხედავად ეკონომიკის საკმაოდ მაღალი საშუალო ზრდის ტემპისა ბოლო ათწლეულის განმავლობაში უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლები კვლავ საკმაოდ მაღალ ნიშნულზე რჩება. ახალი მემარჯვენეების აზრით, ამის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს სტაგნირებული სოფლის მეურნეობის სექტორი, რომლის უდიდესი პოტენციალი დასაქმების ადგილების შექმნის თვალსაზრისით დღემდე გამოუყენებელი რჩება. თავიანთი არგუმენტის გასამყარებლად ახალი მემარჯვენეები სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებს ეყრდნობიან. მთლიანობაში, ფაქტობრივი სიზუსტის მიხედვით პარტიის პროგრამის ის ნაწილი რომელიც დასაქმებას ეხება საკმაოდ პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს. ასევე, პარტიის პროგრამულ დოკუმენტის უმუშევრობის ნაწილში არ გვხვდება აზრებს შორის შეუსაბამობები.

„ახალი მემარჯვენეები“ სამართლიანად ამახვილებენ ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ რეალური უმუშევრობის დონე ქვეყანაში გაცილებით მაღალია ვიდრე ამას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ოფიციალური სტატისტიკა გვეუბნება. ახალი მემარჯვენეები ასევე ხაზგასმით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ დასაქმებულთა 60%-ზე მეტი თვითდასაქმებულია, ხოლო დაქირავებულად მომუშავე 40%-ზე ნაკლები. დასაქმების საკითხთან მიმართებაში „ახალ მემარჯვენეთა“ პოზიცია უკიდურესად მემარჯვენეა. პარტია გამოორიციხვას სახელმწიფოს მიერ გატარებულ ყოველგვარ ღონისძიებას, რომელიც მიმართული იქნება უშუალოდ შრომის ბაზარზე ჩარევის გზით დასაქმების გაზრდისაკენ. მათი აზრით, ისეთი ღონისძიებები, როგორცაა დასაქმების სააგენტოების თუ სამინისტროს შექმნა იმთავითვე კრახისთვისაა განწირული, რადგანაც, მათი აზრით, სამუშაო ადგილებს ბიზნესი ქმნის და არა სამინისტრო. პარტიის აზრით, ერთადერთი დადებითი რამ, რაც სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს დასაქმების გაზრდისათვის არის მცირე და საშუალო ბიზნესის და, შესაბამისად, საშუალო ფენის განვითარებისათვის ხელშეწყობა. ამისათვის კი სახელმწიფო მინიმალური დონით უნდა ჩაერიოს ბიზნეს ურთიერთობებში. „ახალი მემარჯვენეების“ მთავარი არგუმენტი ეყრდნობა აშშ-სა და ევროკავშირის გამოცდილებას, სადაც მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს მთლიანი ბიზნესის უდიდესი წილი უჭირავთ. წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით უმუშევრობის დასაძლევად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საკმაოდ გონივრული სტრატეგიაა, თუმცა ამ სტრატეგიის პრაქტიკაში წარმატებულად დანერგვისათვის საჭიროა წინასწარ დაგეგმილი კარგად გააზრებული მთელი რიგი ღონისძიებების გატარება.

მთავარი კრიტიკა „ახალი მემარჯვენეების“ დოკუმენტთან დაკავშირებით შეეხება დასახული მიზნების მიღწევის გზების კონკრეტულის ნაკლებობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პარტიის დოკუმენტში მწირია ინფორმაცია საჭირო თანხების, მათი წყაროებისა და კონკრეტული ღონისძიებების გატარების შესახებ, რომლითაც შესაძლებელი იქნება დასახული მიზნის, უმუშევრობის შემცირების, მიღწევა.

მაკროეკონომიკური საკითხები (EPRC)

ახალი მემარჯვენეების საარჩევნო პროგრამა ერთ-ერთ ყველაზე მოცულობითი პროგრამაა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიათა პროგრამებს შორის. ამასთან, პროგრამაში სოლიდური ადგილი ეთმობა საქართველოს მაკროეკონომიკურ მდგომარეობისა და ეკონომიკის განვითარების პერსპექტივების დასახვას. პროგრამაში საკმაოდ დეტალურადაა განხილული ქვეყნის განვითარების ძირითადი მაკროეკონომიკური ტენდენციები. დოკუმენტში ვლინდება ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების იერარქიის, მათ შორის არსებული კავშირებისა და უკუკავშირების საკმაოდ ჩამოყალიბებულ ცოდნა. კარგადაა ერთმანეთისგან გამიჯნული ძირითადი და შედარებით ნაკლებადმნიშვნელოვანი რგოლები.

ახალი მემარჯვენეების პროგრამაში ზოგადად კარგადაა დანახული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების, მაგალითად დასაქმების, ინვესტიციების, ექსპორტ-იმპორტის დინამიკა და ზეგავლენა ეკონომიკის

მდგომარეობაზე. პროგრამის ავტორები ეყრდნობიან ოფიციალურ წყაროებს და არ სპეკულირებენ დაუსაბუთებელი მოსაზრებებით. ჩვენი აზრით, სავესებით სწორადაა დანახული დასაქმების არაეფექტური სტრუქტურა და გამოვლენილია სახელმწიფოს მიერ უმუშევრობის აღრიცხვის ერთგვარად არასწორი მეთოდოლოგია.

ასევე მართებულად მიგვაჩნია პროგრამის ავტორთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მთავრობის სახარჯო პოლიტიკა არაეფექტიანია და იგი საბიუჯეტო დეფიციტის უმთავრესი წყაროა. საფუძვლიანადაა დანახული ფისკალურ პრობლემები ეკონომიკის ზოგადი განვითარების პრიზმაში. კარგადაა გააზრებული ერთი მხრივ – კავშირი ბიზნესის თავისუფლებასა და ეკონომიკურ ზრდას, მეორე მხრივ კი – საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობისა და საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობასა და ბიზნესის თავისუფლებას შორის.

დოკუმენტში ვლინდება ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური მაჩვენებლების (ექსპორტ-იმპორტი, საგარეო სახელმწიფო და კორპორატიული ვალი) ცოდნა. ასევე კარგად ჩანს ორგანიზაციის კრედო, რომ ქვეყანას შეძლებისდაგვარად მცირე ზომის მთავრობა უნდა ემსახუროდეს. ამის მაგალითად ნეგატიურ კონტექსტშია მოყვანილი ის ფაქტი, რომ 2012 წელს დაგეგმილია მთავრობას განზრახული აქვს საჯარო მოხელეთათვის შრომის ანაზღაურების სოციალური ხარჯების ზრდის ტემპზე უფრო მაღალი ტემპით ინდექსაცია. დოკუმენტში გააზრებულია საქართველოს მოწყვლადობა საგარეო ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

ამავე დროს, ახალი მემარჯვენეების დოკუმენტის ფაქტოლოგიური ნაწილი გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება. კერძოდ, პროგრამაში ნახსენებია, რომ საქართველოში საწვავი და მედიკამენტები, ასევე მრავალი სხვა პროდუქტი კატასტროფულად ძვირია. გაუგებარია, თუ რა იგულისხმება კატასტროფულად ძვირში, რამდენად ძვირია პროდუქტი მეზობელ ქვეყნებთან შედარებით და სხვა? დაზუსტებების გარეშე ამგვარი მტკიცებულებები ძალას მოკლებულია.

დოკუმენტში ნახსენებია, რომ ეკონომიკაში დაბალია იმ სექტორების წილი, სადაც დასაქმება მაღალეფექტურია. ეს საკმარისად გაუგებარი მოსაზრებაა. ასევე საკმაოდ გაუფრთხილებლადაა ნახსენები ე.წ. „ჰოლანდიური დაავადება“ განმარტების გარეშე. ეს უკანასკნელი ეკონომიკური მოვლენა დამახასიათებელია მხოლოდ გარკვეული ტიპის ქვეყნებისათვის განვითარების გარკვეულ ეტაპზე. საქართველოსთვის მათთან პარალელების გავლება, ჩვენი აზრით, უმართებულოა. ასევე სადავოა მოსაზრება, რომ საქართველოს აშკარა კონკურენტული უპირატესობა გააჩნია მინისქვეშა ბუნებრივი რესურსებით, გეოგრაფიული მდებარეობითა და მუშახელით. მართალია სწორია ის მოსაზრება, რომ ინვესტიციების დიდი ნაწილი სახელმწიფო ქონების გასხვისებას უკავშირდება, ხოლო სახელმწიფო ხარჯების ზრდას მნიშვნელოვანწილად ეკონომიკის ლეგალიზაცია და ფისკალური შემოსავლების ზრდა განაპირობებს, მთლად კორექტული არ იქნება იმის განცხადება, რომ შემოსული ინვესტიციების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოხმარდა კაპიტალის მწარმოებლურობის ზრდას.

მთლიანობაში, ფაქტოლოგიური მასალის გადმოცემისას, პროგრამა კორექტულია, ცალკეული ხარვეზების მიუხედავად ზოგადად, ახალი მემარჯვენეების ეკონომიკური პროგრამა საკმაოდ თანმიმდევრულია, თუმცა არის რიგი წინააღმდეგობები. მაგალითად, წინააღმდეგობრივია იმის განცხადება, რომ ეკონომიკაში დიდია უმუშევრობის პრობლემა, უფრო მეტიც, იგი დროთა განმავლობაში მწვავდება, და ამავე დროს ეკონომიკის ის დარგები, რომლებიც მაღალეფექტური დასაქმებით გამოირჩევიან, წარმოდგენილნი არ არიან. ეს არ არის ლოგიკური, ვინაიდან, თუ დასაქმება ქვეყანაში არ იზრდება და არც ახალი დარგები იქმნება, მაშინ მხოლოდ დღეს მომუშავე დარგები უნდა უზრუნველყოფდნენ ეკონომიკის ზრდას უცვლელი დასაქმების პირობებში. აქედან გამომდინარე, სწორედ მუშახელის დღევანდელი დამსაქმებელი დარგები ყოფილან მაღალეფექტური.

წინააღმდეგობრივია მოსაზრება, რომ საქართველოში მაღალია ინფლაცია (განსაკუთრებით საიმპორტო პროდუქტიაზე) და ამავე დროს, ცენტრალური ბანკი ხელოვნურად ამყარებს ლარს. თუ ეროვნული ბანკი ლარს ამყარებს, მაშინ შეძენილი უცხოური საქონლის ფასი ლარში გაადაყვანით უნდა მცირდებოდეს, და არა იზრდებოდეს.

ასევე საკმაოდ ჩამოყალიბებულია პასაჟი იმის შესახებ, რომ საქართველო, როგორც „იმპორტზე ორიენტირებული ქვეყანა“ ყოველწლიურად მიგრაციის ხარჯზე შრომით რესურსს კარგავს. თუ საქართველოში უმუშევრობის პრობლემა ძალიან მწვავეა, მაშინ მიგრაცია სულაც არ ნიშნავს შრომითი რესურსის კარგვას. აუცილებელია ეს მოსაზრება სხვაგვარად ჩამოყალიბდეს, რათა აზრი ეკონომიკურად გაიმართოს. მთლიანად, ახალი მემარჯვენეების პროგრამის მაკროეკონომიკური სექცია თანმიმდევულობის თვალსაზრისით საკმაოდ გამართულია.

ეკონომიკური ლოგიკის თვალსაზრისით, ახალი მემარჯვენეების პროგრამის მაკროეკონომიკური სექცია საშუალოდაა გამართული. ნიშანდობლივია, რომ ეკონომიკური ლოგიკა მცირდება შედარებით უფრო მარტივი ეკონომიკური ფენომენების განხილვა-ანალიზიდან უფრო რთულის განხილვა-ანალიზზე გადასვლი სას. მაგალითისათვის, ნახსენებია, რომ ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკის იმუნიტეტი არ იზრდებოდა და ქვეყანა სულ უფრო მეტად ხდებოდა დამოკიდებული საერთაშორისო კონიუნქტურაზე. ეს ნეგატიურ კონტექსტშია განხილული და თანაც ისე, რომ თითქოს ამ მდგომარეობის შეცვლა მთავრობის პოლიტიკას აუცილებლად შეეძლო. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის, და ზოგადად, პატარა ღია ტიპის ეკონომიკა, როგორც საქართველოა აუცილებლად დამოკიდებული საერთაშორისო კონიუნქტურაზე.

გაუგებარია, რას ნიშნავს სამომხმარებლო ეკონომიკური პოლიტიკა ან რატომ უშლის იმპორტი აუცილებლად ხელს ექსპორტს. ნებისმიერ პატარა ზომის ქვეყანას შემოაქვს ძალიან დიდი სპექტრი იმპორტული პროდუქციისა და გააქვს ბევრად უფრო მცირე დასახალების პროდუქცია, რადგან ასეთია შრომის საერთაშორისო დანაწილების ლოგიკა. საქართველოდან ექსპორტის ზრდა არ არის აუცილებელი იმპორტის შეზღუდვას ეფუძნებოდა.

ასევე ახალი მემარჯვენეების პროგრამაში ნათქვამია, რომ მრეწველობის წილის შემცირება მშპ-ში, მიუხედავად მისი ნომინალური ზრდისა, იმის მაჩვენებელია, რომ დიდი სამრეწველო პოტენციალი გამოუყენებელია. ეს ძალიან თამამი განცხადებაა, ვინაიდან ძალიან რთულია ასე დანამდვილებით ცოდნა, რომ სამრეწველო პოტენციალი ბევრად დიდია. იქნებ, სულაც არ გაგვარჩნია უფრო მეტი პოტენციალი და ეკონომიკაში ოპტიმიზაციის პროცესი მიდის რესურსების სერვისულ სექტორში გადადინებით, რომელიც უფრო ეფექტიანია?

ეკონომიკურ ლოგიკას მოკლებულია მტკიცება, რომ საბანკო სექტორი ახდენს იმპორტული საქონლით ვაჭრობის სტიმულირებას და ამით ადგილობრივი მოთხოვნა უცხოური ბაზრების ხარჯზე ბალანსდება. ეს საკმაოდ გაუგებარი თეზაა და ეკონომიკურად გაუმართავ ტერმინოლოგიას იყენებს. ამას გარდა, არ არის მართებული მოხმარების სწრაფი ზრდის განხილვა უარყოფით კონტექსტში. ცხადია, უკეთესი იქნებოდა, ქვეყანას მეტი საკუთარი დანაზოგი რომ ჰქონდეს და უფრო მეტად იყოს ექსპორტზე ორიენტირებული, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ასე არ არის და ამას მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი განაპირობებს.

შთამბეჭდავია ახალი მემარჯვენეების ხედვა საბიუჯეტო პოლიტიკის გამჭვირვალობისა და მენარმეობის ხელშეწყობისა გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ქრილში. აქ კარგად ჩანს ლოგიკური კავშირები მიკროეკონომიკურ პრობლემებსა და მაკროეკონომიკურ მახასიათებლებს შორის. ეკონომიკურად ძალიან ლოგიკურია ასეთი სტრუქტურული ხედვა.

მთლიანობაში, ეკონომიკური ლოგიკის თვალსაზრისით, ახალი მემარჯვენეების საარჩევნო პროგრამის მაკროეკონომიკური ნაწილი სავსებით დამაკმაყოფილებელია.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი მემარჯვენეების მიერ შემოთავაზებული ბიუჯეტის პირდაპირპორციული პრინციპით აგება სავსებით შესაძლებელია. კატეგორიების მიხედვით ხარჯების ჯამური წილი მშპ-ში ახალი მემარჯვენეების მიერ შემოთავაზებულ ვარიანტში იმაზე ნაკლებია, ვიდრე დღესაა.

ასევე შესაძლებელია კონსერვატიული მიდგომით საბიუჯეტო დეფიციტის თანმიმდევრული შემცირება და სა-

გარეო ვალის ეფექტური მართვა. ზოგადი განცხადებების დონეზე აქ არაფერია ისეთი, რისი შესრულებაც ამა თუ იმ მთავრობას არ შეუძლია საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.

ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად შემოთავაზებული ღონისძიებები საკმარისად კონკრეტულია. მიგვაჩნია, რომ ბიზნესის საქმიანობაში მთავრობის ჩარევის შეზღუდვა, კონკურენციის დაცვა, საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწა და მისი აღსრულების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა სავსებით განხორციელებადია. სავსებით შესრულებადია მთავრობის მიერ მცირე ბიზნესის წამახალისებელი სხვა ღონისძიებების გატარებაც.

არარეალისტურად მიგვაჩნია მცირე ბიზნესის ხელშემწყობი ფონდის შექმნა და ეფექტური ფუნქციონირება. სამწუხაროდ, ასეთი ფონდების შექმნის საკმაოდ სავალალო ისტორია არსებობს საქართველოში. გარდა ამისა, არ ჩანს რომ ამ ფონდის სასესხო რესურსი საბანკოზე იაფი იქნება, რომელიც, სხვათა შორის, ბიზნესისთვის სასურველზე ნელი ტემპით, მაგრამ მაინც იაფდება. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, ასეთი ფონდის ადმინისტრირება საკმაოდ დიდ პირდაპირ და ასევე ალტერნატიულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ზოგადად, არ მიგვაჩნია სწორად სახელმწიფო ფინანსების თუნდაც მცირე ბიზნესის დაფინანსებაზე მიმართვა. ფონდის მმართველობის სტრუქტურაც საკმაოდ ბიუროკრატიულად გვეჩვენება, რაც გაართულებს მის საქმიანობას.

ზოგადად, შემოთავაზებული ღონისძიებები სავსებით განხორციელებადი სჩანს როგორც მოკლე, ისე საშუალო-ვადიან პერიოდში.

ახალი მემარჯვენეების საარჩევნო პროგრამის მაკროეკონომიკური ნაწილის შინაგანი ლოგიკა და აქცენტები გვაფიქრებინებს, რომ პარტიის მიდგომა ეკონომიკისადმი ამ სფეროსადმი მდებარეობს სოციალისტურ – დასავლეთევროპულ სოციალ-დემოკრატიულ სპექტრში.

პარტიას გაცნობიერებული აქვს ეკონომიკაში მთავრობის მინიმალური ჩარევის, გამჭვირვალე და ეფექტიანი პოლიტიკის აუცილებლობა. ამავე დროს, დოკუმენტის ზოგადი ტონი და ახალი მემარჯვენეების მიერ არაერთხელ დაფიქსირებული სურვილი სახელმწიფომ უფრო აქტიური როლი ითამაშოს ეკონომიკაში, გვაფიქრებინებს, რომ ეკონომიკური პროგრამის მიხედვით ძნელია პარტიის ლიბერტარიანულ სპექტრში განთავსება. იგი ალბათ უფრო ცენტრისტული ტიპისაა ცალკეულ საკითხებზე როგორც მემარცხენე-ცენტრისტული, ასევე მემარჯვენე-ცენტრისტული პოზიციით.

სოფლის მეურნეობა (EPRC)

ახალი მემარჯვენეების პროგრამა სოფლის მეურნეობის სფეროში საკმარისად კარგადაა სტრუქტურირებული, გამოკვეთილია ძირითადი პრობლემები და მოცემულია მათი მეტ-ნაკლებად სწორად დალაგებული იერარქია. ამასთანავე, აღსანიშნავია პროგრამის ავტორთა მისწრაფება რაც შეიძლება მეტად დაეყრდნონ ხელმისაწვდომ ფაქტობრივ, განსაკუთრებით კი ოფიციალური წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციას.

მაგალითად, საკმაოდ ზუსტადაა გადმოცემული საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული მიწის ფონდის განაწილების სტრუქტურა, სოფლად დასაქმებულთა რიცხოვნობის, წარმოების მასშტაბის, ექსპორტ-იმპორტისა და დასაქმების დინამიკა. პროგრამის ავტორები საკმარისად არგუმენტირებულად, ფრთხილად აღნიშნავენ, რომ ცალკეული ტიპის ინფორმაციის, მაგალითად სოფლად დასაქმების სტატისტიკის პირდაპირ, გაანალიზების გარეშე, გამოყენება არაკორექტულია. მისასაღმებელია საერთაშორისო წყაროების, მაგალითად მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობა.

ფაქტობრივი მდგომარეობის გადმოცემისას პროგრამაში არ შეინიშნება სიტუაციის ხელოვნურად დრამატიზების მცდელობა, მსჯელობის ტონი მოზომილი და საქმიანია. ამასთან, პროგრამაში დანახულია სიტუაციის მთელი სიმწვავე და სოფლის მეურნეობის სტაგნაციის უარყოფითი ზეგავლენა ქვეყნის განვითარების შეფერხებაზე, როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური კუთხით. მთავრობისა და პოლიტიკური სპექტრის კრიტიკა სოფლის მეურნეობის სექტორში ქმედითი პროგრამის არქონის გამო, სამართლიანია. სწორადაა დანახული რუსეთის ემბარგოს უარყოფითი შედეგებიც.

მიუხედავად ამისა, არის ცალკეული სადავო საკითხები ფაქტოლოგიური მასალის გადმოცემისას. მაგალითად, გაუგებარია, თუ რატომ მიიჩნევა, რომ ქვეყანაში მხოლოდ 600 ტრაქტორია, ხოლო სულ მცირე, 5000-ია საჭირო მდგომარეობის გამოსასწორებლად. ჩვენი აზრით, არასწორია აქცენტირება იმაზე, რომ საბჭოთა დროს სოფლის პროდუქტის წარმოება ბევრად მეტი იყო. ეს ფაქტია, თუმცა უკვე შეცვლილი წყობილების კონტექსტში ამ ფაქტის მოხმობა, სულ მცირე, არაკორექტულია. საქართველოს სოფლის მეურნეობა საბჭოთა კავშირშიც არ იყო წამყვანი და ძირითადად ცენტრიდან სუბსიდირებისა და სპეციფიკურ კულტურებზე (მაგ, ჩაი, ციტრუსი და ღვინო, რომლებიც გარანტირებული გასაღების ბაზრებით სარგებლობდნენ, უცხოური კონკურენციის გარეშე) აქცენტირებით გადიოდა ფონს.

თუ ფაქტოლოგიურ სიზუსტეზე ვისაუბრებთ, აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აფრიკული ცხელების გავრცელების ვადები პროგრამაში ერთგვარი დაგვიანებითაა გადმოცემული, – ეპიდემია ქვეყანაში 2006 და არა 2008 წელს დაიწყო. მნიშვნელოვნად სცილდება რეალობას პროგრამაში მოყვანილი მოცულობა სასოფლო კრედიტებისა, – მართალია მათი აბსოლუტური მოცულობა ძალზე მცირეა, მაგრამ არა ისე მცირე, როგორც დოკუმენტის ავტორებს მიაჩნიათ. საპროცენტო განაკვეთის ზომად მოყვანილი 30% არარეალისტურად მაღალია, ეს განაკვეთი ახასიათებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და არა მთელ საბანკო სექტორს, სადაც სასოფლო-სამეურნეო კრედიტებზე განაკვეთის ერთგვარი კლება შეინიშნება (თუმცა კვლავ ძალიან მაღალია და 13-18% შეადგენს საშუალოდ). მთლიანობაში, ფაქტოლოგიური მასალის გადმოცემისას, პროგრამა კორექტულია, ცალკეული ხარვეზების მიუხედავად.

ახალი მემარჯვენეების საპროგრამო დოკუმენტის შინაგანი ლოგიკა გამართულია. არ გვხვდება ურთიერთგამომრიცხავი წინადადებები, რასაც განაპირობებს პროგრამის ზოგადი საქმიანი ტონი და პრობლემები სადმი საკმაოდ კომპეტენტური მიდგომა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი საფუძვლიანად, ექსპერტული აზრის გათვალისწინებით მომზადდა. თუმცა აქ გვხვდება რამდენიმე საკითხი, რომელიც წინააღმდეგობრივად გვესახება:

პროგრამის დიდი ნაწილი უკავია საგადასახადო შეღავათებზე, როგორც სასოფლო წარმოების ერთ-ერთ უმთავრეს მასტიმულირებელ ფაქტორზე. შესაძლოა, საგადასახადო შეღავათები, სხვა პირობების თანაბრობისას მართლაც სერიოზული სტიმული აღმოჩნდეს წარმოების წახალისებისა. ამავე დროს, ამ აზრთან გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნის ის პასაჟი, რომ მცირე ზომის მინათმფლობელები განთავისუფლებულები არიან გადასახადებისგან და ამიტომ არა აქვთ სტიმული მიწა პროდუქტიულად გამოიყენონ. თუ ერთ შემთხვევაში (მაგალითად მოგებისა და სხვა გადასახადების შემცირებისას) წარმოების სტიმული იზრდება, რატომღა მცირდება იგი მიწის გადასახადის არსებობით? რას ეფუძნება ის მოსაზრება, რომ მიწაზე გადასახადის არარსებობისას გლესს წარმოების ნაკლები სტიმული აქვს, ვიდრე გადასახადის არსებობისას? ალბათ ავტორებს უნდოდათ ეთქვათ, რომ მიწის გადასახადი ძალიან სპეციფიკურია და მისი თავიდან არიდება შეუძლებელია, რაც მფლობელს მისი ოპტიმალური გამოყენებისკენ უბიძგებს. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მიწის ოპტიმალურად გამოყენების სტიმულს არა იმდენად გადასახადები, არამედ ფუნქციონირებადი მიწის ბაზარი განაპირობებს, რომელიც საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს.

პროგრამის ავტორები აღნიშნავენ, რომ ცალკეულ შემთხვევებში გლესებს პროდუქციის თვითღირებულებაზე იაფად გაყიდვა უხდებათ, მაშინ, როცა ქვეყნის საცალო ქსელი სავსეა უცხოური წარმოშობის საკონსერვო

პროდუქციით. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა, წარმოების სუბსიდირების (მაგალითად სანვავის, სასუქების, შხამქიმიკატების შემთხვევაში), განა უფრო მწვავედ არ დადგება ჭარბწარმოების პრობლემა? ვინ შეისყიდის ამ პროდუქციას უფრო მეტი რაოდენობით, თუკი დოკუმენტის ავტორების აზრის პერფორანით, ცალკეული შემთხვევებში გლეხებს პროდუქციის რეალიზება უჭირთ?

ზოგადად, პროგრამაში სწორადაა დანახული საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზები: კორექტულია წარმოების დაბალი მაჩვენებლებისა და ეფექტიანობის დაბალი დონის განმაპირობებელ ფაქტორებად ტექნოლოგიებისა და ცოდნის, ნედლეულის, კაპიტალისა და მარაგნაწილების ფარდობითი სიძვირის მოხმობა. ეკონომიკური ლოგიკა იკვეთება ამ წარმოდგენილი ფაქტორების უმრავლესობის აღმოსაფხვრელად შემოთავაზებულ ღონისძიებებშიც. პარტიის ხედვა ეკონომიკური და პოლიტიკური დისციპლინით გამოირჩევა იმ აზრით, რომ გაცნობიერებულია დონორ ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით კი ევროკავშირთან მუშაობისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა და ამის დადებითი მხარეები.

საინტერესოა ისიც, რომ პარტია სოფლის მეურნეობას ზოგადად სოფლის, როგორც ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მოწყობის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტად განიხილავს. ლოგიკურია სოფლის ცხოვრების მოწყობის ბმულობა ეროვნული იდენტობისა და ტრადიციების შენარჩუნების აუცილებლობის საკითხთან. სავსებით სწორია პოზიცია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი შემაფერხებელი ფაქტორი სოფლის მეურნეობის უკიდურესად დაბალი მწარმოებლურობაა. სავარაუდოდ, პროგრამის ავტორებს გაცნობიერებული აქვთ ის უდავო ემპირიული ფაქტი, რომ ცალკეული გამოწვევების გარდა, (სინგაპური, ჰონკონგი), სოფლის მეურნეობაში მწარმოებლურობის ამაღლების გარეშე მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევა ვერც ერთმა წამყვანმა ქვეყანამ შეძლო. სწორადაა დაყენებული კოოპერაციის საკითხი. ამასთანავე, პარტიის პროგრამაში არის სიფრთხილე იმასთან დაკავშირებით, რომ კოოპერაცია ჯერ კიდევ საბჭოთა გადმონაშთად მიიჩნევა. ასევე სწორია ტრენინგებზე, როგორც ტექნოლოგიის გადაცემის ეფექტიან მექანიზმზე და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, როგორც სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შემუშავებელი და გამტარებელი ორგანოს როლის გაძლიერებაზე აქცენტირება, მათ შორის ამ უკანასკნელის საბიუჯეტო დაფინანსების ზრდით.

სადაოა მწარმოებლურობის ამაღლებისათვის შემოთავაზებული ღონისძიებების ეფექტიანობა და ეკონომიკური ლოგიკა. ასევე ერთგვარად ნაკლოვანს ხდის დოკუმენტს ის ფაქტი, რომ არ არის გამოკვეთილი თუ როგორ და სად უნდა დასაქმდეს სოფლად არსებული ჭარბი მუშახელი. ეს სრულიად აუცილებელია სასოფლო პროდუქციაზე მოთხოვნის გასაზრდელად და მუშახელის სხვა სექტორებში (მაგ. მრეწველობა, სერვისი) გადადინებით ამ უკანასკნელთათვის განვითარების ბიძგის მისაცემად. ცალკეულ ღონისძიებებს, ჩვენი აზრით, აკლია ეკონომიკური დასაბუთება, თითქმის არაა საუბარი მიწის ბაზრის ჩამოყალიბებაზე, მიწის რესურსის კონსოლიდაციის აუცილებლობაზე, და სხვა. ამასთანავე, გამართლებულად მიგვაჩნია მიწის რესურსის ადგილობრივად განკარგვის მოსაზრება, როგორც ჩანასახი საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისა, თუმცა პროგრამაში ეს საკითხი ვრცლად გაშლილი არ არის.

ჩვენი აზრით, მეტისმეტად დიდი აქცენტი კეთდება გადასახადებიდან გათავისუფლებაზე, კერძოდ გარკვეული თანხების ჩამდებ პირებსა თუ ორგანიზაციებს შესაძლოა საერთოდ არ გადაახდევინონ გადასახადი 4 წლის მანძილზე. ზოგადად, ცალკეული დარგებისადმი სელექტიური მიდგომა სახელმწიფოს მხრიდან გამართლებული არაა იმ აზრით, რომ იგი არღვევს ზოგად მაკროეკონომიკურ წონასწორობას და უარყოფითად აისახება ეკონომიკაში რესურსების ფარდობითი ფასების შესახებ ეკონომიკური აგენტებისადმი სწორი ინფორმაციის მიწოდებაზე. გარდა ამისა, მოგებისა და სხვა გადასახადებისგან გათავისუფლება არც აუცილებელი და არც საკმარისი პირობაა განვითარებისათვის. ასეთი მოკლევადიანი ღონისძიებების ეფექტი პატარაა ღია ეკონომიკაში, როგორც საქართველო, შეზღუდულია. რადგან საქონლის საბოლოო ფასსა და კაპიტალის ღირებულებას აქ საერთაშორისო ბაზარი განსაზღვრავს და არა სამთავრობო პოლიტიკა ზოგადად. ეკონომიკური ლოგიკა გადასახადებისგან მასიური გათავისუფლებისა

ცალკეულ სექტორში ნაკლოვანია, რადგანაც იმ შემთხვევაში, თუ ამ შეღავათებმა მოკლევადიან პერიოდში შედეგი ვერ გამოიღო, მთავრობა შემდგომი საგადასახადო სტიმულის საშუალებასაც კარგავს და ბიუჯეტიც ზარალობს.

სუბსიდირების საკითხი, ჩვენი აზრით, საკმაოდ სადაოა. ეს თითქმის არსად აისახება წარმოების ეფექტიანობის ზრდაში. გარდა ამისა, სუბსიდირებას კიდევ აქვს გარკვეული ლოგიკა მაშინ, როცა სოფლის მოსახლეობა შედარებით მცირერიცხოვანია და საბიუჯეტო რესურსების გადანაწილება ადვილია. სუბსიდირებული სანვავის მარკირება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საბოლოოდ მას სწორედ ის მოიხმარს, ვინც სამიზნე ჯგუფად მოიაზრება. შესაძლოა ისე მოხდეს, რომ სანვავს ცალკეული ჯგუფები იაფად შეიძენენ შავ ბაზარზე გადაყიდვის მიზნით. ასევე, ძალიან რთული და ძვირია ამ პროცესის ადმინისტრირება. იგივე ეხება შხამ-ქიმიკატებისა და სასუქის სუბსიდირებას. ამას მოჰყვება ამ რესურსის ქარბი და არაეფექტიანი გამოყენება. დღეისათვის საქართველოში გლეხები ქარბად მოიხმარენ აზოტოვან სასუქს და არ ფლობენ ინფორმაციას იმაზე, რომ მინის ნაყოფიერების გასაზრდელად კომბინირებული სასუქების გამოყენების ოპტიმიზაციაა საჭირო. გარდა ამისა, სუბსიდირება გაუადვილებს საქმეს შედარებით უხარისხო პროდუქტის მწარმოებელსაც და ხელს შეუშლის ბაზარზე კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას. ასევე არ არის საჭირო უფასო კონსულტაციები, რადგანაც დღეს არსებულ ფერმერთა მომსახურების ცენტრებში შხამ-ქიმიკატებისა და სასუქის შეძენისას გლეხი ყიდვის მომენტში იღებს კონსულტაციას, რაც საქონლის ფასშია ასახული. კონსულტაციის ხარისხის ამაღლება ტრენინგების გზით კი, უდაოდ საჭიროა.

საკრედიტო რესურსის სუბსიდირებაც ძნელად დასასაბუთებელია იმ გარემოებების გამო, რომ ამ რესურსის ადმინისტრირება სახელმწიფოს კერძო სექტორზე მეტი დაუჯდება. ასევე არაა გარანტირებული, რომ ეს იაფი საკრედიტო რესურსი სასოფლო ბანკის შექმნის გზით აუცილებლად სოფლის მეურნეობას მოხმარდება, – რესურსი გადაინაცვლებს სხვა სექტორში, სადაც უკუგება უფრო მაღალია. გლეხსა და მწარმეს სოფლად უნდა შეექმნას იმგვარი გარემო, რომ მან სანყის ეტაპზე მაინც, საკუთარი დანაზოგი რესურსები ჩადოს წარმოებისა და აქტივების ნაყოფიერების ზრდაში.

არასწორად მიგვაჩნია ტექნიკის სუბსიდირების პრაქტიკაც. დღეს საქართველოში პრობლემაა ტექნიკის ოპტიმალური საათობრივი დატვირთვის მიღწევა. ეს იმ ფონზე, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი მინებისა დაუმუშავებელია. ამის მიზეზი ისაა, რომ ნაკვეთები ძალიან მცირეა, არ არსებობს მინის ბაზარი და მინა ხშირად მათ ხელშია, ვინც არც კი იცის თუ სად მდებარეობს მისი ნაკვეთი (მაგალითად ქალაქის მოსახლეობის ნაწილს, ვისაც მინა 1992 წლის რეფორმით ერგო). ტექნიკის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ლიზინგის ახალი ტიპის, წმინდა სალიზინგო კომპანიების შექმნის ნახალისება. სადღეისოდ ლიზინგს ქვეყანაში მხოლოდ ბანკებთან არსებული კომპანიები ეწევიან და მომხმარებლებს ფაქტობრივად საბანკო სესხით ტექნიკის შეძენას სთავაზობენ. ხელსაყრელი უნდა გახდეს მეორადი, იაფი ტექნიკის საბაზრო პირობებით კერძო პირების მიერ შემოყვანა და არა სუბსიდირებული ახალი, და თავისთავად ძვირი ტექნიკით ბაზრის გაჯერება.

არასწორადაა გაგებული სურსათის უვნებლობის საკითხი. იგი დოკუმენტში სურსათის ხარისხის კონტროლად და სასურსათო უსაფრთხოებად განიხილება. აქვე ნახსენებია, რომ სურსათის ხარისხზე კონტროლის შემოღება საქართველოში წარმოებული პროდუქციის გაყიდვის პერსპექტივას გაზრდის, რაც მართებული არაა, რადგან უხარისხო და საშიში პროდუქცია ჩვენშიც ბევრი ინარმოება. სამწუხაროდ, გააზრებული არაა მთავრობის მიერ არათანმიდევრულად გატარებული რეფორმა ამ დარგში, რაც ცალკეული საქონლის ფასზე უკვე უარყოფითად აისახა. ეკონომიკურად ლოგიკური იქნებოდა პროგრამაში საუბარი რომ იყოს როგორც ადგილობრივ, ისე უცხოური საქონლის თანაბარ პირობებში ჩაყენებაზე სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით. პროგრამა ეკონომიკური ლოგიკის თვალსაზრისით საკმარისად საშუალოა.

ახალი მემარჯვენეების ეკონომიკური პროგრამა, შესრულებადობის თვალსაზრისით, ჩვენის აზრით, ხარვეზიანია. რადგან მასში ნახსენებია ცალკეულ ღონისძიებებზე დასახარჯი რესურსები და წყაროები, თუმცა კონკრეტულად თითქმის არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა ფულად და ეკონომიკურ შედეგებს გამოი-

ლებენ ეს ნაბიჯები. გარდა ამისა, დოკუმენტში არ არის გაბედული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სოფლის მეურნეობაში სიტუაციის შემობრუნება ბევრად უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს და შედეგები სწრაფად არ გამოჩნდება არასასურველი საშინაო და საგარეო კონიუნქტურის გამო.

დოკუმენტში ნახსენებია ფაქტი, რომ სოფლად წარმოებული პროდუქტის ღირებულება ერთ მეურნეზე 1872 დოლარია. ამასთან ერთად, სოფლის მოსახლეობის დიდი ფარდობითი სიჭარბე გვაფიქრებინებს, რომ მისი დიდი ნაწილი სოციალურ დახმარებას საჭიროებს და არა მასშტაბურ სუბსიდირებას. სოციალურ დახმარებაში ვგულისხმობთ ჯანდაცვის, განათლებისა და ინფრასტრუქტურის იმგვარ მიზნობრივ დაფინანსებას (სხვა პირდაპირ შემწეობასთან ერთად), რაც არასასოფლო სამუშაო ადგილების წინამძღვრებს შექმნის. უფრო მეტიც, ახალი მემარჯვენეების სასოფლო-სამეურნეო პროგრამით შემოთავაზებულ ღონისძიებებს მოკლევადიან პერიოდში თანაზომადი დადებითი შედეგები რომ მოჰყვეს, სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის საქმიანობას ამ სექტორში საერთოდ დაეკარგება აზრი, თუკი ეკონომიკის სხვა სფეროები უფრო სწრაფად არ განვითარდა და ჭარბი მუშახელი იქ არ დასაქმდა.

დაზღვევას ზოგადად, და სოფლის მეურნეობის დაზღვევას კონკრეტულად აზრი მაშინ აქვს, როცა რისკები მცირეა. სამწუხაროდ, საქართველოში განვითარების ამ ეტაპზე დაზღვევაზე აქცენტირება არარეალისტურია, ამისათვის არც მატერიალური ბაზა არსებობს სოფლად და არც წარმოების მასშტაბებია სათანადოდ დიდი. იაფი დაზღვევის წინამძღვრები სოფლად ჯერ-ჯერობით არ არსებობს. მოსავლის დაზღვევის მაგივრად ამინდის დაზღვევაზე აქცენტი ზოგადად სწორია, მაგრამ ეს უკანასკნელი მოითხოვს ძალიან სერიოზულ ადმინისტრაციულ რესურსსა და დახვეწილ, ვრცელ ინფორმაციას ამინდთან დაკავშირებულ რისკებზე, რაც ასევე არ გაგვაჩნია.

ასევე არარეალისტურია ყველა სოფელში სანარმოს შექმნა, ამისთვის არც კაპიტალი არსებობს, და არც გადუღებელი საჭიროება. ასევე არარეალისტურია ამჟამად ქუთაისში ტრაქტორების წარმოების აღორძინება, მით უმეტეს, რომ არ ვიცით რა კაპიტალი და ადამიანური რესურსია ამისთვის საჭირო; რამდენს შეადგენს წარმოების მინიმალური მოცულობა, რაც სანარმოს ნულოვანი მოგების ზღვარზე გაიყვანს ან შეძლებს თუ არა იგი ტექნიკის უცხოურ ანალოგებზე იაფად წარმოებას.

ასევე არარეალისტურად მიგვაჩნია მსხვილმასშტაბიანი გადამამუშავებელი მრეწველობის გამართვა. მაგალითად, ვაშლის, როგორც ნედლეულის მიწოდება იმდენად მცირეა, რომ ქარხანა უბრალოდ ვერ შეძლებს უცხოურ ანალოგიურ პროდუქტთან კონკურირებას სანარმოო ბაზის მოცულობისა და ხარისხის გაზრდის გარეშე, რასაც სულ მცირე ათი წელი დასჭირდება. არარეალისტურად გვეჩვენება ვეტერინარული სამსახურის სწრაფად გამართვაც, თუ არ იქნება საქონლის აღრიცხვის სახელმწიფო სისტემა, და ზოგადად თუ კარდინალურად არ შეიცვალა პირუტყვის ჯიშობრივი მახასიათებლები. მოკლევადიან პერიოდში სისტემა გამართულად ვერ იფუნქციონირებს. არარეალისტურად ჟღერს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გეგმაც. ჩვენი აზრით, ამჟამად სადრენაჟო და საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციას ბევრად მეტი სახსრები სჭირდება, ვიდრე ეს „21-ე საუკუნის ძლიერ სოფელშია“ ნახსენები. გარდა ამისა, მინის რესურსების მეტ-ნაკლები კონსოლიდაციის ღონისძიებების გარეშე, ინფრასტრუქტურული პროექტები ნაკლებად ეფექტიანია. რეალისტურობის თვალსაზრისით პროგრამა საშუალოა.

ახალი მემარჯვენეების საარჩევნო პროგრამის სოფლის მეურნეობის ნაწილის შინაგანი ლოგიკა და აქცენტები გვაფიქრებინებს, რომ პარტიის მიდგომა ეკონომიკის ამ სფეროსადმი მდებარეობს სოციალისტურ – დასავლეთევროპულ სოციალ-დემოკრატიულ სპექტრში. ეს ერთგვარ კონტრასტს ქმნის პარტიის სახელწოდებასთან და მის დეკლარირებულ ორიენტაციასთან. სოფლის მეურნეობის სექციაში ბევრად მეტია საუბარი სუბსიდირებისა და დახმარებაზე, ვიდრე კონკურენციის წინამძღვრების შექმნაზე მინიმალური სახელმწიფო ჩარევით. პირიქით, სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა პრობლემურ სფეროში პროგრესის მიღწევის აუცილებელ პირობად მიჩნეულია სახელმწიფოს აქტიური ჩარევა, ამასთან მკაფიოდ არაა განერილი თუ როდის უნდა

დამთავრდეს ეს ჩარევა და როგორ მიიღწევა ქმედითი დიალოგი და პარტნიორობა კერძო სექტორთან სოფლის მეურნეობაში. იდეოლოგიური/პოლიტიკური კუთვნილების თვალსაზრისით ახალი მემარჯვენეების პროგრამის სოფლის მეურნეობის ნაწილი მემარცხენე სპექტრში ძვეს.

სოციალური უზრუნველყოფა (LAT)

პროგრამაში განსაზღვრულია საპენსიო სისტემისა და სოციალური დაცვის ამოცანები, დახასიათებულია პრობლემები და განსახორციელებელი ღონისძიებები. საპენსიო სისტემაში არსებული მდგომარეობა შეფასებულია ზოგადად და დეკლარირებულია მსჯელობა საპენსიო სისტემის სისტემური ტრანსფორმაციის შესახებ. არ არის გაანალიზებული ფაქტები და მდგომარეობა და მხოლოდ აღნიშნულია ის, რომ დღეს პენსიონერები და საპენსიო ასაკს მიღწეული ადამიანებს არ შეუძლიათ საკუთარი საპენსიო დანაზოგების გაკეთება, ამიტომ ეს სისტემა არაეფექტურია. ასეთი დახასიათება არაზუსტია, რადგან მიზეზები, რომლებიც განმარტავენ, თუ რატომ არ შეუძლიათ დასაქმებულ ადამიანებს დააგროვონ დანაზოგები საპენსიო ფონდში, განპირობებულია მრავალი ფაქტორით, მათ შორის მაკროეკონომიკური გარემოებებით, შრომის ბაზრის მდგომარეობით, სიღარიბით და სხვა; ამიტომ დასაქმებულთა მიერ დანაზოგების გაკეთების შეუძლებლობა მხოლოდ არსებული საპენსიო სისტემის მიზეზით არ არის გამოწვეული. მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო სოლიდარული სისტემა წარმატებით მუშაობს (მაგალითად, ავსტრიაში).

დღეს საფონდო ბირჟებთან დაკავშირებული რისკების, ფინანსური კრიზისებისა და ინფლაციის მოლოდინში მსოფლიოში სოციალურ უზრუნველყოფაში სახელმწიფოს როლზე საზოგადოების მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზარდა. საპენსიო სისტემის ეფექტურობა კი დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად შეუძლიათ კერძო და სახელმწიფო საპენსიო ფონდებს ხანდაზმულთა ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფა განურჩევლად იმისა, თუ რომელ საპენსიო პილარს დაეფუძნება სახელმწიფო პოლიტიკა. ამ თვალსაზრისით, მემარჯვენეების პოზიცია გულისხმობს სოლიდარულ სისტემასთან ერთად დაგროვებითი სისტემის პასუხისმგებლობის გაზრდას და მათი მოქმედების არეალის გაფართოებას. ეს მიმართულება პროგრამაში სათანადოდ არის არგუმენტირებული.

საკამათოა პროგრამაში დებულება, რომლის თანახმად, მინიმალური ფიქსირებული სახელმწიფო საპენსიო სტანდარტი უნდა გაუთანაბრდეს საარსებო მინიმუმს. ამ ღონისძიებას მრავალი პარტია შესთავაზებს ხოლმე მოსახლეობას წინასააჩვენო პერიოდში და შემდგომ, როდესაც სახელმწიფოს ბიუჯეტზე ფინანსური წნეხი იზრდება, ახდენენ მინიმალური საარსებო ოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგიის გადახედვას, ან კიდევ საპენსო ასაკის გაზრდას. არსებობს მეორე მიდგომა, რომლის თანახმად, მინიმალური სახელმწიფო პენსიის სტანდარტი უნდა იქნეს გაანგარიშებული ცხოვრების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების ოდენობის მიხედვით, რასაც ექსპერტები უფრო სამართლიანად მიჩნევენ, თუმცა საქართველო დღეს არ არის ამისათვის მზად. მემარჯვენეების პროგრამული პოზიცია პოლიტიკურად მომგებიანია წინასაარჩევნო პერიოდში, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული, თუ რატომ აირჩია პარტიამ ეს პლატფორმა. მისი შესრულება დაკავშირებულია საპენსიო უზრუნველყოფის მთელ რიგ მაკრო და მიკროეკონომიკურ გარემოებებთან და საფრთხეებთან (ბიუჯეტის დეფიციტი, შრომის ბაზარზე დასაქმების არასტაბილურობა, მზარდი ინფლაცია და სხვ). ფაქტობრივად პროგრამაში საპენსიო სისტემაში არსებული სიტუაცია, განსხვავებით ჯანდაცვის პროგრამისაგან, არ არის დეტალიზებული და იგი მხოლოდ პოლიტიკურ ორიენტაციებს მოიცავს.

სოციალურ დაცვაში არსებული მდგომარეობა ასევე შეფასებულია მხოლოდ ზოგადად და გარკვეული უზუსტობებით. პროგრამაში აღნიშნულია, რომ ეს სფერო გამოირჩევა უსამართლობით, ბიუროკრატიული ბარიერებით, გაუმჭვირვალობით, სარეიტინგო ქულების მინიჭებაში კრიტერიუმების არარსებობით და სხვ. ეს ფაქტორები პროგრამაში არ არის აღწერილი, მოკლებულია კონკრეტულობას და უტყუარობას. სოციალური დაცვის ბენეფიციარების მდგომარეობის ანალიზი და ფაქტების მოტანა მნიშვნელოვნად გაზრდიდა პროგრამის დამაჯერებლობას.

საპენსიო სისტემის პროგრამული საკითხები, არ არის ამომწურავად განსაზღვრული და მთელი რიგი კითხვები იბადება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტზე ზენოლა, ექნება თუ არა სახელმწიფოს გაზრდილი პენსიების დაფინანსების შესაძლებლობა, მოხდება თუ არა სახელმწიფო პენსიების ინდექსაცია ინფლაციასთან ერთად და სხვ. ამასთან, გაუგებარია თუ რატომ უნდა დაენიშნოს პენსია მათ, რომელთა ასაკიც აღემატება 40 წელს. (ალბათ უნდა იყოს 60 ან 65 წელი). შესაბამისად ბუნდოვანი განმარტებების გამო იბადება ეჭვი იმაზე, რომ მემარჯვენეები, ხელისუფლებაში მოსვლისას შეცვლიან საპენსიო ასაკს. პროგრამაში განხილული საკითხები ეფუძნება სამპილარიან სისტემას და იგი ნამდვილად არის ყურადღების ღირსი, რამდენადაც თითოეული პილარის დანერგვა პრაქტიკაში ემყარება საქმიან და რაციონალურ წინადადებებს.

სოციალური დახმარების პროგრამა, პარტიების სხვა პროგრამისაგან განსხვავებით, თვალისწინებს იძულებით გადაადგილებულ პირთა ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა და მათი ოჯახების სამართლებრივ და სოციალურ დაცვას. ამ მიზნით დახასიათებულია არსებული სახელმწიფო სტრატეგია და დღემდე განხორციელებული ღონისძიებების უარყოფითი შედეგები. კითხვები იბადება, თუ რატომ არის გამოტოვებული სოციალური დაცვის სხვა ბენეფიციარები და სოციალური ჯგუფები, რომლებიც დახმარებას ითხოვენ (უნარშეზღუდული ადამიანები, მრავალშვილიანი დედები და სხვ). შესაბამისად სოციალური დაცვის საკითხები ცალკეული სოციალური ჯგუფების მიმართ არასრულყოფილად ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი.

ახალი მემარჯვენეების პოლიტიკურ პლატფორმაში საპენსიო სისტემა წარმოდგენილია სამი პილარით: ფიქსირებული სახელმწიფო პენსია, რომელიც იქნება საარსებო მინიმუმის ექვივალენტი, სპეციალური პენსია სხვადასხვა კატეგორიის პირებისთვის (უნარშეზღუდულები და ვეტერანის სტატუსის მქონე პირები), რომელიც საარსებო მინიმუმზე 30%-ით მეტი უნდა იყოს და ინდივიდუალური საპენსიო დანაგროვი. სახელმწიფო პენსიის მიზმა საარსებო მინიმუმთან მოითხოვს დამატებით საბიუჯეტო სახსრებს, რომელიც პროგრამაში არ არის განსაზღვრული.

პოზიტიურია უნარშეზღუდულთა საპენსიო თანხის დიფერენცირება საბაზისო პენსიისაგან, თუმცა ცხადია, რომ მათი პენსიის საარსებო მინიმუმის ზემოთ 30%-ით განსაზღვრა კიდევ უფრო დაამძიმებს სახელმწიფო ბიუჯეტს. ამასთან გაურკვეველია, თუ რა გაანგარიშებას ემყარება 30 პროცენტიანი დანამატი, მაშინ როდესაც საპენსიო პროგრამა საერთოდ არ არის ფინანსურად დათვლილი. პროგრესულია ინდივიდუალური საპენსიო დაგროვების განხორციელებისთვის პროგრამით გათვალისწინებული საპენსიო დანაზოგების მიზმა საგადასახადო შემოსავლებთან, რაც დაგროვებითი საპენსიო სქემების დანერგვას შეუწყობს ხელს. ამან ასევე შეიძლება გააქტიუროს დანაზოგების გამოყენება სოციალური უზრუნველყოფისათვის, მაგრამ ეს სქემა, ისევე როგორც ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში, ვერ გახდება მასტიმულირებელი ახლად დაწყებული მცირე ბიზნესის საწარმოებისთვის და თვითდასაქმებულებისთვის. შეთავაზებული სადაზღვევო სქემა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის დასაქმებულებზე მოახდენს სტიმულირებას და იგი არ იქნება საყოველთაო.

სოციალური დახმარების სფეროში პროგრამა გულისხმობს ოჯახების ქონების შეფასების სისტემის შეცვლას, კერძოდ შემოსავლების ოდენობისათვის პრიორეტიტული როლის დაკისრებას და სოციალური დახმარების განსაზღვრას ძირითადად მის საარსებო მინიმუმთან თანაფარდობის მიხედვით. პოლიტიკურად ეფექტურია პროგრამაში სოციალური დახმარების გაცემისთვის ერთიანი სარეიტინგო ქულის შემოღება ქვეყნის მასშტაბით და მათი მინიჭების პრინციპი. ეს პრინციპი, როგორც აღინიშნა, ასახავს ოჯახის შემოსავლების თანაფარდობას საარსებო მინიმუმთან. თუ გავითვალისწინებთ სოციალური დახმარების საარსებო მინიმუმთან მიბმისას საბიუჯეტო სახსრების დღევანდელ მდგომარეობას, მისი განხორციელება მხოლოდ კეთილ სურვილად რჩება. სასურველი იყო პროგრამაში ეს ფინანსურად ყოფილიყო დასაბუთებული. ამასთან დაკავშირებით, სხვა კითხვებიც წარმოიშობება, კერძოდ, თუ რამდენად სამართლიანი იქნება სხვადასხვა რეგიონში ცხოვრების განსხვავებული ღირებულების გათვალისწინებლად ერთიანი სარეიტინგო ქულებით თანაბარი დახმარებების გაცემა. სხვა საკითხია განსხვავებული სოციალური ჯგუფებიდან მხოლოდ იძულებით გადაადგილებულ პირებზე და საქართვე-

ლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა და მათი ოჯახების სამართლებრივ და სოციალური დაცვაზე განსაკუთრებული აქცენტირება, რის შედეგადაც სხვა სოციალური ფენების ინტერესები რჩება უგულებელყოფილი.

იძულებით გადაადგილებულ პირების სოციალურ დაცვისათვის განსაზღვრული ღონისძიებები გამოირჩევა ერთგვარი რომანტიზმით. პროგრამით გათვალისწინებულია იძულებით გადაადგილებული პირების ჩასახლება საქართველოს სხვადასხვა რაიონში მათთვის საგანგებოდ გამოყოფილ ინდივიდუალურ სახლებში, სადაც შესაძლებელი იქნება შინამეურნეობისათვის დამახასიათებელი საქმიანობის წარმოება, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, დევნილთა დაბრუნება კონფლიქტურ ზონებში და სხვა. ეს ღონისძიებები მეტად მნიშვნელოვანია და აქტუალური, თუმცა არ არის განსაზღვრული ამ ღონისძიებების წარმართვის მასშტაბები და გადაადგილებულ პირთა ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფისათვის მატერიალური შესაძლებლობები. ცხადია, რომ იგი იმდენად დიდ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს, რომ მისი დაფინანსება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტით ვერ განხორციელდება. დღეს საცხოვრისით დაკმაყოფილებულია დევნილთა დაახლოებით მხოლოდ 30 პროცენტი. დარჩენილთა თუნდაც 50 ათასი ოჯახის მინიმალური საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილება და მათთვის მიწის გამოყოფა ემპირიული გათვლებით დაახლოებით 12 მლრდ ლარზე მეტს მოითხოვს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სახელმწიფო თუ კერძო დაფინანსების დღევანდელ შესაძლებლობებს. თან ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ დღეს ამ მიზნით საერთაშორისო დონორი ინსტიტუტების მიერ დახმარების ლიმიტი უკვე ამონურულია. ალბათ საჭირო იქნებოდა რეალისტური პროგრამის შეთავაზება. გამოსავალი კი ნამდვილად არსებობს. გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადაჭრა ნამდვილად მიზანშეწონილია, თუმცა პროგრამაში დასახული ღონისძიებები არ არის სრულყოფილი. იგივე არ შეიძლება ითქვას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა და მათი ოჯახების სამართლებრივ და სოციალურ დაცვაზე, რომელიც რეალისტური და განხორციელებადია. იგი ითვალისწინებს სახელმწიფოს ფინანსური და ინსტიტუციური მზრუნველობის გაძლიერებას კონკრეტული ღონისძიებების სახით. სხვა სოციალური ჯგუფების ინტერესები, რომლებიც ასევე სახელმწიფო დახმარებას მოითხოვენ, პროგრამულ დებულებებში არ არის ასახული.

სოციალური დაცვის კუთხით ახალი მემარჯვენეების პროგრამა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ რუქაზე ცენტრისტულ-მემარჯვენე სპექტრში ხედება. საბაზრო მექანიზმების შემოღება საპენსიო სისტემაში „მემარჯვენეობის“ პოზიციას მკვეთრად ამაგრებს, ხოლო სოციალური დაცვის სფეროში კი ცენტრისტულია „მემარცხენეობის“ ელემენტებით, რამდენადაც არ არის განსაზღვრული მენარმეთა სოციალური პასუხისმგებლობის სფერო და გულისხმობს მხოლოდ სახელმწიფოს პრიორეტიტული როლის განხორციელებას.

ჯანდაცვა (LAT)

ახალი მემარჯვენეების პროგრამაში საკმაოდ დეტალურად და თანმიმდევრულად არის წარმოჩენილი დღევანდელი ჯანდაცვის სფეროს სისტემა. არსებული სისტემის ანალიზის დროს განხილულია ამ სფეროში განხორციელებული რეფორმები და შეფასებები გამყარებულია ემპირიული მონაცემებით. პროგრამაში გაანალიზებულია ჯანდაცვის სისტემის თანამედროვე მდგომარეობა და აქცენტირებულია, უპირველეს ყოვლისა იმაზე, რომ ჯანდაცვაში მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობა არ არის საყოველთაო, რამდენადაც მოიცავს ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 25 პროცენტს და ძირითადად ღარიბ ფენას. ამასთან, აღნიშნულია, რომ დარგის ინვესტირება გამოირჩევა შეზღუდული რესურსებით. შედარებით უკეთესადაა განვითარებული ფარმაცევტული პროდუქციის მიწოდება, მაგრამ მოსახლეობის მედიკამენტებისადმი ხელმისაწვდომობა კი ძალიან შეზღუდულია მათზე მონოპოლური მიწოდებისა და ფარმაცევტული ბაზრის არასაკმარისი რეგულირების გამო.

პროგრამა აქცენტს აკეთებს საკადრო რესურსებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მოსახურების დაფინანსების დეფიციტზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც ღირებულს ხდის საარჩევნო პროგრამის მნიშვნელობას. პროგრამაში არ არის სრულყოფილად გაანალიზებული ის მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლის საფუძ-

ველზეც გაიზარდა მოსახლეობის გარკვეული ფენების (მაგალითად, პენსიონერების, ლატაკი ოჯახების და სხვ) ხელმისაწვდომობა პირველად სამედიცინო მომსახურებაზე. უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლო წლებში, ჯანდაცვის რეფორმების შედეგად, გადაიდგა რეალური ნაბიჯები ჯანდაცვის მომსახურების სადაზღვევო პრინციპებზე გადასვლის მიმართულებით, განხორციელდა საავადმყოფოების გადაიარაღება და რეკონსტრუქცია. ეს და სხვა საკითხები პროგრამაში ზედაპირულად არის წარმოდგენილი, რის შედეგადაც სისტემაში არსებული მდგომარეობის სუსტი და ძლიერი მხარეები არ არის კონკრეტულად გამოვლენილი.

წინააღმდეგობრივია და არაერთმნიშვნელოვანია ზოგიერთი დასკვნაც. პარტიული პროგრამა, რომელიც ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ზრუნვას სთავაზობს ამომრჩევლებს, უნდა მიანიშნებდეს იმაზე, თუ რომელი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული იგი. პროგრამაში ასახულია ის ინდიკატორები, რომელიც გაუარესდა 90-იან წლებში, თუმცა პროგრამა ვერც იმას უარყოფს, რომ შემდგომ წლებში ეს მაჩვენებლები არ გაუმჯობესდა. შედარება გაკეთებულია ევროპულ ქვეყნებთან, მაგრამ ერთადერთი მონაცემი, სადაც საქართველო შედარებულია ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან, წარმოდგენილია არასწორად. კერძოდ, ის, რომ საქართველოში ერთ წლამდე და 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის რეგისტრირებული მაჩვენებელი ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალია, არასწორია და მცდარია, რამდენადაც სხვა ქვეყნებს, მათ შორის შუა აზიის ქვეყნებს, ბევრჯერ უფრო უარესი მაჩვენებელია აქვთ საქართველოსთან შედარებით.

პროგრამაში ჯანდაცვის რაოდენობრივი მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი არასრულყოფილია და არ ავლენს დარგის განვითარების დინამიკას ბოლო წლებში. ასევე არასრულყოფილია დემოგრაფიული ანალიზიც. შობადობის დაბალი მაჩვენებელი მხოლოდ ახალგაზრდობის ემიგრაციასთან არის დაკავშირებული, მაშინ როდესაც სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით, შობადობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის ახალგაზრდობის საცხოვრისადმი ხელმისაწვდომობა, დასაქმება, განათლება და სხვ.

დეკლარირებულია ჯანდაცვის ინდიკატორებიც და მათი დახასიათება მხოლოდ ემპირიული ხასიათისაა. მაგალითად, პროგრამის მიხედვით, საქართველოში მედპერსონალის პროდუქტიულობა ერთ-ერთი ყველაზე დაბალია დსთ-ს ქვეყნებშიც. გაუგებარია თუ რას გულისხმობენ მედპერსონალის პროდუქტიულობაში და როგორ არის იგი გაზომილი. აღრეულია და გაუგებარია ეკონომიკური ცნებებიც (მაგალითად, „არახარჯთეფექტურობა“ ანდა „პროდუქტიულობის ეფექტურობა“) და სრულიად გაუგებარია მტკიცება, თითქოს მედპერსონალის დაბალი პროდუქტიულობის ეფექტურობის მაჩვენებლის შემცირება იწვევს მედპერსონალის ანაზღაურების დაბალ დონეს და მოტივაციის დაქვეითებას, რაც ცუდად აისახება ხარისხზე იბადება კითხვა, მედპერსონალს რომ ხელფასები გაეზარდოს, მაშინ გაიზრდება ჯანდაცვის მომსახურების ხარისხი და ხელმისაწვდომობა? და თუ ეს ასეა, როგორ აპირებს პარტია, თუ იგი მომავალი ხელისუფლებაში მოვა, კერძო სექტორში მედპერსონალის ხელფასების გაზრდას – დირექტივებით თუ საბაზრო მექანიზმებით? ფაქტობრივად, 2003-2011 წლებში ჯანდაცვის სექტორში ხელფასები თითქმის 6 ჯერ გაიზარდა (უფრო სწრაფად ვიდრე მშპ-ს ზრდის ტემპი), ამასთან, საკმაოდ გაიზარდა კვალიფიციური და არაკვალიფიციური მედპერსონალის ანაზღაურებას შორის სხვაობა. ამიტომ ამ სექტორში მხოლოდ საშუალო სტატისტიკური სიდიდით მსჯელობა შეცდომა იქნებოდა.

პროგრამაში აღნიშნულია, რომ საქართველოში გაიზარდა ინფექციური და სხვა ზოგიერთი დაავადებების რაოდენობა, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ პერიოდში გაიზარდა მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანდაცვისადმი და შესაბამისად, დაავადებათა რეგისტრაციაც გაუმჯობესდა. ამიტომ შედარებითი მაჩვენებლების ანალიზისას ჯანდაცვის გარემოს ყველა ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელი იყო პარტიული საარჩევნო პოლიტიკის სწორად დაგეგმის თვალსაზრისით.

პროგრამა სწორ აქცენტს აკეთებს ჯანდაცვის სისტემის ინფრასტრუქტურისა და მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის მაჩვენებლებზე, თუმცა უკომენტაროდ ტოვებს 100-ზე მეტი საავადმყოფოს მშენებლობის საკითხს. ეს პოლიტიკურად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დაკავშირებულია ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას-

თან და კითხვასთან, თუ რამდენად შეძლებს დაგეგმილი მცირე საავადმყოფოები სრულყოფილი მომსახურების განწევას და თავიანი მაღალი დანახარჯების ანაზღაურებას. მოსალოდნელია, რომ მცირე საავადმყოფოები ვერ გამოიყენებენ მასშტაბის ეფექტს და მოსახლეობის ვიზიტი საავადმყოფოებში საკმაოდ ძვირადღირებული გახდება, თუკი იგი სუბსიდირებული არ იქნა სახელმწიფოს მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სტაციონალურ მომსახურებაზე კიდევ უფრო ძვირი გახდება. მთლიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში მოცემულია მნიშვნელოვანი და აუცილებელი მონაცემები და ფაქტები, მათი სიზუსტე ყოველთვის არ არის დაცული.

პროგრამის ღირსებაა ჯანდაცვის პრობლემების და საკითხების ლოგიკური განხილვა. გაანალიზებულია ჯანდაცვის სისტემის მიმდინარე მდგომარეობა და მისი არსებითი მაჩვენებელი.

შედარებით ზოგადად არის შეფასებული არსებული რეფორმები და არ არის არგუმენტირებული მსჯელობა იმის შესახებ, რომ ხელისუფლების მიერ განხორციელდა ნაჩქარევი და არათანმიმდევრული ცვლილებები, არ მოხდა სუპერვიზიის რეგულაციის ადამიანისეული რესურსების დაგეგმა, შემუშავება და გავრცობა. კონკრეტული დახასიათების გარეშე ეს თეზისები მხოლოდ დეკლარირებული ხასიათისაა. პროგრამაში გაკრიტიკებულია კლინიკების ფლობა სადაზღვევო და ფარმაცევტული კომპანიების მიერ, რაც მონოპოლიების ჩამოყალიბების ერთ-ერთ პირობას შეადგენს. იგი ზრდის ფასებს და ზღუდავს სამედიცინო მომსახურების თავისუფალ არჩევანს. ამის აღმოსაფხვრელად პროგრამა გვთავაზობს სახელმწიფო რეგულაციების შეცვლას, მაგრამ რეგულირების საკითხი კი ბუნდოვანი რჩება და რეკომენდაციები მხოლოდ ზოგადი, არასისტემური და ფრაგმენტული ღონისძიებების სახით არის შემოფარგლული.

პროგრამაში არის ჯანდაცვის მომსახურების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასების ცდა, თუმცა ეს საკითხი შედარებით სუსტად და გაუგებრად არის მოცემული, რამდენადაც პროგრამული მსჯელობები არ ემყარება დარგის ეფექტიანობის შეფასების რომელიმე არსებულ მეთოდოლოგიას. ამ ნაწილში პროგრამული პრიორიტეტები აქცენტირებულია ადამიანისეული რესურსების დაგეგმვისა და რეგულირების ტექნიკურ საკითხებზე. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ფინანსური უზუნველყოფა დახასიათებულია დეტალურად, მაგრამ არ არის განსაზღვრული, თუ რამდენად დამამძიმებელი იქნება იგი სახელმწიფო ბიუჯეტისათვის. პროგრამაში მართალია, ზოგადად მოცემულია მნიშვნელოვანი ფინანსური პრიორიტეტები, თუმცა იგი მოითხოვდა კონკრეტულ განსაზღვრას.

სავსებით სწორი მიდგომაა სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამულ პრიორიტეტებად აღიარება და ძირითადად დარგის რეგულირებაზე აქცენტირება. მთლიანობაში პროგრამული საკითხების სტრუქტურა და პრობლემების დახასიათება გადმოცემულია კვალიფიციურად და შედარებით ამომწურავად, ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია აზრობრივად და შემუშავებულია მათი განხორციელების მექანიზმები, რაც პროგრამის საქმიან ღირსებაზე მეტყველებს.

პროგრამაში ჯანდაცვის დაფინანსება სამართლიანობის საკითხთან არის დაკავშირებული და მიჩნეულია, რომ კერძო დაფინანსების მაღალი წილი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უსამართლობას გამოხატავს, რადგან იგი რესურსების არაეფექტურ განაწილებასა და „არახარჯთეფექტურ გამოყენებაზე“ მიუთითებს. ამ მიდგომის პოლიტიკური ასპექტია ის, რომ ჯანდაცვის ძირითადი ტვირთი სახელმწიფომ უნდა იკისროს. ეს მიდგომა სრულიად განსხვავებული პოლიტიკური კურსია, ვიდრე ხელისუფლება ანხორციელებდა წინა წლებში. აქედან გამომდინარე და ზოგადად ჯანდაცვის სფეროში დანახული პრობლემების ფონზე, აქცენტები გაკეთებულია მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის არეალის გაფართოებაზე. პროგრამით გათვალისწინებულია სახელმწიფოს მიერ დაზღვეულთა რიცხვის შევსება 0-დან 16-წლამდე ბავშვების და 65 წელზე ზევით ხანდაზმულთა სამედიცინო დაზღვევით, რომლებზეც გავრცელდება არსებული უმწეოთა დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც დაემატება დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

დადებითად შეიძლება შეფასდეს სამედიცინო დაზღვევაში სახელმწიფოს მონაწილეობასთან ერთად მენარმეების თანამონაწილეობაც საგადასახადო სტიმულირების მეშვეობით, რომელიც ითვალისწინებს მენარმის მიერ გადახდილი სადაზღვევო თანხების ხარჯებში აღიარებას, ხოლო დაქირავებით დასაქმებულთა გადახდილი სადაზღვევო თანხების გამოქვითვას საშემოსავლო გადასახადიდან. ასეთ მიდგომა გარკვეულწილად შეამცირებს საბიუჯეტო შემოსავლებს, სამაგიეროდ სადაზღვევო ტვირთს გადააკისრებს მენარმეს და დასაქმებულს. ამ მსჯელობებში არის ლოგიკა და თანმიმდევრობა, იგი განხორციელებადია, თუმცა ამ სქემის მიღმა რჩება თვითდასაქმებულები, რომლებიც დასაქმებულთა აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს და ეს საგადასახადო სტიმულები ამ კატეგორიის დასაქმებულებში ნაკლებად ქმედითი იქნება, რადგან დღევანდელი მოცემულობით, თვითდასაქმებულებს დაბეგვრის განსხვავებული რეჟიმი ახასიათებთ. ასევე მართებულად მიგვაჩნია სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე კერძო სადაზღვევო კომპანიებისთვის ვალდებულების დაწესება იმისთვის, რომ მათ ყოველწლიურად შეინარჩუნონ საბაზისო სადაზღვევო პაკეტი კორპორატიული და ინდივიდუალური კლიენტებისთვის და დროულად მოხდეს მინოდებული მომსახურების ხარისხის მონიტორინგი.

პროგრამაში მხოლოდ პრიორიტეტულად არის დეკლარირებული სამედიცინო დაზღვევის გარეთ დარჩენილი მოსახლეობისთვის საგადასახადო შეღავათების და წახალისების მექანიზმებით საბაზისო სადაზღვევო პაკეტის შექმნის უზრუნველყოფა და არ ჩანს განხორციელების მექანიზმები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პარტიის პლატფორმა მცირე მენარმეობაზეა ორიენტირებული და მათ ექნებათ საგადასახადო შეღავათები (პირველ წელს – 0 %, ხოლო მე-2 და მე-3 წელს 50 პროცენტი), მცირე ბიზნესში დასაქმებულებიც ასევე აღნიშნული სადაზღვევო სქემის გარეთ დარჩებიან, რამდენადაც მათზე დაზღვევის მიზნით საგადასახადო შეღავათებს არ ექნება ზემოქმედების ეფექტი. მხოლოდ დეკლარირებული განცხადების დონეზე შეიძლება იქნას განხილული პროგრამით გათვალისწინებული სოციალურად საშიშ დაავადებათა პრევენცია და მკურნალობა, რადგან პროგრამაში არ ჩანს, თუ საიდან უნდა მოხდეს შესაბამისი საბიუჯეტო ხარჯების მოძიება. სახელმწიფოს პროგრამებით ასეთი დაავადებების მკურნალობა დაკავშირებულია სოლიდურ საბიუჯეტო სახსრებთან და საბიუჯეტო გათვლების გარეშე ეჭვქვეშ აყენებს მის განხორციელებას.

ახალი მემარჯვენეების ჯანდაცვის პროგრამა, საერთო ჯამში, საქმიანია და აქცენტს აკეთებს საბაზრო ეკონომიკის ელემენტების გაძლიერებაზე, რითაც პოლიტიკურ-იდეოლოგიურ რუქაზე მოიაზრება ზომიერად მემარჯვენე სპექტრში. თუმცა „მემარჯვენეობის“ იდეოლოგიურ პლატფორმასთან მიმართებაში წინააღმდეგობრივია სადაზღვევო სისტემაში სახელმწიფოს მონაწილეობის, მისი არეალის გაფართოების და ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო ინვესტიციების ზრდის პროგრამული მოთხოვნა, რადგან იგი „მემარცხენეობის“ იდეოლოგიურ მიზნებს უკავშირდება.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

განათლება (ISET-PI)

სახელმწიფოთა ეკონომიკურ განვითარებაში განათლების უმნიშვნელოვანესი როლი დღესდღეისობით ცალსახა ქვეყნების მსგავსად მიჩნეული. განათლებული საზოგადოება ქმნის ღირებულ პროდუქციას და გააჩნია იმის უნარი, რომ ადამიანის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებს ინოვაციური იდეების რეალიზაციით აკმაყოფილებდეს. ამგვარად, საზოგადოებაში განათლების ხარისხის გაუმჯობესება ზრდის ქვეყნის ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას, იქმნება სამუშაო ადგილები, იზრდება ხელფასები და ცხოვრების დონე. ეკონომისტებში განათლების სინონიმად დანერგულია ტერმინი „ადამიანური კაპიტალი“, რაც შემთხვევითი არ არის. განათლება მართლაც რომ კაპიტალია იმ გაგებით, რომ იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოების პროცესში, რომელიც ხდის ამ პროცესს უფრო ეფექტურს ანუ შესაძლებელი ხდება უფრო მეტი და უფრო მაღალხარისხის პროდუქციის წარმოება ნაკლები შრომისა და ფიზიკური კაპიტალის გამოყენებით. პრობლემა ის არის, რომ განათლებული და მაღალი კვალიფიკაციით აღჭურვილი საზოგადოების ჩამოყალიბება მოითხოვს გრძელვადიან პერიოდს. მაგალითად, საშუალო სკოლაში სწავლის დონის გაუმჯობესება რეალურ ეკონომიკაზე აისახება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაამთავრებენ სკოლას, მიიღებენ უმაღლეს განათლებას და გავლენ სამუშაო ბაზარზე. ასე რომ, განათლების სფეროში გატარებული ნებისმიერი რეფორმა უნდა იყოს დეტალურად გათვლილი და უნდა ხდებოდეს მისი გრძელვადიანი შედეგების რაც შეიძლება აკურატულად პროგნოზირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, უსარგებლო რეფორმის დანერგვის შემთხვევაში, საზოგადოება კარგავს წლებს და ხდება წარუმატებელი ექსპერიმენტის მსხვერპლი.

სამწუხაროდ, არ შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა დიდი ნაწილი სერიოზულად უდგება განათლების საკითხს. პარტიათა წინასაარჩევნო პროგრამებში განათლებას უმნიშვნელო როლი ენიჭება. ძირითადი აქცენტი კეთდება სოციალურ საკითხებზე როგორცაა, ჯანდაცვა, უმუშევრობა და ჯანმრთელობის დაზღვევა. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი პოლიტიკური სპექტრი აღიარებს განათლების უპირატეს მნიშვნელობას ქვეყნის გრძელვადიანი კეთილდღეობისათვის, ისინი ასევე აცნობიერებენ, რომ განათლების თემა ნაკლებად გაყიდვადია ამომრჩევლის ხმის მოსაგებად, მოკლევადიან პერიოდში.

განათლების სფეროში შედარებით ამომწურავი და დეტალურად გათვლილი გეგმა, რომელიც მოიცავს სისტემის მრავალმხრივ დახვეწას, გააჩნია ნაციონალურ მოძრაობას. მათი გეგმა ითვალისწინებს 2004 წელს დაწყებული რეფორმების გაგრძელებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება სტუდენტთა დასაქმებას და მოსახლეობის პროფესიული გადამზადების პროგრამების განვითარებას. ასევე, პრიორიტეტული გახდება ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ბიუჯეტიდან განათლების სფეროზე განეული დანახარჯების წილი გაიზრდება. ვაუჩერული დაფინანსების სისტემა დაიხვეწება და პროფესიული განათლების კოლეჯებიც გადავლენ ვაუჩერულ სისტემაზე. 2013 წლიდან გაუქმდება ერთიანი ეროვნული გამოცდები და სტუდენტები უმაღლესში მხოლოდ სკოლის გამოცდების საფუძველზე ჩააბარებენ.

ქვეყნის მასშტაბით გაიხსნება 15 პროფესიული გადამზადების ცენტრი, რომლებიც მოქალაქეებს გადაამზადებენ ინგლისურში, კომპიუტერულ უნარებში და პროფესიულ ორიენტაციაში. ცენტრების მიზანია კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და შრომით ბაზარზე მათი დასაქმება.

ცენტრების წარმატების დონე პირდაპირ დაკავშირებული იქნება შრომის ბაზარზე შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მუშაკებზე მოთხოვნის დონესთან. ამგვარი პოლიტიკა გაზრდის კვალიფიციური სამუშაო ძალის მიწოდებას, მაგრამ არანაირი გავლენა არ ექნება მუშახელზე მოთხოვნის ზრდაზე. სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ცვლილება განპირობებულია ეკონომიკის ზრდის დონით, მომხმარებელთა გემოვნების ცვლილებით, ფასებით

და სხვა საბაზრო ფაქტორებით. მოთხოვნის უცვლელი პირობებში კვალიფიკაცია-ამაღლებული მუშახელის მიწოდების ზრდა გაზრდის დასაქმების დონეს (რადგან ბაზარზე არსებობს ასათვისებელი სამუშაო ადგილები, რომელიც ვერ კმაყოფილება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მუშახელის მიწოდებით), მაგრამ გაზრდილი კონკურენცია მიწოდების მხრიდან გამოიწვევს ხელფასების შემცირებას. ამგვარად, დასაქმების დონის გაზრდისა და ხელფასების დონის შენარჩუნებისათვის (გაზრდისათვის) აუცილებელი წინაპირობა იქნება, რომ მიწოდების ზრდასთან ერთად გაიზარდოს მოთხოვნაც კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პრიორიტეტად დასახვა პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ამაღლებასთან. სკოლებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაძლიერებული სწავლება და 900-მდე ახალი ლაბორატორიის დაარსება მოსწავლეებს მისცემს იმის სტიმულს, რომ გადაერთონ ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე. იმდენად, რამდენადაც ბოლო წლების განმავლობაში ჰუმანიტარული ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა რაოდენობამ მიაღწია იმ დონეს, რომელიც ბევრად სცილდება საბაზრო მოთხოვნებს, ბაზარზე პროფესიათა ბალანსის არაეფექტური დონე ხელს უშლის რესურსების ოპტიმალურად გადანაწილებას და აფერხებს ეკონომიკურ ზრდას. ამგვარი პოლიტიკა, გრძელვადიან პერსპექტივაში, ხელს შეუწყობს ბალანსის აღდგენას და რესურსების უფრო ეფექტურად გადანაწილებას.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით 2012 წელს განათლებაზე დაიხარჯება ბიუჯეტის 9%-მდე რაც 621 მილიონი ლარია. 2011 წლის იგივე მონაცემთან შედარებით (552.5 მლნ. ლარი) ეს წარმოადგენს 12.5%-იან ზრდას.

ბიუჯეტის ამგვარი გადანაწილება შესაბამისობაშია ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო დაპირებასთან, რომლის მიხედვითაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში სახელმწიფო განათლებაზე დახარჯავს 4 მილიარდ ლარს. თუ დავუშვებთ რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მშპ-ს მოსალოდნელი წლიური ზრდის ტემპი იქნება ბოლო ათი წლის წლიური ზრდის ტემპის საშუალო, 6%, მაშინ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში სახელმწიფოს მოუწევს:

1. ბიუჯეტში წლიური შემოსავლების 6%-ზე მეტად გაზრდა იმისათვის, რომ შეასრულოს განათლებაზე 4 მილიარდიანი ხარჯვის გეგმა, რაც სავარაუდოდ გამოიწვევს გადასახადების გაზრდას ან,
2. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს არ სურს გადასახადების გაზრდა, მაშინ ამგვარი პოლიტიკა გამოიწვევს ბიუჯეტის დეფიციტს ან/და საბიუჯეტო დანახარჯების შემცირებას სხვა სფეროებზე.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი თვითოეული სცენარის პირობებში, განათლებაზე ხარჯვის ზრდა არ იქნება ცალსახად დადებითი შედეგების მომტანი პოლიტიკა.

ვაუჩერული დაფინანსების სისტემის სასარგებლოდ მისი პროპონენტების მთავარი არგუმენტია, რომ მოსწავლე/სტუდენტს ეძლევა შანსი თვითონ აირჩიოს სასურველი სასწავლო დაწესებულება და ასევე სასწავლო დაწესებულებას უჩნდება ინცენტურები, რომ გააუმჯობესოს სწავლების ხარისხი და გახდეს თვითგანვითარებაზე ორიენტირებული. კონკურენციის პირობების ჩამოყალიბებისთანავე სასწავლო დაწესებულებები ერთმანეთთან თამაშში, რომელიც ექვემდებარება წმინდა თავისუფალ საბაზრო პრინციპებსა და წესებს. მეორეს მხრივ, სისტემა ვაუჩერით ყველა მოსწავლეს უზრუნველყოფს მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა, რაც იწვევს საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურ გადანაწილებას. მაგალითად, შეძლებული მშობლები, რომლებსაც შვილები მიყავთ კერძო სკოლებში, ვაუჩერს იყენებენ კერძო სკოლაში სწავლების გადასახადის ნაწილობრივ დასაფარად. თანხა, რომელიც საჯარო სკოლების სასარგებლოდ შეიძლება გამოყენებულიყო მიდის კერძო სკოლებში, რაც ქმნის საჯარო სკოლებისათვის დაფინანსების ნაკლებობის საფრთხეს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გაუქმება სახელმწიფოს საშუალებას მისცემს დაზოგოს საბიუჯეტო სახსრები განათლებაზე და დაზოგილი სახსრები გადანაწილოს სხვა სფეროებზე. რამდენად ოპტიმალური იქნება ამგვა-

რი გადანაწილება? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მოხდეს სოციალური დანახარჯებისა და სარგებლის დეტალური ანალიზი; უნდა შეფასდეს ამგვარი პოლიტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად, ერთ-ერთი დადებითი მხარე იქნება ის, რომ სტუდენტებისათვის გამარტივდება უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის პროცედურები, ხოლო უარყოფითი მხარე იქნება ის, რომ სტუდენტები აღარ მოემზადებიან ლოგიკაში, რაც ნეგატიურად იმოქმედებს უმაღლეს სასწავლებლებში ახლად ჩარიცხულ სტუდენტთა ათვისებისა და სასწავლო პროგრამის გაგების უნარზე. უცხო ენის, ქართულისა და მათემატიკის გამოცდებს აბიტურიენტები კვლავინდებურად ჩააბარებენ სკოლის დამთავრებისას, ხოლო ლოგიკა, რომელიც არ შედის სახელმწიფო სასკოლო პროგრამაში, აღარ იქნება აბიტურიენტებისათვის პრიორიტეტული. რადგანაც ლოგიკური აზროვნების განვითარება და მისი ფორმალურად შესწავლა არის აუცილებელი წინაპირობა ნებისმიერი მეცნიერების ასათვისებლად, უნდა მოხდეს ლოგიკის საგნის დამატება მეთორმეტე კლასის სასკოლო პროგრამაში. კიდევ ერთი უარყოფითი შედეგი, რაც შესაძლოა მოყვეს ერთიანი ეროვნული გამოცდების გაუქმებას, არის ის, რომ მასწავლებლებს, რომლებიც ადრე აბიტურიენტებს ამზადებდნენ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის და ამით გამოიმუშავებდნენ შემოსავლის დიდ წილს, აღარ ექნებათ ამგვარი შესაძლებლობა. თუმცა, შესაძლოა ეს პრობლემა ავტომატურად მოგვარდეს, რადგანაც გაჩნდება მოთხოვნა კერძო რეპეტიტორებზე სასკოლო გამოცდების ჩასაბარებლად და რაც უფრო მნიშვნელოვანია - გარდა მათემატიკის, უცხო ენის, ლოგიკისა და ქართულის რეპეტიტორებისა, მოთხოვნა გაჩნდება დანარჩენი საგნების რეპეტიტორებზეც.

დასაქმება (ISET-PI)

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიის ოფიციალური წინაასარჩევნო საპროგრამო დოკუმენტს წარმოადგენს „ხელშეკრულება საქართველოსთან“, რომლის მიხედვითაც მმართველი პარტია მომავალი 4 წლის განმავლობაში უმუშევრობის განახევრების დაპირებას იძლევა. დოკუმენტის მიხედვით ამ მიზნის მისაღწევად აქტიურად ამუშავდება დასაქმების სამინისტრო, რომელიც მთავრობის ახალი პროგრამის ფარგლებში 2012 წლის ივლისში შეიქმნა.

ახალი სამინისტროს მთავარ მიზანს წარმოადგენს უმუშევარი მოქალაქეების აღრიცხვა და პროფესიების ბაზის შექმნა. ამასთან, დასაქმების გაზრდის მიზნით სამინისტრო აღწერს არსებულ ვაკანსიებს და უზრუნველყოფს ყველა სამსახურის მაძიებლის პროფესიული გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას. იმის გათვალისწინებით რომ საქართველოში უმუშევრობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას სტრუქტურული უმუშევრობა წარმოადგენს – რაც ნიშნავს, რომ სამუშაოს მაძიებელთა უნარ-ჩვევები არ შეესაბამება დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილ უნარებს და კვალიფიკაციას – მსგავსი ტიპის ღონისძიებებმა უმუშევრობა შეიძლება შეამციროს. ვაკანსიების სრული აღწერა საშუალებას მისცემს ახალ სამინისტროს განსაზღვროს, თუ რა ტიპის უნარ-ჩვევებზეა მოთხოვნა დამსაქმებელი სექტორის მხრიდან. შედეგად, უმუშევართა მოთხოვნის შესაბამისად გადამზადების შემთხვევაში მათი დასაქმების შანსები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

მეორეს მხრივ, სავარაუდოა, რომ ამ ტიპის ღონისძიებები უმუშევრობას მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში შეამცირებს და გრძელვადიან პერიოდში ეფექტი ძალიან უმნიშვნელო იქნება. ამის მთავარი მიზეზი არაადეკვატური უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდებია, რომელთა უდიდესი ნაწილიც ყოველწლიურად უერთდება უმუშევართა რიცხვს. გლობალური კონკურენტუნარიანობის 2011-2012 ანგარიშის მიხედვით, საქართველოში ბიზნესის კეთების უმთავრეს დამაბრკოლებელ ფაქტორს არაადეკვატური განათლების მქონე სამუშაო ძალა წარმოადგენს. ამასთან, უმუშევრობის ანალიზი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გვიჩვენებს, რომ უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია (36%) 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში. შესაბამისად, გრძელვადიან პერიოდში უმუშევრობის შემცირება მხოლოდ დასაქმების სამინისტროს შექმნით ნაკლებად სავარაუდოა.

საინტერესოა ასევე რამდენად ეკონომიკურად მიზანშეწონილია დასაქმების სამინისტროს შექმნა, რომელიც საკმაოდ დიდ საბიუჯეტო ხარჯებთან არის დაკავშირებული (დასაქმების სამინისტრო ბიუჯეტიდან 950 ათას

ლარს მიიღებს 2012 წლის დარჩენილი 6 თვეში). ამის შესაფასებლად საჭიროა პროგრამის სავარაუდო სარგებლისა და დანახარჯების შედარება. ბოლო 6 წლის განმავლობაში, დაწყებული 2006 წლიდან, სულ 4 დასაქმების პროგრამა განხორციელდა, რომელთა დაწყების დრო ყოველთვის წინასაარჩევნო პერიოდს ემთხვეოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ პროგრამებმა თავისი მიზანი ვერ შეასრულეს და საბოლოოდ მათი ეკონომიკური მიზანშეწონილობაც არ დადასტურდა: 2006 წელს უმუშევრობის დონე საქართველოში 13.6%-ს შეადგენდა, მომდევნო 5 წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდევ და 2011 წელს 15.1%-ს მიაღწია. ასეთი გამოცდილების ფონზე სრულიად სამართლიანია იმის ვარაუდი, რომ მიმდინარე დასაქმების პროგრამაც მთავრობის წინასაარჩევნო პოპულისტური კამპანიის ნაწილია და იგი რეალურ დადებით შედეგებამდე ვერ მიგვიყვანს.

თავიანთი დაპირებების საზოგადოებისათვის მიწოდების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად ნაციონალური მოძრაობა პარტიის ოფიციალური ვებ-გვერდს იყენებს, სადაც განთავსებულია დაპირებების ბროშურა და პრემიერ მინისტრის განცხადება მომავალი 4 წლის განმავლობაში განსახორციელებელ ღონისძიებებისა და მათი მოსალოდნელ შედეგების შესახებ. მომავალი 4 წლის განმავლობაში მთავრობა ვარაუდობს სულ მცირე 4 მლრდ. უცხოური ინვესტიციის მოზიდვას, რაც მათი გათვლებით 80 000 ახალ სამუშაო ადგილს შექმნის. ამასთან, ტურიზმის სექტორში დასაქმდება 140000 ადამიანი, დაიგება 5000 კილომეტრი გზა, რომელიც 40 000 ადამიანს სტაბილურად დაასაქმებს. ასევე მთავრობა გეგმავს 4 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელებას ენერჯეტიკის სექტორში, რაც მათი გათვლებით დამატებით 13000 ადამიანს დაასაქმებს.

4 მლრდ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოზიდვა მომავალი 4 წლის განმავლობაში საკმაოდ რეალისტური ვარაუდია იმის გათვალისწინებით, რომ 2006 წლიდან მოყოლებული, გლობალური ფინანსური კრიზისის წლების გარდა-ქვეყანაში წლიურად 1 მილიარდზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოდიოდა. 2011 წელს ქვეყანაში 1.11 მლრდ უცხოური ინვესტიცია შემოვიდა და მსგავსი ტრენდის შენარჩუნება შემდგომ წლებშიც საკმაოდ რეალისტური ვარაუდია იმ პირობით, რომ მსოფლიო ეკონომიკა კვლავ სერიოზულ რეცესიაში არ აღმოჩნდება. თუმცა, რთულია მსჯელობა იმის შესახებ, რამდენად რეალისტურია დაპირება რომ ამ ინვესტიციებით 80 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

ერთი რამ ფაქტია, ნაციონალური პარტია არ საუბრობს თუ რა ტიპის გათვლები და ეკონომიკური დასაბუთება უდევს საფუძვლად ამ კონკრეტულ რიცხვს. ასევე რთულია, შეფასდეს სხვა დაპირებების რეალისტრობაც, როგორცაა მაგალითად 140000 ადამიანის დასაქმება ტურიზმის სექტორში, 13000 ადამიანის ენერჯეტიკის სექტორში. მთავარი კრიტიკა შეეხება მომავალი 4 წლის განმავლობაში გზის მშენებლობაზე 40000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნას, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა სტაბილურ დასაქმებას უწოდებს. ადგილი მისახვედრია, რომ მსგავსი ტიპის სამუშაო ადგილები არა თუ სტაბილურ, არამედ, პირიქით, ყველაზე არასტაბილურ დასაქმებას ქმნის და პრობლემის მხოლოდ მოკლევადიან გადაჭრას თუ უზრუნველყოფს, რადგანაც ის ადამიანები ვინც გზების მშენებლობაზე დასაქმდებიან ისევ უმუშევართა რიგებს შეუერთდებიან მშენებლობის დასრულების შემდეგ.

აღსანიშნავია ასევე პრემიერ მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადებებსა და დაპირებების ბროშურაში მოცემულ ინფორმაციას შორის არსებული შეუსაბამობა. პრემიერ მინისტრის განცხადების მიხედვით მომავალი 4 წლის განმავლობაში დაგეგმილი 4 მილიარდის ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით მინიმუმ 50000 სამუშაო ადგილი შეიქმნება, მაშინ როდესაც დაპირების ბროშურის მიხედვით იგივე რიცხვი 80000-ია. მსგავსი შეუსაბამობები აჩენს ეჭვს, რომ ზემოთმოყვანილი რიცხვები არ ემყარება ეკონომიკურ განსჯას და დასაბუთებას და მხოლოდ წინასაარჩევნო პოპულიზმის ნაწილია.

მაკროეკონომიკური საკითხები (EPRC)

ერთიან ნაციონალურ მოძრაობას წარმოდგენილი აქვს საარჩევნო პროგრამა „მეტი სარგებელი ხალხს.“ ფაქტობრივად არსებული სიტუაციაა გაანალიზებული თითქმის არ არის. ნახსენებია, რომ საქართველოს მთავრობამ საზოგადოების მხარდაჭერით დაამარცხა კორუფციული სისტემა და კრიმინალური სამყარო. ამ მიმართულებებით საქართველომ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია, მაგრამ კორუფციისა და კრიმინალის დამარცხების დეკლარირება გადაჭარბებულია, რადგან კრიმინალთან და კორუფციასთან ბრძოლა მუდმივი პროცესია. მართებულია მტკიცება, რომ საგადასახადო სისტემის რეფორმირებითა და ბიუროკრატიული წნეხის შერბილების მეშვეობით ქვეყანამ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას მიაღწია.

სამწუხაროდ, მმართველ პარტიას, ჩვენი აზრით, პროგრამა, როგორც ასეთი წარმოდგენილი არა აქვს. „მეტი სარგებელი ხალხს“ სურვილების დეკლარაციაა და უფრო პლატფორმა ან მოქმედების ერთგვარი სქემაა, ვიდრე პროგრამა.

აქ არაფერია ნათქვამი დღევანდელი ეკონომიკური ვითარების სიღრმისეულ მიზეზებზე, თუმცა იქმნება შთაბეჭდილება, რომ მმართველ პარტიას გაცნობიერებული აქვს სიტუაციის სიმძიმე სოციალური და დასაქმების მიმართულებებით. ზოგადად, არსებული სიტუაციის აღწერილობითი ნაწილი მწირია. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ აქ მოყვანილი მხოლოდ რამდენიმე ფაქტი რეალობისგან შორს არ არის, დოკუმენტის ამ ნაწილის შეფასება როგორც ფაქტობრივად კორექტულისა, ძალიან რთულია.

„მეტი სარგებელი ხალხს“ შინაგანი თანმიმდევრულობის თვალსაზრისით, ამ დოკუმენტის ძალზე კომპაქტური ზომისა და დანიშნულების (იგი უფრო სურვილების დეკლარაციაა და არა პროგრამა), ვერ ხერხდება.

ეკონომიკური ლოგიკა წარმოდგენილი პროგრამის ერთ-ერთი სუსტი წერტილია. სრულიად გაუგებარია, რატომაა შეპირისპირებული დასაქმების კონკრეტული რიცხვები ცალკეული მაკროეკონომიკური პარამეტრების ზრდას თუ მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს. ანალოგიური ღონისძიებები ადრეც ტარდებოდა, მაგრამ რატომ არ არის წარმოდგენილი მათი შედეგები შექმნილი სამუშაო ადგილების კუთხით, გაუგებარია. გაუგებარია, რას ნიშნავს რომ ყველა მსურველი მიიღებს უფასო გადამზადების ვაუჩერს. ეს ლოგიკას აშკარად მოკლებულია, ვინაიდან ყველაში შედის როგორც ყველა დასაქმებული, ისე ყველა დაუსაქმებელი, ხოლო შესასწავლი პროფესიების რიცხვი საკმაოდ დიდია. საიდან ვიცით რა პროფესიები გვჭირდება, რა რაოდენობით და როდის? რა საშუალებით გადაიხდის ამას სახელმწიფო ბიუჯეტი? დასაქმების პრობლემას დასაქმების სახელმწიფო მინისტრი ვერ გადაჭრის, საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო ადმინისტრაციული რესურსით სამუშაო ადგილების შექმნის მცდელობა, უბრალოდ არასწორია.

1000 ლარიანი ოთხწლიანი ვაუჩერი საშუალო სამსულიან ოჯახზე თვეში სულზე სულ რაღაც 7-8 ლარს ნიშნავს. ცხადია, ამ ფულად რაიმე კომუნალური პრობლემის მოგვარება შეუძლებელია. ზოგადად, პროგრამაში ეკონომიკური ლოგიკა და გათვლა ძალიან მწირადაა წარმოდგენილი.

თუ პროგრამას რეალისტურობის თვალსაზრისით გადავხედავთ, აქ შეუსრულებელი თითქმის არაფერია. თუ ჩამოთვლილ ხარჯებს თითო წელიწადზე გადავიანგარიშებთ (ანუ გავყოფთ 4-ზე), პრაქტიკულად იმავე ხარჯებს მივიღებთ, რასაც მთავრობა ისედაც ხარჯავს ხსენებული მიმართულებებით.

ამავე დროს, რეალისტურობაში თუ გავითვალისწინებთ დოკუმენტურად დადასტურებულ გამოცდილებას ვერ ან არშესრულებული საარჩევნო დაპირებებისა, მაშინ 150 ახალი სკოლის, ყველა მოსწავლის დაზღვევის, სერთიფიცირებული მსაწავლების ხელფასის 600 ლარამდე გაზრდის, გრანტის მქონე სტუდენტების რაოდენობის გაორმაგების, პენსიების გაზრდისა და სხვა მიზნები საკმაოდ არარეალისტურია. საბოლოო ჯამში, დოკუმენტი

შესრულებადობის თვალსაზრისით საკმაოდ არასრულყოფილ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო პროგრამის აქცენტები დასაქმებაზე, სოციალურ საკითხებზე, პენსიებზე, მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევაზე და სახელმწიფო ხარჯებზე ამ პროგრამას მემარცხენე სპექტრის უკიდურეს ნაწილში ათავსებს.

სოფლის მეურნეობა (EPRC)

ნაციონალური მოძრაობის საპროგრამო დოკუმენტზე საუბრისას განვიხილავთ სამთავრობო პროგრამასა და მოძრაობის საიტზე განთავსებულ ინფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის წარმომადგენელთა წინასწარჩევნო გამოსვლებში სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობა ხშირად ფიგურირებს, ნაციონალური მოძრაობის საპროგრამო დოკუმენტსა და ვებ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში, სამწუხაროდ, ბევრი არაფერია ნათქვამი სოფლის მეურნეობაში დღეს არსებულ სიტუაციაზე, პრობლემებსა და პერსპექტივებზე. აქ ნახსენებია მხოლოდ ახლადშექმნილი სამაცივრე დანადგარების სიმძლავრეები, შემოყვანილი ტრაქტორები, ფერმერთა მომსახურების ცენტრებისა და სათბურების გახსნა, ასევე საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციისა და პივოტური სარწყავი სისტემის მოწყობის ფაქტები.

ამგვარად, მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად კორექტულად ხედავს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დღევანდელი სოფლის მეურნეობის ზოგად კონტექსტს, ტენდენციებსა და პრობლემატიკას, ფაქტობრივად შეუძლებელია.

ამავე დროს, ვებ-გვერდზე ნახსენები ღონისძიებები უახლოეს წარსულში, 2011-12 წლებშია გატარებული, რაც ირიბად იმას მიუთითებს, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობას სოფლის მეურნეობის სექტორში მისი მმართველობის პერიოდში არ ჰქონია ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმა და ამგვარად, არ წარმოუდგენია ასეთი გეგმის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგები. სოფლის მეურნეობის პროგრამაში არ იგრძნობა ზოგადი ხედვა და არ ჩანს არსებული სიტუაციის გააზრების მცდელობა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სოფლის მეურნეობის პროგრამის ფაქტების სიზუსტის თვალსაზრისით განსახილველად ვაფასებთ მხოლოდ ვებ-გვერდზე არსებულ ინფორმაციას მეღვინეობის სექტორის საქსპორტო ტენდენციებსა და პერსპექტივებზე:

ჩვენი აზრით, ღვინის ექსპორტის ზრდაზე ზედმეტად ოპტიმისტური აქცენტები კეთდება, კერძოდ, რომ იგი ორ წელიწადში დღეს არსებული დონიდან 100,000 მილიონ აშშ დოლარს მიაღწევს. საქსტატის მონაცემებით, ღვინის ექსპორტი 2010 წლიდან 2011 წლამდე 41 მილიონიდან 54 მილიონ აშშ დოლარამდე, ანუ 31%-ით გაიზარდა. თუ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პროგნოზს ვენდობით, მაშინ 2012 წელს ღვინის ექსპორტი 60 მილიონ აშშ დოლარს მიაღწევს, ეს კი ექსპორტის ტემპის არსებითად შემცირებას ნიშნავს. თუ ზრდის ასეთი ტემპი გაგრძელდება, მაშინ ექსპორტის მოცულობა ორი წლის თავზე მხოლოდ 73 მილიონი იქნება, ნაცვლად ვებ-გვერდზე განცხადებული 100 მილიონი აშშ დოლარისა.

სოფლის მეურნეობის პროგრამაში განწერილი ღონისძიებები იმდენად მწირია და კონტექსტიდან ამოგლეჯილი, რომ მისი განხილვა შინაგანი თანმიმდევრულობის თვალსაზრისით შეუძლებელია.

თუმცა ჩვენი ყურადღება მიიპყრო შეუთავსებლობამ ვებ-გვერდზე ჩამოთვლილი ღონისძიებების შესასრულებლად საჭირო სავარაუდო ფინანსური რესურსების მიმართებამ მთელი პროგრამის ჯამურ ღირებულებასთან. აქ ნახსენებია, რომ ნაციონალური მოძრაობა გამარჯვების შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით 4 მილიარდ ლარს დახარჯავს. თუ ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში გამოვეყოფთ წმინდად სა-

სოფლო-სამეურნეო ღონისძიებებს (გადამამუშავებელი საწარმოები, ირიგაცია, დრენაჟი, ტექნიკის შესყიდვა) მაშინ ამ ღონისძიებებს 4 მილიარდზე გაცილებით ნაკლები ეყოფა. მეორეს მხრივ, თუ 4 მილიარდში ყველა სოფლის გაზიფიკაცია, წყლით მომარაგება და მათში გზების მიყვანა იგულისხმება, პროგრამა სცილდება სასოფლო-სამეურნეო პროგრამის ფარგლებს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ღონისძიებები ინფრასტრუქტურის მოწყობის ღონისძიებებია და სოფლის მეურნეობასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს. გარდა ამისა, განერილი არ არის ამ უკანასკნელი ღონისძიებების არც დეტალური ვადები და არც მათთვის განკუთვნილი სახსრები.

ეკონომიკური ლოგიკის თვალსაზრისით შემოთავაზებული ღონისძიებები წარმოადგენს მხოლოდ გარკვეულ კონტექსტიდან ამოგლეჯილი ღონისძიების ერთობლიობას. კავშირი მათსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაორმაგებას შორის დაუდგენელია დანარჩენი აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი ღონისძიებების მოყვანის გარეშე.

მაგალითად საერთოდ არაა განხილული ტექნოლოგიური, ფინანსური და სხვა პრობლემები.

პროგრამაში საუბარია 800,000 გლახზე 30 ლარიანი ერთჯერადი ვაუჩერის გაცემაზე. ჯამურად, ეს 24 მილიონ ლარს შეადგენს. თუ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პროგრამა ჯამურად 4 მილიარდი ლარის ხარჯვას ითვალისწინებს, გაუგებარია, რატომაა ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ვაუჩერების დარიგება, რაც მთელი პროგრამის ერთ პროცენტსაც არ შეადგენს. გარდა ამისა, ხსენებული ვაუჩერები მხოლოდ სუბსიდირების არაეფექტიანი ფორმაა. ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიების ეფექტი ბენეფიციარებზე (და არა აუცილებლად მთელ ეკონომიკაზე) დადებითად მაშინ აისახება, როცა მათი რიცხვი მთელ მოსახლეობასთან შედარებით მცირეა. მაგალითად, ევროპულ ქვეყნებსა და აშშ-ში სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის 5%-ზე ნაკლებია დასაქმებული. ამგვარად, მოსახლეობის დანარჩენი 95%-დან მათთვის რესურსების გადანაწილება შედარებით უმტკივნეულოა.

საქართველოში, სადაც ფორმალურ სექტორში 600,000 ადამიანი (გადასახადის გადამხდელი) მუშაობს და აქედან დაახლოებით მხოლოდ 300,000 მასშტაბური სუბსიდირება საკმარისად მტკივნეული პრობლემაა. იმისთვის, რათა სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური პოზიციები გაუმჯობესდეს, მათ არასასოფლო არასასოფლო სექტორში დასაქმებულთა შემოსავლებთან თანაზომადი რესურსი უნდა გადაუნაწილდეთ, რაც შეუძლებლად გვესახება. თუ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პროგრამით სექტორის მასობრივი სუბსიდირება გათვალისწინებულია, მაშინ 30 ლარიანი ვაუჩერი ამ ფუნქციას ვერავითარ შემთხვევაში ვერ ასრულებს. ვაუჩერების დარიგება ვერ იქნება ეფექტიანი შემდეგი მიზეზებიდან გამომდინარე:

1) ეს ერთჯერადი ღონისძიებაა და არ არის გამიზნული სოფლის მეურნეობაში დღეს არსებული ჩამორჩენის დასაძლევად. გლახებმა ვაუჩერები სასუქებისა და შხამქიმიკატებისათვის რომც გამოიყენონ, არაფერი შეიცვლება, რადგან ისინი ჩვეულებრივ გააგრძელებენ დღევანდელ საწარმოო პრაქტიკას;

2) თუ ეს დახმარებაა, მაშინ ძალიან მცირე და არაეფექტიანი, ვინაიდან, დოკუმენტის ავტორების განცხადებითვე, მხოლოდ 1,000 კვადრატული მეტრისათვისა საკმარისი;

3) სასუქებისა და შხამქიმიკატების წარმოება ადგილზე არ ხდება, თუ არ ჩავთვლით აზოტოვან სასუქებსა და ცალკეულ გამონაკლის მცენარეთა დაცვის საშუალებებს, გაუგებარია, რატომ ხდება იმპორტული პროდუქციის სუბსიდირება?;

4) ვაუჩერის დარიგებას სჯობს სოციალური დახმარების სახით 30 ლარის გაცემა, რაც გაცილებით უფრო ეფექტიანი იქნება. ვაუჩერის დარიგების შემთხვევაში იმ გლახებიდან, რომლებიც არ საჭიროებენ სასუქებს და შხამქიმიკატებს, ეს უკანასკნელი მაინც მსხვილი მწარმოებლის ხელში მოხვდება, თანაც საბაზრო ფასზე იაფად. გაუგებარია, რატომ უნდა ხდებოდეს საწარმოო საშუალებების სუბსიდირება მსხვილი მწარმოებლებისათვის, მით უმეტეს ბენეფიციართაგან ყოველგვარი პირობების შესრულების გარეშე?

რაც შეეხება ფერმერთა მომსახურების ცენტრებს – ასეთი ცენტრები საქართველოში დაახლოებით 2008 წლიდან მოქმედებს და ისინი საერთაშორისო დახმარების სააგენტოების მეშვეობით შეიქმნა. ამგვარად, ეს იდეა ახალი არ არის.

აღსანიშნავია, რომ ეს ორგანიზაციები კერძოა და სახელმწიფოს დახმარების გარეშე ფუნქციონირებენ. გარდა ამისა, ეს სექტორი საკუთარი რესურსების ხარჯზე საკმაოდ წარმატებით იზრდება ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად. გაუგებარია, რატომ ახდენს მთავრობა ამ იდეის დუბლირებას უფრო დიდი მასშტაბებით, თანაც მომხმარებელს წარმოების საშუალებებს შეღავათიან ფასებში ჰპირდება. გაუგებარია, რა იგულისხმება აქ შეღავათიან ფასებში, მით უმეტეს, რომ ფერმერთა მომსახურების ცენტრებში გასაყიდი საქონლის (თუ არ ჩავთვლით აზოტოვან სასუქებს და სხვა მცირე ინვენტარს) უცხოური წარმოებისაა? რას ნიშნავს სატრაქტორო მომსახურების შეღავათიან ფასებში გაცემა მაშინ, როცა სანავაგი მთლიანად იმპორტირებულია? თუ ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ მომსახურება ძვირია და შეუძლია ამის დასაბუთება, მაშინ უპრიანი იქნებოდა ეფიქრა ამ სიძვირის გამომწვევ მიზეზებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე.

ეკონომიკურ ლოგიკასაა მოკლებული ტრაქტორების დამატებითი ერთეულების შემოყვანა იმ ფონზე, რომ სანავაგის ფასი საკმარისად მაღალია და საქართველოში, როგორც წესი, პრობლემას წარმოადგენს ტრაქტორების ნორმატიული წლიური დატვირთვის უზრუნველყოფა, რომ არაფერი ვთქვათ კომბაინებზე. აქ ნახსენები ფირმა „ჯონდირის“ ტექნიკა მაღალი ხარისხის მიუხედავად, ქართული ბაზრისთვის მეტისმეტად ძვირია. ამგვარად, სასურველია, იაფი ტექნიკის შემოსაყვანი ფინანსური ინსტრუმენტების შექმნა და არა გააღამხდელის (ბიუჯეტის) რესურსებით დამატებითი ტექნიკის შესყიდვა.

გაუგებარია მთავრობის მიმართება შექმნილ სასაწყობე მეურნეობებთან. ამ ინფრასტრუქტურის შექმნა მართლაც ძალიან საშური საქმეა, მაგრამ სადაა გარანტია იმისა, რომ ეს მეურნეობები ძირითადად იმპორტული საქონლით არ შეივსება? ასეთი სათავსოების პირდაპირი წესით შექმნაზე ბევრად უფრო ეფექტიანი იქნებოდა შესაბამისი სალიზინგო კანონმდებლობის ამოქმედება და დამკვიდრება, რაც ბაზარზე შესაბამისი მონყობილობების გაიაფებას უზრუნველყოფდა.

პროგრამის ერთ-ერთ მიზნად ოთხ წელიწადში სოფლის მეურნეობის სფეროში წარმოებული პროდუქციის გაორმაგების ამოცანაა დასახული. ეს ძალზე არარეალისტურია, რადგან მოითხოვს ყოველწლიურად წარმოების დაახლოებით 20%-იან ზრდას, რაც სოფლის მეურნეობის დარგისათვის, ემპირიული გამოცდილებიდან და დარგის თავისებურებიდან გამომდინარე, მეტისმეტად ოპტიმისტურია.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პროგრამის მიხედვით, დარგში ოთხი წლის განმავლობაში ჯამურად 4 მილიარდი ლარი უნდა ჩაიდოს, რაც საშუალოდ წლიურად ერთ მილიარდ ლარს ნიშნავს. მიზნადაა დასახული სოფლის მეურნეობის წარმოების გაორმაგება მომდევნო ოთხ წელიწადში. ფულადი გამოსახულებით ეს დღევანდელი 3 მილიარდი ლარიდან (დღეს არსებული ჯამური სასოფლო-სამეურნეო წარმოება, საქსტატის მიხედვით) 6 მილიარდ ლარამდე ზრდას გულისხმობს. გამოდის, რომ სოფლის მეურნეობაში ჩადებული თითოეული მილიარდი ლარი ყოველ მომდევნო წელს 750 მილიონი ლარის წარმოების ნაზრდს მოიტანს. აქედან, სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობაში ჩადებული სახსრების უკუგების წლიური კოეფიციენტი 75%-ს შეადგენს, რაც ყოველგვარ რეალობას მოკლებულია.

საეჭვოა 500 სანარმოს გახსნის პერსპექტივა იმ ფონზე, რომ ადრე დაპირებული 100 სასოფლო სანარმო თავის დროზე არ შექმნილა გასული წლების განმავლობაში. გაუგებარია როგორ და რა მექანიზმით უნდა შეიქმნას ხუთჯერ მეტი სანარმო შემოკლებულ ვადებში სოფლის მეურნეობაში ბევრად გაუარესებული კონიუნქტურის ფონზე?

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ ნაციონალური მოძრაობის მოქმედების სქემა შესაძლებელია შეფასდეს როგორც მემარცხენე იდეოლოგია.

სოციალური უზრუნველყოფა (LAT)

პროგრამაში არ არის შეფასებული მოსახლეობის ცხოვრების მდგომარეობა. არ არის მოცემული სოციალურ სფეროში არსებული პრობლემების ანალიზი. მოსახლეობის სოციალური დაცვა და კეთილდღეობა საკმაოდ მტკივნეულია, რადგან ბოლო წლებში სოციალურ სფეროში მიმდინარე მოვლენები საკმაოდ დრამატულად წარმართა. თუ 2004 წლამდე ოფიციალურად სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა 50 პროცენტს აღემატებოდა, «ვარდების რევოლუციის» შემდგომ ეკონომიკური ზრდისა და სოციალური რეფორმების შედეგად, სიღარიბე შემცირდა, მაგრამ პარალელურად სოციალური უთანასწორობა გაიზარდა და ცალკეული სოციალური ჯგუფებს შორის სიღარიბის პროფილი შეიცვალა.

სოციალური დაცვის სფეროში ბევრი დადებითი გაკეთდა ინსტიტუციონალური ასპექტით. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით დაიწყო სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაცია, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და მონაცემთა ბაზის ფორმირება, რომლის ფარგლებში განხორციელდა უკიდურეს სიღატაკეში მყოფი ოჯახების შესწავლა, შეფასება და მათი მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხვა. დაიწყო მიზნობრივი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის გაცემა. რეფორმის ძირითადი მიზანი იყო მხოლოდ იმ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რომლებიც უკიდურეს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იყვნენ. შეღავათების ნაცვლად დაწესდა ყოველთვიური ფულადი დახმარებები, რომელიც მართალია ჯერ კიდევ შორსაა საარსები მინიმუმის დონიდან მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ სარეიტინგო ქულების შესაბამისად მონეტარული დახმარების გარდა არსებობს სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა და სუბსიდიები (მაგალითად, ელექტროენერჯის ხარჯვაზე), მაშინ მთლიანობაში ამ სისტემას უფრო უკეთ უნდა უზრუნველყო სოციალურ დაცვა, ვიდრე წინა პერიოდში არსებულ სისტემას. თუმცა სიღარიბის მაჩვენებლები ავლენენ სოციალური დაცვის ამ სისტემის შედარებით დაბალ ეფექტს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე.

დღეს სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის შესახებ ინფორმაციას სოციალური მომსახურების სააგენტო იძლევა, და იგი ეფუძნება საარსებო შემწეობის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობას და მათ წილს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. ამ მაჩვენებლით სიღარიბის დონე საქართველოში 9-10 პროცენტის ფარგლებშია, მაგრამ თუ იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ სოციალური სააგენტოს მონაცემების მიხედვით, 2011 წლის დასაწყისში საშუალოდ თვიურად ნახევარ მილიონმა ადამიანმა მიმართა სოციალურ სააგენტოს თხოვნით შემწეობის მიღების თაობაზე და ისინი წარმოადგენდნენ ოჯახებს, რომლის საშუალო სიდიდე 3 კაცია, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით მოსახლეობის 28.5 % სჭირდებოდა დახმარება სახელმწიფოსაგან. აქედან მხოლოდ 9.3 % მიიღო დახმარება. ამდენად სიღარიბის დონე შესაძლებელია სამჯერ უფრო მეტი იყოს, ვიდრე სახელმწიფომ შეძლო სიღარიბის ქვემოთ მყოფი ოჯახების დახმარების განევა.

დღეს სიღარიბის საფრთხე ყველაზე მეტად სოციალურად დაუცველ ადამიანებს ემუქრებათ და ბოლო პერიოდში, მიუხედავად სოციალურ სფეროში გატარებული რეფორმებისა, მათი რაოდენობა არ მცირდება. საქართველოში სიღარიბის ზღვარი გვიჩვენებს რომ ყოველი ოთხი ადამიანი 10-დან არის ეკონომიკურად საფრთხის ქვეშ. ამას ემატება ისიც, რომ სიღარიბე სოფლად აღემატება ქალაქად სიღარიბეს 20-25 პროცენტით და ეს სხვაობა ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება. ზოგადად, სიღარიბე სოფლად უფრო გავრცელებულია, მაგრამ ქალაქად იგი უფრო მკაცრია, ვიდრე სოფლად. ქალაქი-სოფლის ქრილში სიღარიბეში სხვაობა ღრმავდება და დასაქმების სტრუქტურებში განსხვავების შედეგად იზრდება უთანასწორობა როგორც მცირე და დიდ ქალაქებს შორის, ასევე იზრდება მოსახლეობის შემოსავლებს შორის სხვაობა დეცილური ჯგუფების მიხედვით.

ყოველივე ეს გარემოება მნიშვნელოვანი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საპროგრამო დოკუმენტში ყოფილიყო შეფასებული და აქედან გამოდინარე, დასახულიყო პოლიტიკური ორიენტირები. რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას, მასზე მარავლი ფაქტორი ზემოქმედებდა. საპენსიო რეფორმებზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის დაბერების პროცესი, რითაც თაობების განახლებას სერიოზული საფრთხე დაემუქრა და შრომის ბაზრის მდგომარეობა. იმ პირების რაოდენობა, რომლებსაც ჯერ არ მიუღწევიათ დასაქმების ასაკამდე, მკვეთრად მცირდება, ხოლო საპენსიო ასაკს მიღწეული პირების რიცხვი კი მატულობს. 16 წელს ქვემოთ მყოფი ბავშვების რიცხვი მცირდება, როდესაც საპენსიო ასაკს მიტანებული მოსახლეობის წილი მკვეთრად მატულობს.

მოსახლეობის დემოგრაფიულმა დაბერებამ გამოიწვია ის, რომ ეკონომიკური და დემოგრაფიული ტვირთი შრომისუნარიან ადამიანებს დაანვა, განსაკუთრებით დასაქმებულებს. საქართველოში სხვის კმაყოფაზე მყოფი შრომისუნარო მოსახლეობის თანაფარდობა ყოველ ათას შრომისუნარიან ადამიანზე გაიზარდა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი არის პერმანენტული, მაშინ კიდევ უფრო მწვავე ხდება დემოგრაფიული ტვირთის პრობლემის სიმძიმე განსაკუთრებით სოციალური დაცვის სისტემისათვის, რადგან სოციალური დანახარჯები იზრდება. ეს კი ზრდის დასაქმებული მოსახლეობის ტვირთს. დღეს ყოველ 100 პენსიონერზე მოდის 75 დასაქმებული, როდესაც ოპტიმალური თანაფარდობა არის 350-400 დასაქმებული 100 პენსიონერზე. ყოველივე ეს კი მწვავედ მოქმედებს სოლიდარულ საპენსიო სიტემაზე და მოითხოვს მთავრობის ხარჯების პერმანენტულ ზრდას სოციალურ სფეროზე.

მართალია ხელისუფლება თავის საპროგრამო დოკუმენტში გეგმავს პენსიების კიდევ გაზრდას და 100 დოლარამდე მიყვანას, მაგრამ პენსიების ზრდა ვერ მოხდება დასაქმებული ადამიანების რიცხვის გაზრდის ხარჯზე, რომელიც მომავალში სერიოზულ საფრთხეებს შეუქმნის სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სიტემას. სოციალურ დაცვისა და უზრუნველყოფის სისტემის დღევანდელი მდგომარეობს ღრმა ანალიზის გარეშე ნებისმიერი საპროგრამო დოკუმენტში პოლიტიკური მიზნების, ამოცანების და ღონისძიებების დასახვა მხოლოდ დეკლარირებულ ხასიათს იძენს.

სოციალური უზრუნველყოფისა და დაცვის საკითხები პროგრამაში მხოლოდ რამდენიმე წინადადებით არის გადმოცემული, ფაქტობრივად იგი მხოლოდ დახმარების გაზრდის რაოდენობრივ მხარეებზე არის აქცენტირებული, მაგრამ უპასუხოდ ტოვებს კითხვებს, თუ რა რეფორმების გატარებაა საჭირო არსებული სისტემის სრულყოფისათვის, რამდენად ქმედითი იქნება დახმარებების მოცულობა იმ ფონზე, რომ საქართველოში საკმაოდ მაღალია უმუშევრობის დონე და მოსახლეობის დაბერების პროცესი კი კიდევ უფრო ამცირებს საპენსიო უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი თანხების ეფექტიანობას.

პროგრამის დადებითი მხარეა ის, რომ განსხვავებით სხვა პროგრამებისაგან, მასში მოცემულია დევენილთა დახმარების პროგრამის აუცილებლობა. აღნიშნულია, რომ დევენილთა ბინების მშენებლობის პროცესი გაგრძელდება მათ საკუთრებაში საბოლოოდ გადაცემით, თუმცა აქაც არ არის შეფასებული ამ ქმედებების მასშტაბი. დევენილთა რაოდენობა, რომლებიც დღემდე ბინებით იქნა უზრუნველყოფილი იმდენად მცირეა, რომ მომავალში აუცილებელი გახდება სხვა დამატებითი ღონისძიებების გატარებაც, თუმცა ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. როგორ ჩანს დევენილთა პრობლემა კვლავ დიდხანს იარსებებს მუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტიის მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა სტრატეგიული გეგმით 2014 წლამდე ისინი უნდა დაკმაყოფილიყვნენ ბინებით. წინასაარჩევნო პროგრამით კი მის შესრულებას ნაციონალური მოძრაობა ნამდვილად ვერ შეძლებს. სხვა საკითხები, როგორიცაა ცალკეული სოციალურ ჯგუფებისა და ფენების სოციალური დახმარება და უზრუნველყოფა, არ არის პროგრამაში დახასიათებული.

სოციალურ სფეროში ნაციონალური მოძრაობის პროგრამის ძირითადი პრიორიტეტები 2012-2016 წლებში არის თითოეული ოჯახისთვის 1000-ლარიანი ვაუჩერის გადაცემა და საპენსიო პაკეტის 100 დოლარის ექვივალენტთან გათანაბრება. თითოეულ ოჯახზე ოთხი წლის განმავლობაში თვეში 20 ლარის დარიგება, რომლის გამო-

ყენებაც თითოეულ ოჯახს ინდივიდუალური საჭიროებისამებრ შეეძლება (კომუნალური ხარჯების, სასკოლო სახელმძღვანელოების, მედიკამენტების, სანვაგის, სასუქის და სხვა) უფრო მეტად პოპულისტური დაპირებაა და მისი ეფექტი სიღარიბეზე ან რაიმე პრობლემის გადასაჭრელად საკმაოდ დაბალი იქნება. ამასთან, იგი მიეცემა იმ შეძლებულ ან საშუალო შემოსავლების მქონე ოჯახებსაც, ვისაც ეს არ სჭირდება. ეკონომიკური საფუძვლიანობის თვალსაზრისითაც ასეთი პოლიტიკა არ გამოიწვევს რაიმე კონკრეტული ეკონომიკური ეფექტის მიღწევას. პარტიის პროგრამით პენსიების დაფინანსების მიზნით გამოიყოფა 6 მილიარდი ლარი. საპენსიო უზრუნველყოფაზე გამოყოფილი თანხა დაახლოებით წლიური 1.5 მლრდ ლარია, რაც დღევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებულ თანხაზე (1,072,391 ლარი) დაახლოებით ყოველწლიურად 430 მილიონი ლარით მეტია. ხოლო სოციალურ დაცვაზე გამოყოფილი წლიური თანხა დაახლოებით 750 მლნ ლარია, რაც თითქმის 2,8 ჯერ აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს (დაახლოებით 273 მილიონი ლარი).

პარტიის პროგრამაში არაფერია ნათქვამი კერძო საპენსიო ფონდების და დაგროვებითი საპენსიო სქემების განვითარების მნიშვნელობაზე ქვეყნის საპენსიო სისტემაში. დღეს ქვეყანაში ეროვნული დანაზოგების მაჩვენებელი უარყოფითია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს საპენსიო სისტემის განვითარებას. შესაბამისად, მხოლოდ სახელმწიფო პენსიებზე და სოციალურ დაცვაზე აქცენტირება იმას ნიშნავს, რომ სიღარიბე კვლავ დარჩება ქვეყნის ძირითად პრობლემად. ყოველწლიურად სოციალური ხარჯების ზრდა მძიმე ტვირთად დაანება სახელმწიფოს, რაც თავის მხრივ, კვლავ შეაფერხებს შრომის ბაზრის განვითარებას და დასაქმების ზრდას, რომელიც სოციალური დაცვის ერთ-ერთ აქტიურ პირობას უნდა შეადგენდეს.

პროგრამა, რამდენადაც მთავარ აქცენტს აკეთებს სახელმწიფოს მიერ სოციალური უზრუნველყოფისა და დაცვის სისტემაზე, ბუნებით სოციალისტურია. მასში არ არის განსაზღვრული საზოგადოების სხვა დაინტერესებული ფენების, ბიზნესის, თვითმმართველობის და სხვა ინსტიტუტების აქტიური როლი და მათი შესაძლებლობები არ არის გამოყენებული. არც სოციალური დაცვის საბაზრო მექანიზმები არის ნახსენები. სახელმწიფოზე დაკისრებული სოციალური ვალდებულება კი საკმაოდ მძიმეა.

ჯანდაცვა (LAT)

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო პროგრამა ემყარება ორ პოლიტიკურ დოკუმენტს: „ხელშეკრულებას საქართველოსთან“ და საქართველოს სამთავრობო პროგრამას „მეტი სარგებელი ხალხს. 2012-2016“. გარდა ამისა გამოცემული აქვთ საარჩევნო კალენდარიც. ამ დოკუმენტებში ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებს განსხვავებული ადგილი უკავიათ. ძირითადად მოცემულია საპროგრამო ორიენტირები, ხოლო კალენდარში კი – სამოქმედო გეგმა და განხორციელების კონკრეტული ვადები, რაც პროგრამას საქმიან და კონკრეტულ ხასიათს ანიჭებს. ჯანდაცვის სფეროს ანალიზი პროგრამაში მოცემულია ძალიან ზოგადი სახით, ამ სფეროში არსებული მდგომარეობა მხოლოდ რამდენიმე ფრაზით არის შემოფარგლული და არც დღევანდელი პრობლემებია გამოვლენილი, რომელზეც პროგრამული დებულებები უნდა იყოს ორიენტირებული. პროგრამაში მოკლედ არის გადმოცემული სამედიცინო დაზღვევის დინამიკა და აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2006-2012 წლებში გაიზარდა სამედიცინო პოლისის მქონე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 6-ჯერ, ეს პოლიტიკა გაგძლდება მომავალშიც და მას კიდევ ახალი კატეგორიის სოციალურ ჯგუფები დაემატება. სადაზღვევო სფეროში მოცემული ფაქტების მოკლე მიმოხილვის შემდეგ პროგრამაში დასახულია არსებული სისტემის გაფართოების მიზანი.

ჯანდაცვის პროგრამული საკითხები ორ ძირითად მიმართულებას ემყარება: 1. ახალი საავადმყოფოების მშენებლობას და 2. სამედიცინო დაზღვევის სისტემის გაფართოებას. პროგრამით განსაზღვრულია ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს 150 ახალი საავადმყოფო. 2012 წელს გათვალისწინებულია 100 ახალი საავადმყოფოს ფუნქციონირების დაწყება, ხოლო 2013 წელს კი მათ დაემატებ 150 ახალი საავადმყოფო, რის შედეგადაც 2012 წელს იარსებებს საერთო ჯამში 200 ახალი საავადმყოფო, ხოლო 2013 წელს კი – 250 საავადმყოფო. პროგრამა

მაში აღნიშნულია, რომ საავადმყოფოები თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს როგორც სახელმწიფო და კერძო დაზღვევის მქონე, ისე დაზღვევის არმქონე მოსახლეობისთვის, თუმცა არ არის განსაზღვრული თუ რა ფინანსებით მოხდება მათი მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეყვანა, რა წილი ექნება სახელმწიფო ბიუჯეტს და კერძო სექტორს. ყოველივე ამის შდეგად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს საავადმყოფოების მშენებლობას განახორციელებს სახელმწიფო. სინამდვილეში კი მშენებლობაში ყველაზე დიდ კაპიტალდაბანდებებს სწორედ კერძო სექტორი გასწევს, კერძოდ კი სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც დაზღვევასთან ერთად კლინიკებისა და საავადმყოფოების მფლობელები ხდებიან. სადაზღვევო კომპანიების მიერ წლების განმავლობაში მიღებულმა მოგებამ, რაც ფაქტობრივად სადაზღვევო პაკეტების ღირებულების ზრდით იყო განპირობებული, წარიმართა კლინიკების მშენებლობაზე. რამდენადაც პროგრამაში ამ ღონისძიებების ფინანსური წყაროები არ არის ასახული, ამიტომ მათი დაფინანსების საკითხიც არ არის გამჭვირვალე და კონკრეტული.

ჯანდაცვის სადაზღვევო სისტემა არის პროგრამის მეორე ძირითადი მიმართულება, რომელზეც დამყარებულია საარჩევნო პლატფორმა. გათვალისწინებულია მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში სამედიცინო დაზღვევით მთელი მოსახლეობის მოცვა. პროგრამული ამოცანა დასმულია, საკითხი აქტუალურია და დაფინანსებაც ამ კუთხით ასახულია პროგრამაში. ამ მიზნით გათვალისწინებულია ბიუჯეტიდან 3 მილიარდი ლარის გამოყოფა იმისათვის, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემამ მოსახლეობა სრულად მოიცვას. საკითხები დასმულია თანმიმდევრულად. მსჯელობებს შორის არსებობს ლოგიკური კავშირი. დაზღვევის სისტემის გაფართოების პარალელურად გათვალისწინებულია გაიზარდოს სამედიცინო მომსახურების მიწოდება ახალი კლინიკების მშენებლობის გზით, თუმცა პროგრამაში არაფერია ნათქვამი, თუ რამდენად გაიზრდება ჯანდაცვის მომსახურების ხარისხი. ძირითადი აქცენტი მხოლოდ ჯანდაცვის მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდაზეა აღებული.

ჯანდაცვის სფეროში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პროგრამით, სამედიცინო დაზღვევით დაიფარება მოსახლეობის 50%. ამ მიზნით 2012-2016 წლებში ბიუჯეტიდან გამოიყოფა 3 მილიარდი ლარი. სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა დამატებით დაფარავს: ყველა სტუდენტს, ყველა პენსიონერს, 0-5 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომლებიც მიემატებიან დღემდე დაზღვეულ ქვეკატეგორიებს: უმწეო მოსახლეობას, მასწავლებლებს, შსს და თავდაცვის სამსახურის მუშაკებს.

ასეთი დაპირებები ზომიერად პოპულისტური და განხორციელებადია, თუმცა იგი მოითხოვს დღევანდელ ბიუჯეტში სამედიცინო დაზღვევაზე გამოყოფილი თანხების 5-ჯერ გაზრდას (2012 წელს ამ მიზნით გამოყოფილია 168 მილიონი ლარი). 3 მილიარდი ლარის ოდენობით სახელმწიფო ფულის წარმართვა სამედიცინო ბაზარზე ზენოლას მოახდენს სამედიცინო მომსახურების ფასებზე და გაზრდის სადაზღვევო პაკეტის ღირებულებას, რომელმაც შეიძლება გაანეიტრალოს დაზღვევით მოცული ადამიანების მიერ მიღებული ბენეფიტები. ამ რისკის საფუძველს იძლევა ასევე ის გარემოება, რომ 2010 წლიდან დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებში გამარჯვებულ სადაზღვევო კომპანიებს დაეკისრათ მნიშვნელოვანი ვალდებულება მათი ოპერირების რაიონში დადგენილ ვადებში განახორციელონ სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობა და აღჭურვა (პარტიის პროგრამა მოიცავს ასევე 150 ახალი საავადმყოფოების მშენებლობას). ასეთი რაოდენობით ახალი მშენებლობები თავისი მასშტაბით მცირე და საშუალო ზომის საავადმყოფოების ექსპლუატაციაში შეყვანას გულისხმობს, რაც თავის მხრივ, გააძვირებს მოსახურებას, რადგან ისინი მასშტაბის ეკონომიას ვერ გამოიყენებენ და ვერც კომპლექსურ მომსახურებას შესთავაზებენ პაციენტებს. გაზრდილი სამედიცინო ხარჯები კი რეფლექსურად დაზღვეული ადამიანების მომსახურების ხარისხზე აისახება. ამასთან მცირე ზომის კლინიკებში მაღალი დანახარჯების გამო კვლავინდებურად რთულ მდგომარეობაში შესაძლებელია აღმოჩნდნენ სამედიცინო პერსონალი, რადგან კლინიკის შემოსავლები ვერ უზრუნველყოფენ მათი შრომის ღირსეულად ანაზღაურებას, ეს კი ნეგატიურად იმოქმედებს ჯანდაცვის მომსახურების ხარისხზე.

პროგრამული დებულებების თანახმად, იგივე სადაზღვევო კომპანიებს გადაეცემათ მართვაში პირველადი ჯანდაცვის ქსელი – სოფლის ამბულატორიები და სასწრაფო დახმარების სადგურები. ჯანდაცვის სექტორის პრი-

ვატიზაციის ფონზე კლინიკების მფლობელები არიან ფარმაცევტული და სადაზღვევო კომპანიები. ზოგიერთი ფარმაცევტული კომპანია როგორც სამედიცინო დაწესებულებების მფლობელია, ასევე არის დამზღვევიც, შესაბამისად, მარეგულირებელი გარემოს არარსებობის შემთხვევაში იქმნება რეგიონალური მონოპოლიების შექმნის საშიშროება. ყოველივე აქედან გამომდინარე, არსებობს იმის საფრთხე, რომ რომელიმე კონკრეტულ სეგმენტში ღარიბი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა გაუარესდეს. შესაბამისად შემოთავაზებული პოლიტიკის განხორციელებას ექნება წინააღმდეგობრივი ხასიათი, და ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების ზრდასთან ერთად შესაძლებელია გაიზარდოს სამედიცინო მომსახურებაზე დანახარჯები, რაც ადექვატურად იმოქმედებს მის ხელმისაწვდომობაზე და გამოიწვევს, უპირველეს ყოვლისა, სადაზღვევო პაკეტების ღირებულების ზრდას. ეს რისკები ნამდვილად არსებობს და ამის გასანიეიტრალეზად პროგრამაში არ არის განსაზღვრული შესაბამისი მექანიზმები, მარეგულირებელი წესები და ა.შ.

იდელოგიურად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პლატფორმა ჯანდაცვის სფეროში აგებულია სახელმწიფო დანახარჯების როლის ზრდაზე სამედიცინო დაზღვევს სფეროში, რაც მას სოციალისტური მიმართულების ელფერს აძლევს. იგი არავითარ სოციალურ პასუხისმგებლობას არ აკისრებს ბიზნეს სფეროს და აქცენტი არ არის გაკეთებული იმაზე, რომ მენამეებმაც იზრუნონ თავიანთ სანარმოში დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე. ძირითადი ტვირთი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებზე არის გადატანილი. საავადმყოფოების მშენებლობა კი სახელმწიფოსთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, სადაზღვევო კომპანიებზეც არის დაკისრებული, ხოლო რამდენადაც სადაზღვევო სისტემის ძირითად შემოსავლებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაზღვევაზე გამოყოფილი თანხები შეადგენენ, ამიტომ ირიბად ეს თანხები საავადმყოფოების მშენებლობას მოხმარდება. ამგვარად სახელმწიფოს მონაწილეობის ძირითადი როლის გამო პარტიის პოლიტიკა ხასიათდება როგორც ზომიერად სოციალისტური.

კოალიცია – „ქართული ოცნება“

განათლება (ISET-PI)

პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმაში მნიშვნელოვანი როლი უკავია განათლების საკითხს. პროგრამის მიხედვით, დღეს-დღეისობით ქვეყანაში განათლების საბიუჯეტო დაფინანსება მცირეა ხოლო, „საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაფინანსების არსებული მოდელი და სკოლების ბრენდირების ჩატარების წესი ქმნის არააჯანსაღ კონკურენტულ გარემოს და განათლების მიღების არათანაბარ შესაძლებლობებს“.

ქართული ოცნება მიზნად ისახავს განათლებაზე განეული სახელმწიფო ხარჯების გაზრდას მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, ხოლო პარტიის ლიდერთა განცხადებების მიხედვით – მათი უმთავრესი ამოცანა იქნება „სკოლები ყველა სოფელში“, მასწავლებლებისათვის ხელფასების ზრდა და სოციალური დაცვის გაუმჯობესება.

დაუზუსტებელი რჩება ლოზუნგი „სკოლები ყველა სოფელში“-ს მნიშვნელობა. ბოლო მონაცემებით, საქართველოს ტეროტორიაზე 3668 სოფელია. დღეს-დღეისობით ქვეყანაში მოქმედებს 2317 სკოლა, საიდანაც 445 სკოლა განთავსებულია თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ფოთში და რუსთავში, ხოლო 1872 სკოლა განთავსებულია დანარჩენ ქალაქებსა და სოფლებში. ასე რომ, ლოზუნგის სიტყვა-სიტყვით ინტერპრეტირების შემთხვევაში პარტია აპირებს დაახლოებით 1400 ახალი სკოლის აშენებას, რაც მოითხოვს კოლოსალურ თანხებს და ასევე საეჭვოა ის თუ არსებობს ასეთი დიდი ჭარბი მოთხოვნა. ჭარბი მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში თანხები არამიზნობრივად დაიხარჯება თუ არ მოხდება შობადობის ტემპის საგრძნობლად გაზრდა. მეორეს მხრივ, ლოზუნგს თუ გავიგებთ, როგორც არსებული ჭარბი მოთხოვნის დაკმაყოფილებას შესაბამისი რაოდენობის სკოლების აშენებით, მაშინ ამგვარი პოლიტიკა მისასაღმებელია.

მასწავლებლებისათვის ხელფასების გაზრდა და მათი სოციალური დაცვის გაუმჯობესება შედის როგორც ქართული ოცნების, ასევე სხვა პარტიათა გეგმებშიც. მოკლევადიან პერიოდში, გაზრდილი ხელფასები და გაუმჯობესებული ცხოვრების პირობები აამაღლებს მასწავლებლის სტატუსს საზოგადოებაში, რაც, გრძელვადიან პერიოდში, თავისთავად ხელს შეუწყობს კონკურენციის ზრდას პედაგოგთა შრომის ბაზარზე, მათი კომპეტენტურობის ამაღლებას და დაწყებითი/საშუალო განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.

განათლებაზე განეული სახელმწიფო ხარჯების გაზრდა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით პირდაპირ გულისხმობს გადასახადების ზრდას. ამგვარი პოლიტიკა უპირისპირდება ქართული ოცნების დანაპირებს, რომ გადასახადები მომხმარებლებს და ფირმებს არ გაეზრდებათ. თუ დავუშვებთ, რომ გადასახადები არ გაიზრდება, მაშინ გვრჩება ორი ალტერნატივა: 1. ბიუჯეტის დაფინანსება ისეთი წყაროებიდან, როგორიცაა სოციალური შენატანები, გრანტები და სახელმწიფო კაპიტალზე სარგებელი მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს თუმცა, 2011 წლის მონაცემებით ამგვარი ალტერნატიული წყაროების წილი ბიუჯეტში არის 10%, რაც 2010 წელთან შედარებით 5%-ით ნაკლებია ანუ, ალტერნატიული წყაროების მნიშვნელობა შემცირდა და ჯერ-ჯერობით არ არსებობს მიზეზები, იმისათვის, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში, ვიმედოვნოთ ამ წყაროების მნიშვნელობის რადიკალური ზრდა; 2. სახელმწიფოს მოუწევს საგარეო ვალის გაზრდა, რაც პირდაპირ დამოკიდებულებაშია ფისკალურ დეფიციტთან და ეკონომიკური ზრდის შენელებასთან.

„საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაფინანსების არსებული მოდელი და სკოლების ბრენდირების ჩატარების წესი ქმნის არააჯანსაღ კონკურენტულ გარემოს და განათლების მიღების არათანაბარ შესაძლებლობებს“:

არსებული ვაუჩერული დაფინანსების მოდელისა და ბრენდირების წესის ამგვარი შეფასება ერთობ ზედაპირულია მითუმეტეს მაშინ, როდესაც ქართული ოცნების პროგრამა არ გვთავაზობს კონკრეტულ ალტერნატიულ

დაფინანსების მოდელის, რომელსაც ექნებოდა უკეთესად მუშაობის პოტენციალი. შესაძლოა, არსებული მოდელი მართლაც ვერ მოქმედებს გამართულად მრავალი ბიუროკრატიული და პრაქტიკული ფაქტორის გამო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოდელის იდეა მცდარია, ან ქმნის არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს და განათლების მიღების არათანაბარ შესაძლებლობებს. პირიქით, ამგვარი მოდელის მიზანია შექმნას კონკურენტული გარემო, სადაც სკოლები თამაშობენ საბაზრო პრინციპებითა და წესებით.

დასაქმება (ISET-PI)

„ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამულ დოკუმენტში ცალკე ქვეთავი ეთმობა უმუშევრობის პრობლემას. პროგრამაში სამართლიანად არის ხაზგასმული ის ფაქტი, რომ მიუხედავად საკმაოდ მაღალი საშუალო ეკონომიკური ზრდის ტემპისა უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, უმუშევრობის დონე საქართველოში ჯერ კიდევ მაღალია ოფიციალური სტატისტიკის მიხედვითაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ფარულ უმუშევრობაზე. პარტია უმუშევრობის პრობლემის მოუგვარებლობის მთავარ მიზეზად არსებული მთავრობის მიერ უმუშევრობასთან ბრძოლის გრძელვადიანი სტრატეგიის არქონას ასახელებს. დოკუმენტი ასევე მიანიშნებს მმართველი ძალის მიერ განხორციელებულ დასაქმების პროგრამებზე, რომლებიც, ქართული ოცნების აზრით, სინამდვილეში მხოლოდ წინასაარჩევნო პიარ-კამპანიის ნაწილი იყო და არა ამ პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული რეალური მცდელობები. მსგავსი მორიგი წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად მიიჩნევა „ქართული ოცნება“ მთავრობის მიერ დასაქმების სააგენტოს შექმნას. ეს ვარაუდი სრულიად ლეგიტიმური ჩანს, რადგანაც 2006 წლიდან მოყოლებული მთავრობის მიერ წინასაარჩევნოდ წამოწყებულმა ოთხივე პროგრამამ თავის მიზანს ვერ მიაღწია და ვერ გაზარდა დასაქმების დონე საქართველოში, უფრო მეტიც, 2011 წელს უმუშევრობის დონემ 15.1% შეადგინა, რაც აღემატება 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (13.6%). თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასაქმების სამინისტროს მიერ დასახული მიზნებისა და დაგეგმილი ღონისძიებების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში დასაქმების დონე საქართველოში შეიძლება გაიზარდოს, სულ მცირე მოკლევადიან პერიოდში მაინც.

პარტია „ქართული ოცნება“ დასაქმების ზრდას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერით გეგმავს. სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისა და ამ სექტორში სამუშაო ადგილების შექმნის საშუალებად ქართული ოცნება მიიჩნევს სოფლის მეურნეობაში კოოპერაციის, კომერციალიზაციის დონის ზრდასა და ტექნოლოგიური განვითარებას, რაც ამ სექტორში დაქირავებულთა რიცხვის გაზრდის ეკონომიკურად სრულიად დასაბუთებული სტრატეგიაა. ასევე, მიზანშეწონილია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. თუმცა, პროგრამაში არ არის საუბარი თუ რა სახსრებთან არის დაკავშირებული ამ ღონისძიებების განხორციელება, რა წყაროებიდან გეგმავს პარტია ამ თანხების მოზიდვას: მაგალითად, გაზრდილი გადასახადების თუ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სტრუქტურის შეცვლის გზით. შესაბამისად, ძნელია საუბარი პროგრამის მიზნების განხორციელებადობაზე.

მაკროეკონომიკური საკითხები (EPRC)

ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამაში მაკროეკონომიკური სექცია გაშლილი, კარგად სტრუქტურირებული ფორმითაა განხილული. ცალ-ცალკეა განხილული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა ზოგადი ეკონომიკური კონიუნქტურა, საგარეო სექტორი, ფულადი და საბიუჯეტო პოლიტიკა, ასევე საგარეო ვალთან დაკავშირებული პრობლემატიკა. თავისთავად, მაკროეკონომიკური მდგომარეობის მეთოდურად გამართული ანალიზის შექმნა და წარმოდგენა სცილდება საარჩევნო პროგრამის მიზნებსა და კომპეტენციას, რაც მეტად ართულებს პროგრამული ხედვის კომპაქტური და გასაგები ფორმით წარმოჩენას. მიუხედავად ამისა, მაკროეკონომიკური მდგომარეობის ანალიზში უნდა იკვეთებოდეს ავტორთა ხედვის კონტურები და შემოთავაზებული ღონისძიებები ლოგიკურად უნდა ეფუძნებოდეს ამ ხედვის ძირითად კომპონენტებს. ამიტომაც, შევეცადეთ

ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამის მაკროეკონომიკური ნაწილი სწორედ ამ კუთხით შეგვეფასებინა.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამის ნაწილში მკაფიოდ იგრძნობა ავტორთა შემოფოთება იმის გამო, რომ ეკონომიკური განვითარების დინამიკა ერთგვარად ცალმხრივია. შეინიშნება სერიოზული დისბალანსი საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების მიმართულებით და სახეზეა სახელმწიფო საგარეო ვალის დაგროვების ტენდენცია. ასევე აღნიშნულია ანტიინფლაციური პოლიტიკის ერთგვარი არათანმიმდევრულობა. ავტორები იცნობენ ოფიციალურ სტატისტიკას და ფაქტების გადმოცემისას სავსებით კორექტული კატეგორიებით ოპერირებენ.

დამაკმაყოფილებლადაა გაშლილი საგარეო ვაჭრობის კუთხით დაფიქსირებული ნეგატიური ტენდენციები, კერძოდ ის, რომ საქონლით საგარეო ვაჭრობის სალდო ქრონიკულად დეფიციტია და შემთხვევით საქსპორტო ჯგუფები (ავტომობილების რეექსპორტი) სიტუაციას არსებითად ვერ ცვლის. გარდა ამისა, სწორადაა დანახული ექსპორტის ზრდისკენ მიმართული ღონისძიებების (მაგალითად, სიმინდის ექსპორტის ნახალისება) კონტრპროდუქტიულობა. ზოგადად, სწორადაა შეფასებული საგადამხდელო ბალანსის კაპიტალის ანგარიშის ცალკეული ტენდენციებიც, კერძოდ ის რომ ხელისუფლებამ დაუსაბუთებელი ახალი ვალები აიღო, რითაც არსებითად გაუარესდა საქართველოს წმინდა საერთაშორისო საკრედიტო პოზიცია.

გაცვლითი კურსისა და ინფლაციის ტენდენციები, ზოგადად დამაკმაყოფილებლადაა განხილული. დანახულია ინფლაციის საფრთხე, ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებლები და დანაზოგების სიმცირე საბანკო სისტემაში, რაც მაღალი საპროცენტო განაკვეთის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

ქართული ოცნების პროგრამის მაკროეკონომიკურ ნაწილში არსებითი ადგილი ეთმობა საგარეო ვალის მართვის პრობლემატიკას. ვეთანხმებით ავტორებს იმაში, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საგარეო ვალის მაჩვენებლები მშპ-სთან მიმართებაში ჯერჯერობით ძალიან მაღალი არ არის, მაგრამ საჭიროა თანმიმდევრული და ფრთხილი პოლიტიკა იმისათვის, რათა სახელმწიფო საგარეო ვალი საგანგაშო ნიშნულს არ მიუახლოვდეს.

დღევანდელი სახელმწიფო საბიუჯეტო პოლიტიკის შეფასებისას პროგრამის ავტორები ხაზს უსვამენ ბიუჯეტის დაგეგმვაში და განხორციელებაში არსებულ ხარვეზებს, ასევე საბიუჯეტო პროცესის ნაკლოვანებას გამჭვირვალობის თვალსაზრისით.

მიუხედავად ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების სწორი წარმოდგენისა, ფაქტების შეფასება ერთგვარად არასრულია. კერძოდ, საგარეო სექტორის ანალიზისას ნახსენები არ არის მომსახურებით ვაჭრობის ანგარიში. ამ უკანასკნელში საქართველოს პოზიტიური ბალანსი აქვს და იგი საგადამხდელო ბალანსის შემავსებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ასევე, ჩვენი აზრით საჭიროა ნახსენები იყოს საგარეო ვაჭრობის შედარებით ძლიერი პოზიციებიც, როგორებიცაა ოქრო და თხილი. გარდა ამისა, ლითონის ჯართი ბოლო დროს სულ უფრო და უფრო მეტად იქნეს რეექსპორტის ხასიათს. რაც შეეხება მონეტარულ სტატისტიკას, აქ ადგილი აქვს გარკვეულ უზუსტობებს. მაგალითად ნათქვამია, რომ ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები 17-18%-ს შეადგენს, მაშინ როცა უცხოური ვალუტით ეს მაჩვენებელი 8-9% ფარგლებში მერყეობს. ეროვნული ბანკის მონაცემებით, ამჟამად დეპოზიტებზე ეროვნულ ვალუტაში საბაზრო განაკვეთი დაახლოებით 11%-ს შეადგენს. გარკვეულწილად სადავოა ის მოსაზრება, რომ უცხოურ ინვესტიციებს არ მოჰყოლია ტექნოლოგიების შემოტანა და შრომის მწარმოებლურობის ზრდა. უფრო კორექტული იქნებოდა განცხადება, რომ უცხოური ინვესტიციები არსებითად არ ასახულა საქართველოში დასაქმების მაჩვენებლებზე. მთლიანობაში, ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამაში მაკროეკონომიკური ფაქტობრივი მდგომარეობა, ცალკეული ხარვეზების გარდა, დამაჯერებლადაა წარმოდგენილი.

ზოგადად, ქართული ოცნების პროგრამის მაკროეკონომიკური სექცია თავისუფალია წინააღმდეგობებისაგან, თუმცა იგი ერთგვარი არასრულობის შთაბეჭდილებას ქმნის. კერძოდ, საუბარი არსადაა ფისკალური და მონეტარული

რული პოლიტიკის დასაქმების მასტიმულირებელ ფუნქციებსა და როლზე. არადა, ფორმალური დასაქმების დღეს არსებული დონის პირობებში ძალიან გართულდება საკრედიტო ბაზრის სრული ძალით ამოქმედება, ამასთანავე, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა დასაქმების მაღალი მაჩვენებლების გარეშე ძალიან შეზღუდულია. ჩვენი აზრით, გაცილებით ფართოდ უნდა იყოს განხილული უმუშევრობისა და არასრული დასაქმების მიზეზები და მათ გამოსასწორებლად შემოთავაზებული ფისკალური ღონისძიებები. მართალია დოკუმენტში ნახსენებია სპეციალური ფონდები, მაგრამ უნდა გვსემოდეს, რომ ასეთი ინსტრუმენტების ეფექტიანობა საკმარისად შეზღუდულია. დოკუმენტში ერთგვარ წინააღმდეგობას ქმნის ის, რომ ეკონომიკური განვითარების შეფერხების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად საკრედიტო რესურსის სიძვირე სახელდება, ხოლო ამავე დროს შემოთავაზებულია საკმაოდ მკაცრი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა. მოკლევადიან პერიოდში ფულის მასის ზრდის გარეშე საკრედიტო რესურსის გაიაფება ძალიან რთულია. მეორეს მხრივ, ასეთი პოლიტიკა ერთიორად გაზრდის ინფლაციის ალბათობას და საფრთხეს შეუქმნის სავალუტო კურსის სტაბილურობას. სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკა მოკლებულია სავალუტო კურსის გაუფასურებით ექსპორტის ნახალისების შესაძლებლობას, რადგან ქვეყანას ძალიან შეზღუდული საექსპორტო პოტენციალი გააჩნია, ხოლო იმპორტზე, განსაკუთრებით კი აუცილებელ საქონელზე (სურსათი, სანვაი, სატრანსპორტო საშუალებები) დიდწილად იმპორტულია.

აქტიური მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებების გატარების შემოთავაზებული ღონისძიება, კერძოდ სავალუტო ბაზარზე ინტერვენციებისა და სტერილიზაციის შესახებ, ერთგვარად ეწინააღმდეგება იმ მოყვანილ ფაქტს, რომ ეროვნული ბანკი აქტიურად ერეოდა სავალუტო კურსის ფორმირებაში, რასაც ეფექტური შედეგები ვერ მოჰქონდა.

ზემოთხსენებული წარმოადგენს დოკუმენტის მაკროეკონომიკური სექციის ნაწილის ჩვენებულ შეფასებას შინაგანი თანმიმდევრულობის თვალსაზრისით და არ ეხება ერთ რომელიმე ცალკეულ განცხადებას. საბოლოო ჯამში, მაკროეკონომიკური სექცია არ შეიცავს ისეთ მოსაზრებებს რომლებიც თავის თავში ძირეულად წინააღმდეგობრივია.

ქართული ოცნების პროგრამის მაკროეკონომიკური სექცია შედგენილია გააზრებულად, ძირითადი შემოთავაზებული ღონისძიებები ლოგიკურია. ავტორები აცნობიერებენ იმას, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის პოზიტიური ზეგავლენის რესურსი ეკონომიკაზე ერთგვარად შეზღუდულია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დოკუმენტი საფუძვლიანადაა მომზადებული. ეკონომიკურ ლოგიკას შეიცავს საბიუჯეტო პოლიტიკის თანმიმდევრულობისა და გამჭვირვალობის ასამაღლებლად გამიზნული, მონეტარული პოლიტიკისა და ცენტრალური ბანკის გაძლიერებისაკენ მიმართული ღონისძიებების დიდი უმრავლესობა. მისასაღმებელია საგარეო ვალის კონსერვატიული პოლიტიკის აღების ვალდებულებაც.

მიუხედავად ამისა, ეკონომიკურად არც თუ ბოლომდე ლოგიკურია განცხადება იმის შესახებ, რომ ფინანსურმა კრიზისმა შესაძლოა გამოიწვიოს უცხოურ საქონელზე ფასის ვარდნა, რაც გაზრდის მოთხოვნას და გააუარესებს საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსს. ეს ცხადი სულაც არაა, ვინაიდან იმპორტის მოცულობის ცვლილება დამოკიდებულია იმპორტირებული საქონლის ელასტიურობაზე ფასის მიხედვით. ამგვარად, საერთაშორისო საფინანსო კრიზისის ქართულ ეკონომიკაზე, იმპორტის ხაზით ზეგავლენა არაცხადია. პირიქით, ჩვენი აზრით, ის რომ უცხოურ საქონელზე ფასი შემცირდება კარგიც კია, რადგან მოქალაქეებს შეეძლება მრავალი საქონლის სახეობის შედარებით იაფად შეძენა. ამ ფონზე უცნაურია, რომ არ არის განხილული მსოფლიო ფინანსური კრიზისის შესაძლო ნეგატიური შედეგები საქართველოს ექსპორტზე, რომელზედაც იგი უშუალოდ აისახება.

არ მიგვაჩნია მთლად ლოგიკურად განცხადება, რომ სავაჭრო პარტნიორები სუბსიდირებას ახორციელებენ, ქართველი მწარმოებლის კონკურენტუნარიანობა მცირდება. კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს მწარმოებლურობა და სუბსიდირებით კონკურენტუნარიანობის ამაღლება ვერ ხდება. შემოთავაზებულია უხარისხო საქონლის იმპორტისა და დემინგს ვებრძოლოთ შიდა ბაზრის დაცვით, თუმცა გაუგებარია კონკრეტულად რა მექანიზმებით. აქ ლაპარაკია იმპორტისა და შიდა სავალუტო ბაზრის ანალიზზე, რაც ბაზრის დასაცავად საკმარისი ამკარად არაა. ამას გარდა განმარტებული არ არის და გაუგებარია რას ნიშნავს შიდა ბაზრის დაცვა.

იქ, სადაც საუბარია დეპოზიტებზე და სესხებზე საპროცენტო განაკვეთებზე, სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ მიუხედავად განაკვეთების კლებისა, ძალიან მაღალი რჩება ეგრეთ წოდებული სპრედი, ანუ სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე არსებულ განაკვეთებს შორის. ასევე, ჩვენი აზრით, ეროვნული ვალუტისადმი უნდობლობას უფრო მეტად განაპირობებს არასტაბილური ფისკალური პოლიტიკა, რომელიც მუდმივი ინფლაციური მოლოდინის წნეხს ქმნის. საქართველოში დღემდე ვერ მოხერხდა ბიუჯეტის პირველადი პროფიციტის მიღწევა, ურომლისოდაც ძალზე რთულია ეფექტიანი ფულადი პოლიტიკის გატარება.

ერთგვარად გაუგებარია განცხადება იმის შესახებ, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებლის შემცირებით გაიზრდება ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილი. გაუგებარია, თუ რა იგულისხმება ამ განცხადებაში. მიგვაჩნია, რომ ფართო საზოგადოებისათვის სპეციალური განმარტების გარეშე რთულად გასაგები იქნება შემდეგი განცხადება: „გატარდება ვალების მართვის ეფექტიანი პოლიტიკა, რომელიც გაითვალისწინებს თაობათა შორის სამართლიანობას და უზრუნველყოფს მდგრადი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ხელშეწყობას.“

ზოგადად, ეკონომიკური ლოგიკის თვალსაზრისით, მაკროეკონომიკური სექციის ტექსტის დიდი ნაწილი გამართულია და შემოთავაზებულ ღონისძიებებს შეუძლიათ გარკვეულწილად დადებითი შედეგების მოტანა მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში.

გასატარებელი მაკროეკონომიკური ღონისძიებები, ზოგადად, გადმოცემულია ძალიან ფრთხილად. ამის მიზეზი შესაძლო ისაა, რომ საქართველოს საკმაოდ სერიოზული პრობლემები, რომელთა უშუალოდ გადაჭრა მოკლევადიან პერიოდში და თანაც მაკროეკონომიკური პოლიტიკის შეზღუდული ინსტრუმენტებით ძალიან რთულია. ეს ეხება ლარის მიერ რეალური დაზოგვის საშუალების მოპოვებას, კაპიტალური რესურსის გაიაფებას, ექსპორტის მკვეთრ ზრდას და სხვა. უნდა ითქვას, რომ ჩვენი აზრით, დოკუმენტის ავტორები ამას სრულად აცნობიერებენ და გვთავაზობენ ღონისძიებებს, რომელთა უმრავლესობის განხორციელება ქვეყნის ბიუჯეტისა და მონეტარული პოლიტიკის მოწყობის კონტექსტში შესაძლებელია.

სავსებით შესაძლებელია სამენარმეო სფეროს ლიბერალიზაცია, ევროკავშირთან და აშშ-სთან მუშაობა უფრო ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმის მისაღებად. საბიუჯეტო სფეროში დაგეგმილი ღონისძიებები საბიუჯეტო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად, სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია.

ერთგვარად სკეპტიკურად ვუყურებთ დეპოზიტების დაზღვევის სქემის მეშვეობით, თუნდაც ამისთვის რესურსები დღესვე გააჩნდეს ქვეყანას და თუნდაც იმ შემთხვევაში, რომ ეს ღონისძიება მხოლოდ ცალსახა დადებითი შედეგების მომტანი იყოს, საკრედიტო ბაზარზე სიტუაციის კარდინალურ გაუმჯობესებას. სამწუხაროდ, მოკლევადიან პერიოდში დანაზოგების დრამატული ზრდა და სესხებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირება მოსალოდნელი არ არის.

არ მიგვაჩნია რომ სააქციო საზოგადოებების როლი ქართულ ეკონომიკაში უახლოეს პერიოდში ბევრად გაიზრდება. ქართული, და ზოგადად საქართველოს ზომის ქვეყნებში, სერიოზული საფონდო ბირჟის არსებობა პრობლემატურია და რეალურად არ ამის გადაუდებელი აუცილებლობა არსებობს. სერიოზულ საფონდო ბირჟას, სხვა აუცილებელ პირობებთან ერთად, ძალზე დახვეწილი, მორგებული კანონმდებლობა და ტრადიცია. ეკონომიკურად განვითარებულ ბევრ ქვეყანაში საფონდო ბირჟები ეკონომიკაში სერიოზულ როლს არ თამაშობენ, თუმცა ამით მათი ეკონომიკა დიდად არ ზარალობს.

ძალზე სკეპტიკურად მიგვაჩნია განცხადება იმის თაობაზე, რომ გამოსწორდება საგარეო სავაჭრო ბალანსის სტრუქტურა დივერსიფიცირებულ ექსპორტზე ორიენტირებული სანარმოების ნახალისებით. სამწუხაროდ, ეს მოკლევადიან პერიოდში მოსალოდნელი არ არის და არც წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას. მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდოს ძირითადი იმპლიკაცია ის არის, რომ მთავრობამ თავი უნდა

აარიდოს საკუთარი ხარჯების უცხოური წყაროებით დაფინანსებას. საგადამხდელო ბალანსის ფორმირებაში ჩართული ენდოგენური ფაქტორები თვითრეგულირებადია და მანამ, სანამ სახელმწიფო საბიუჯეტო და საგარეო ვალის პოლიტიკა მკაცრად კონსერვატიულია, საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი არც ისე საშიშია.

ზემოთჩამოთვლილი ცაკლკეული პოზიციების გარდა, ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამის მაკროეკონომიკურ სექციაში მოყვანილი ზომების უმეტესობა მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში გარკვეული დადებითი შედეგების მომტანია.

ქართული ოცნების პროგრამის მაკროეკონომიკური სექცია კარგადაა დაბალანსებული. მასში გააზრებულია ინსტიტუციონალურად გამართული საბიუჯეტო და ფულადი პოლიტიკის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ხაზგასმულია სახელმწიფოს მასტაბილიზებელი ფუნქცია. შემოთავაზებულ ღონისძიებებში არ იკითხება მკვეთრი, კარდინალური ნაბიჯები, ამასთანავე, აქცენტი გაკეთებულია გონივრულ ფისკალურ და თანმიმდევრულ მონეტარულ პოლიტიკაზე. სახელმწიფოს რეგულირების მექანიზმები გამოკვეთილია ზომიერად, რაც პროგრამას ცენტრისტულ ხასიათს ანიჭებს.

სოფლის მეურნეობა (EPRC)

ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამაში სოფლის მეურნეობის სექციას დიდი ადგილი ეთმობა. ამ პოლიტიკურ ძალას გააზრებული აქვს სოფლის მეურნეობის სექტორის მნიშვნელობა როგორც ეკონომიკისათვის, ასევე ზოგადად, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მონყობის კონტექსტში. საკმაოდ ვრცლადაა გაშლილი სოფლის მეურნეობაში დღეს არსებული არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და ამ მდგომარეობის განმაპირობებელი მიზეზები. სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი ტენდენციები მთლიანობაში კორექტულადაა მოყვანილი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დოკუმენტის ავტორები ერთგვარი სკეპტიციზმით უყურებენ სოფლის მეურნეობაში დასაქმების ოფიციალურ სტატისტიკას, რაზეც ის მიუთითებს, რომ სიტყვები დასაქმებულები და თვითდასაქმებულები ბრჭყალებშია ნახმარი, როცა შეფასებულია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი მთელ სამუშაო ძალაში. როგორც ჩანს, დოკუმენტი შექმნილია სიტუაციის საფუძვლიანი ანალიზისა და გააზრების შემდეგ. საკმარისად ვრცლადაა განხილული დღევანდელი არასახარბიელო ვითარების შემქმნელი ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მიწების ფრაგმენტაცია და მათზე საკუთრებითი ურთიერთობების მოუნესრიგებლობა, ძირითადი ინფრასტრუქტურის მოშლა, ტექნოლოგიური ჩამორჩენა, ფინანსური სახსრების სიძვირე და გააზრებული სახელმწიფო პოლიტიკის არქონა. ფაქტების სიზუსტის თვალსაზრისით, ქართული ოცნების პროგრამის სოფლის მეურნეობის სექციაში იგრძნობა საქმიანი, პრობლემისადმი მეთოდურად მიდგომის ტონი. ფაქტების შეფასებისას, ჩვენი აზრით ერთგვარად სადაოა აქ მოყვანილი განცხადება ცალკეული პროდუქციის ერთ სულზე მოხმარების შემცირების შესახებ, კერძოდ ის, რომ ერთ სულ მოსახლეზე 2011 წელს საქართველოში 2003 წელზე ნაკლები პური, ხორცი და ხორცის პროდუქტები, რძე და რძის ნაწარმი, კვერცხი, ხილი და ბოსტნეული მოიხმარებოდა. აქ, ალბათ, დღევანდელი სტატისტიკური აღრიცხვის ნაკლოვანებებთან უფრო გვაქვს საქმე. კერძოდ, სავარაუდოა, რომ ქვეყანაში მოსახლეობა ძალიან არსებითადაა შემცირებული, რაც ოფიციალურ სტატისტიკაში არ ჩანს. თუ ერთ სულზე მოხმარება ჯამური მოხმარების მთელ მოსახლეობაზე გაყოფით მიიღება, მაშინ გასაკვირი არაა, რომ ცალკეული პროდუქტის ერთ სულზე მოხმარება შემცირებული ჩანს. **მთლიანობაში, ფაქტების სიზუსტის თვალსაზრისით, ქართული ოცნების პროგრამის სოფლის მეურნეობის სექცია საკმაოდ კორექტული და გამართული დოკუმენტია.**

საპროგრამო დოკუმენტი ჩამოყალიბებულია კომპაქტური, გასაგები ფორმით. ავტორები თავს არიდებენ კატეგორიულ განცხადებებს და თამამ პროგნოზებს, რაც დოკუმენტს საკმარისად თანმიმდევრულს ხდის. გარკვეულწილად წინააღმდეგობრივია პარაგრაფი, სადაც საუბარია იმაზე, რომ ქვეყნის სამუშაო ძალის 54% სოფლადაა დასაქმებული, ამავე დროს კი სოფლადაც ცხოვრების პირობების გაუარესება მასობრივ მიგრაციას განაპირობებს. დოკუმენტის ავტორები იცნობენ სტატისტიკას და მათთვის ალბათ ცნობილია, რომ ოფიციალური

სტატისტიკა სოფლად დასაქმების ამ მაჩვენებელს დაახლოებით 10-15 წელია იუნყება. ამგვარად, გაუგებარია, როგორ მიმდინარეობს სოფლის მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია, როცა სოფლად დასაქმებულთა წილი არ იცვლება, ხოლო დოკუმენტის ავტორებს საქართველოს მოსახლეობის მათეული შეფასება წარმოდგენილი არა აქვთ. ამ პასაჟის გარდა დოკუმენტი არსებითი შინაგანი წინააღმდეგობებიდან თავისუფალია.

ქართული ოცნების მიერ შემოთავაზებული ღონისძიებები ეკონომიკური თვალსაზრისით გამართული და ნათლად ჩამოყალიბებულია. იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობაში სიტუაცია საკმარისად მძიმეა, დოკუმენტის ავტორები აქცენტებს აკეთებენ სიტუაციის თანდათანობით, თუმცა რეალურ გაჯანსაღებაზე. დაგეგმილია ღონისძიებები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელი ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა ინფრასტრუქტურის მოწყობა, ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიების დანერგვა, სურსათის უვნებლობა, რეგიონული პოლიტიკა და სხვა. მთლიანობაში, **შემოთავაზებული ღონისძიებები, ეკონომიკური თვალსაზრისით, რაციონალურია, თუმცა სასურველი იქნებოდა გადმოცემული ყოფილიყო შემოთავაზებული სახელმწიფო ფონდის ფუნქციონირების კონკრეტული მექანიზმები. სასურველი იქნებოდა უფრო ვრცლად ყოფილიყო წარმოდგენილი და გაშლილი ასეთი ფონდის კომპეტენცია, მართვის სტრუქტურა, არსებობის დროითი პერიოდები, მუშაობის ზოგადი სქემა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. იმის გამო, რომ ასეთი ტიპის ფონდების ეფექტური ფუნქციონირების ისტორია საქართველოში არ არსებობს, და ზოგადად, სახელმწიფოს მიერ ასეთი ტიპის ინსტრუმენტების მართვა არც თუ ისე ეფექტიანია, დოკუმენტის ეს კონკრეტული ნაწილი ერთგვარად ხარვეზიანია.**

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო და კერძო დაფინანსების ზრდა მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში სავსებით შესაძლებელია, მით უმეტეს, თუ შეიქმნება სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ფონდი. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებასა და ამოქმედებას, ეს ბევრად უფრო რთული ამოცანაა, ვინაიდან დახვეწილ ფინანსურ, საკანონმდებლო და იურიდიულ გარემოს მოითხოვს. არგუმენტად ის მოგვყავს, რომ საქართველოში დაზღვევის სისტემა ვერ გაიმართა ეკონომიკის ბევრად უფრო ნაკლებრისკიან სექტორებში. შესაძლებელია მოკლე და განსაკუთრებით საშუალოვადიან პერიოდში მიწის საკუთრებითი ურთიერთობების მოწესრიგება და ნაკვეთების გამსხვილების წინამძღვრების შექმნა. ამ ამოცანის შესასრულებლად სახსრები სახელმწიფოს დღესაც გაააჩნია. მწარმოებლურობისა და პროდუქციის ხარისხის არსებითი ზრდა ასევე სავსებით შესაძლებელია ამოცანად მიგვაჩნია. ერთგვარად პრობლემურია პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და ხარისხის იმგვარად ამაღლება, რომ შესაძლებელი გახდეს ევროპულ და სხვა წამყვან ბაზრებზე გასვლა, თუ არ ჩავთვლით უკვე დღეს არსებულ საექსპორტო პოზიციებს (მაგალითად, თხილი). ასევე შესაძლებელია საშუალოვადიან პერიოდში სასოფლო შემოსავლების საარსებო მინიმუმის უფრო მაღალ დონეზე გაზრდა, თუმცა საარსებო მინიმუმის ეკონომიკური განმარტება და ზუსტი გაზომვა ერთგვარად პრობლემურია. **საშუალოვადიან პერიოდში საქართველოში სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი სიმძლავრეების შექმნა შეიძლება, თუმცა მათ ოპტიმალურ დატვირთვას მეტი დრო დასჭირდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატება მნიშვნელოვანწილად საგარეო ეკონომიკურ კონიუნქტურაზეც იქნება დამოკიდებული, რაც არსებითად ართულებს დასახული მიზნების მიღწევის ამოცანას.**

ქართული ოცნების პროგრამის სოფლის მეურნეობის სექცია დაბალანსებული დოკუმენტია. მასში გამოკვეთილია სახელმწიფოს ხელშემწყობი როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. აქ შემოთავაზებული ღონისძიებები, ჩვენი აზრით, საბაზრო ურთიერთობების ერთგვარი აუცილებელი შემავსებელია და გულისხმობს საბაზრო ინსტიტუტების შექმნასა და მათი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის სახელმწიფოს როლის გაძლიერებას. **პროგრამაში არაა შემოთავაზებული საბაზრო ურთიერთობების სახელმწიფო მიერ მკვეთრი ჩანაცვლების ღონისძიებები, თუმცა სახელმწიფო რესურსებით სასოფლო-სამეურნეო ფონდის შექმნა საკმარისად მემარცხენე მიმართულების ღონისძიებაა. საბოლოოდ, დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური რეალობის კონტექსტში პროგრამა უფრო ცენტრისტული ხასიათისაა.**

სოციალური უზრუნველყოფა (LAT)

კოალიციის პროგრამაში დეტალურად არის წარმოჩენილი სოციალური პოლიტიკის ხედვა, რომელიც სახელმწიფო სტიმულირების და ეკონომიკური პოლიტიკასთან თანხვედრაშია განხილული. სოციალური სფეროს რეფორმა ეფუძნება მდგრადი სოციალური დაცვის სისტემების შექმნას. პროგრამა მოიცავს არსებული სისტემის ანალიზს და ამ სფეროში განსახორციელებელ რეფორმებს, რომლებიც თავის მხრივ ეტაპობრივად არიან განერილი. პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია სოციალური სისტემის საკანონმდებლო ხარვეზებზე. კერძოდ იმაზე, რომ ქვეყანაში არ არსებობს კერძო (ნებაყოფლობითი) და სახელმწიფო (სავალდებულო) საპენსიო სისტემა. ასევე არ მოქმედებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სახელმწიფო პენსიის განმარტება და იგი ფაქტობრივად ხანდაზმულობის შემწეობასთან არის გაიგივებული. მართებულია არასახელმწიფო დაზღვევის და უზრუნველყოფის შესახებ კანონის ამოქმედების აუცილებლობის დაყენება და სახელმწიფო პენსიის მხოლოდ საბიუჯეტო სახსრებიდან გადახდის ნაკლოვანებების წარმოჩენა. პროგრამაში ლაპარაკია დემოგრაფიული ტენდენციებზე, რომელიც გათვალისწინებით პენსიების უშუალოდ ბიუჯეტიდან დაფინანსება გამოიწვევს ბიუჯეტის მუდმივად ზრდად დანახარჯებს. თუმცა მინიშნებული უარყოფითი დემოგრაფიული ტენდენციები არ არის ემპირიულად გამყარებული. პროგრამაში სწორად არის მითითებული, რომ სახელმწიფო და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის სისტემა მოითხოვს უნიფიცირებულ კანონმდებლობას და ახალი სისტემა უნდა დაეყრდნოს ევროპის სოციალურ სივრცეში დამკვიდრებულ პრინციპებს: სამართლიანობას, სოლიდარობას და გარანტირებულობას.

პროგრამაში სოციალური სფეროს პრობლემების განხილვა და შემოთავაზებული რეფორმები თანმიმდევრულია. ზოგადად არის ლაპარაკი სოციალური სისტემის სფეროში ბოლო წლებში განხორციელებულ რეფორმებზე და სათანადოდ არ არის დაკავშირებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საგანგაშო მდგომარეობასთან. ასევე არასაკმარისად არის დასაბუთებული სოციალური დახმარების გაცემის სისტემის ნაკლოვანებები და არაეფექტურობა. შედარებით ბუნდოვანია ასევე პროგრამის ის ნაწილი, სადაც საუბარია არასრული სტაჟისა და შენატანების მქონე მოქალაქეებისათვის სოციალური პენსიის დანიშვნაზე. არ არის განმარტებული თუ რა არის სრული სტაჟი და რატომ უნდა ერქვას მას სოციალური პენსია, თუ კი ეს ადამიანები არ მიეკუთვნებიან არც ერთ სოციალურად დაუცველ, შეჭირვებულ, მოძრაობაშეზღუდულ ან სხვა ოჯახს. თანმიმდევრულია მსჯელობა, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ბაზა, შეფასების ახალი სისტემის გათვალისწინებით დიფერენცირებული უნდა იქნეს კატეგორიებად. შესაბამისად დახმარებაც ამ კატეგორიებისათვის დიფერენცირებული იქნება. სწორად არის აქცენტირებული ქვეყნის მასშტაბით სოციალურად დაუცველ პირთა შეფასების, მომსახურებისა და ადმინისტრირების ფუნქციების მუნიციპალურ ორგანოებზე დელეგირება, რაც დეცენტრალიზირებული მმართველობის კონტექსტში განიხილება და მისი ეფექტიანი მიწოდებისთვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს. *ამ სისტემაში ადგილობრივი მუნიციპალური სტრუქტურების ჩართვა ერთის მხრივ გააძლიერებს თვითმმართველობის როლს და იმიჯს მოსახლეობაში, ხოლო მეორეს მხრივ კი გაცილებით ეფექტური გახდება შეჭირვებული ოჯახების გამოვლენა და შეფასება, რადგან მათ შესახებ ყველაზე უკეთესად იციან ადგილობრივმა მოსახლეობამ და ისინი მათი საზრუნავი უნდა გახდეს.*

პროგრამით შემოთავაზებული საპენსიო სისტემის რეფორმა, რომელიც გულისმობს ამ სისტემის დაგროვებით პრინციპზე გადასვლას ნაწილობრივ თანმიმდევრულია. ერთის მხრივ ზოგადად ლაპარაკია სავალდებულო დაგროვებით საპენსიო დაზღვევაზე, რომლის ფარგლებში კერძო კომპანიებს უნდა ქონდეთ წამყვანი როლი, ხოლო სახელმწიფო მხოლოდ მარეგულირებელი ფუნქციით უნდა შემოიფარგლოს. მეორეს მხრივ პარტია პირველ ეტაპზე ვალდებულებას იღებს ყველა ასაკის პენსიონერებისთვის არანაკლებ საარსებო მინიმუმის ექვივალენტი პენსიებით უზრუნველყოფაზე. დაგროვებითი კაპიტალის საპენსიო სისტემაში საპენსიო ასაკში შესული ინდივიდების მიერ მიღებული შემოსავლები ეფუძნება ანაზღაურებას, რომელიც მისი ეკონომიკურად აქტიური პერიოდის განმავლობაში დაგროვდა კაპიტალურ ბაზარზე ინვესტირებულ დანაზოგებზე და მოიცავს ასევე ამ პერიოდში დაბანდებულ კაპიტალზე დაგროვებულ საპროცენტო განაკვეთს. მთელი რიგი

კითხვები იბადება იმასთან დაკავშირებით, რომ იმ შემთხვევაში თუ დაგროვილი შენატანების თანხა არ არის საკმარისი მინიმალური პენსიის რაოდენობის უზრუნველსაყოფად, მაშინ სხვაობას დაფარავს სახელმწიფო? მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ არის შესაძლებელი პენსიის მიღების მოთხოვნის დაყენება თუ განსაზღვრული იქნება ინდივიდუალურ დანაზოგების ანგარიშზე შენატანების აკუმულირების მინიმალური დრო (მაგალითად 20 ან 25 წელი)? გარდა ამისა საპენსიო ფონდის გაკოტრების შემთხვევაში სახელმწიფო თავის თავზე იღებს დაზღვეულთა საპენსიო უფლებების დაკმაყოფილებას? პარტიის პროგრამულ ნაწილში ამ კითხვებზე პასუხი ჯეროვნად არ არის გაცემული.

პენსიის საარსებო მინიმუმთან განონასწორება რეალურია, რამდენადაც საპენსიო ტვირთის გარკვეული ნაწილი გადადის დაგროვებით სისტემაზე და შესაბამისად საბიუჯეტო ხარჯებზე ზენოლა არ იქნება ძლიერი. შესაძლებელი გახდება სოციალური დახმარების გაორმაგებაც. სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა წაახალისებს ქვეყანაში დანაზოგების ზრდას, ასევე დაგროვილი საპენსიო თანხების რეალიზაცია სახელმწიფო ვალდებულებების ზრდას გამოიწვევს. შედარებით რთულად განხორციელებადია პენსიის სიდიდის დამოკიდებულება ფიქსირებული გახდეს სადაზღვევო სტაჟსა და სადაზღვევო შენატანებზე. რამდენადაც, პროგრამის თანახმად, სახელმწიფო ინარჩუნებს მარეგულირებელ ფუნქციას, კერძო შენატანები კერძო სადაზღვევო ფონდებში მხოლოდ მეორად საფონდო ბირჟებზე იქნება შესაძლებელი განთავსდეს, სადაც სახელმწიფო ვალდებულებები გაიცვლება საპენსიო თანხებში, სახელმწიფოს მიერ გაყიდული ვალდებულებები კი რყევებით იქნება გამორჩეული, გამომდინარე მისი სავალდებულო მდგომარეობიდან, ხოლო სადაზღვევო ფონდების მმართველ კომპანიებსაც სხვადასხვა პერიოდში მოუწევთ სხვადასხვა რისკებთან გამკლავება, რაც აისახება კიდევ პენსიების ოდენობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მექანიზმი შედარებით უმტკივნეულოა საფონდო ბირჟებზე განთავსებულ სხვა საინვესტიციო რესურსებთან შედარებით, დინამიურ განვითარებას ვერ ექნება ადგილი და დაბანდებული პენსიის სიდიდე ვერც ცალსახად მხოლოდ სტაჟსა და შენატანების რაოდენობას დაემყარება.

მნიშვნელოვანია დაგროვებითი საპენსიო სისტემა. ამ პოლიტიკის განხორციელება კი მეტად დამოკიდებულია საგადასახადო სტიმულებზე და დღეს არსებული საგადასახადო კოდექსის ცვლილებებზე. რა სავალდებულოც არ უნდა გახდეს დაგროვებითი საპენსიო სისტემა, იგი სრულფასოვანი ვერ იქნება, თუ დამსაქმებლებსაც და დასაქმებულებსაც არ მიეცემათ საშუალება თავიანთი საშემოსავლო, მოგების თუ სხვა სახის გადასახადიდან კერძო საპენსიო ფონდებში გადახდილი თანხებს არ ექნებათ უპირატესი მასტიმულირებელი პირობები. ამის შესახებ კი პროგრამა არაფერს არ ამბობს. მსოფლიოში გავრცელებული ეს პრაქტიკა კი მართლაც იმსახურებს ყურადღებას. პროგრამაში გათვალისწინებულია სპეციალიზირებულ დაწესებულებების ამოქმედება, რომლებიც მონოდებულნი იქნებიან შეუქმნან შესაბამისი პირობები ხანდაზმულებს, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, შეზღუდული უნარის მქონე ადამიანებს და სხვ. მათი მართვა და დაფინანსება რეგიონალურ და მუნიციპალურ ხელისუფლებას გადაეცემა. თუმცა აქაც არ არის საუბარი იმის შესახებ, თუ რა რესურსებით შეძლებენ მუნიციპალიტეტები მათ დაფინანსებას. თვითმმართველობის დღევანდელი საბიუჯეტო მოწყობა ძალიან შორსაა იმისგან, რომ რეგიონებმა შეძლონ სპეციალიზირებული დაწესებულებების შენახვა, კერძო შენატანები დიდ როლს ითამაშებენ, მაგრამ როგორც დღევანდელი პრაქტიკა მეტყველებს, სანამ ამ ორგანიზაციებს ჰყავთ დონორი, ან აქვთ გრანტი, ძირითადად უცხოური, მანამდე ფუნქციონირებენ, შემდეგ კი სავალდებულო მდგომარეობაში ვარდებიან. საჭიროა სტაბილური დაფინანსება, რომელიც მხოლოდ თვითმმართველობის ახალი საბიუჯეტო მოწყობის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს.

პროგრამის ეს ნაწილი სრულად შეესაბამება საქართველოს ევროპული განვითარების მიმართულებას და პროგრამაც დასავლეთ ევროპული სოციალურ-დემოკრატიული ხასიათისაა. საბაზრო ელემენტების როლის გამოკვეთა საპენსიო სისტემაში ნაწილობრივ ანეიტრალებს საყოველთაო დაზღვევის „მემარცხენეობის“ ელემენტებს. სოციალური დაცვის სისტემა თავისი ბუნებით სოციალისტურია, რადგან მხოლოდ სახელმწიფოს პრიორიტეტულ როლზეა აქცენტირებული და სათანადოდ არ არის სოციალური დაცვის საბაზრო ელემენტები განხილული.

კოალიცია „ქართული ოცნების“ შემთხვევაში, ჯანმრთელობის დაზღვევის პოლიტიკა განხორციელდება ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებთან ერთად. საყოველთაო დაზღვევის სტანდარტულმა საბაზისო კალათამ უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, ფინანსური რისკებისაგან დაცვა, დაავადებათა პრევენცია და საბაზისო პაკეტით გათვალისწინებული მკურნალობა. პარტიის დაპირებები, რომ სამედიცინო დაზღვევით დაიფარება მოსახლეობის 100% ზომიერად პოპულისტურია და ნაწილობრივ რეალისტურია, თუმცა იგი მოითხოვს დღევანდელ ბიუჯეტში სამედიცინო დაზღვევაზე გამოყოფილი თანხების ჯეროვან გაზრდას (2012 წელს ნაციონალური მოძრაობის – მართველი პარტიის – ბიუჯეტის პროექტში ამ მიზნით გამოყოფილია 168 მილიონი ლარი, რომელმაც უნდა მოიცვას მოსახლეობის 50%-ი). პარტიის პროგრამაში არ არის მითითებული საიდან მოხდება ამ თანხების მობილიზირება. საყოველთაო დაზღვევის საწყის ეტაპზე, რომელმაც უნდა მოიცვას საქართველოს მოსახლეობა, გაძლიერდება საბიუჯეტო ხარჯებზე წნეხი, და საყოველთაო დაზღვევის სტანდარტული კალათის ღირებულება დამოკიდებული იქნება იმაზე თუ, რამდენად შესაბამისობაში იქნება გამოყოფილი სახელმწიფო ფინანსების ოდენობა სამედიცინო მომსახურებაზე გაზრდილ მოთხოვნასთან. შესაბამისად, შესაძლებელია საყოველთაო დაზღვევამ და შეზღუდულმა სახელმწიფო ფინანსებმა ზემოქმედება მოახდინოს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე, ყველა შემთხვევაში სტანდარტული საბაზისო კალათის ზემოთ სამედიცინო მომსახურების ფასები შესაძლებელია გაიზარდოს, ამ მდგომარეობას ხანგრძლივ პერიოდში გაანეიტრალებს ჰოსპიტალურ სექტორში სახელმწიფო და მუნიციპალიტეტური ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც ასევე დამატებით ინვესტიციებთან იქნება დაკავშირებული სახელმწიფოს მხრიდან. ლოგიკურია კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ კერძო დამატებითი, ბაზისური კალათით გათვალისწინებულზე მეტი, მომსახურების განევა, რაც მხოლოდ მოსახლეობის და დამსაქმებლების კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული. ძირითადი აქცენტი კი მაინც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სადაზღვევო სისტემაზე მოვა. დადებითი მომენტია სამედიცინო დაზღვევაზე განეული ხარჯების გამოქვითვებში გათვალისწინება, რაც თავის მხრივ წაახალისებს დასაქმებულების მიერ ბაზისური კალათით გათვალისწინებულზე მეტი რისკების დაზღვევას.

პროგრამათავისიარსითთანმიმდევრულიადაგანხორციელდება. მასექნებაგანსხვავებულიშედეგისანმოკლედახანგრძლივპერიოდებშიდამხოლოდსაბიუჯეტოშემოსავლებისდინამიურიზრდისპირობებშიგამოიღებსშედეგს. სახელმწიფო დაფინანსება პროგრამის ძირითადი ქვაკუთხედი. ამ მიზნით კოალიცია გეგმავს ფინანსების მართვის ახალი სტრუქტურის დანერგვას, რომელიც არამომგებიანი არასახელმწიფო ინსტიტუტის სახით იქნება წარმოდგენილი. მართალია, ასეთი ინსტიტუტის დაფუძნება გამართლებულია ჯანდაცვის სფეროში, მაგრამ მისი მართვა საბჭოს სახით ერთობ ფორმალური ხასიათის იქნება, რამდენადაც განსხვავებული ინტერესების მქონე ადამიანებისაგან დაკომპლექტდება (პაციენტები, ჯანდაცვის სფეროს მენარმეები, არასამთავრობო ორგანიზაციები) და არც ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება გამოირიცხოს. პროგრამაში არ არის ასახული, თუ ვინ მოახდენს საბჭოს წევრების არჩევას და დაკომპლექტებას, რამდენად უზრუნველყოფილი იქნება ასეთი პრინციპით ფორმირებული ორგანიზაციის მიერ ფინანსების ეფექტიანი მართვა.

პროგრამა ითვალისწინებს სამედიცინო მომსახურების თანაბრად გადანაწილებას მთელი ქვეყნის მასშტაბით და სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო ჰოსპიტლების ქსელის განვითარებას. იდეაში ეს ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის, რადგან თითოეულ ამ ინსტიტუტს განსხვავებული მომსახურების მიწოდება შეუძლია, მაგრამ ფრაგმენტული და დეკლარირებულია პროგრამის ის მხარე, სადაც აღნიშნულია სახელმწიფო და კერძო სერვისებს შორის არჩევანის თავისუფლება და კონკურენტული გარემოს ფორმირება.

თუ საბაზისო პაკეტის მფლობელი დამოკიდებული იქნება არამომგებიანი არასახელმწიფო ინსტიტუტის მიერ შეთავაზებულ პროვაიდერთან მიიღოს მომსახურება, მაშინ იგი შეზღუდავს პაციენტის არჩევითობის თავისუფლებას და მოახდენს სამედიცინო მომსახურების ლიმიტირებას, რაც აისახება კიდევ მომსახურების ფასებზე,

ხოლო თუ პაციენტს შეეძლება არასახელმწიფო არამომგებიანი მარეგულირებელი ინსტიტუტის გარეშეც მიიღოს გადაწყვეტილება – რაც არ იკითხება პროგრამით – მაშინ კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალური ჯანდაცვის ორგანიზაციებს აუცილებლად ექნებათ განსხვავებული საფასო მომსახურება და მომსახურების სახეები. ასეთ შემთხვევაში ისინი შეეცდებიან თავიანთი სეგმენტები განსაზღვრონ სხვადასხვა შემოსავლების და მოთხოვნილების მქონე მოსახლეობის სახით. ამდენად კითხვის ნიშნები ჩნდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ჩამოყალიბდება კონკურენტული გარემო ჯანდაცვის სფეროში.

დეკლარირებული განცხადებები ჯანდაცვის ხარისხის და სტანდარტიზაციის ეროვნული პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობაზე კიდევ უფრო საქმიანს ხდის პროგრამის ამ ნაწილს, რადგან ჯანდაცვის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების ქცევის ნორმების და გაიდლაინების დანერგვა სადაზღვევო კომპანიებისთვის ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანია, ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტების ფორმირება, რაც გააუმჯობესებს ცენტრალური ხელისუფლების ინფორმირებას ავადმყოფობის პრევენციის მიზნით. მთლიანობაში წრამოდგენილი ჯანდაცვის პოლიტიკა არის საქმიანი, ეყრდნობა სახელმწიფოს ინსტიტუციონალურ რეფორმებს, მიმართულია ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და მის საყოველთაო მნიშვნელობის გაზრდაზე. პარტიის ჯანდაცვის სფეროს პოლიტიკა უფრო მეტად ევროპულ სოციალურ-დემოკრატიულ ვექტორზეა ორიენტირებული.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

ბანათლება (ISET-PI)

ედუ-ს პროგრამა არ შეიცავს პარტიის ხედვას განათლების სფეროზე. იგი ძირითად აქცენტს აკეთებს უმუშევრობის დაძლევის პროგრამებზე, დაზღვევაზე და სხვა სოციალურ პროგრამებზე. თუმცა, პარტიის ლიდერთა განცხადებებიდან გამომდინარე, პარტიის ხედვით, სასწავლო კრედიტის დაფარვა დიპლომის აღების შემდგომ უნდა ხდებოდეს, როდესაც ახალგაზრდას საკუთარი შემოსავლის წყარო უჩნდება; ასევე, პარტიის მიზანია გახადოს პედაგოგის პროფესია პრესტიჟული, რაც მიიღწევა მაღალი ხელფასებითა და შრომითი უფლებების საკანონმდებლო გარანტიით.

იქმნება იმის შთაბეჭდილება, რომ პარტიის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ეკონომიკაში არსებულ რესურსთა გადანაწილება და არა გრძელვადიანი მდგრადი ზრდა. უმუშევრობის დაზღვევა, დასაქმების სააგენტოს შექმნა, გრანტები მცირე ბიზნესისათვის, სოფლის მეურნეობის სუბსიდირება, სოციალურად დაუცველი ფენისათვის სხვადასხვა სოციალური დახმარების პროგრამების შემუშავება დიდწილად ემსახურება ეკონომიკაში არსებული რესურსების სამართლიან გადანაწილებას, რაც პოლიტიკური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია თუ სახელმწიფო მიისწრაფის სოციალ-დემოკრატიული წყობისაკენ. ამგვარი პოლიტიკა მოკლევადიან პერიოდში საზოგადოებას ტოვებს მეტ-ნაკლებად კმაყოფილს და ემსახურება სამართლიან მიზნებს. პრობლემა არის ის, რომ სოციალური პოლიტიკა ვერ გამოიწვევს გრძელვადიან ზრდას, ხოლო გრძელვადიანი ზრდა უნდა იყოს ყოველი სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი.

გრძელვადიან პერიოდში, ეკონომიკის მდგრადი ზრდის უმთავრესი მამოძრავებელი ძალა არის განათლება, რომელიც ქმნის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანურ რესურსს, რომელსაც უჩნდება იმისი მოტივაცია და უნარი, რომ შექმნას სიახლე ეკონომიკაში, გახადოს წარმოებული პროდუქცია კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე, აღმოაჩინოს და დაეუფლოს ახალ საბაზრო სემენტებს და ა.შ. ედუ-ს პარტიის ლიდერები აღიარებენ, რომ დღეს-დღეისობით არსებობს ერთობ სუსტი კავშირი განათლებასა და ეკონომიკურ საქმიანობას შორის, თუმცა არ იძლევიან იმ გზებსა და მეთოდებს, რომლებითაც მოხდებოდა ამ კავშირის გამყარება.

ამგვარი მიდგომა გამართლებულია თეორიულად და აპრობირებულია დასავლეთში. პირველ რიგში ამისათვის უნდა არსებობდეს ნება ბანკებისაგან და სხვა სესხების გამცემი ორგანიზაციებისაგან. უმეტეს შემთხვევაში ამგვარი ნება არ არსებობს თუ არ ჩაერია სახელმწიფო როგორც გარანტორი. სტუდენტებისათვის სესხის გაცემა და ამ სესხის გამოთხოვნა მხოლოდ სწავლის დასრულების შემდგომ დაკავშირებულია დიდ რისკებთან, როგორცაა მაგალითად იმისი რისკი, რომ სტუდენტი ვერ დაამთავრებს სწავლას, ვერ იპოვის სამუშაო ადგილს, იპოვის სამუშაო ადგილს, მაგრამ არ ექნება შესაბამისი შემოსავალი და სხვა. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო იშუამავლებს სტუდენტსა და გამსესხებელს შორის, როგორც გარანტორი, რისკი გადადის გამსესხებელიდან სახელმწიფოზე და ბაზარზე ჩნდება სასწავლო სესხის მინოდება. თუმცა, ამგვარი რისკის აღება სახელმწიფოსათვის, სადაც არის უმუშევრობის მაღალი დონე და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები უმეტეს შემთხვევაში ვერ პოულობენ სამუშაო ადგილს, დაკავშირებული იქნება დიდ საბიუჯეტო სახსრებთან და დანაკარგებთან, რაც კისერზე დაანგება ისევ საზოგადოებას გადასახადების სახით ან/და გაზრდის ფისკალურ დეფიციტს.

დასაქმება (ISET-PI)

უმუშევრობის დაძლევა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (ედუ) წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს. ედუ მიიჩნევს, რომ უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია

დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს შექმნა. სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი მიზანი იქნება უმუშევართა დარეგისტრირება და შესაბამისად, მათთვის უმუშევრის სტატუსის მინიჭება. ამასთან, სააგენტო უზრუნველყოფს უმუშევართა გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას ბაზარზე არსებული ვაკანსიების და შესაბამისად, მოთხოვნადი პროფესიების მიხედვით. ედპ-ს განცხადებით მათ მიერ პროექტში წარმოდგენილი დასაქმების სააგენტო სისტემურად და სტრუქტურულად განსხვავებული ორგანო იქნება მერაბიშვილის მიერ შექმნილი დასაქმების სამინისტროსგან. სააგენტოს ექნება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რაც სამინისტროს არ გააჩნია.

ედპ ასევე გამოდის „უმუშევრობის დაზღვევის შესახებ“ კანონის შემოღების ინიციატივით, რომელიც ითვალისწინებს უმუშევართა სავალდებულო დაზღვევას. უმუშევრობის სავალდებულო დაზღვევის მიზანი იქნება კომპენსაციის გაცემა მუშაკებზე და საჯარო მოხელეებზე სამუშაო ადგილის დაკარგვის, ასევე მენარმის გაკოტრების შემთხვევაში. უმუშევართათვის კომპენსაციის გაცემა დასაქმების სააგენტოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იქნება. უმუშევრობის დაზღვევის შემოღება მნიშვნელოვანია მოქალაქეთა შემოსავლების სტაბილიზაციისათვის, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ უმუშევართათვის შემწეობების გაცემამ შესაძლოა შეამციროს უმუშევართა სტიმული მოძებნონ სამუშაო, რამაც შესაძლოა პრობელის კიდევ უფრო გამწვავება გამოიწვიოს. პარტიის პროგრამის მიხედვით უმუშევართათვის გასაცემი კომპენსაციების დასაფინანსებლად შეიქმნება სპეციალური ფონდი, რომელიც შეიცვება სადაზღვევო შენატანებით, რომელსაც გადაიხდის როგორც დაქირავებული, ასევე მენარმეები და სახელმწიფო. თუმცა პარტიის პროგრამულ დოკუმენტში არ არის საუბარი თუ რა მოცულობის ფულადი სახსრები იქნება საჭირო უმუშევართა სავალდებულო დაზღვევის პროგრამის დასაფინანსებლად, შესაბამისად, რთულია შეფასდეს ამ ინიციატივის რეალისტურობა და ეკონომიკური მიზანშეწონილობა. თუმცა ამ ინიციატივის განხორციელების შედეგად საბიუჯეტო დანახარჯების გაზრდა გარდაუვალია. ამიტომ, უმუშევართა დაზღვევის შემოღება საჭიროს გახდის ან უკვე არსებული გადასახადების ზრდას, ან ახალი ტიპის გადასახადის შემოღებას. უკიდურესად მემარცხენე პროგრამის გამო უნდა ვივარაუდოთ, რომ ედპ ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას შეეცდება, ამ ახალი/გაზრდილი გადასახადების მენარმეებისთვის დაკისრებას, რაც მენარმეების სტიმულზე უარყოფითად იმოქმედებს.

მაკროეკონომიკური საკითხები (EPRC)

ეროვნულ დემოკრატიის მიერ წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტები: „ედპ მზადაა ხელშეკრულება დადოს საკუთარ ხალხთან!“ და „დასაქმების პროგრამა.“ პირველი მათგანი უფრო პლატფორმის ტიპის დოკუმენტია, ხოლო მეორე აქვს პროგრამის გარკვეული ნიშან-თვისებები. პირველ მათგანში საქართველოში დღეს არსებული მაკროეკონომიკური ვითარება განხილული პრაქტიკულად არ არის. მეორე დოკუმენტში საუბარია, მაკროეკონომიკური მდგომარეობის ერთ ასპექტზე – უმუშევრობაზე. ეს უკანსაკნელი საკმაოდ მოკლედ, თუმცა კორექტულადაა გადმოცემული. სხვა მაკროეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით, ედპ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ხედვის შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ედპ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები საკმარისად კომპაქტური და მცირე ზომისაა. მსჯელობა მასში ნაკლებია. დოკუმენტები წარმოადგენენ სურვილების დეკლარაციას. „დასაქმების პროგრამა“ შეიცავს ერთ ლონისძიებას, დასაქმების ხელშეწყობას სპეციფიკური სახელმწიფო სააგენტოს შექმნის გზით. იმდენად რამდენადაც დოკუმენტებში ვრცლად არაა განცხადებული სამოქმედო გეგმის შესრულების კონკრეტული მექანიზმების, დროში განერილი კონკრეტული მიზნების შესახებ, იგი შეიძლება თანმიმდევრულად ჩაითვალოს. თუმცა, სწორედ იმ მიზეზით, რომ ედპ-ს მიერ წარმოდგენილი მასალა ძალიან მწირია, იგი შინაგანი თანმიმდევრულობის თვალსაზრისით შეიძლება საშუალოდ შეფასდეს.

ეკონომიკური ლოგიკა არის საპენსიო სისტემის რეფორმირების შემოთავაზებულ ღონისძიებებში. სოფლის მეურნეობისა და დასაქმების პრობლემის ხედვა ძალიან გამარტივებულია, შესაძლოა პრიმიტიულიც კი.

უმუშევრობა მეტად რთული პრობლემაა და მხოლოდ დასაქმების სააგენტო მის დაძლევას ვერ შეძლებს. უმუშევრობის დაზღვევა და უმუშევრების გადამზადება შესაძლოა საკმარისად კეთილშობილი მიზნებია, მაგრამ მათ სახსრები და დრო სჭირდებათ, რომლებიც პროგრამაში ნახსენები ნაკლებადაა. თავისთავად დასაქმების სააგენტოს საქმიანობის დაწყება არ ნიშნავს არც პოზიტიურ და არც ნეგატიურ ზეგავლენას შრომის ბაზარზე.

ედპ-ს მიერ დასახული ღონისძიებები, როგორც ასეთი, შესრულებადია. თუმცა, სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი შესრულებისათვის საჭირო რესურსებზე და დროზე. პროგრამაში ძალიან ნაკლებია საუბარი ღონისძიების შესრულების მექანიზმებზე.

„ედპ მზადაა ხელშეკრულება დადოს საკუთარ ხალხთან!“ დოკუმენტის შესავალში პირდაპირ წერია, რომ ედპ სოციალური საბაზრო ეკონომიკის სახელით ცნობილი კურსის მხარდამჭერია.

სოფლის მეურნეობა (EPRC)

ედპ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში იმდენად ცოტაა მსჯელობა, რომ მისი შეფასება შინაგანი თანმიმდევრულობის თვალსაზრისით, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ავტორებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოს დახმარების გარეშე სოფლის მეურნეობა ვერ განვითარდება. ამიტომაც ნახსენებია სუბსიდირება, უფასო კონსულტაციები, დაზღვევა და სხვა ღონისძიებები. შემოთავაზებული ღონისძიებები სრულად შეესაბამება ედპ-ს კრედოს, რომ სოფლის მეურნეობა სახელმწიფოს გარეშე ვერ განვითარდება. მაგრამ, თუ პარტიას ასე მიაჩნია, აუცილებელია ჩამოითვალოს სახელმწიფოს ჩარევით განსახორციელებელ ღონისძიებათა მთელი სია, რაც აქ მოყვანილი არ არის.

ეკონომიკური ლოგიკაზე პროგრამასთან მიმართებაში ვერ ვისაუბრებთ, რადგან საპროგრამო დოკუმენტში არ არის მოყვანილი ღონისძიებების საჭიროების დასაბუთება.

შემოთავაზებული ღონისძიებები შესაძლებელია განხორციელდეს. მაგრამ ედპ-ს დოკუმენტში არც კონკრეტული ვადები, რაოდენობრივი მიზნები და სახსრებია ნახსენები. ამგვარად, დოკუმენტის ამ ნაწილის შეფასება, პრაქტიკულად შეუძლებელია.

ეროვნულ დემოკრატიების პლატფორმის სოფლის მეურნეობის სექცია უკიდურესად მემარცხენეა. მიჩნეულია, რომ სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის გარეშე ამ დარგის განვითარება შეუძლებელია.

სოციალური უზრუნველყოფა (LAT)

საბაზისო პენსიის მიზმა საარსებო მინიმუმთან ცნობილი, არაახალი პოპულისტური განცხადებაა და მას ხშირად იყენებენ სხვადასხვა პარტიები იმის აღსანიშნავად, რომ საბაზისო პენსიამ უნდა უზრუნველყოს ხანდაზმულთა მინიმალური ცხოვრების დონე. პარტიის პლატფორმაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, მოახდენს თუ არა საარსებო მინიმუმის გაანგარიშების ოფიციალური მეთოდის სრულყოფას. 2006 წელს მასში შემავალი კომპონენტების ღირებულება შემცირდა 30 პროცენტით, რომელმაც შესაძლებელი გახადა სიღარიბის მიღმა მყოფი ადამიანების ხელოვნურად შემცირება. მინიმალური საარსებო კალათა პოლიტიკური მანიპულაციების ერთ-ერთი ფორმაა და საბაზისო პენსიები შესაძლებელია გაუთანაბრდეს მას თუ კი საარსებო მინიმუმით გათვალისწინებული კალათის ღირებულება დაექვემდებარება შესაბამის ცვლილებას. გარდა ამისა ნორმალური მოხმარების პირობებში კვების ხარჯებზე უნდა მოდიოდეს მომხმარებელთა ერთობლივი შემოსავლების დაახლოებით ერთი მესამედი. საქართველოში კი ეს მაჩვენებელი ნახევარზე მეტია, რაც მათი სიღარიბის მაჩვენებელია.

ნებელია. პენსიის საარსებო მინიმუმთან დაახლოებით პენსიონერთა სიღარიბის მაჩვენებელი მცირედით თუ შეიცვლება, მაგრამ ამით პრობლემა არ გადაიჭრება.

პენსიების სიდიდის ზრდას კიდევ უფრო დააჩქარებს მათი ინდექსაცია. ეს კი მნიშვნელოვნად გაზრდის სახელმწიფო ხარჯებს და პენსიების ინდექსაცია კი შესაძლებელია არარეალისტური გახდეს. ეს მხოლოდ დაპირებებია. მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ უყენებს ინდექსაციას პენსიებთან მიმართებაში, მითუმეტეს ეს შეუძლებელი იქნება საქართველოში, სადაც ინფლაცია ხშირად ორნიშნა ციფრზე გადის, ხოლო ეკონომიკის ზრდის ტემპები კი ზომიერია.

ეროვნულ დემოკრატიული პარტია პენსიების მნიშვნელობის გაზრდის მიზნით გამოდის ინიციატივით დაინერგოს დაგროვებითი საპენსიო სქემა. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი სქემა საქართველოში არსებობს 1998 წლიდან როდესაც პირველად შევიდა ძალაში „კანონი“ კერძო საპენსიო ფონდების შესახებ“ თუმცა ეს იყო მკვედრად მობილი კანონი, რამდენადაც ნებაყოფლობითმა დაგროვებითმა სისტემამ არ იმუშავა და ვერ მიიღო საყოველთაო სახე. ეროვნულ დემოკრატიული პარტია სწორად აყენებს საკითხს, რომ საპენსიო დანაზოგების დაგროვება მოხდეს საშემოსავლო გადასახადების ხარჯზე. პრაქტიკაში საერთაშორისო გამოცდილებით, საპენსიო თანხები, რომელიც გადასახადებიდან უნდა დაიფაროს, საჭიროებს გარკვეულ სტიმულირებას, მაგრამ პარტიის პლატფორმა არაფერს ამბობს, თუ რა მექანიზმებით მოხდება გადასახადებიდან მისი დაფარვა, რა სტიმულები იქნება გადამხდელს და როგორ მოხდება ამ თანხის ადმინისტრირება. გაურკვეველია, თუ ვინ უნდა მოახდინოს დაგროვებითი საპენსიო სქემის დანერგვა, განხორციელება და მისი მართვა; თუ სახელმწიფო გახდება ამ თანხის უკან დაბრუნების გარანტი (ეს იმ შემთხვევაში თუ საპენსიო დანაზოგების ინვესტირება მხოლოდ სახელმწიფო ვალდებულებებში განხორციელდება), მაშინ სახელმწიფომ ეს თანხა უნდა აილოს შიდა ვალში და ბიუჯეტის დეფიციტის დღევანდელი სურათი კიდევ უფრო გაუარესდება.

უმუშევრების სოციალურ დაცვა ნამდვილად არის ყურადღების ღირსი, მაგრამ დასაქმების სამსახური ამ ღონისძიების მხოლოდ ერთი ინსტიტუციონალური მხარეა. პარტიის პროგრამა არაფერს ამბობს უმუშევრების დახმარება რომელი წყაროებიდან უნდა დაფინანსდეს, რა ცვლილებები შევა საგადასახადო კოდექსში და რა მონაწილეობას მიიღებენ დამსაქმებლები. თავისთავად დასაქმების სამინისტრო ვერ დაასაქმებს უმუშევრებს. ეს სამენარმეო სფეროს საქმეა. ეს საააგენტო ვერც შრომის ბირჟის ფუნქციას შეითავსებს, რადგან დღეს ეს ფუნქცია თანდათანობით კერძო სექტორს ან საერთოდ ვირტუალურ ინტერნეტ ბირჟებზე გადადის. სახელმწიფოს ხელში არსებული ბერკეტების (საგადასახადო, საინვესტიციო და სხვ), გამოყენების შესახებ პარტიის პროგრამა არაფერს ამბობს, ხოლო უმუშევრების სოციალური დაცვა კი დეკლარირებული ხასიათისაა. სოციალური მიზნებისათვის ხარჯების სიდიდის შესახებ პარტიის პროგრამა საკამოდ ბუნდოვანია.

პარტიის პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია დედების უფლებების დაცვა და უზრუნველყოფა მინიმალური ხელფასით, დაზღვევითა და პენსიებით. თითოეული ასეთი ღონისძიება ცალ-ცალკე არსებობს სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ ერთდროულად დედებმა მიღონ თვითეულ შვილზე ფულადი დახმარება, მინიმალური ხელფასი და იყვნენ დაზღვეულნიც, ხოლო მომავალში კი შრომითის პენსიაც, საკმაოდ მძიმე ტვირთი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, რომელიც დაფინანსებასაც ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებსაც კი უჭირთ.

ჯანდაცვა (LAT)

პროგრამაში დეკლარირებულია ზოგადი განცხადებები საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის შესახებ. არ არის ასახული, თუ რა მონაწილეობა იქნება სახელმწიფოს და რა მოდელით განხორციელდება პრინციპი „ჯამრთელობა ყველასათვის“. პარტიის პროგრამა საყოველთაო დაზღვევაზე პასუხისმგებლობას აკისრებს 1. სახელმწიფოს, 2. დამქირავებელს, 3. და დასაქმებულს, მაგრამ თუ როგორ უნდა განაწილდეს ეს პასუხისმგებლობა, ვინ რა უნდა გაილოს, იქნება მას სავალდებულო ხასიათი თუ არა, როგორი იქნება მენარმის სოციალური როლი, რა სტიმულები იქნება დაქირავებულს დაეზღვიოს და რა რესურსებით და წყაროებიდან უნდა მოხდეს სადაზღვევო თანხების დაფარვა,

პროგრამა არაფერს ამბობს. რამდენიმე წინადადებით დეკლარირებული საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა მხოლოდ კეთილ სურვილებად რჩება. შესაბამისად სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმი არ არის განსაზღვრული. მის განხორციელებაზე მსჯელობა კი მხოლოდ პირობითად შეიძლება.

ქრისტიან-დემოკრატიული მოქრაობა

განათლება (ISET-PI)

პარტიის 10 პუნქტიან პროგრამაში, განათლების თაობაზე, მიმოხილულია მხოლოდ მისი საბიუჯეტო და ფინანსური მხარეები. ქრისტიან-დემოკრატების უმთავრესი მიზნებია განათლების დაფინანსება გაზარდონ 1 მილიარდ ლარამდე წელიწადში და სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტები დააფინანსონ 100% გრანტებით უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას. პარტია აპირებს ბიუჯეტის 8 მილიარდი ლარიდან 10 მილიარდ ლარამდე გაზარდას, საიდანაც 1 მილიარდი (ბიუჯეტის 10%) დაიხარჯება განათლების სფეროზე.

ამგვარ ფინანსურ პოლიტიკას გააჩნია რამდენიმე ნაკლი: პირველი ის რომ ბიუჯეტის გაზრდა დაკავშირებულია გადასახადების ზრდასთან, რაც უკმაყოფილებას გამოიწვევს საზოგადოებაში; მეორე, ბიუჯეტის 10% განათლებაზე გულისხმობს რომ დაფინანსება შემცირდება სხვა სფეროებზე. ქრისტიან-დემოკრატები ძირითადი სახსრების გამოთავისუფლებას აპირებენ თავდაცვის სფეროდან შეიარაღებული ძალების სამჯერ შემცირებით. საკითხავია თუ იქნება ამგვარი რადიკალური შემცირება სასარგებლო ქვეყნის უსაფრთხოებისათვის.

აგრეთვე, პარტიას არ გააჩნია განათლების სექტორის დახვეწის პროგრამა ჩამოყალიბებული პროექტებითა და მიზნებით, რაც ეჭვქვეშ აყენებს მათ ფინანსურ გაანგარიშებებს, იბადება შეკითხვები – კონკრეტულად რაზე დაიხარჯება აღნიშნული თანხები? რა პროექტები განხორციელდება და იქნება თუ არა გაზრდილი განათლების დაფინანსება დადებითი შედეგების მომტანი?

რაც შეეხება ყველა სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების უმაღლესი განათლების 100% დაფინანსებას – ეს ერთობ სოციალ-დემოკრატიულად და „სამართლიანად“ ჟღერს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ამ პოლიტიკის პოტენციური ეფექტურობის მხარეს, აქაც წავანყდებით გარკვეულ პრობლემებს. სოციალური სტატუსის მიხედვით სწავლის დაფინანსება სავარაუდოდ დააქვეითებს სტუდენტთა ხარისხს უმაღლეს სასწავლებლებში, რადგანაც ნიჭიერი და მოტივირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტები, რომლებსაც ადრე არ შეეძლოთ სწავლის საფასურის გადახდა, ისედაც იღებდნენ გრანტებს დამსახურების მიხედვით და ხვდებოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში. გრანტები სოციალური სტატუსის მიხედვით დააფინანსებენ ნაკლებად კარგ სტუდენტებსაც, რაც გამოიწვევს სწავლის ხარისხის დაქვეითებას. ასე რომ, აღნიშნული თანხები უმჯობესია გაიცეს დამსახურების მიხედვით.

დასაქმება (ISET-PI)

ქრისტიან-დემოკრატების წინასაარჩევნო საპროგრამო დოკუმენტს, რომელსაც 10 პუნქტიანი გეგმის სახე აქვს, პროგრამა, მისი ტრადიციული გაგებით, ძნელად შეიძლება ეწოდოს. თუმცა ეს დოკუმენტი მაინც იძლევა გარკვეულ წარმოდგენას პარტიის ხედვასა და გეგმებზე.

ამ დოკუმენტის მიხედვით პარტიის უმრავლესობაში მოსვლის შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი არსებული 8 მილიარდიდან 10 მილიარდამდე გაიზრდება, რაც პარტიის ლიდერთა განცხადებით უმეტესად მოხდება საშემოსავლო ბაზის გაზრდის მეშვეობით. ამ მიზნის მისაღწევად პარტია გეგმავს აგრარული კოოპერატივების პროგრამის წამოწყებას, რომელიც ითვალისწინებს კოოპერაციის წესით მიწების გამსხვილებას, სანავისა და სასუქის სუბსიდირებას, მოსავლის დაზღვევას. ამავდროულად შეიქმნება აგრარული ბანკი, რომელიც გასცემს დაბალპროცენტით კრედიტებს. პარტიის გათვლებით ამ ტიპის კოოპერატივები სოფლის მეურნე-

ობაში ყოველწლიურად დამატებით 80 000 სამუშაო ადგილს შექმნის, რაც თავის მხრივ გაზრდის საშემოსავლო ბაზას. კოოპერაციების შექმნა, რა თქმა უნდა, დადებით შედეგებს მოიტანს დასაქმების გაზრდის თვალსაზრისით, თუმცა არარეალისტური ჩანს ყოველწლიურად დამატებითი 80000 სამუშაო ადგილის შექმნა, რაც 4 წელიწადში კოოპერაციების საშუალებით 320000 ახალი სამუშაო ადგილს შექმნას გულისხმობს. ეს კი ნიშნავს რომ 4 წლის შემდეგ სოფლის მაცხოვრებელიდან საშუალოდ ყოველი მესამე კოოპერაციაში იქნება ჩართული, რაც საკმაოდ არარეალისტური ჩანს.

ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის აზრით, უმუშევრობის პრობლემის დასაძლევად საჭიროა ენერგეტიკის სექტორის განვითარება, ახალი ჰიდროელექტროსადგურების აშენება, რაც შესაძლებელს გახდის თბოელექტროსადგურების მიერ გამოიშვებული შედარებით ძვირი ენერჯის ჩანაცვლებას იაფი ჰიდრო ენერჯით. ამ გზით, პარტიის აზრით, შესაძლებელი გახდება ელექტროენერჯის ტარიფის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც შესაბამისად წაახალისებს ეკონომიკურ აქტივობას და გაზრდის დასაქმების. აღნიშნული გეგმა ეკონომიკურად საკმაოდ დასაბუთებულია, რადგანაც საქართველოს გააჩნია საკმაოდ დიდი გამოუყენებელი ჰიდრორესურსი. თუმცა მეორეს მხრივ, ენერგეტიკის დარგში ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით ახალი ჰიდროელექტროსადგურის მიერ წარმოებული ელექტროენერჯის ღირებულება ბევრად არ ჩამოუვარდება თბოელექტროსადგურისას, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს იმ მოსაზრებას, რომ ახალი ჰესების აშენება შესაძლებელს გახდის ელექტროენერჯის ტარიფის შემცირებას.

მაკროეკონომიკური საკითხები (EPRC)

ქრისტიან-დემოკრატების მიერ წარმოდგენილი „ათპუნქტიანი სახელმწიფო ბიუჯეტის“ დოკუმენტი არ არის პროგრამული დოკუმენტი. ის შეიძლება უფრო საარჩევნო პლატფორმად ჩავთვალოთ. მაკროეკონომიკური ნაწილი, როგორც ასეთი, მასში წარმოდგენილი არ არის. თუმცა გეგმაში საუბარია, დასაქმებაზე, ტარიფებზე და გადასახადებზე. დღეს არსებული მდგომარეობა პირდაპირ დახასიათებული არ არის, თუმცა ნახსენებია მონოპოლიზმი, ელიტური კორუფცია და წნეხი ბიზნესზე.

წარმოდგენილი გეგმაში საუბარია იმაზე, რომ არსებული 8 მილიარდიანი ბიუჯეტის 10 მილიარდამდე გასაზრდელად: დაუყოვნებლივ შეწყდება წნეხი ბიზნესზე და მოხდება ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია; აღმოიფხვრება ელიტური კორუფცია და ამოივსება ეკონომიკაში არსებული „შავი ხვრელები“ ბიზნეს-მონოპოლიების სახით; სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე შემოვიღებთ დიფერენცირებულ გადასახადს.

ბუნდოვანია თუ რა კავშირშია ერთმანეთთან ბიუჯეტის 8-დან 10 მილიარდამდე ზრდა და ეკონომიკის დეკრიმინალიზაცია, მონოპოლიების მოსპობა და ელიტური კორუფცია.

გეგმით, როგორც ჩანს, შემოთავაზებულია პროგრესიული გადასახადი, თუმცა, ეს უკანასკნელი ნახსენები არაა. შემოღებული საშემოსავლო გადასახადის რანგი 10-25% ფარგლებში დაკავშირებულია საბიუჯეტო შემოსავლების 350 მილიონით ზრდასთან, თუმცა გაუგებარია, რა მექანიზმით. ქრისტიან-დემოკრატების პლატფორმის ამ პუნქტს ჰქვია „ერთიანი საქართველო ყველა თაობას“, თუმცა გაუგებარია, რა კავშირი აქვს სათაურს საგადასახადო შეღავათებთან თუ მონოპოლიებთან.

ძნელი სათქმელია, რა ნიშნავს ასევე ლოზუნგი – სახელმწიფო ვალების გარეშე, თუკი ქრისტიან-დემოკრატები კისრულობენ ვალდებულებას დაფარონ კოოპერატიული ბინათმშენებლების ვალები და გადაიხადონ სახელფასო დავალიანებები. თუ ქრისტიან-დემოკრატებს ყველა ვალის დაფარვა სურთ, მაშინ უნდა დაიფაროს სახელმწიფოს სრული დავალიანება ეროვნული ეკონომიკის აგენტებისადმი, აქ ნახსენები სახსრები კი სრულ

სახელმწიფო შიდა ვალზე ბევრად ნაკლებია. ამგვარად, სახელმწიფო ვალების გარეშე ვერ იქნება, ქრისტიან-დემოკრატების სამოქმედო სქემის მიხედვით.

ქრისტიან-დემოკრატებს გაერთიანებული 10 პუნქტიან გეგმაში გაერთიანებული აქვთ გაზსა და ელექტროენერჯიაზე ტარიფების შემცირებისა და დასაქმების საკითხები. დაბალი ტარიფები გაზსა და ელექტროენერჯიაზე შესაძლოა მართლაც ინვესტებს დასაქმებას, მაგრამ არა ყოველთვის. თუ გაზსა და ელექტროენერჯიაზე ტარიფი შემცირდება, შესაძლოა გაიზარდოს მისი მოხმარება ბიზნესის მიერ, რამაც გამოიწვიოს არა აუციულებლად დასაქმების ზრდა, არამედ ახალი კაპიტალური აღჭურვილობის შექმნა, რომელიც მეტ გაზს ან დენს მოიხმარს. ზოგადად, საჭიროა მეტი სიფრთხილე დასაქმების პრობლემაზე საუბრისას. ამ პრობლემის გადაჭრა ერთჯერადი ღონისძიებებით შეუძლებელია. დასაბუთებული არ არის, რატომ უნდა შემოვიღოთ დიფერენცირებული გადასახადი და დავანესოთ დაუბეგრავი მინიმუმი. გვეყოფა კი დარჩენილი მოსახლეობის გადასახადით ამოღებული ფული აქ ხსენებული მასშტაბური სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად? საბოლოოდ, ქრისტიან-დემოკრატების პლატფორმა ეკონომიკური ლოგიკის თვალსაზრისით, საკმაოდ საშუალოა.

ვინაიდან 10 პუნქტიან გეგმაში, ჩვენი აზრით, ღონისძიებები მოცემულია სურვილების დეკლარაციის ფორმით, მათ შესრულებადობაზე საუბარი უკიდურესად ძნელია. არსადაა ნახსენები, თუ როგორ, რა დროში და რა მექანიზმებით მოხდება დასახული მიზნების შესრულება. 3 წელიწადში ძირითადი ინფრასტრუქტურის სრულად აღდგენა თავისთავად მეტისმეტად არარეალისტურია.

ქრისტიან-დემოკრატების ეკონომიკური პროგრამა უკიდურეს მემარცხენე სპექტრში ძვეს. დოკუმენტი პოპულისტური სტილისაა. აქცენტებია აღებული სახელმწიფოს მასიურ ჩარევაზე, ლაპარაკი საბაზრო ეკონომიკის გაძლიერებაზე საერთოდ არ არის.

სოფლის მეურნეობა (EPRC)

ქრისტიან-დემოკრატების მიერ წარმოდგენილი „ათპუნქტიანი სახელმწიფო ბიუჯეტის“ დოკუმენტი არ არის პროგრამული დოკუმენტი. ის შეიძლება უფრო საარჩევნო პლატფორმად კვალიფიცირდეს. სოფლის მეურნეობის ნაწილში „კონკურენტუნარიანი ფერმერი მცირემიწიანი გლეხის ნაცვლად“ საქართველოს დღევანდელი ფაქტობრივი მდგომარეობა ნახსენები არ არის. ამგვარად, დოკუმენტი ვერ შემომნდება ფაქტების სიზუსტის თვალსაზრისით

პროგრამაში არ არის გაშლილი შემოთავაზებული ღონისძიებების მიზნობრიობა და დანიშნულება. ნახსენებია გარკვეული ღონისძიებების ერთობლიობა და მათი ბიუჯეტი, როგორც ცალ-ცალკე, ისე ჯამურად. მაგალითად, ერთ-ერთი ღონისძიების შედეგად, კერძოდ კოოპერატივების ჩამოყალიბებით, შეიქმნება 80,000 ათასი სამუშაო ადგილი. ამას გარდა არაფერია ისეთი, რაც დოკუმენტის თანმიმდევრულობის შემომნების საშუალებას მოგვცემდა. საინტერესოა, რომ სათაურში ნახსენები კონკურენცია საერთოდ არაა ტექსტში გამეორებული.

დოკუმენტი საერთოდ მოკლებულია ეკონომიკურ ლოგიკას, ვინაიდან მისი ავტორები არ ასაბუთებენ შემოთავაზებულ ღონისძიებებს. სახელმწიფოს მიერ ტექნიკის შექმნა და მოსავლის დაზღვევა, სანავისა და სასუქის სუბსიდირება, კრედიტების გაცემა კოოპერატივებზე დაბალი სარგებლით და შემდგომში მისი სახელმწიფოს მიერ დაფარვა სამი წლის მანძილზე ძირთან ერთად, ასევე სასაწყობე ფართობების შექმნა როგორც სამოქმედო გეგმის შემადგენელი კომპონენტები, ყოველგვარ ეკონომიკურ ლოგიკას მოკლებულნი არიან, იმ აშკარა მიზეზის გამო, რომ წარმოებისა თუ წარმოებული პროდუქციის გასაღების უკლებლივ ყველა ძირითად ეტაპზე ადგილი აქვს სახელმწიფოს ძალიან აქტიურ ჩარევას, რაც საბოლოო ჯამში, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ინოვაციის, ეფექტიანობის ამაღლებისა და კონკურენციის ყველანაირ წინამძღვრებს ჩაკლავს.

გაუგებარია, რატომ უნდა დაფაროს სახელმწიფომ იმ ფერმერების სესხი მთლიანად, რომლებმაც უკვე ისარგებლეს როგორც სასუქებზე და შხამ-ქიმიკატებზე სუბსიდიებით და იაფი სესხებით, ასევე აქვთ გასაღების გარანტირებული ბაზარი მთავრობის მიერ შექმნილი სასაწყობო მეურნეობების სახით? რა დააშავეს ეკონომიკის სხვა სექტორების წარმომადგენლებმა? თანახმანი არიან გადასახადის გადამხდელები, რომელთა სახსრებითაც ივსება ბიუჯეტი, გასწიონ ასეთი მასშტაბური ხარჯები? ამგვარი აშკარად პოპულისტური ღონისძიებები არაპროდუქტიულია. საქართველოში დღევანდელ სოფლის მეურნეობაში პრობლემაა უცხოურ იმპორტთან ფასით კონკურენტუნარიანი პროდუქტის წარმოება, რასაც სჭირდება შესაბამისი ხელშემწყობი ეკონომიური გარემოს შექმნა. ეს აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა წარმოების გასაფართოებლად. ემპირიულად დადასტურებულია, რომ სოფლის მეურნეობაში მწარმოებლურობა გაცილებით ნელა იზრდება, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგებში. ამგვარად, მდგომარეობის რადიკალურად შეცვლას დასჭირდება მრავალი წელი იმ საუკეთესო შემთხვევაშიც კი, როცა ქართული წარმოების კონკურენტი უცხოური ანალოგების მწარმოებელი ქვეყნები ამ პერიოდის განმავლობაში ვერ განავითარებენ თავიანთ კონკურენტულ უპირატესობას. და ბოლოს, სუბსიდირება და სტიმულის შექმნა შედეგს იღებს ძალიან შეზღუდულ შემთხვევებში და მაშინ, როცა ისინი მიზნობრივად გაიცემა. ჩვენი აზრით, დახმარება უნდა მიეცეს ეფექტიან, მომავალზე ორიენტირებულ ფერმერებს და არა ყველას. დახმარებაზე უარს არავინ იტყვის, მაგრამ ვინ და რა მექანიზმით შეაფასებს დახმარების შედეგად მიღწეულ შედეგებს? ასეთი ტიპის მსჯელობა ქრისტიან-დემოკრატების პროგრამაში საერთოდ არ არის.

ქრისტიან-დემოკრატების მოსაზრებები უფრო მისაღები იქნებოდა სოფლის მოსახლეობისათვის მეტი სოციალური დახმარება რომ შეეთავაზებინათ (სამსუხაროდ, ჩვენი აზრით, დღეს სწორედ ასეთია ჩვენი გლეხობის უმრავლესობა), ჩამოეყალიბებინათ შედარებით მცირემასშტაბიანი, მიზნობრივი პროგრამა ცვლილებაზე ორიენტირებული გლეხებისათვის, და ასევე, როგორც სოფლის მეურნეობაში დასაქმების ალტერნატივა, შექმნათ მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული სამოქმედო სქემა სოფლად არასასოფლო დასაქმების წყაროების შესაქმნელად.

ღონისძიებები შესრულებადია მხოლოდ იმ აზრით, რომ შესაძლებელია სამი წლის მანძილზე პრინციპში შესაძლოა გამოინახოს 550 მილიონი დოლარი სახელმწიფო აგრარული კოოპერატივების დასაფინანსებლად და 300 მილიონის გახარჯვა აგრარული ბანკის გავლით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის კარდინალური გადახედვის გზით. რაც შეეხება დასახული მიზნების შესრულებადობას, მისი შეფასება გაძნელებდა, ვინაიდან, მიზნები ფაქტობრივად არ არსებობს. შესაძლებელია შეფასდეს მხოლოდ იმის რეალისტურობა, რომ შეიქმნება წლიურად 80,000 სამუშაო ადგილი კოოპერაციის შედეგად. დოკუმენტიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ კოოპერატივებსა და კოოპერაციაზე. აქ ნახსენები მიზნების გამსხვილება სახელმწიფო კოოპერატივების კონტექსტში ბუნებრივად ბადებს კითხვას – ბრუნდება თუ არა უკვე განკერძოებული მიწა სახელმწიფო საკუთრებაში? გარდა ამისა არაფერია ნათქვამი კოოპერატივებისათვის აუცილებელ ლეგალურ, ინსტიტუციონალურ და საგადასახადო გარემოზე, რომელიც საქართველოში დღეს არ არსებობს და ასევე უცნობია იმუშავენ თუ არა კოოპერატივების იდეა. 80,000 ადგილი 3 წელიწადში 240,000 ათას სამუშაო ადგილს იძლევა. თუ საშუალო სასოფლო ოჯახის სულადობას ოთხად მივიჩნევთ, მაშინ დოკუმენტის ავტორებს გადაწყვეტილი აქვთ დაასაქმონ სოფლის მეურნეობაში თითოეული სოფლის მოსახლე. ეს უკიდურესად არარეალისტური, არაკომპეტენტური და პოპულისტური განცხადებაა.

ქრისტიან-დემოკრატების სოფლის მეურნეობის პროგრამა უკიდურეს მემარცხენე სპექტრში ძევს. დოკუმენტი პოპულისტური სტილისაა. აქცენტებია აღებული სახელმწიფოს მასიურ ჩარევაზე, ლაპარაკი საბაზრო ეკონომიკის გაძლიერებაზე საერთოდ არ არის.

სოციალური უზრუნველყოფა (LAT)

ჯანდაცვის პროგრამისაგან განსხვავებით, სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე პარტიის დამოკიდებულება შედარებით კიდევ უფრო ზოგადია. იგი 10 პუნქტიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებს შორის არ არის გამოყოფილი. სოციალურ სფეროში მიმდინარე მდგომარეობის პარტიული შეფასება არ არის ცნობილი, შესაბამისად არ შეგვიძლია ფაქტების სიზუსტეზე მსჯელობა. პროგრამაში აქცენტი მხოლოდ პენსიონერების და იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფაზე და მათთვის ელექტროენერგიით სუბსიდირების აღდგენაზეა აღებული.

სოციალური დაცვის პროგრამული საკითხები გულისხმობს საბიუჯეტო სახსრების მობილიზაციის შედეგად სოციალურ სფეროში ხარჯების გაზრდას 2.1 მლრდ ლარამდე, და შემდგომ პერიოდში ასაკობრივი პენსიის თანმიდევრულად გაზრდას. პარტიის პროგრამა მრავალ ღია კითხვას ტოვებს საკითხებზე, რომელიც აქტუალურია სხვადასხვა სოციალური ფენისათვის, კერძოდ არ არის მოცემული პოზიცია ღარიბი და ლატაკი ფენების სოციალურ დაცვაზე, დაცვის სისტემაზე, საფინანსო უზრუნველყოფაზე და საერთოდ სახელმწიფოს სოციალურ პასუხისმგებლობაზე. ზოგადად სოციალური საკითხების ლოგიკა ემყარება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის კვალობაზე პენსიების გაზრდისა და კომპენსაციების გაცემის აუცილებლობას. ამ მსჯელობებში პროგრამული საკითხები თანმიდევრულია და აქტუალურ ან განსაკუთრებულ მიდგომას არ გულისხმობს.

პარტია სთავაზობს მოსახლეობას: ასაკობრივი პენსიების ზრდას (2014 წელს – 200 ლარი, 2015 წელს – 220 ლარი, 2016 წელს – 240 ლარი); შეზღუდული შესაძლებლობის პირების, მარჩენალდაკარგულების, ობლების პენსიების ასაკობრივ პენსიასთან გათანაბრებას; დაუბეგრავი მინიმუმის შემოღებას და საარსებო მინიმუმთან გათანაბრებას; უმუშევრის სტატუსის განსაზღვრას და შესაბამისი შემწეობის შემოღებას; ენერგომატარებლებზე ტარიფების შემცირებას; ძალოვანი სტრუქტურის პენსიონერების პენსიების გადაანგარიშებას; შიდა ვალების გასტუმრებას (რომელიც წარმოიშვა კოოპერატიული ბინათმშენებლობების პროგრამით და 1998-2004 წლებში წარმოქმნილი სახელმწიფო სახელფასო დავალიანებებით), რეგრესის პენსიონერების და წარმოებით დაზარალებულთა კომპენსაციის გაცემას.

გარდა ამის პარტია ყურადღებას აქცევს *იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი და სამუშაო სივრცით დაკმაყოფილებას. ამ მიზნით მიაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრისების მშენებლობა და ყველა გადაადგილებული პირი აუცილებლად დაკმაყოფილდეს, მიუხედავად იმისა, სად ცხოვრობენ ისინი, სახელმწიფო თუ კერძო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში. ამასთან საჭიროდ თვლიან იძულებით გადაადგილებულ პირებს შეუნარჩუნდნენ ელექტროენერგიის სუბსიდირება (ყოველ სულზე 100 კვ. სთ. ოდენობით) და მიიღონ სამედიცინო დაზღვევის გაუმჯობესებული პაკეტი. ქდპ-ის პროგრამის ძირითადი პუნქტები ითვალისწინებს ფინანსურ რესურსების გამოყოფას, კერძოდ, ვეტერანების პენსიის დაფინანსებას 60 მილიონი ლარით და ასაკობრივი პენსიის (ვეტერანების პენსიის გარეშე) დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ორი მილიარდ ორმოცი მილიონი ლარის ოდენობით.*

საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში პარტია გეგმავს საპენსიო თანხების გაზრდას და სახელმწიფო სოლიდარული სისტემის განვითარებას. დაგროვებითი სქემა მხოლოდ ნებაყოფლობით პრინციპებს დაეფუძნება. პროგრამაში არ არის აღწერილი დაგროვებითი საპენსიო სქემების განხორციელების მექანიზმები. გათვალისწინებულია ყოველწლიურად პენსიების გაზრდა 10-12 პროცენტით. ასეთი სისტემა ისევ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებზეა დაფუძნებული და წნეხი დაქირავებით დასაქმებულთა გადასახადებზე მოდის. საქართველოში გადასახადის გადამხდელთა და პენსიონერთა შეფარდება ძალიან დაბალია. ერთ პენსიონერს 0.9 დაქირავებით დასაქმებული არჩენს. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომავალში გაიზარდოს საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა.

პარტია იმედოვნებს, რომ შეიქმნება დამატებით სამუშაო ადგილები კოოპერატივების და სხვა ღონისძიებების მეშვეობით და გაიზრდება გადამხდელთა ბაზა, თუმცა სოფლის მეურნეობაში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა ნაკლებად მოსალოდნელია, ხოლო ეკონომიკის დანარჩენი სექტორები კი მათი თავისებურებების გამო, შეზღუდულია ახალი სამუშაო ადგილების მკვეთრი ზრდით, შესაბამისად პროგრამული ამოცანის განხორციელება მხოლოდ საბიუჯეტო შემოსავლების გადანაწილებით თუ გახდება შესაძლებელი.

დაუსაბუთებელია, თუ რა სახსრებით არის შესაძლებელი იძულებით გადაადგილებულ პირების საცხოვრისით სრულად დაკმაყოფილება. პარტიის პროგრამის ეს პუნქტი დეკლარირებულია, რამდენადაც გადაადგილებული პირების რაოდენობა იმდენად მასშტაბურია, რომ მათ სრულად დაკმაყოფილებაზე საუბარი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ პარტია მოძებნიდა დამატებით რესურსებს მათი ბინათმშენებლობისათვის, დღეს, სახელმწიფო ბიუჯეტით მისი გაკეთება ყოვლად შეუძლებელია. მხედველობაშია ისიც მისაღები, რომ ამ პუნქტში ქრისტიან-დემოკრატიული პარტიას არ აქვს განსაზღვრული რესურსები, დაფინანსების მოცულობა და წყარო. დეკლარირებული ასევე შიდა ვალების გასტუმრებაზე მსჯელობები, რომელიც თავისი ბუნებით სოციალურია და ეხება 19015 წლის წინა წარმოშობილ სახელმწიფოს დავალიანებებს ბინათმშენებლობებზე და ხელფასებზე, რადგან არც ამ პუნქტში პროგრამა არ მოიცავს ფინანსურ დასაბუთებას, მდგომარეობის ანალიზს და რესურსების განსაზღვრას.

პარტიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სოციალურ სფეროში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის როლის გაზრდა და ამ მიზნით საბიუჯეტო დაფინანსების გადიდება ოთხჯერ. პარტია მართლმადიდებლურ ეკლესიას მოიაზრებს როგორც სახელმწიფოს პარტნიორს სოციალური პროექტების განხორციელებაში. ეს საკმაოდ საინტერესო მიდგომა არ არის დაკონკრეტებული და განსაზღვრული, თუ კერძოდ რა სახის და ხასიათის პროექტებზე არის საუბარი. პროგრამა სოციალურად ორიენტირებულია, სამართლიანია, სახელმწიფოს აკისრებს დიდ როლს შემოსავლების გადანაწილებაში, მაგრამ მისი განხორციელებისათვის საბიუჯეტო შემოსავლების მკვეთრი ზრდა ვერ შექმნის სტიმულს მენარმეობისათვის, ხოლო დანახარჯები ინფლაციური ბუნების შეიძლება აღმოჩნდეს. 10 პუნქტიან გეგმაში სოციალური დაცვის სფერო დეკლარირებულ განცხადებებს ეფუძნება და არ ჩანს რა დროში, რა მექანიზმებით უნდა განხორციელდეს იგი. აქედან გამომდინარე მისი განხორციელების შეფასება რთულია და მხოლოდ ვარაუდით არის შესაძლებელი.

დოკუმენტი უფრო მეტად პოპულისტურია და პოლიტიკურ-იდეოლოგიურ რუქაზე მემარცხენე სპექტრში პოპულარს ადგილს. პარტიის პოზიცია სოციალისტურია რამდენადაც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სახელმწიფო ბიუჯეტის როლზე საპენსიო ზურუნველყოფასა და სოციალურ დაცვაზე. რამდენადაც ღონისძიებები იგი არ მოიცავს ყველა სოციალურ ფენას, ამდენად ატარებს ზომიერ ხასიათს.

ჯანდაცვა (LAT)

ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში ქრისტიან-დემოკრატების საარჩევნო პროგრამის მთავარი მიმართულებაა ყველა თაობის ადამიანზე თანაბრად ზრუნვა და თითოეული ქართული ოჯახის მატერიალური კეთილდღეობა. ამ ამოცანის განხორციელების ძირითად პირობად მიჩნეულია სახელმწიფო ბიუჯეტის 10 მლრდ ლარამდე გაზრდა. ქრისტიან-დემოკრატების წინასაარჩევნო პროგრამა „10 პუნქტიან სახელმწიფო ბიუჯეტითაა“ განსაზღვრული, რომლის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტია: „ხელმისაწვდომი ჯანდაცვა და დაფასებული პენსიონერი“.

ჯანდაცვის სფეროში ძირითადი ორიენტირია პენსიონერების დაფასება. პროგრამაში არ არის გადმოცემული პრობლემების ანალიზი, თუმცა ქრისტიან-დემოკრატების ჯანდაცვის პროექტი, რომლის პრეზენტაციაც წინასაარჩევნო შეხვედრაზე გაკეთდა, კონკრეტული, საქმიანი და პრობლემებზე ორიენტირებული მასალას მოიცავდა, რომლის მრავალი კონკრეტული მიმართულება მხოლოდ ზოგადი სახითაა ასახული წინასაარჩევნო საპროგრამო დოკუმენტებში.

ქრისტიან-დემოკრატებს გათვალისწინებული აქვთ ჩამოაყალიბონ სამედიცინო დახმარების მიწოდებისა და მართვის ახალი, ოპტიმიზირებული, **გამჭვირვალე და ღია სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების სრულ ხელმისაწვდომობას, ფინანსური რისკებისგან დაცვას, სამართლიანობას, სამედიცინო დახმარების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. ამასთან, ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირება განხორციელდება როგორც პროგრამული დაფინანსების წესით, ასევე კერძო სადაზღვევო სექტორის მეშვეობით. ამ მიზნით** ჯანდაცვის ახალი სისტემის ჩამოსაყალიბებლად, მიზანშეწონილად მიიჩნევის, საქართველოს მთელი მოსახლეობა დაიყოს კატეგორიებად და განხორციელდეს ე.წ. სუბსიდირების პრინციპი: სახელმწიფო სრულად ეხმარება მათ, ვისაც თვითონ არ შეუძლია უზრუნველყოს თავისი ჯანმრთელობა და, ამავე დროს, ხელს უწყობს დანარჩენ მოსახლეობას სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობაში.

პარტიის პროგრამა გამოყოფს მოსახლეობის ორ ძირითად ჯგუფს: უმწეო მოსახლეობას და საქართველოს ყველა დანარჩენ მოქალაქეს. ორივე ჯგუფისათვის გათვალისწინებულია უნივერსალური სადაზღვევო პაკეტით უზრუნველყოფა, რომელიც განხორციელდება პროგრამული დაფინანსებით. პირველი ჯგუფი კი დამატებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებს დამატებითი სამედიცინო მომსახურებისათვის აუცილებელ ხარჯებს, მაშინ როდესაც მოსახლეობის დანარჩენი ჯგუფი მხოლოდ საკუთარი და დამსაქმებლის დაფინანსებით თუ შეიძენენ კერძო სადაზღვევო ფონდებისაგან მომსახურებას. ასეთი დამოკიდებულება სახელმწიფოსა და კერძო სტრუქტურებს შორის სოციალური პასუხისმგებლობის განაწილებაზე მუთითებს და იგი კარგად აპრობირებული მიზანშეწონილი პრაქტიკაა ცივილიზებულ ქვეყნებში, რომლის დანერგვა და განვითარება საქართველოში მნიშვნელოვნად წინ წასწევს მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატუსს.

პარტიას განსაზღვრული აქვს სადაზღვევო პაკეტებით სამედიცინო მომსახურების კონკრეტული სახეები, სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფოსთან ერთად კერძო სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის ამოქმედება, რაც მნიშვნელოვნად შეარბილებს სახელმწიფო ფინანსებზე ზენოლას, და ითვალისწინებს ისეთი სისტემის ამოქმედებას, როცა ყველა პროვაიდერი შეძლებს მიაწოდოს ნებისმიერი მომსახურება ნებისმიერ მზღვეველს.

ქრისტიან-დემოკრატებს განსაზღვრული აქვთ განხორციელონ ისეთი პროგრამები, როგორცაა საზოგადოებრივი ჯანდაცვის, პირველადი ჯანდაცვის, სასწრაფო სამედიცინო დახმარების, ნარკომანიის და ალკოჰოლიზმის მკურნალობის, ტუბერკულოზის გამოვლენის და მკურნალობის, ფსიქიური (მენტალური) ჯანმრთელობის, C ჰეპატიტის გამოვლენისა და მკურნალობის პროგრამა, მწვავე ინფექციური დაავადებების მკურნალობის და სხვ პროგრამები. მნიშვნელოვანია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, 0-18 წლამდე ბავშვების უცხოეთში მკურნალობის სპეციალური პროგრამების შეთავაზება მოსახლეობისადმი. თვითეული მათგანისათვის განსაზღვრულია საბიუჯეტო სახსრები. უნივერსალური საბაზისო პაკეტის ღირებულებაა წლიურად 270,000,000 ლარი; დამატებითი პაკეტის (პირველი ჯგუფისთვის) – 355,000,000 ლარი; მთლიანობაში კი სახელმწიფოს ჯანდაცვის ხარჯები შეადგენს 850-900 მილიონ ლარს წელიწადში.

ამდენად სავალდებულო სახელმწიფო და კერძო სავალდებულო და ნებაყოფლობითი სადაზღვევო პრინციპების ამოქმედებასთან ერთად გათვალისწინებულია კონკრეტული პროგრამები და მათი კონკრეტული ფინანსური უზრუნველყოფაც. ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირება განხორციელდება როგორც პროგრამული დაფინანსების წესით, ასევე, კერძო სადაზღვევო სექტორის მეშვეობით. შესაბამისად ინსტიტუციური ცვლილებები, ჯანდაცვის ღონისძიებები და მათი ფინანსური რესურსები ერთმანეთთანაა დაკავშირებული და მოცემული ერთიანი რეფორმების სახით, რაც ქრისტიან-დემოკრატების სერიოზული დამოკიდებულების მაჩვენებელია ჯანდაცვის სისტემის მნიშვნელობისადმი. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ. ეს ღონისძიებები არ არის ასახული წინასწარჩვენო „10 პუნქტიან სახელმწიფო ბიუჯეტში.“

ქრისტიან-დემოკრატების წინასწარჩვენო „10 პუნქტიან სახელმწიფო ბიუჯეტს“ ნაკლებად შეიძლება ეწოდოს პროგრამული დოკუმენტი. 10 პუნქტიანი გეგმაში არსებული სახელმწიფო ბიუჯეტის 2 მილიარდით (10 მილიარდამდე) გაზრდა გათვალისწინებულია ბიზნესის დეკრიმინალიზაციით, ბიზნესის სახელმწიფო წნეხისგან გან-

თავისუფლებით და ელიტარული კორუფციის აღმოფხვრით. სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი 2 მილიარდის ამ სახით მობილიზირება მოკლებულია რაიმე რაციონალურ შეფასებას, რადგან არ არის გამყარებული დამატებითი ანალიზით. გეგმაში ლაპარაკია საბიუჯეტო შემოსავლების 350 მილიონი ლარით ზრდაზე, რომელიც უნდა გამონთავისუფლდეს ახალი საგადასახადო პროგრესული ტარიფით. შემოსავლების დონის მიხედვით საშემოსავლო საგადასახადო განაკვეთის რანგი იქნება 10-25%-ის ფარგლებში. ამასთან ერთად გათვალისწინებულია დაუბეგრავი საარსებო მინიმუმის შემოღება, რომელიც საარსებო მინიმუმს გაუტოლდება. ეს კი ნაკლებად სარწმუნოს ხდის დამატებითი შემოსავლების სახით 350 მილიონის მობილიზირებას.

ჯანდაცვის სფეროში პარტიის პროგრამა აქცენტირებულია სახელმწიფო პროგრამების განვითარებაზე და მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ზრდაზე. იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანდაცვის პროგრამებზე დაფინანსება, რომელმაც უნდა უზრუნველყოფს საბაზისო სამედიცინო მომსახურება, ხოლო სადაზღვევო კომპანიებმა დამატებით უნდა მოახდინონ რისკების დაზღვევა. ეს პოზიცია თანმიმდევრული და რეალისტურია. თუმცა ძირითად ზენოლას კვლავ სახელმწიფო ბიუჯეტზე მოახდენს, რის შედეგადაც ჯანდაცვაზე გამოყოფილი ხარჯები მუდმივად გაზრდას მოითხოვს. რამდენადაც პროგრამული პაკეტი გაიზრდება და სახელმწიფო პირდაპირ მოახდენს სამედიცინო ორგანიზაციებთან მის დაფინანსებას, საბაზისო სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი იქნება მოსახლეობისათვის. მოსახლეობის მოთხოვნის გაზრდა უფასო სამედიცინო პროგრამებზე, ბიუჯეტის შემოსავლებზე შიდა და გარე შოკების ზემოქმედება, ინფლაციური და სხვ. მაკროეკონომიკური მოვლენები მგრძობიარედ იმოქმედებენ ჯანდაცვის დაფინანსებაზე და რისკის ქვეშ დააყენებს პარტიის სამოქმედო გეგმის განხორციელებას.

სადაზღვევო კომპანიებისათვის დამატებითი როლის მინიჭებამ სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე და ჯანდაცვის ძირითადად საბიუჯეტო თანხებით უზრუნველყოფამ შესაძლებელია სუსტად იმოქმედოს სამედიცინო დაწესებულებების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და მათი ინვესტიციების ზრდაზე. საკმაოდ რეალისტური და მნიშვნელოვანია ინსტიტუციური რეფორმების წარმართვა ჯანდაცვის სისტემაში დღეს არსებული შეზრუდვების გასანივრალელებლად, რაც ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ შეიცვალოს გარემო, სადაც სადაზღვევო კომპანია და სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი არის ერთი ორგანიზაცია, საავადმყოფოს მფლობელი არის მზღვეველი (სადაზღვევო კომპანია), და ზოგიერთი ჯანდაცვის პროგრამა ხორციელდება მზღვეველის მიერ პროვაიდერებთან ექსკლუზიური კონტრაქტებით. საბოლოო ორიენტაცია გაკეთებულია იმაზე, რომ ყველა პროვაიდერს შეეძლოს მიანოდოს ნებისმიერი სამედიცინო მომსახურება ნებისმიერ მზღვეველს (სადაზღვევო კომპანიას). ამასთან გათვალისწინებულია სახელმწიფოს მართვის ინსტიტუტის რეფორმირება და დღეს არსებული შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს რეორგანიზაცია ორ – სოციალურ და ჯანდაცვის სამინისტროებად, სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაციის ჩატარება; სასწრაფო სამედიცინო დახმარების და კატასტროფის მედიცინის სახელმწიფო ცენტრის შექმნა, პენიტენციური სისტემის ჯანდაცვისადმი ყურადღება, პირადობის მონმობაზე სამედიცინო ისტორიის ჩანერა და სხვა, რაც ერთობ რეალისტური და აუცილებელიცაა.

პარტიის პოზიცია საკითხზე ხასიათდება როგორც დასავლურ ევროპული სოციალურ-დემოკრატიული. იგი ცენტრისტულია და ითვალისწინებს კერძო და სახელმწიფო ინსტიტუტების ფინანსურ მონაწილეობას ჯანდაცვის სფეროს დაფინანსებაში.

